

ლუიზა ხაჭაპურიძე



ქართველი მართლმადიდებელი  
მრევლის მებრძოლებს

(ფრანკოლოგიური და ლექსიკური ერთეულები)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ძარბაზღოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

**ღუიზა ხაჭაპურიძე**

**ძარბაზღოლოგიის მართლმადიდებელი  
მრევლის მეტყველება**

**(ზრახეოლოგიური და ლექსიკური  
ერთეულები)**

ქუთაისი  
2017

ნაშრომში გაანალიზებულია ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში დადასტურებული ბიბლიური ფრაზეოლოგიური და ლექსიკური ერთეულები. წარმოდგენილია მათი სემანტიკური ცვლილება, მორფოლოგიური სტრუქტურა, სინონიმური ვარიანტები.

გამოკვლევა ეფუძნება დასავლეთ საქართველოში აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (დღეს ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი) მომძიებელთა ჯგუფებისა და ჩვენ მიერ ექსპედიციებსა და ინდივიდუალურ სავლელ მუშაობისას მოპოვებულ მასალებს.

წიგნი განკუთვნილია ქართველოლოგიური მეცნიერების მკვლევართა და რელიგიური ფრაზეოლოგიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი**

**ტარიელ ფუტყარაძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**რეცენზენტები:**

**შუკია აფრიდონიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

**მედია ლლონტი**

ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

ნაშრომზე მუშაობისას ბაგრატის ტაძარი ჯერ კიდევ ნანგრევები იყო, ვოცნებობდი, თუკი წიგნს გამოვცემდი და ამ დროს ტაძარი აღდგენილი იქნებოდა, გარეკენზე განახლებული ბაგრატი გამოქსანა.

ერთ-ერთი რესპონდენტისგან მოსმენილი თქმულებაც ახდა, რომელიც მაშინ დაუჭერებელ ზღაპრად მიმანდა: დადგება დრო, აღსდგება ტაძარი და საკუთარ სამშობლოს დაუბრუნდება ტაო-კლარჯეთისა და ფერეიდანის ქართველობა...

დიდება და მადლობა უფალს!

ISBN 978-6641-459-37-5

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა 2017

# შინაარსი

რედაქტორის წინასიტყვაობა	6
შესავალი	7
I თავი შრახეოლოგიური ერთეულები	12
1.1. შრახეოლოგიის გაგებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში	12
1.2. ბიბლიური შესიტყვებები მრევლის მეთყველბაში	21
12.1. ბიბლიურ პირთა ძაღბებებიდან მომდინარე შრახეოლოგიური ერთეულები	25
12.2. ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარე შრახეოლოგიისმები	38
12.3. ბიბლიურ სახელებთან დაკავშირებული შრახეოლოგიისმები	50
12.4. მართლმადიდებლურ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული შრახეოლოგიური ერთეულები	60
12.5. ხალხურ წარმოდგენებთან დაკავშირებული საეკლესიო ტერმინების შემცველი შესიტყვებები	70
1.3. ბიბლიური პერიშრახები	75
1.3.1. ღამით წინასწარმეთყველის საბალოლებიდან მომდინარე შრახეოლოგიისმები	75
1.3.2. ღიბურბიიდან მომდინარე შრახეოლოგიისმები	79
1.3.3. სამონასტრო ცხოვრებიდან მომდინარე ლოცვითი შორმულები	82

13.4. ბიბლიური მისაღმების ფორმულებისათვის მრევლის მეთვრელეაში _____	85
13.5. ბიბლიური წყველა-ღალოცვის ფორმულების ხალხური ვარინანტებისათვის _____	89
<b>II თაზვი რელიგიური ტერმინები მრევლის მეთვრელეაში _____</b>	<b>97</b>
2.1. ზოგი ტერმინის ისტორიისათვის _____	97
2.1.1. აიაზმა / წმინდა წყალი / ნაკურთხი წყალი _____	98
2.1.2. ანალოგია / ანალოგია / ვუკუნატი _____	99
2.1.3. აღაპი / ნაკურთხი _____	100
2.1.4. ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგიის ისტორიისათვის (კურთხევა / კვერთხი) _____	103
2.1.5. გუნდრუპი / სული სუნელი / სული კამრი _____	105
2.1.6. ვგლობია / სეფისკვერი _____	108
2.1.7. კანკელი / იკონოსტასი _____	111
2.1.8. კლიროსი / საფსალგუნე / საღავითენა _____	113
2.1.9. მნათე / სტიქაროსანი _____	118
2.1.10. ტრაპეზი / ნაკურთხეველი _____	128
2.1.11. ფოფოღია _____	134
2.1.12. ერთი სამკლესიო ტერმინისათვის (წეწხუმი) _____	135
2.1.13. მსგეფსი / კვირიაკე / კვირა _____	138
2.1.14. ბზობა-ბაიაობა _____	140
2.2. ზოგ ფორმათა გამოყენების თავისებურებისათვის _____	143
2.2.1. არქაული ზმნური ფორმები მრევლის მეთვრელეაში _____	143

2.2.2. სემანტიკურ ნიუანსთა ფორმოზიზმი	
გამიჯვნის ერთი ნიშნისათვის _____	153
2.2.3. სინონიმთა სემანტიკური დიფერენციაციი-	
სათვის ქართული მართლმადიდებელი	
მრევლის მატყველბაში (სიყმილი-შიფშილი,	
სასოება-იმილი...)	158
2.2.4. ზოგი სიტყვის (მეზობარი, სულიერი კმა, შეყვა-	
რეული) სემანტიკური ცვლილებისათვის _____	161
პირითადი დასკვნები _____	166
ინგლისური რეზიუმე _____	171
რუსული რეზიუმე _____	174
გამოყენებული ლიტერატურა _____	179
შემოკლებაი _____	197
დანართი	
დიალექტური ტექსტები _____	198
1. საეკლესიო წეს-ჩვეულებები _____	201
2. ღოცვის ფორმები _____	208
3. ხალხური საეკლესიო საბალობლები (ტექსტები) _____	222
3.1. სავერებლები _____	222
3.2. საკანაშვილო საბალობლები _____	228

## რედაქტორის წინასიტყვაობა

თანამედროვე ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველება საინტერესოა, როგორც სოციალური დიალექტის ერთ-ერთი სახეობა. ტერიტორიული კილოების მსგავსად, დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდის სოციალური თუ პროფესიული დიალექტებიც, შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს დიალექტური მეტყველების ნიმუშების ზუსტ ჩაწერასა და მათ დიასისტემურ კვლევას.

ლუიზა ხაჭაპურიძის გამოკვლევა ეფუძნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის (ამჟამად ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის) მომძიებელთა ჯგუფების მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი, რაჭა) მოპოვებული გაბმული მეტყველების ნიმუშებსა და ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული კითხვარებით მოპოვებულ მასალებს; აგრეთვე, ავტორის მიერ წლების მანძილზე ჩაწერილ ტექსტებს (დანართში იბეჭდება დიალექტური ტექსტების ნაწილი). გამოკვლევაში მრევლის მეტყველება შესწავლილია ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით; გაანალიზებულია რელიგიურ ტერმინთა თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ნაწილის სემანტიკა და მორფოლოგიური სტრუქტურაც.

წარმოდგენილი ნაშრომი განკუთვნილია ქართველოლოგთათვის; ასევე, რელიგიური ტერმინოლოგიით და ხალხში არსებული წეს-ჩვეულებებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

პროფესორი **ტარიელ ფუტყარაძე**  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

## შესავალი

”თუ მეცნიერება საზოგადოების თავია,  
რელიგია გულია მისი“  
ზვიად გამსახურდია

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ქრისტიანული ტერ-  
მინოლოგიის შესახებ არაერთი საინტერესო გამოკვლევა გვაქვს,  
მაგრამ, ხანგრძლივი ათეისტური მმართველობის პირობებში ბუ-  
ნებრივია, შეუძლებელი იყო მართლმადიდებელი მრევლის მეტყვე-  
ლების სპეციალური კვლევა. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან  
აღორძინდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, თანდათანო-  
ბით ჩამოყალიბდა ქართულენოვანი მრევლიც; შესაბამისად, აქ-  
ტუალური გახდა მრევლის მეტყველების შესწავლაც.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური  
დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის<sup>1</sup> მოძიებ-  
ელთა ჯგუფში წლების მანძილზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება  
მიიქცია ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური<sup>2</sup> (ეკლე-  
სიური) მრევლის მეტყველების თავისებურმა სტილმა. მასალების  
საგანგებო მოძიებამ ბევრი საინტერესო მოვლენა წარმოაჩინა;  
კერძოდ, შესაძლებელი გახდა აქტიური (ეკლესიური) მრევლისა  
და ქართველი საზოგადოების სხვა ნაწილის (პასიური (არაეკლე-  
სიური) მართლმადიდებელი მრევლის ჩათვლით) მეტყველების  
განსხვავებული მახასიათებლების განსაზღვრა.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი ქარ-  
თული ენის ტერიტორიული კილოები; მრავალი გამოკვლევაა  
პროფესიულ-დარგობრივი ლექსიკის შესახებაც, მაგრამ ნაკლები  
ყურადღება აქვს დათმობილი სოციალური და პროფესიული  
დიალექტების, არგოებისა თუ ჟარგონების შესწავლას.

---

<sup>1</sup>[https://ka.wikipedia.org/wiki/ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-  
კვლევითი ინსტიტუტი](https://ka.wikipedia.org/wiki/ქართველური_დიალექტოლოგიის_სამეცნიერო-კვლევითი_ინსტიტუტი), ამჟამად ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრი;

<sup>2</sup> აქტიურ მრევლში მოვიაზრებთ მორწმუნე საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც  
„რეგულარულად დადის წირვა-ლოცვებზე, ჰყავს სულიერი მოძღვარი, არის  
აღმსარებელ-მაზიარებელი, აღასრულებს საეკლესიო წესებს და ცდილობს  
იცხოვროს ეკლესიის წიაღში“ (დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, 1999, გვ.15)



ცნობილია, რომ სოციალურ-პროფესიული დიალექტების ძირითად თავისებურებებს ქმნის ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ წესს ასახავს.. დროთა განმავლობაში პროფესიული დარგების თუ სოციალური ფენების ტრანსფორმაციის გამო იცვლებიან ან ქრებიან სოციალური და პროფესიული დიალექტებიც, ამდენად, მათ დროულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით მეტად საშუაია ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველების თავისებურებების აღნუსხვა და შესწავლა.

მრევლის წევრთ აერთიანებთ არა მხოლოდ წირვა-ლოცვის დრო და ეკლესიის ეზო, არამედ ცხოვრების ერთგვარი წესიც (აღასრულებენ ერთნაირ სათნოებებს); მრევლის წევრები ერთად დადიან წმიდა ადგილების მოსალოცად, ხდებიან ერთმანეთის ნათესავები, მეგობრები („სულიერი დები და ძმები“) და ა.შ.

ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ ცხოვრების წესისა და, შესაბამისად, მეტყველების მიხედვით, ერთმანეთისაგან შესამჩნევად განსხვავდება აქტიური და პასიური მრევლი.

საეკლესიო ენის ველში ხანგრძლივი თანაცხოვრება თავისებურ ელფერს სძენს მათ მეტყველებას; კერძოდ, მშობლიური ტერიტორიული კილოს, ოფიციალური სახელმწიფო ენის, საეკლესიო ენისა და საწესჩვეულებო რიტუალების თანამდევი ლექსიკის ურთიერთშეზავებით იქმნება მეტყველების საინტერესო ვარიანტი, რომელიც აშკარად განსხვავდება როგორც სამწიგნობრო ენის საეკლესიო და სალიტერატურო ვარიანტებისგან, ასევე ტერიტორიული კილოებისგან: კერძოდ, ეკლესიური მორწმუნე ქართულად საუბრისას სულ მცირე ორ სამეტყველო კოდს იყენებს: მრევლის სხვა წევრთან სამეტყველო ენა სხვაობს საზოგადოების სხვა წევრთან მეტყველებისგან; მათი სალაპარაკო ქართული დატვირთულია ბიბლიური პერიფრაზებით, რაც ქმნის მეტყველების მაღალ, გამორჩეულ სტილს. სკოლაში, უნივერსიტეტში თუ სამეზობლოში სალაპარაკო ენა კი მეტწილად თავისუფალია საეკლესიო ენიდან მომდინარე ლექსიკისგან. სამეტყველო კოდების ამგვარი შენაცვლება საშუალებას გვაძლევს, ვთქვათ, რომ მორწმუნეთა მეტყველება ხასიათდება თავისებური სტილით.

ნაშრომის მიზნად განისაზღვრა მრევლის მეტყველების ფრაზეოლოგიურ და ლექსიკოლოგიურ თავისებურებათა გამოვლენა და შესწავლა; გარდა ამისა, ზოგი რელიგიური ტერმინი სემანტიკის დაზუსტება და მორფოლოგიური ანალიზი; აგრეთვე, ზეპირ

მეტყველებაში არსებულ (მათ შორის ხალხურ მეტყველებაში დღემდე დაუფიქსირებელ) ფრაზეოლოგიურ ერთეულთა დაჭფუება, წარმომავლობის დადგენა, სემანტიკურ ცვლილებათა მითითება და სხვ.

ჩვენთვის თავიდანვე დაისვა საკითხები:

მრევლი წარმოადგენს თუ არა დამოუკიდებელ სოციუმს?

რა სტატუსი შეიძლება, მიენიჭოს აქტიური მრევლის მეტყველებას?

ვფიქრობთ, ეკლესიის წიაღში მოღვაწე საზოგადოება (მრევლი) დამოუკიდებელ სოციუმად განვიხილოთ, რამდენადაც, ცხოვრების წესი, ერთ ველში თანაცხოვრება, ეკლესიური ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენება და სხვა ფაქტორები მათ ფსიქიკურ-საზოგადოებრივ ერთობას აპირობებს.

აქტიური მრევლის აშკარად თავისებური მეტყველება განსხვავდება ადგილობრივი კილოსგან თუ სამწიგნობრო ენისგან: მას ვერ დავარქმევთ არგოს, ვერც ჟარგონსა თუ პროფესიულ დიალექტს; ლოგიკური ჩანს, მრევლის მეტყველება სოციალურ დიალექტად მივიჩნიოთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში „სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისთვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი, ნიარსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით; ესა თუ ის სოციალური ფენა ცდილობს სხვათაგან გამოირჩეს თავისი მეტყველებით (ჯ. გამპრეცი). ეს მისწრაფება საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლისათვის უპირატესად გააზრებულია და შეგნებული, თუმცა ზოგჯერ ინერციულიცაა” (ბ. ჯორბენაძე, 1989, გვ. 42).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მართლმადიდებელი მრევლის მეტყველების ნიმუშების მოძიებასა და დამუშავებას ათამდე წელი დასჭირდა; გარდა ამისა, ნაშრომის სპეციფიკის გამო, ჩვენ მიზნად არ დავგისახავს სხვა რელიგიური კონფესიების ქართველთა მეტყველების შესწავალა და ჩვენს მასალასთან შეპირისპირება, რაც, უთუოდ, სამომავლო და საშური საქმეა.

გამოკვლევაში გაანალიზებულია აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოძიებელთა ჯგუფების მიერ სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთი, სამეგრელო, სვანეთი) საველე მუშაობისას მოპოვებული გაბმული მეტყველების ნიმუშები და ღვთისმსახურებასთან დაკავშირებული კითხვარებით

მოპოვებული ლექსიკური ერთეულები, აგრეთვე ჩვენ მიერ წლების მანძილზე თბილისში, ზესტაფონში, სამტრედიიაში, მარტვილში, ბათუმში შეკრებილი მასალა.

აქვე აღვნიშნავთ ერთ გარემოებასაც, აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სამუშაო პროგრამა-ინსტრუქცია ითვალისწინებს დიალექტური ტექსტების ზუსტ ფონეტიკურ ჩაწერას და აგრეთვე მაქსიმალურად ამომწურავი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული ასპექტების ფიქსირებას სათანადო კითხვარების გამოყენებით. მომძიებელთა ჯგუფების მიერ ჩაწერილი მასალა მოწმდება ტექსტების რედაქტორთა მიერ რამდენჯერმე და სადაო ფორმები საჭაროდ განიხილება. თავდაპირველად ჩვენთვისაც მოულოდნელი აღმოჩნდა თანამედროვე ქართველთა მეტყველებაში კბილბაგისმიერი „ვ“-ს ნაცვლად წყვილბაგისმიერი სპირანტის (ჟ) მოსმენა. (ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია ამ მასალის შემოწმება, რომელიც ლაზერულ დისკებზეა გადატანილი). აღნიშნულ საკითხს საგანგებო გამოკვლევაც მივუძღვენით, დაკვირვება ვაწარმოეთ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, გურია, აჭარა, სამცხეთ-ჯავახეთი, გარე კახეთი) ჩაწერილ, ასევე რადიო-ტელევიზიის დიქტორთა მეტყველებაზე; გამოვავლინეთ სხვადასხვა პოზიციაში კბილბაგისმიერი ვ-სა და წყვილბაგისმიერი სპირანტის (ჟ) პროცენტული მიმართება. წერილი გამოქვეყნდა ჟურნალში „ქართველური მეგვიდრეობა“, ტ. III, ქუთ., 1999, გვ. 179-184. ამიტომაც ჩვენს ნაშრომში მასზე საგანგებო მსჯელობა საჭიროდ არ ჩავთვალეთ და მკითხველის ფართო წრესაც რიგ შემთხვევებში „ვ“ ბერის ნაცვლად „ჟ“-ს პოვნიერება ნუ გააკვირვებს.

ნაშრომს თან ერთვის ჩვენ მიერ მოპოვებული ტექსტების ნაწილი. მასალის უმეტესობა ჩაწერილია იმ მორწმუნეთაგან, რომლებიც (90-იან წლებში) ახალმისულებს ეკლესიაში დაგვხვდა, ეს ის ხალხია, რომელთაც ათეიზმის დროსაც არ მიუტოვებია ეკლესია და ლიტერატურის არარსებობის გამო საეკლესიო განათლებას მონასტრების მოლოცვისას იღებდა, როგორც ჩვენი რესპოდენტები ამბობდნენ, „სხვადასხვა ეკლესიებისა და მონასტრების გაცნობით ნათლდება კაცი“... ალბათ, ამის მიზეზიცაა, რომ უმრავლესობა სამონასტრო ფრაზებს იყენებს მეტყველებაში. ამავე დროს შევნიშნავთ, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ეს მძიმე პე-

რიოდი განაპირობებს ტექსტებში პოლიტიკურ ელფერს. ვფიქრობთ, მასალებში ჰარმონიულადაა ასახული ხალხის განწყობა.

ნაშრომში წარმოდგენილი ძირითადი დებულებები პერიოდულად ქვეყნდებოდა სამეცნიერო ჟურნალებსა და საერთაშორისო თუ რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების მასალებში.

და ბოლოს უღრმეს მადლობას მოვასხენებთ აღნიშნული ნაშრომის შექმნის იდეის ავტორს, აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორსა (1992-2012) და ჩემი სადოქტორო დისერტაციის სამეცნიერო ხელმძღვანელს პროფესორ ტ. ფუტყარაძეს, ოფიციალურ შემფასებლებს-პროფესორებს შ.აფრიდონიძესა და მ. ლლონტს, ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს (ე. დადიანს, ი. გაბელიას, ნ. ნაკანს, დ. ფირცხელანს, ლ. ლომთაძეს, დ. ბაკურაძეს, ლ. ავალიანს, დ. შავიანიძეს, რ. ხაჭაპურიძეს) მოწოდებული მასალებისა და თანადგომისათვის, აწსუ გამომცემლობის დირექტორსა და წიგნის ტექნიკურ რედაქტორს მ. დოგრაშვილს, ასევე პროფესორებს: ე. ფანცხავასა (ინგლისური) და ი. კიკვიძეს (რუსული) ნაშრომის ძირითადი დასკვნების თარგმნისათვის.

დიდი პატივისცემითა და მადლიერებით მოვიხსენებ თავიანთი სულეერი ცოდნისა და გამოცდილების წიგნად ხილვის მსასოებელ ჩვენს რესპოდენტებს, ადამიანებს, რომლებიც ათეიზმის დროს რებრესირებული შვილის სურათივით გულში ინახავდნენ ქრისტეს ხატებას.

„რაი ოდენ ძალ-მედეა სიმართლეს ვეცადე, გარნა თუმცა იხილოთ რაიმე ცთომილი, ნუ ფრიად ბრალეულ-მყოფთ, ამისთვის მდებლად ხსენებული ამის მწერალი ვითხოვ თქვენ მიერ მეოხეებასა ჩემისათვის“<sup>3</sup>

ავტორი

---

<sup>3</sup> წარწერა ტიპიკონზე, ვუთენის ზაქარია, შემდგომში ამბროსი ნეკრესელს - მე-18 საუკუნის ცნობილი სასულიერო პირი, მწერალი და კალიგრაფი (წიგნიდან-ფელი ქართველი ოსტატები, ვ. ბერიძე, თბ., 1960)

# I თავი

## ფრაზეოლოგიური ერთეულები

### 1.1 ფრაზეოლოგიის გაგებისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში

ფრაზეოლოგია ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მოძღვრებას გამოთქმის შესახებ. „ფრაზეოლოგია, როგორც ლინგვისტური დისციპლინა, წარმოიშვა მე-20 საუკუნის დასაწყისში და დაკავშირებულია ფრანგული წარმოშობის შვეიცარიელ ენათმეცნიერ შარლ ბალის სახელთან. მართალია, სიტყვათა გვუფებისადმი ყურადღება ადრეც გამოიჩინეს სწავლულებმა, მაგრამ მაშინ ეს გვუფები განიხილებოდა მხოლოდ სინტაქსის, ლექსიკოლოგიის ან სემანტიკის პრობლემებთან დაკავშირებით. უდიდესი დამსახურება ბალისა ის არის, რომ მან ენათმეცოდნეობის ისტორიაში პირველად მეცნიერულად დასაბუთა ენაში მყარი სიტყვათშეთანხმებების სპეციალური და სისტემური შესწავლის აუცილებლობა“ (ა. ნაზარიანი, 1976, გვ.5).

ენათმეცნიერებაში არსებობს ფრაზეოლოგიის ცნების რამდენიმე განმარტება. ტერმინის სწორი განსაზღვრება მოვლენის არსში უკეთ წვდომის საშუალებაა, ხოლო „ტერმინოლოგიური ბუნდოვანება იგივეა მეცნიერებისთვის, როგორც ნისლი ნაოსნობისათვის,“ — მიუთითებდა ჰ.შუხარდტი. ფრაზეოლოგიური მასალის მრავალფეროვნებისა და დაუდგარი ხასიათის გამო, დღემდე ყველასათვის მისაღები განმარტება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ ჩამოყალიბებულა.

მ. მიხელსონის მიხედვით, ფრაზეოლოგიას სამი გაგება აქვს: „1. ზოგადი გაგებით ის არის მეცნიერება ან მეცნიერული დისციპლინა მეტყველების შესახებ; 2. ვიწრო გაგებით — მწერლის ენის განმსაზღვრელი ხერხებისა და მეთოდების თავმოყრა; 3. ფართო გაგებით — ცალკეული ერის მეტყველების ხერხების, მეთოდებისა და კანონების თავმოყრა“ (მ.მიხელსონი, 1912, გვ.4);

მ. ხმელინინის განმარტებით: „ფრაზეოლოგია ეწოდება მეტყველების მყარ ქცევათა ერთობლიობას, რომელიც დამახასიათებელია ენისათვის“ (მ.ხმელინინი, 1952, გვ.75);

ა. ნაზარიანი: „ფრაზეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის ენის სემანტიკურად განსხვავებულ ერთეულებს. ასეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები კი შეიძლება გამოიხატოს სიტყ-

ვით, სიტყვათშეთანხმებით ან წინადადებით“ (ა.ნაზარიანი, 1976, გვ.60);

ლ. კვაჭაძე: „ფრაზეოლოგია არის მოძღვრება სიტყვათა მყარ შეხამებებზე და აგრეთვე ამა თუ იმ ენაში არსებულ სიტყვათა მყარ შეხამებათა ერთობლიობაზე“ (ლ.კვაჭაძე, 1969, გვ. 42-43);

ენათმეცნიერულ ლექსიკონთა მიხედვით: „ფრაზეოლოგია არის: 1. ამა თუ იმ ენის მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, სიტყვათა თავისებური შეერთებანი; 2. ენათმეცნიერების ნაწილი, რომელიც ასეთ გამონათქვამებს სწავლობს; 3. ამა თუ იმ მწერლის, ორატორის, ლიტერატურული მიმართულების, საზოგადოებრივი ფენისა და მისთანათა დამახასიათებელი სტილისტური ხერხების ერთობლიობა“ (ახმანოვა, 1966; შამელაშვილი, 1975)

ფრაზეოლოგიის ცნების განსაზღვრების სხვადასხვაობა იმითაცაა განპირობებული, რომ თავად ფრაზეოლოგიური მასალის აღსანიშნავად ენათმეცნიერებაში რამდენიმე ტერმინი გამოიყენება: ფრაზეოლოგიური ერთეული, ფრაზეოლოგიური გამოთქმა, საქცევი, კლიშე, შტამპი, შენაზარდი, მთლიანობა, შესიტყვება (ფართო და ვიწრო გაგებით), მყარი გამოთქმა, დაუშლელი შესიტყვება, ლექსიკური ერთეული, სტერეოტიპული გამოთქმა, იდიომი — მეტაფორული, საზოგადო, გაქვევებული.

აღნიშნული მეცნიერული დისციპლინის ცნების სხვადასხვა გაგებამ განაპირობა აზრთა სხვაობა იმის შესახებაც, თუ რა მასალა უნდა შეისწავლოს ფრაზეოლოგიამ.

ფრაზეოლოგიის შესწავლის საგანია ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომელშიც მეცნიერთა უმრავლესობა (შ. ბალი, ვ. ვინოგრადოვი, ს. აბაკუშოვი, ა. რეფორმატსკი, ი. ხმელინინი, ა. ნაზარიანი, იაკოვლევსკი, ალ. ლონტი, ლ. კვაჭაძე, ბ. ფოჩნუა, ალ. გვენცაძე...) განიხილავს: იდიომებს, ანდაზებს, აფორიზმებს, ლიტერატურულ ციტატებს, ფრთიან გამონათქვამებს, კომპოზიტებს, აგრეთვე, მწერლის ენაში ხმარებულ ნიშანდობლივ გამოთქმებს. ვ. ვინოგრადოვი აქ აერთიანებს აგრეთვე ძახილის, მისალმებისა და გამომშვიდობების ფორმულებს მათი ფუნქციის შეცვლის გამო, ს. აბაკუშოვი — სიტყვიერ შაბლონებსა და მზა კლიშეებს, ა. რეფორმატსკი — პროფესიული და ჟარგონული მეტყველების ნიმუშებს.

ლ. ბულახოვსკი, ა. თაყაიშვილი, ალ. ონიანი და სხვები ფრაზეოლოგიზმებად მიიჩნევენ მხოლოდ იდიომებს.

აქვე ზოგადად შევხებით ამ უკანასკნელთა მოსაზრებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით: ფრაზეოლოგიზმი (იდიომი) და თავისუფალი შესიტყვება აგებულიებით ჰგავს ერთმანეთს. მეცნიერთა უმრავლესობა მათ გასამიჯნავად სემანტიკურ მომენტს იყენებს, მაგრამ, ამასთან ერთად, საჭიროა გრამატიკული ფაქტორების გათვალისწინება: 1. არსებითი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ ფრაზეოლოგიზმის კომპონენტების ჯამი არ უდრის მნიშვნელობათა ჯამს, ხოლო თავისუფალი შესიტყვების ყოველი კომპონენტი პირდაპირი მნიშვნელობით გაიგება; 2. თავისუფალი შესიტყვების წევრები წინადადების სხვადასხვა წევრები არიან, ფრაზეოლოგიზმი კი წინადადებაში ერთი წევრის ფუნქციას ასრულებს; 3. ფრაზეოლოგიზმის ზმნას შეზღუდული არე აქვს. იგი კავშირშია არსებითი სახელის განსაზღვრულ წრესთან, ხოლო თავისუფალი შესიტყვების ზმნის მოქმედების რადიუსი განუსაზღვრელია (შიში, ჯავრი, სირცხვილი ← ჭამა → პური, თაფლი, თევზი...). გამომდინარე აქედან, „თავისუფალი შესიტყვება განსხვავდება ფრაზეოლოგიზმისაგან და რჩება სინტაქსის კვლევის საგნად“ (ა. თაყაიშვილი, 1961, გვ.95-96).

მეცნიერებაში აფორიზმსა და ანდაზას ფრაზეოლოგიზმად თვლიან ოთხი საერთო ნიშნის გამო:

1. ორივე გადატანითი მნიშვნელობით იხმარება;
2. აქვთ მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა;
3. ენაში მზა ფორმით არსებობენ;
4. შეიცავენ არქაიზმებს.

მათ შორის სხვაობას ქმნის შემდეგი: 1. ფრაზეოლოგიზმი ფორმით შესიტყვებაა, ანდაზა და აფორიზმი კი წინადადება; 2. ზმნური ფრაზეოლოგიზმი დაუსრულებელ აზრს გამოხატავს — აკლია ქვემდებარე, ანდაზა და აფორიზმი კი დასრულებულ აზრს გადმოგვცემს; 3. ფრაზეოლოგიზმი სიტყვის ექვივალენტია და რომელიმე წევრის ფუნქციით გამოდის, ანდაზა და აფორიზმი კი — წინადადების; 4. ფრაზეოლოგიზმი ფორმას იცვლის გრამატიკული კატეგორიების მიხედვით. ანდაზისა და აფორიზმის ენობრივი ტექნიკა მყარია; 5. ფრაზეოლოგიზმი ფაქტს აღნიშნავს, ანდაზა და აფორიზმთა უმრავლესობა კი ლიდაქტიკურია.

ამრიგად, ფრაზეოლოგიზმი და ანდაზა-აფორიზმი, აღნიშნულ მეცნიერთა თვალსაზრისით, სხვადასხვა ენობრივი ოდენობებიან.

ზოგ მკვლევართა მიერ შემოკლებულ ანდაზებად მიჩნეულ გამოთქმებს (ახალი ცოცხი, პირი ეწვის ...) ა. თაყაიშვილი ანდაზიდან მიღებულ იდიომებად თვლის. იგი ეთანხმება ფ. ერთელიშვილის მოსაზრებას, ანდაზებში გადაირიცხოს გადატანითი მნიშვნელობით ნახშირი აფორიზმები, ხოლო არახატოვანი ხალხური დარიგებანი უნდა გამოიყოს ანდაზებიდან და აფორიზმებში გადაიტანონ (ა. თაყაიშვილი, 1961, გვ.99-101).

დ. ბულაზოვსკის, ფ. ერთელიშვილის, ალ. ონიანისა და სხვათა აზრით, ფრაზეოლოგიზმი მხოლოდ შესიტყვების ფორმის მქონე იდიომა და არა უმრავლესობის მიერ მიჩნეული წინადადების ტიპის ფრაზები (ციტატები, ანდაზები, აფორიზმები...). ფრანგული ენათმეცნიერული სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ფრაზა იგივე წინადადებაა, ხოლო მეცნიერების პეშკოვისა და შანმატოვის აზრით, ფრაზა წინადადების საპირისპიროა. ა. თაყაიშვილი ხელოვნურად მიიჩნევს ფრაზისა და წინადადების დაყოფას, იგი ფრაზას უწოდებს ყველა სახის წინადადებას, ოღონდ, რაც შეეხება „მოქნილ“ ფრაზებს, „ეს უკვე ფრაზის ექსპრესიულ-მხატვრულ დახასიათებას ნიშნავს და სტილისტიკის სფეროს განეკუთვნება. ფრაზის ფართო გაგებას სტილისტიკაში ეძებნება ადგილი. ფრაზის მცნება არც ფრაზეოლოგიისათვისაა უცხო, მაგრამ აქ იგი ვიწრო გაგებითაა გამოყენებული“ — ასკენის მკვლევარი (ა. თაყაიშვილი, 1961, გვ.102-103).

ზემოთ აღნიშნულ ენათმეცნიერთა (დ. ბულაზოვსკი, ფ. ერთელიშვილი, ბ. ლარინი, ალ. ონიანი...) მოსაზრებით, ფრაზეოლოგიზმი არ შეიძლება იყოს წინადადების ტიპის, იგი აგებულია წინადადებით შესიტყვება. ა. ონიანის მიერ „წინადადების ფორმის მქონე,“ ხოლო ბ. ლარინის მიერ „წინადადების ელემენტად“ სახელდებულ მრავალწევრა ფრაზეოლოგიზმებს (კოვზში ნაცარში ჩაუვარდა) ა. თაყაიშვილი „რთული სახის გავრცობილ შესიტყვებებს“ ეძახის (ა. თაყაიშვილი, 1961, გვ. 37).

ჩამოთვლილი მეცნიერები ფრაზას (ანდაზა, აფორიზმი, ციტატა...) არ განიხილავენ ფრაზეოლოგიაში. ფრაზეოლოგიის შესწავლის ობიექტად და ფრაზეოლოგიზმებად მათ მხოლოდ იდიომი (შესიტყვების ფორმის მქონე, ლექსიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს და სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ექვივალენტია) მიაჩნიათ.

გვხდება „იდიომ“ (ბერძ. „თავისებურება“) ტერმინის სხვადასხვა განმარტებაც:



1. ზოგადი გაგებით — ყოველგვარი თავისებურება ენისა;
2. ფართო გაგებით — ფრაზეოლოგიური ერთეული;
3. ვიწრო გაგებით — ფრაზეოლოგიური შენაზარდი;

ა. როჟანსკის ფორმულირებით: „ილიომი სიტყვათა მყარი შეერთებაა, გადატანით მთლიანი და განმაზოგადებელი მნიშვნელობით, რომელიც შემადგენელი ელემენტების არაადექვატურია“ (ა. როჟანსკი, 1948, გვ.25);

აღ. ონიანი: „ილიომი არის შესიტყვების ფორმის მქონე დაუშლელი, მყარი ლექსიკური ერთეული, რომლის მნიშვნელობაც არ გამომდინარეობს კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამიდან“ (აღ. ონიანი, 1966, გვ.7);

ლ. ბულაზოვსკი: „ილიომატური შესიტყვებანი ამა თუ იმ ენის ისეთი თავისებური გამოთქმებია, რომლებიც თავისი ხმარების მიხედვით აზრობრივად მთლიანობასა და ერთიანობას ქმნიან; რომლებიც ჩვეულებრივ ზუსტად არ ითარგმნებიან სხვა ენებზე და თარგმნისას მსგავსი სტილისტიკური ელფერის შენაცვლებას მოითხოვენ“ (ლ. ბულაზოვსკი, 1955, გვ.45);

ა. თაყაიშვილი: „ილიომი არის შესიტყვების ფორმისა და ექსპრესიული ფუნქციის მქონე სემანტიკურად დაუშლელი ერთეული, რომლის მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტების მნიშვნელობათა ჯამს და სრულმნიშვნელოვანი სიტყვის ეკვივალენტია“ (ა.თაყაიშვილი, 1961, გვ.40);

აღ. ლლონტი: „ილიომი ენის სპეციფიკური სიტყვათშეერთებაა, რომელიც სხვა ენაზე ზუსტად არ ითარგმნება“ (აღ. ლლონტი, 1988, გვ.96);

შ. აფრიდონიძე: „ილიომი არის სემანტიკურად დაუშლელი და გრამატიკულად შეზღუდული გამოთქმა, რომელიც შეიცავს ერთ აღმნიშვნელ სიტყვას მაინც და ამა თუ იმ ტერმინის სინონიმად იხმარება“ (შ. აფრიდონიძე, 1983, გვ.73);

ნ. ბასილაია: „ილიომი არის სიტყვათა ისეთი თავისებური შენაერთი, რომელიც გამოხატავს სულ სხვა მნიშვნელობას, ვიდრე მასში შემავალი სიტყვები და სიტყვასიტყვით არ ითარგმნება სხვა ენაზე“ (ნ. ბასილაია, 1991, გვ. 146);

რ. შეროზია: „ილიომი ამა თუ იმ სიტყვის სინონიმთა ჯგუფში შედის. ეს იმას ნიშნავს, რომ აღსანიშნი მათ ერთი აქვთ...სინონიმად ილიომის არსებობას მისი მეტაფორული ხასიათი განაპირობებს. მაგრამ ილიომი ჩვეულებრივ, ზმნის სინონიმი შეიძლება

იყოს და არა – სახელისა. სახელი საგნის აღმნიშვნელია... იდიომი კი „დასრულებულ აზრს“ გადმოსცემს“ (რ. შეროზია, 2014, გვ.179).

როგორც ვნახეთ, მეცნიერთა უმრავლესობა იდიომსა და წინადადების ტიპის ფრაზეოლოგიურ ერთეულებს ფრაზეოლოგიზმებად მიიჩნევენ, მაგრამ უშუალოდ იდიომსა და ფრაზეოლოგიურ ერთეულს, თავიანთი სტრუქტურიდან გამომდინარე, მიგნავენ ერთმანეთისაგან. იდიომად მიჩნეულია მყარი სიტყვათშეერთება, რომლის მნიშვნელობა შემაღვენი ელემენტების არაადეკვატურია და მიისწრაფვის ერთმნიშვნელოანობისაკენ, (ესე იგი, სიტყვის გაკვივალენტია); ხოლო ფრაზეოლოგიზმებად მოიაზრება ფრთიანი გამოწნათქვამები, ციტატები, აფორიზმები, ანდაზები... ისინი სხარტად გამოხატავენ აზრს, გააჩნიათ ექსპრესიულ-ემოციური ფუნქცია, წარმოდგენენ მნიშვნელოვან გამომსახველობით ენობრივ საშუალებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს იდიომებს.

არსებობს ფრაზეოლოგიური მასალის სხვადასხვა კლასიფიკაცია: შ. ბალიმ გამოყო ფრაზეოლოგიზმთა ორი ჯგუფი: I. ფრაზეოლოგიური სერიები და II. ფრაზეოლოგიური მთლიანობები. პირველს იგი ახასიათებდა როგორც სიტყვათა შეთანხმებებს, რომლის კომპონენტებიც ინარჩუნებს დამოუკიდებლობას და იშლება მეტყველებაში გამოყენებისთანავე, ხოლო მეორე ჯგუფში განიხილავდა მყარ სიტყვათშეთანხმებებს მისი კომპონენტების განსხვავებული ხარისხით. ის განასხვავებდა გარეგან და შინაგან ნიშნებს. გარეგანში გულისხმობდა სტრუქტურულ თავისებურებებს, ხოლო შინაგანში სემანტიკურს (შ. ბალი, 1961, გვ.16-17);

ვ. ვინოგრადოვი ფრაზეოლოგიას სამ ნაწილად აჯგუფებს: I. ფრაზეოლოგიური შენაზარდი (დაუშლელი შესიტყვება, რომლის მნიშვნელობა არაა დამოკიდებული კომპონენტთა მნიშვნელობაზე), II. ფრაზეოლოგიური მთლიანობა (ზოგადი მნიშვნელობა დაკავშირებულია კომპონენტების პირდაპირ მნიშვნელობასთან), III. ფრაზეოლოგიური შესიტყვება (კომპონენტთა ინდივიდუალობა, რომელიც არ ფარავს მთელის მნიშვნელობას, არამედ განისაზღვრება შედარებით გამოკვეთილად) (ვ. ვინოგრადოვი, 1963, გვ.5-93);

ა. თაყაიშვილი ფრაზეოლოგიურ მასალას ორ ჯგუფად წარმოგვიდგენს: იდიომებად (ფრაზეოლოგიური შენაერთი) და ფრაზეოლოგიურ შესიტყვებებად (ა.თაყაიშვილი, 1961, გვ.20);

გ. ნებეირიძის კლასიფიკაცია სამწვეროვანია: I. ფრაზეოლოგიური შენაზარდი (მნიშვნელობა არ გამოიყვანება კომპონენტების ჯამიდან, ესე იგი, მოტივირებული არ არის), II. ფრაზეოლოგიური ნაერთი (მნიშვნელობა არ უდრის კომპონენტთა ჯამს, მაგრამ კომპონენტებიდან გამოიყვანება, ესე იგი, მოტივირებულია), III. ფრაზეოლოგიური კონსტრუქცია (თავისებური კლიშე, რომლის მნიშვნელობა გამოიყვანება კომპონენტთა ჯამიდან) (გ.ნებეირიძე, 1991, გვ. 239).

მიუხედავად ფრაზეოლოგიის ცნების განსაზღვრების სხვადასხვაობისა, მეცნიერთა უმრავლესობისათვის მთავარი ამოსავალი სემანტიკური კრიტერიუმია: შ. ბალი — აზრობრივი ნიშან-თვისება, მნიშვნელობის ერთიანობა, „ფრაზეოლოგიის არსი მის სემანტიკურ თავისებურებებშია“; ვ. ვინოგრადოვი — მნიშვნელობის ერთიანობა; ს. აბაკუშოვი — სემანტიკური მონოლითურობა; სპირნიცკოვა — სემანტიკური მთლიანობა; ს. ოჟეგოვი — მნიშვნელობის მთლიანობა, მთლიანი აზრი; ო. ახმანოვა — ნომინაციის მთლიანობა; ვ. ჟუკოვი — მთლიანი ლექსიკური მნიშვნელობა; ე. ივანიკოვა — ლექსიკური განუყოფლობა; ა. ნაზარინი — სემანტიკური მზობა და ა. შ...

ფრაზეოლოგიური მასალის მრავალფეროვნების გამო, საერთო-მეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული იმის შესახებაც, თუ მეცნიერების რომელი დარგი უნდა სწავლობდეს ფრაზეოლოგიას.

მკვლევართა ნაწილი ფრაზეოლოგიზმებს, როგორც შესიტყვეების ფორმის მქონე ერთეულებს, სინტაქსში განიხილავს, გამომდინარე იქიდან, რომ შესიტყვება სინტაქსის კვლევის საგანია (ა. შახმატოვი, 1941, გვ 278);

ზოგი ლექსიკოლოგიის შესწავლის ობიექტად მიიჩნევს, რადგან ფრაზეოლოგიური შესიტყვება (იდიომა) მნიშვნელობით სიტყვის ექვივალენტია: ლ. ბულახოვსკი (1955) (აღვნიშნავთ, რომ 1972 წ. გამოცემულ წიგნში „Общее языкознание внутренняя структура языка“, მეცნიერი ფრაზეოლოგიურ ერთეულებს უკვე სემასიოლოგიაში განიხილავს), ა. რეფორმატსკი (1955), ს. ოჟეგოვი (1958), ვ. ვინოგრადოვი (1963), ა. მოლოტოვი (1967), ბ. ფოჩხუა (1974), გ. ნებეირიძე (1991), ლ. კვაჭაძე (1969)...

ფრაზეოლოგიას სტილისტიკის კვლევის საგნად მიიჩნევენ მეცნიერები: მ. ლომონოსოვი (1952, გვ.4) — იგი მიზნად ისახავდა, ფრაზეოლოგიური მასალის დამუშავებისათვის მიეცა სტილისტი-

კური ხასიათი; შ. ბალი: „სტილისტიკა სწავლობს აზრის სიტყვიერ გამოხატულებას, სამეტყველო მოვლენების გარეგან ასპექტს, ენობრივი სისტემის ექსპრესიულ ფაქტებს მათი ემოციური შინაარსის თვალსაზრისით“ (1961, გვ.33); ა. ჩიქობავა: „სიტყვების ურთიერთობა, შესიტყვების აგებულების თვალსაზრისით, სინტაქსის საქმეა, სიტყვების ურთიერთობა, მნიშვნელობის თვალსაზრისით, გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით, სტილისტიკის... სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენობრივ საშუალებებს გადმოსაცემ შინაარსთან მიმართებაში სტილისტიკა შეისწავლის“ (1952, გვ.280-312); ა. გვოზდევია: „სტილისტიკა განიხილავს ენობრივ მოვლენებს მნიშვნელობისა და ექსპრესიის მხრივ, რამდენად ცხადად და ნათლად გამოხატავენ ასეთი გამონათქვამები აზრს“ (1955, გვ.11); ვ. მურატი: „ენაში დამკვიდრებულ ნორმებს, ფრაზეოლოგიურ ერთეულებს, რომლებიც გამოიყენება აზრის უკეთ გადმოსაცემად სტილისტიკა შეისწავლის“ (1957, გვ.25); ხ. კასარესი: „გამომსახველობითი, არაკონცეპტუალური (ცნების ლოგიკური შინაარსის არგამომხატველი) საშუალებანი, როგორცაა ფრაზეოლოგიზმები, სტილისტიკის კვლევის საგანია“ (1958, გვ.116-117); ა. ფეიშოვი: „ფრაზეოლოგიზმები მეტყველების ექსპრესიულ-ემოციურ ფუნქციას ამადლებსა და ამდიდრებს, რის გამოც ისინი სტილისტიკური საშუალებებია“ (1969, გვ.11); დ. როზენტალი: „ენის გამომსახველობითი საშუალებები (ფრაზეოლოგიზმები) სტილისტიკის შესწავლის ობიექტია“ (1968, გვ.7-10); გ. კიკნაძე: „... ეფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი ფორმები, ფრაზეოლოგიზმები და იდიომები, ნეოლოგიზმები, პროფესიონალიზმები, არქაიზმები ლექსიკურ სტილისტიკაში უნდა განიხილოს“ (1957, გვ.17); დ. რამიშვილი: „გადატანითი მნიშვნელობის ან სხვა სახის საგანგებო გამოყენების სიტყვებსა და გამოთქმებს, თუ ისინი გამოყენებულია განაკუთრებულ შესაძლებლობებად, სწავლობს სტილისტიკა. გამომდინარე აქედან, მსგავსი ფრაზები ლექსიკოლოგიაში არ უნდა განიხილებოდეს“ (1963, გვ.37); ალ. ლლონტი: „ფრაზეოლოგიზმში გადატანით გამოყენების მხარე მკვეთრად არ ჩანს, მაგრამ მას მაინც დაეძებნება სათანადო ფუნქციის სინონიმი. ამის გამო, ფრაზეოლოგიზმი ტროპის სახედ ჩაითვლება. ეს უკანასკნელი კი სტილისტიკის კვლევის საგანია“ (1971, გვ.91); ალ. გვენცაძე: „ნათქვამის ექსპრესიულობის, გრძობითი იერის გასაძლიერებლად ენა იყენებს განსაკუთრებულ გამონათქვამებს, რომელსაც სტილისტიკა სწავლობს“ (1974, გვ.12); ნ. ბასილია: „სტილისტიკა სწავლობს სხვადასხვა სტილსა და გა-

მომსახველობით ენობრივ საშუალებებს აზრებისა და გრძნობების უკეთ გამოსახატავად. ფრაზეოლოგიური გამოთქმა არის მნიშვნელოვანი გამომსახველობითი ენობრივი საშუალება, რომელსაც სტილისტიკა შეისწავლის“ (1991, გვ.21)...

ფრაზეოლოგიას ენათმეცნიერების ცალკე დარგად მიიჩნევენ მეცნიერები: ბ. ლარინი (1956), ფ. ერთელიშვილი (1957), ა. თაყაიშვილი (1961), ალ. ონიანი (1954)... ისინი ფრაზეოლოგიზმებს განიხილავენ მეტყველების სრულიად სხვაგვარ საშუალებად და აცხადებენ, მათი შესწავლა დამოუკიდებელ დარგს მოითხოვს: „ფრაზეოლოგია სიახლოვეს ამჟღავნებს ლექსიკოლოგიასთან, მაგრამ იგი არის ცალკე დისციპლინა, რადგან თუ იდიომები ერთნებიანი ერთეულებია, მათ გვერდით არსებობს ისეთი ანალიტიკური სახის გამოთქმები, ფრაზეოლოგიური შესიტყვებანი, რომელთა სრულუფლებიან ლექსიკურ ერთეულებად მიჩნევა გაჭირდება“ (ა.თაყაიშვილი, 1961, გვ.103).

ფრაზეოლოგიური მასალის მრავალფეროვნება და მათი გენეტიკური კავშირები დღესაც განაპირობებს მეცნიერებაში აზრთა ჭიდილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკვლევ მასალაზე მუშაობისას, იდიომებთან (მყარი, ერთცნებიანი შესიტყვებანი) ერთად, განვიხილეთ წინადადების ტიპის ფრაზეოლოგიური ერთეულები (ექსპრესიულ-ემოციური, ხატოვანი პერიფრაზები და მისალმება-დამშვიდობების, წყევლა-დალოცვის ფორმები თავიანთი ფუნქციის შეცვლის გამო (იხ. ვინოგრადოვი, 1947), რომლებიც მისწრაფვიან ერთცნებიანობისაკენ და შინაარსით იდიომს უახლოვდებიან („იდიომები წარმოშობით ხატოვანი ერთეულებია“ — ა.თაყაიშვილი, 1961, გვ.35); ზემოთ აღნიშნულ ერთეულებს ფრაზეოლოგიზმებში ვაერთიანებთ მეცნიერთა უმრავლესობისაგან აღიარებული ოთხი საერთო ნიშნის გამო: 1) გამოიყენება გადატანითი მნიშვნელობით, 2) აქვთ მუდმივი ლექსიკური შემადგენლობა, 3) ენაში არსებობენ მზა ფორმით და 4) შეიცავენ არქაიზმებს; ამასთანავე მათ გააჩნიათ სახალხო სანქცია (გამოიყენებოდა ძველად, მივიწყებულ იქნა გარკვეული მიზნების გამო და კვლავ აღდგა) — საზოგადოების ერთი სოციალური ჯგუფი აქტიურად იყენებს მეტყველებაში (შდრ.: „ციტატებს, რომლებსაც ჯერ არ მოუპოვებიათ ენობრივი სანქცია, ფრაზეოლოგიზმებში ვერ ვაერთიანებთ, თუმცა ფრაზეოლოგიური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთ გზას წარმოადგენს“ ა.თაყაიშვილი, 1961, გვ. 102).

## 12 ბიბლიური უსიტყვებები მრემლის მეტყველებაში

„ბიბლიური წიგნების კულტურა უშუალოდ და ცნობიერად არის ჩართული ქრისტიანული ცივილიზაციის ადამიანის შეგნებაში. თუმცა ამ წიგნში ძველი ადამიანის მსოფლგანცდა და თავგადასავალია გადმოცემული, მას მაინც ჩვენამდე მოაქვს ზოგადკაცობრიული სული, რომელიც გასაგებია დედამიწის ნებისმიერი კუთხის ადამიანისათვის“ (ზ. კიკნაძე, 1989, გვ.5).

ბიბლია წარმოადგენს ფრაზეოლოგიურ ნასესხობათა ერთ-ერთ ძირითად წყაროს, რის გამოც მათ „ინტერნაციონალურ ფრაზეოლოგიზმებს“ (ა. ნაზარაიანი, 1976, გვ.35) ეძახიან. ბიბლიიდან მომდინარე ფრაზები სამეცნიერო ლიტერატურაში „ბიბლიიზმებად“ მოიხსენიება. ისინი დღემდე გამოიყენება მეტყველებაში, მიუხედავად იმისა, რომ მათი წარმოქმნელი სოციალურ-ისტორიული პირობები აღარ არსებობს, დიდი ხანია გაქრა. ეს იმით აიხსნება, რომ სემანტიკური ცვლილებების შედეგად მოცემული გამოთქმების ძველი ფორმები შეივსო ახალი შინაარსით. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგ მათგანს (ძირითადად ეს ეხება ბიბლიურ პერსონაჟთაგან მომდინარე ფრაზეოლოგიზმებს) შენარჩუნებული აქვს თავდაპირველი გაგება, რაც ალბათ, ამა თუ იმ თემისა თუ პრობლემის მარადიული აქტუალობიდან მომდინარეობს...

ბიბლია, როგორც სიბრძნის იგავური წიგნი, თავად არის ანდაზების, იდიომებისა და მხატვრული თქმების დაუღვეველი საღარო. ხალხური განათლების სფეროში ბიბლიური ამბები შედიოდა ლექსად, ანდაზად... ბიბლიური სიუჟეტები ამდიდრებდა ხალხის სულიერ სამყაროს და კვებავდა მის ფანტაზიას.

ბიბლიური ხატები განსაზღვრავდა ჩვენს წინაპართა აზროვნებას. სწორედ ამის საფუძველზე იწერებოდა გიორგი მკირეს სიტყვები გიორგი მთაწმინდელის გარდაცვალებას რომ მივძღვნა: „... საბრკე შეიმუსრა, ხოლო სირი აღფრინდა, დაუტევა ეგვიპტე, რომელ არს ცხოვრებად ესე ნივთიერი და წიაღვლო არა თუ ზღვად იგი მეწამული, არამედ შავი ესე და წყუდიადი ზღუად ამის საწუთროდსა, შევიდა ქუეყანასა მას აღთქუმისასა, რომელ არს ზეცათა იერუსალიმი, მთასა მას ზედა სიბრძნის-მეტყველებს ღმრთისა თანა, წარიწადა ჯამლი სულისა“ (გ. მკირე, 1987, გვ. 140)... შ. რუსთაველი: „გამოვჭრილვარ სახლით ჩემით, ვით ირემი

ძებნად წყლისად“; „შენთვის ასრე მომსურდების, წყაროსათვის ვით ირემსა“, შდრ.: დავით წინასწარმეტყველის სიტყვები: „ვი-თარცა სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა, ეგრეთ სურის სულსა ჩემსა შენდამი, ღმერთო!“ (ფს.61)...

... დავით გურამიშვილი: „ვითარ ირემსა მაშვარლსა წყაროსა წყალი სწყუროდა, ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუ-როდა“...

... გალაკტიონ ტაბიძე: „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა, ვით დაჭრილ ირმების გუნდს წყარო ანკარა“...

ჟამთა სვლის შემდეგ, დროთა სიავეში ადამიანთა გულებში აღბეჭდილ ბიბლიურ ხატებს ისე ფხეკდნენ, როგორც ტაძრების კედლებს შემორჩენილ ფრესკებს. იყო ნგრევა... იცვლებოდა ცნო-ბიერება, შესაბამისად მეტყველებაც...

აღნიშნულ საკითხს ცალკეული გამოკვლევები მიუძღვნეს მეც-ნიერებმა: აკბაქრაძემ შეისწავლა პოეზიაში სიტყვა „ღმერთის“ დატვირთვა და გავრეხული დარჩა, რადგან მას მსოფლმხედვე-ლობრივი მნიშვნელობა სრულად დაჰკარგოდა და უბრალოდ, სიტყვის მასალად ქცეულიყო („სულის ზრდა“, 1990); რ. ჩხეიძემ თავის მონოგრაფიაში ვრცლად მიმოიხილა რელიგიური აკრძალვა ხელოვნებაში, ლიტერატურაში, ზოგადად ცხოვრებაში: „...ამიტო-მაც მოითხოვდა თავის დროზე ვ. ქელიძე სტატიიში „ჩარჩობი“ (1976): „შუშანიკის წამება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „აბო თბილელის წამება“ ჰაგიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებები არაა, ჩვეულებრივი პროზა და სრული უფლებით სარგებლობენ, დამსახურებული ადგილი დაიჭირონ „ვეფხისტყაოსნის“, „განდევი-ლის“, „ბახტრიონის“ და სხვათა გვერდითო. რელიგიური აკრძალ-ვის გამო, რუსული სამეცნიერო წრეები მიმართავდნენ ერთგვარ ხერხს საეკლესიო ლიტერატურის გამოსაცემად: შესავალში ნაწარ-მოებს საშინლად აკრიტიკებდნენ, განაჭიქებდნენ და მხოლოდ ამის შემდგომ ბეჭდავდნენ“ (რ. ჩხეიძე, „ხანი უნდობარი“, 2003)... მ. ტაბიძე და რ. ჭანტურია აღნიშნავენ: „ენაში მომხდარი ცვლილე-ბები, უპირველეს ყოვლისა შეეხო ლექსიკას (თუმცა ქრისტიანულ ლიტერატურასთან კავშირის გაწყვეტას, ქრისტიანული განათლე-ბის სისტემის მოშლას კლასიკურ ქართულთან დაშორებაც მოჰ-ყვა). მოხდა ცნებათა ჩანაცვლება: „ცრუმორწმუნე“ ამიერიდან „მორწმუნეს“ ნიშნავდა, „უღმერთო“ (რომელიც წარსულში „უზნე-ოლ“, „დაუნდობლად“ მოიაზრებოდა) ახლა „სწორად მოაზროვ-

ნეს“ (ათეისტს) გამოხატავდა. გამოდიოდა გაზეთები სახელწოდებით: „ულმერთო“, „ქართველ ულმერთოთა საზოგადოების ბიულეტენი“, ჟურნალები: „წითელი კვერცი“, „ჰინკა“, „ეშმაკის მათრახი“... გაჩნდა ათეისტური იდეოლოგიის გამოხატველი ფრაზეოლოგია: „ის რეალისტი და არა ცრუმორწმუნე“, „მწამს ბუნების ძალა და არა ღმერთი...“ (მ. ტაბიძე, რ. ჭანტურია, 2001, გვ. 216).

ასეთ ვითარებაში ზოგმა ქართველმა კალმოსანმა შეძლო თავის ნაწარმოებებში ბიბლიური ფრაზების გადმოსაცემად ლამაზი ფორმა მოეძებნა. მათ შორის გამოკვეთილად მოჩანს კ. გამსახურდია, რომელმაც, მხატვრული სიტყვის საშუალებით, გარდასულ გმირულ დღეებთან ერთად წინასწარმეტყველთა სწავლანიც გააცოცხლა. ამიტომაც არის ასე ახლობელი ადამიანებისათვის ძველი აღთქმის სოლომონ ბრძენისეული იგავები: „სიყვარული ძლიერია ვითარცა სიკვდილი“, „შენ ხარ ვენახი, მტილი დახშული, წყარო დაბეჭდული“, „ქვა ნატყორცი გულმართლისა და მღუმარის მიმართ, მტყორცნელსვე დაუბრუნდება უკან“, „თაფლსა და გოლეულზე ტბილი იყო მისი ტუჩები“, „შდრ; „ტეხილ არიან სასასა ჩემსა სიტყუანი შენნი, უფროის თაფლისა და გოლეულისა“ (ფს. 118,103)...

თავის დროზე წმიდა ბასილი დიდი ფსალმუნთა მუსიკალობის შესახებ წერდა: „დაუდევარნი ისე მიდიან ტაძრებიდან, არავის ახსოვს წინასწარმეტყველთა დარიგებანი. დავით მეფსალმუნეს მუსიკალურ სტრიქონებს კი ყველგან გაიგონებთ: ბაზრის მოედნებზე თუ სასახლეებში...“ (1989, გვ.4); ასევე პოპულარული მხატვრული ნაწარმოებებით ფართო საზოგადოებამდე მიტანილი ბიბლიური ფრაზები ღრმად იბეჭდება ადამიანთა მეხსიერებაში. ალბათ, ამიტომაც ქარბობს თანამედროვე ლექსიკონებში მხატვრული ლიტერატურით მოღწეული ბიბლიური ფრაზები; თუმცა უბრალო ხალხის მეტყველებაშიც ლექსად, ანდაზად თუ აფორიზმად შემორჩენილა ეკლესიაში გაგონილი ძველი და ახალი აღთქმის სიუჟეტები.

ჩვენ საგანგებოდ შევისწავლეთ ბიბლიიდან მომდინარე ფრაზეოლოგიური ერთეულები, თემატურად დავაგუფვეთ, მივუთითეთ სიბრძნის წიგნის რომელ თავში, ვის მიერ ან რა შემთხვევაშია გამოყენებული, ვუჩვენეთ როგორც ძველი, ასევე ამჟამინდელი სემანტიკური მნიშვნელობები, სინონიმური წყვილები და ბიბლიური ვარიანტები სტილური თვალსაზრისით შევეუდარეთ მრეველისა თუ ფართო საზოგადოების დღევანდელ მეტყველებას.



მრევლის მეტყველებაში დადასტურებულ ბიბლიურ ფრაზეოლოგიზმებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ბიბლიურ პერსონაჟთაგან მომდინარე ფრაზეოლოგიური ერთეულები;
2. ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარე შესიტყვებები;
3. ბიბლიურ სახელებთან დაკავშირებული შესიტყვებები;
4. მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებებიდან მომდინარე ფრაზეოლოგიური ერთეულები;
5. ხალხურ წარმოდგენებთან დაკავშირებული საეკლესიო ტერმინების შემცველი შესიტყვებები.

შვენიშნავთ, რომ „ხალხურ წარმოდგენებთან დაკავშირებული საეკლესიო ტერმინების შემცველი შესიტყვებები“, მართალია, უშუალოდ ბიბლიიდან არ მომდინარეობს, მაგრამ მათში ასახულია ბიბლიის გავლენა ხალხურ ცნობიერებაზე. ამასთანავე დროთა ვითარებაში მათ ის ცვლილებები განიცადეს, რაც ზემოთ ჩამოთვლილმა შესიტყვებებმა.

აქვე შევნიშნავთ, რომ მორწმუნეთა საუბარში ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობა საეკლესიო სტილითაა წარმოდგენილი.

ბიბლიური შესიტყვებების შესწავლამ გვიჩვენა, რომ ფრაზეოლოგიზმთა ერთი ნაწილის სემანტიკური ცვლა ირონიულმა დატვირთვამ განაპირობა (ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავგანხილავდეთ მწერალ აზიზ ნესინის სიტყვები: „იუმორის ცნებაშია სატირა და ხუმრობა, დაცინვა და კომედია, ტრიუკი და კარიკატურა, ანეკდოტი და მახვილსიტყვაობა, ალეგორია და ენობრივი დიალექტიზმიც კი... იუმორი განსხვავდება ეროვნულ აღქმაშიც. მასში აისახება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება, მისი სოციალური და კულტურული დონე, ეროვნული ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები და ისტორია. იუმორია წინაპირობა აურაცხელი ანეკდოტის შექმნისა... ხალხის ინტერესების გამომხატველ იუმორს ჩვენ ხალხურ იუმორს ვუწოდებთ. იგი პატიოსანთა ხელში პოლიტიკური ბრძოლის იარაღია ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინააღმდეგ. პატიოსნის დაცინვას კი არასოდეს ექნება ჰუმარტი იუმორის დატვირთვა“; „ფიქრები იუმორის თაობაზე“, ვაზ. „ჩვენი მწერლობა“, 2004, №4, გვ.11); რელიგიის აკრძალვის წლებში მოხდა ზოგ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ფუნქციური ცვლილებაც; გვხვდება

ისეთი შესიტყვებები, რომლებიც გამოცემულ ლექსიკონებში არ ასახულა.

ზოგი საინტერესო ფორმა შეეუდარეთ სვანეთსა და სამეგრელოში დაფიქსირებულ ფრაზეოლოგიზმებს. ვიხელმძღვანელოთ, როგორც გამოქვეყნებული, ასევე ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მომხიებელთა ჯგუფების მიერ ამ რეგიონებში (1994-2000) ჩაწერილი ტექსტებით, ამავე ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ (რისთვისაც უღრმეს მადლობას უვხდით მათ. აქვე გამოვხატავთ მადლიერებას საბერძნეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულის, ფილოლოგ-რომანისტ თ. ხელაიას მიმართ, ჩვენთვის საინტერესო თანამედროვე ბერძნული მასალების მოძიების გამო) მოწოდებული და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებით.

შეგნიშნავთ, რომ დასამოწმებელ ნიმუშებად გამოვიყენეთ მხოლოდ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტისა და ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები.

## 12.1. ბიბლიურ პიტთა ქაღაბებზედან მომდინარე ფრაზეოლოგიური ერთეულები

აღნიშნულ ქვეპარაგრაფში გავაერთიანეთ ის ფრაზები, რომლებიც წმიდა წიგნის თანახმად უფალს, წინასწარმეტყველებს ან მოციქულებს მიეკუთვნებათ. მოცემული ფრაზეოლოგიზმები (სხვა დანარჩენთან შედარებით) სემანტიკური ცვლილების თვალსაზრისით ყველაზე მყარია, ამავე დროს მათი უმრავლესობა დღეს მორწმუნეთა საუბარში საეკლესიო სტილითაა წარმოდგენილი.

**შენიშვნა** ქვეპარაგრაფებში მოყვანილი ზოგი შესიტყვება დასტურდება ფართო საზოგადოებაშიც (შესაბამისად ასახულია ლექსიკონებშიც), მაგრამ მრველს მეტყველებაში მათ ეს თუ ის ცვლილება განიცადეს:

**ალფა და ომეგა // ანი და ჰოე** („მე ვარ ალფა და ომეგა“, „მე ვარ ანი და ჰოე“ — ამბობს იესო ქრისტე; იოანეს გამოცხადება 1,8; 2,8. ალფა პირველი, ხოლო ომეგა უკანასკნელი ასო ბერძნულ ანბანში, შესაბამისად ქართულში „ა“ და „ჰ“) — თავი და ბოლო: „მაგათი პოლიტიკის ანი და ჰოე ფულია“; „ოჯახი იყო ქსენიას ანი და ჰოე, იმის იქეთ არ იყურებოდა“ (ქდსკი, ფონდი E)...

**ამაო ამაოებათა** („ამაო ამაოებათა და ყოველივე ამაო“ — სოლომონ ბრძენის სიტყვები; ეკლესიასტე 1,2) — ამაო ფუსფუსი, უსარგებლო რამ. დღეს გამოთქმა ძირითადად გამოიყენება ამქვეყნიური ყოფის (სიცოცხლის) აღსანიშნავად: „ამაო ამაოებათა ჩვენი ცხოვრება, მოვლივართ რომ ერთმანეთი სმარემდე მივაცილოთ“...

აღნიშნული გამოთქმის სემანტიკურ პარალელურ ფორმად გვხვდება ფრაზა: „იყო და არა იყო რა“: „ამ ბოლოს იმდენი კაციის გარდაცტალემა მესმის გაგიჟებასა ვარ ადამიანი. რაა ჩუენი სიცოცხლე, იყო და არა იყო რა“ (ქლსკი, ფონდი E).

**არა ამიერ სოფლისანი // არა ამქვეყნიური** („მეუფებამ ჩემი არა ამიერ სოფლისაგანი არს“ — იესო ქრისტეს სიტყვები პილატესთან საუბრისას; იოანე 18,36) — მეოცნებე ადამიანი; მომაკვდავი: „რადაცნაირია, არა ამიერ სოფლისა, ვერაფერს გაუგებ“; „საწყყალს რო შევხედე, მიტბუთი არა ამიერ სოფლისა იყო“ (ქლსკი, ფონდი E)....

ფართო საზოგადოებაში მომაკვდავის აღსანიშნავად, გარდა აღნიშნული გამოთქმისა, გვხვდება მსუბუქი, იუმორული დატვირთვის მქონე ფრაზებიც: „**ზალისკენ მიჩოჩავს**“ (ჩვეულებისამებრ მიცვალებულს სასტუმრო ოთახის (რუს. зал) შუაგულში ასვენებენ), „**ზალას დაამშვენებს**“: „ამასწინ ისე ცუდათ ვიყავი, თუ გადატურჩებოდი, არ მეგონა. ბიჭები იყუნენ სანახავათ და რო შემეკითხეს, როგორა ხარო? — უთხარი: გონია მიტჩოჩაჲ ზალისკენთქუა“ (ე.ი. მგონი ვკვდები); „საცოდავი იბოლიტე, ალბათ მალე დაამშვენებს ზალას“ (ქლსკი, ფონდი E)....

**არცა ურთება, არცა წარმართება** („არა არს არცა ურთება, არცა წარმართება... თქვენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოში“; ბავლე მოციქული გალატელთა მიმართ 3,28) — ყველა ადამიანი ერთია, თანასწორია: „გუშინ ერთ ჩემს მორწმუნე ამხანაგს ველაპარაკებოდი: ბიჭო, ჩეჩნები რა ვაშკაცები ყოფილან, საცოდაობაა იგენი მუსულმანები იყუნენ და ზოგი ქართული, გუარს არ დავასახელებ, მართლმადიდებელი-თქუა? ასე მითხრა: არცა ურთება, არცა წარმართება, ღმერთისთვის ურჯულო არ არსებოფსო“ (ქლსკი, ფონდი E)....

დღეს აღნიშნული ფრაზის პარალელურად ხშირად გვხვდება გამოთქმა „ქრისტესთვის ურჯულო არ არსებობს“.

**არაფერია ცის ქვეშ ახალი // ახალი არაფერია დედამიწის ზურგზე // არაფერია მზის ქვეშეთში ახალი** („არა რაღ არს ყოველივე მზისა ამას ქუეშე, რომლისათვის იტყვის... ესე ახალი არს“ სოლომონ ბრძენის სიტყვები; ეკლესიასტე 1,9-10) — ახალი არაფერი ხდება: „წუალოფს კაცი, ეძეფს რალაცას, გონია არიქა, რალაცა აღმოვაჩინეო მარა, არაფერია მზისქუეშეჩი ახალი“ (ქდსკი, ფონდი E)...

**აწონილი სიტყვა** („შენ ოქროს და ვერცხლს წონი, რატომ არ წონი შენს სიტყვას ოქროს სასწორით?! - მიმართა სამუელმა საულს, I მეფეთა 10,6) — ღინჯი, ბრძნული, დაკვირვებული საუბარი; ქვეშქვეშა, ეშმაკური ლაპარაკი: „მომეწონა სასიძო, კაი აწონილი სიტყვა-პასუხი აქვს“; „ბატონი დავითი კარგი ადამიანია, ჭკვიანია, თან გულლია საუბარი იცის და მისი მოადგილე დიდად არ მომწონს, ყოველ სიტყვას წონის, რომ გელაპარაკება, დიდი ქვეშქვეშა ვინმეა, ეტყობა“ (ქდსკი, ფონდი E), „თუ დაუკვირდი ქეთოს, ლაპარაკი ყუელა სიტყუას წონიდა, ეტყობა იცის იმ ქურდების შესახვეფ და მალაუტს“ (ქდსკი, ფონდი C)....

**აქლები ნემსის ყუნწში** („უადვილეს არს აქლები ზერელი-სა ნემსისასა განსლვად, ვიდრე მდიდარი სასუფეველსა ღმრთისასა შესლვად“ - ქრისტეს ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 20,24; ლუკა 18,25. შევნიშნავთ, რომ ნემსის ყუნწი ეწოდებოდა იერუსალიმის გალავნის ყველაზე ვიწრო ჭიშკარს, რომელშიც დაჩოქილი, ტვირთობხნილი აქლები გადიოდნენ, ეწ. საბაუო). — შეუძლებელი რამ; მოხერხებული ადამიანი: „მაგათ შექამეს ჩემი და სხუისი ნაოფლარი და ახლა ეკლესიის აშენება დაიწყეს, როგორც აქლები გავა ნემსის ყუნწში, ისე ცხონდება მაგათი სული“; „თენგოია ისეთია, ნემსის ყუნწ[წში] გაძტრება და რაც უნდა, იმას გააკეთებ“ (ქდსკი, ფონდი E)... ფართო საზოგადოებაში მოხერხებული კაცის აღსანიშნავი პარალელური ფორმებია: „ქეას გახეთქავს“, „კლდეს გაანგრევს“...

**ბეწვის დანახვა სხვის თვალში** („რასა ხელად წველსა თვალსა შინა ძმისა შენისასა და ღირესა შინა შენსა არა განიცდი“ მაცხოვრის სიტყვები ერთ-ერთ ქადაგებიდან; მათე 7,3) — სხვისი ნაკლის მატებარი ადამიანი: „არ მიყუარს მაგ ქალი, მის-ღღემში სხუის თვალში ბეწუს ეძეფს“ (ქდსკი, ფონდი C)....

**განიყვეს სამოხელი // სამოხლის გაყოფა** („განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“. ქრისტეს

სიტყვები დავით მეფსალმუნისაგან ნაწინასწარმეტყველები, ფს. 21.7-18; მარკოზი 15,24) — განსვენებულის ან თანამდებობიდან წასულის ქონების გაყოფა: „საწყალ მიშას გაციება არ აცადეს, ისე დაეტაკენ მის ადგილს, განიყუეს სამოსელიო, ზო გაგიგონია? რომელ გაყოფაზია ლაპარაკი, ყუელას მარტო თავისთუის უნდოდა“ (ქდსკი, ფონდი C), „ჯერ წასული არ იყო სამსახურიდან და მისი სამოსლის გაყოფისათუის თავ-პირს ამტურეტუდენ ერთმანეცს“ (ქდსკი, ფონდი E)....

**შენიშვნა:** დღეს მრევლი კრძალულების მიზნით ერიდება აღნიშნული ფრაზის გამოყენებას, რადგან ფსალმუნის სიტყვების თანახმად „განიყუეს სამოსელი ჩემი და კუართსა ჩემსა ზელა განიგდეს წილი“ მაცხოვრის ჯვარცმისას მომხდარ ფაქტს აღნიშნავს.

**განგოზილი საფლავი** („ფარისეველნო და ორგულნო მიმსგავსებულ ხართ საფლავთა განგოზილთა (შედებილი, შეთეთრებული), რომელი ჰსჩანედ გარეშე შევნიერ, შინაგან საესე არიედ ყოვლითა არაწმიდებითა“ — იესო ქრისტეს ერთ-ერთი ქადაგების სიტყვები, როცა იგი ამხელს და წყევლის ფარისევლებსა და ცრუ მღვდელმთავრებს, რომელთაც ხალხი ეშმაკისაკენ წაიყვანეს; მათე 23, 27) — ყალბი, ფარისეველი: „აბაშიძემ ბათუმი განგოზილ საფლავს დაამსგავსა“ (ბათუმი, 1999)...

აღნიშნული ფრაზეოლოგიური ერთეულის ფართოდ გავრცელებული პარალელური ფორმებია: „პოტიომკინის სოფელი“, „საჩვენებელი ძროხა“, „გარედან მტერს უესებს თვალებს და შიგნიდან მოყვარეს“.

**განკითხვის დღე** („ამინ გეტყვი თქუენ: უმოლხინეს იყოს ქუეყანა იგი სოდომისა და გომორისა დღესა მას სასჯელისასა, ვიდრე ქალაქი იგი [რომელმან თქუენ არა მიგილოთ]“ — ეუბნება იესო ქრისტე მოწაფეებს ერთ-ერთი ქადაგებისას; „განისაჯნეს... წერილთა მათგან წიგნთა მათ შინა საქმეთაებრ მათთა... და განისაჯა თითოეული საქმეთაებრ თვისთა,“ გამოცხადება იოანესი 20, 12-14) — დაფარულის გამჟღავნება, პასუხისგება, გასამართლება: „მისმა ქმარმა რო გეიგოს, ქე დოუდგება განკითხუის დღე მა საცოდატუს“, „შეჭამეს მთელი ქუეყანა, შუილო, ნეტა თუ დადგება მაგათი განკითხუის დღე? (ქდსკი, ფონდი C)“...

**გველივით ბრძენი** („იყვენით მეცნიერ, ვითარცა გუელნი და უმანკო, ვითარცა მტრელი“ - იესო ქრისტეს სიტყვები ერთ-ერთი

ქლაგებიდან (მათე 10,16); სახარების მიხედვით, აღნიშნული ფრაზა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა შეისწავლოს კაცმა, მაგრამ სულის სიწმინდე ბოლომდე შეინარჩუნოს, რათა მაცთურმა არ სძლიოს. წმიდა მამათა სწავლებით, სატანა ამქვეყნად უქვეიანესია, მაგრამ უბოროტესი და ადამიანი მას ბრძნულად უნდა ეომოს, მხოლოდ უფლის სიყვარული და წმიდა სული არ უნდა დაეკარგოს) — ბოროტად ქვეიანი ადამიანი: „სტალინი გველივით ბრძენი კაცი იყო და ბოროტი“ (ქლსკი, ფონდი E), „შევარდნაძე გუბელივით ბრძენია პოლიტიკაშიო, თაუს რო იწონებენ მისიანები, მა გუელობამ ამუაგდებია მთელი საქართულო“ (ქლსკი, ფონდი E)....

**დაკარგული ცხვარი** („კაცსა თუ ვისმე ედგას ასი ცხვარი და შესტოეს ერთი მათგანი, არამედ დაუტევენსა ოთხმოც და ათცხრამეტნი იგი მათათა ზედა და წარვიდეს და მოიძიოს შეცთომილი იგი... მო-რად-ვიდეს იგი სახედ თვისა, მოუწოდოს მეგობართა... და ჰრქუას მათ; ჩემ თანა გიხაროდენ, რამეთუ ეპოვე ცხვარი ჩემი შეცთომილი“ — იესო ქრისტეს ერთ-ერთი იგავიდან; ლუკა 15, 4-6; მათე 18,12) — სწორ გზას აცდენილი ადამიანი; დღეს აღნიშნულ შესიტყვებას ძირითადად გამოიყენებენ მწვალებელთაგან (სექტანტებისაგან) დაბნეულთა აღსანიშნავად: „სექტებმა გადაიბირა ხალხი, ეკონომიურად ეხმარებიან ამ გაჭირვების დროს და ესენიც მიყუბიან. არ ვიცი, ამ დროს რას აკეთფეს ეკლესია დაკარგული ცხურების დასაბრუნებლათ“ (ქლსკი, ფონდი E), „დაკარგული ცხურავით მიიღო მამიდაჩემა თერთმეტი წლის უნახავი, უმადური ძმისშვილი“ (ქლსკი, ფონდი C).

**თავი ღმერთად მოაქვს** („კაც ხარ და გიყოფიეს თავი შენი ღმერთად“ - უთხრეს ურიებმა ქრისტეს; იოანე 10,33) — ქედმაღალი, ამბარტვანი: „რას იზამ, შუილო, შექამეს მთელი ქუთუყანა და იმდენი იშოვეს, თავი ღმერთად მუაქუთ, გონით, არავინ აგებინფთ პასუხს“, „ჩემქმა მეზობელმა რაც „ჭიბი“ იყიდა, მის მერე თავი ღმერთათ მუაქუს და გამარჯობის თქმა ავიწყდება“ (ქლსკი, ფონდი E)... დიალექტებში აღნიშნული გამოთქმის გვერდით ამავე მნიშვნელობით გვხვდება ფრაზები: „ბუხს არ იფენს“, „თავი კიტრად მოაქვს“, „ყვენისთავს მოაქვს თავი“ (იმერეთი, გურია, სამეგრელო 1997).

**თვალის გუგახავით (ჩინივით) ძვირფასი** („დამიცავ, უფალო, ვითარცა გუგაჲ თუალისაჲ“ - დავით წინასწარმეტყველის

ვედრება უფლისადმი; ე.ი. თვალის ჩინივით გამიფრთხილდი) — ძალზე ძვირფასი, საყვარელი: „ერთი შუილი მყაჟს, თუალის ჩინივით უფრთხილდები, აბა, რა უქნა“... „ჩემო თვალის ჩინო“ - სააღერსო გამოთქმა. დღეს იმერულ დიალექტში აღნიშნული გამოთქმის პარალელურად იმავე შინაარსით გვხვდება ფრაზა: „სამოძირო შუილივით გაფრთხილება“, „გასატენი კვერცხივით გაფრთხილება“ მაგ.: „ეს ხეხილი ჩემა საწყალმა ქმარმა დარგო და დღესაც სამოძირო შუილივით ვუფრთხილდები“ (ქდსკი, ფონდი E); „გასატენი კუერცხივით უფრთხილდება თავის ქმარ-შუილს“ (ქდსკი, ფონდი C)....

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვაქვს გამოთქმა: „თოლივე“ (თვალის-ჩინივით ძვირფასი), „შურივე“ (სულივით ძვირფასი), (ქდსკი, ფონდი D). სვანეთში ჩაწერილი ტექსტებში გვხვდება: „თემი ნარფი“ (თვალის სინათლე) — თვალის სინათლესავით უფრთხილდება (ქდსკი, ფონდი B).

**თვალი თვალის წილ // სისხლი სისხლის წილ // კბილი კბილის წილ** (ძველი აღთქმის შურისძიების ფორმულა: „და თქუა უფალმან მოსეს... მისცეს სული სულისა წილ, თუალი, თუალისა წილ, კბილი კბილისა წილ, ველი ჯელისა წილ... დაწვი დაწვისა წილ, წყლულება წყლულებისა წილ“ — უფალი ღმერთისაგან მოსესადმი გადაცემული განგებულება; გამოსვლათა 21, 24-25) — დაუნდობლობა, შურისძიება ჩადენილი დანაშაულის მიხედვით: „დღეს მოქმედებს კანონი: სისხლი სისხლის წილ, რომ ხედავ აღარ ინდობენ ერთმანეც“. „კბილი კბილის წილ, თუ ეს საქმე ასე დავტოვო-თქუა — მე უთხარი“ (ქდსკი, ფონდი E). აღნიშნული გამოთქმის პარალელური ფორმებია: „მგლური კანონით ცხოვრება“, „კრიჭაში ჩადგომა“.

მრევლის წევრები ცდილობენ სახარების თანახმად შურისძიება ღმერთს მიანდონ და ძლიერ გულისწყრომას ფსალმუნის სიტყვებით გამოხატავენ: „უფალმან მიაგოს მისაგებელი, რაიცა მომაგო მე“ (ქდსკი, ფონდი E).

**იოტის ოდენა** („ვიდრემდის წარჰზდეს ცაჲ და ქუეყანა, იოტაჲ ერთი არა წარჰზდეს სჯულისაგან, ვიდრემდის ყოველივე იქმნეს“ იესო ქრისტეს სიტყვები ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 5,18. „იოტა“ ბერძ. ანბანის ასობგერა, რომელსაც მცირე გრაფიკული გამოსახულება აქვს) — ძალზე მცირე, ნამცეცი: „ჩემთვის იოტი-

ტოლა არაფერი გაუკეთებია“, „იოტისოდენა ხათრი არა აქვს“, „იოტისხელა ტუნი არ უნდა ქქონდეს თაუში?“ (ქლსკი, ფონდი C)

**იფქლისა და ღვარძლის გარჩევა** („ჰრქუა იგავი: „კაცმან - დასთესა თესლი კეთილი აგარაკსა თვისსა... მოვიდა მტერი და დასთესა ღვარძლი შორის ... ოდეს აღმოცენდა ჩვილი იგი... მაშინ გამოჩნდა ღვარძლი... ხოლო მან (კაცმა) ჰრქუა /მსახურთა/... აცალეთ აღორძინებად ურთიერთს, ვიდრე ჟამამდე ... /ბოლოს/ შეკრიბეთ პირველად ღვარძლი იგი და შეკართ ძნელად, რამთა დაიწუას იგი; ხოლო იფქლი იგი შეკრიბეთ საუნჯესა ჩემსა“ - იესო ქრისტეს სიტყვები ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 13,24-30) — ავისა და კარვის გარჩევა.

ფართოდ გავრცელებული იმავე მნიშვნელობის ფრაზებია: „მტყუნან-მართლის გარჩევა“, „ცოდვა-მადლის გარჩევა“, „შვისა და თეთრის გარჩევა“; გვხვდება იუმორიული გამოთქმაც: „სიმინდის და სარეველს გარჩევა“: „მაგას, ბიჭო, სიმინდი და სარეველა ვერ გაურჩევი და ამ საქმისას გაიფეფს რამეს?“ (ქლსკი, ფონდი C), „კაცს თეთრი და შავი ვერ გაურკუვეია და მაგასთან რა მინდა“ (ქლსკი, ფონდი E), „დღეს არავის უნდა, შუილო, მტყუნან-მართლის გარჩევა“ (ქლსკი, ფონდი C).

**კბილთა ღრჭენა** („ხოლო გეტყვი თქვენ: რამეთუ მრავალნი... მოვიდოდნან... ხოლო იგინი [ბოროტნი] განითხინენ ბნელსა მას გარესენელსა, მუნ იყო ტირილი და ღრჭენა კბილთა“ — იესო ქრისტეს ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 8,12; 22,13) — მტრობა, შურისძიება: „მთავრობაში ერთმანეც იმნაირი კბილთა ღრჭენა გაუმართეს, შენ რისი იმედი გექნება?“ (ქლსკი, ფონდი E). გვხვდება აღნიშნული ფრაზის იუმორიული სინონიმური ვარიანტებიც: „ერთმანეთის **ჭამა უტყემლოდ**“: „ჩემ სამსახურში უტყემლოთ ჭამდენ ერთმანეც“ (ქლსკი, ფონდი E)...

**მარგალიტი წინაშე ღორთა** („ნუ მისცემთ სიწმიდეთა ძალთა, ნუცა დაუფნეთ მარგალიტსა თქვენსა წინაშე ღორთა“ - იესო ქრისტეს ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 7,6) — დაუნახავი, უმადური ადამიანისათვის გაკეთებული სიკეთე: „შენი მოქმედება ღორების წინაშე დაყრილ მარგალტს გავს“, „დაანებე, შუილო, თავი ღორებისთვის მარგალიტების მიცემას, თორემ ბოლოს შენვე გეტყინება გული“, „მაგას ჩემი არ ესმის, ყაროს, ბატონო, მარგალიტი წინაშე ღორთა და მიხუდება თუ უტყუოდი“ (ქლსკი,



ფონდი E)... ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვაქვს: „ლეს მუღდა პატიცი“ — ღორს როგორი პატივიც უნდა სცე, მაინც ღორია (ქლსკი, ფონდი D).

**მარილი ქვეენისა // მარილიანი კაცი // მადლიანი ადამიანი** („ოქვენ ხართ მარილი ქუეყნისანი“ — ეუბნება მაცხოვარი თავის მოწაფეებს; მათე 5,13) — ლაზათიანი, დამხმარე, შემწე: „ააშენოს ღმერთმა სერიოჟა, რა მარილიანი კაცია, ისე გემრიელად გამიკეთეფს ყუელაფერს“ (ქლსკი, ფონდი E), „მადლიანი ქალი იყო მაკრინე მოლოზონი, ბოლომდე შენთან იყო თუ ქჭირდებოდა, გაჭირუების ტალკუტესი იყო, აცხონოს ღმერთმა“ (ქლსკი, ფონდი C)...

**შენიშვნა:** ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მომძიებელთა ჯგუფის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ახალდაბადებულ ბავშვს პირველი ბანაობისას აბაზანაში ჯგრის სახით მარილს უყრიან „მარილიანი კაცი“ დაღმებაო.

ამავე ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში მოპოვებულ ტექსტებში გვაქვს გამოთქმა: „ღორონთ ღო მარლიანი კოჩი“ (ღვთიან-მადლიანი კაცი), „ღორონთიშ კოჩი რე“ (ღმერთის კაცია), (ქლსკი, ფონდი D) სვანური მასალების მიხედვით მადლიანს იტყვიან მხოლოდ ღმერთზე, ანგელოზებსა და წმინდანებზე, კაცზე კი არავითარ შემთხვევაში (მასალა მოგვაწოდა ქლსკი მეც. თანამშრომლებმა: ნ. ნაკანმა და ღ. ფირცხელანმა). თუ შურში მადლიანი, ღვთისნიერი ადამიანის აღსანიშნავად გვხვდება შესიტყვება: „ქრისტეს თიჯად“ (გ. ცოცანიძე, 2000), მოხეურში: „ანგელოზიანი კაცი“ (ალ. ლლონტი, 1974).

**მოწევნულ არს ჟამი // ახლოა ჟამი** („შენ აღსდგე და შეიწყალო სიონი, რამეთუ მოწევნულ არს ჟამი“ — დავით წინასწარმეტყველის სიტყვები; ფს. 101,14) — მეორედ მოსვლა: „მოწევნულ არს ჟამი და ყველამ ერთმანეთის გადარჩენისათვის უნდა ვილოცოთ“ (ქლსკი, ფონდი E), „სამწუხაროდ ხალხი ერთმანეთს ჭამს და ვერ გაუფიათ რომ ახლოა ჟამი“, „ისეთი ამბები ზდება, მგონი მოწევნულ არს ჟამი“ (ქლსკი, ფონდი E)...

**ბტრედით უმანკო** („იყვენით უმანკო, ვითარცა ტრედნი“ — ქრისტეს ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 10, 16) — მშვიდი, წყნარი, უპრეტენზიო, სუფთა ადამიანი (ძირითადად იტყვიან

ქალზე): „მტრედევით უმანკო გოგო ჩაივლო ხელში,“ „შენი რძალი ჩანანირი ტრედევით გოგუა, დღუღუნოფს თავისთუის და არის“ (ქდსკი, ფონდი C), „შენ რავე ყუელას გჭერა, კი გითხრა უფალმა, იყავი უმანკო ვითარცა მტრედელი, მარა ისიც თქუა, იყავით ბრძენი, ვითარცა გუელიო, ესე იგი, იცოდე ვინ ვინაა, მარა შენ არ გაფუჭდეო“ (ქდსკი, ფონდი E).

**ნოყიერ ნიადაგში მოხვედრა** („თესლი დავარდა ქვეყანასა კეთილსა და მოსცემდა ნაყოფსა“ — იესო ქრისტეს სიტყვები ერთ-ერთი იგავიდან; მათე, 13,2—8) — რისიმე კარგი პირობა: „ნახა ვირუსმა ნოყიერი ნიადაგი და მოერია ისედაც დასუსტებულ ორგანიზმს“ (ქდსკი, ფონდი E), „დღეს საქართველოში ყველაზე ნოყიერი ნიადაგი ფულის საშოვნელად პარლამენტარობაა“ (თბილისი, 1998)... ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვხვდება გამოთქმა: „ოთოფურესია“ (კარგ სათიბში ჩავარდნა), (ქდსკი, ფონდი D).

**ორთა უფალთა მონება // ორი ბატონის ყმ** („არავის მონასა ველეწიფების ორთა უფალთა მონებად“ — იესო ქრისტეს სიტყვები ერთ-ერთი ქადაგებიდან; მათე 6, 24) — ფარისეველი: „ორი უფლის მონა მეგობრად არ გამოვადგება, დაგლუპავს!“ „არ მომწონს მაგის ორთა უფალთა მონება, ფარისეველი კაცი არ ინდობა“ (ქდსკი, ფონდი E), „ჩუენთან ჭარში ერთი სომეხი იყო, მიდღემში ორი ბატონის ყმა, რა ბიჭები ჩაყარა გაობან[ტშ]ჩი გადაირეოლი“ (ქდსკი, ფონდი E)...

**რძისა და თაფლის ქვეყანა // აღთქმული ქვეყანა** („გარდამოვედ განრინებად მათდა ველისაგან მეგვიპტელთასა, გამოყვანებად მათდა ქუეყანასა კეთილსა და ფრიადსა, ქუეყანასა მას გამომადინებელსა სძისა და თაფლისასა“ — დაპირდა ღმერთი მოსეს; გამოსვლათა 3,8; „და ესერა მე წარვაველინო ანგელოზი ჩემი წინაშე შენსა, სადა დაგიცვეს შენ გზასა ზედა, რადთა შეგიყვანოს შენ ქუეყანასა მას რომელ აღგიტქუ შენ“ — აღუთქვა უფალმა მოსეს; გამოსვლათა 23,20) — სიმდიდრე, კეთილდღეობა; ცრუ დაპირება. დღესდღეობით გვხვდება ძირითადად მეორე მნიშვნელობით, ირონიული გავებით: „ქუპირდება მთავრობა რძის და თაფლის ქუეყანას, მაგრამ არ ჩანს“ (ქდსკი, ფონდი E), „ათი წეღია გუბატყუებენ, ასე იცხოურეფთ და ისე იცხოურეფთო, აგუივეს კომეები. სადაა ბატონო, მაგენის აღთქმული ქუეყანა?“ (ქდსკი, ფონდი E)...

„რძე, თაფლი და ერბო“ სიმღერის აღმნიშვნელ ფრაზადაც გვევლინება. მაგ.: „ოჯახში ერბო და თაფლი უწვეთაუს“, „ისეთ ოჯახში შევიდა ლოლას ქალიშვილი, სულ რძე და თაფლი უწ-  
ჟიმთ“ (ქდსკი, ფონდი C). მშრომელ, ბარაქიან კაცზე იტყვიან:  
„ერბო სდისო“. გამოთქმა დასტურდება ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ  
ქვრივიც“: „განა მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა  
თუ?!“ — ეუბნება მომაკვდავი ქმარი ოთარაანთ ქვრივს (ი. ჭავჭა-  
ვაძე, 1974).

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სვანური მასა-  
ლების მიხედვით „რძისა და თაფლის“ ქვეყნად მხოლოდ სასუფე-  
ველი მოიაზრება. მაგალითად, სვანეთში მიცვალებულთა შესანდო-  
ბარში ამბობენ: „თქვენი მიცვალებულები იყოს იქ, სადაც რძით  
და თაფლით წვიმს და ბამბით თოვს“ (ქდსკი, ფონდი B), ესე იგი,  
სამოთხეში. ვფიქრობთ, აღნიშნული გაგება უნდა უკავშირდებო-  
დეს მეზობელი მუსლიმი ჩრდილო-კავკასიელების გავლენას. ყურა-  
ნის თანახმად უფლის სამკვიდრებელ ადგილას რძის შადრევნები  
და თაფლის მდინარეები მოედინება.

**სანთელივით კაცი** („ესე არს სანთელი ანთებული და საჩი-  
ნო“ — ამბობდა იესო ქრისტე იოანე ნათლისმცემელზე; იოანე  
5,35) — სუფთა, პატიოსანი, ნათელი ადამიანი: „თავიკაცი ჭკუი-  
ანი და სანთელივით კაცი უნდა ყოფილიყო“...

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ იმერეთის  
რეგიონში მოპოვებულ ტექსტებში აღნიშნული ფრაზის სინონიმუ-  
რი ფორმებია: „დანით საჭრელი კაცი“, „ცხვარივით კაცი“ (ქდსკი,  
ფონდი A)... სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვაქვს შესიტყვე-  
ბა: „სანთელჯგუა კოჩი“ (სანთელივით კაცი), (ქდსკი, ფონდი D);  
სვანური ტექსტების მიხედვით — „ლეტურე მუტუზარ“: „ლეტურე  
მუტუზარ ნატროშერა“ (ანთებული სანთელია ნატროსიანები) ე.ი.  
პატიოსანი, სუფთა ხალხი, (ქდსკი, ფონდი B). ხევსურულში იმავე  
მნიშვნელობით გვხვდება ფრაზა: „ქრისტეს თიხაჲ“; მოხეურში:  
„ანგელოზიანი კაცი“.

**სიხსლი და ხორცი** („ესე არს ხორცი ჩემი, ვინცა იხმოს,  
ის ჩემთანა ჰვებს და მე მისთანა“ — იესო ქრისტეს სიტყვები სა-  
იდუმლო სერობისას; მათე 26,26; ლუკა 22,14) — სისხლის და  
ხორცის თანაზიადი, უახლოესი ნათესავი: ჩემი სისხლი და ხორ-  
ცი და როგორ გაეწირო,“ „კაცი რო სისხლ[ს] და ხორცს მეიშო-

რეგს და მეიძულეფს, ის აჟით რა კაის გაგიკეთეფს“ (ქლსკი, ფონდი A).

**შენიშვნა:** ძველი აღთქმის მიხედვით უახლოესი ნათესავის აღსანიშნავად გვხვდება გამოთქმა: „ხორცი და ძვალი“; შდრ.: „ესე არს ძვალი ძვალთა ჩემთაგან და ხორცი ხორცთა ჩემთაგან“, ადამის სიტყვების პირველად ევას ხილვისას (შესაქმე 2,23).

**უძღვები შვილი** (ლუკას სახარების მიხედვით იესო ქრისტემ ერთ-ერთი ქადაგებისას მოწაფეებს მოუთხრო იგავი უძღვები შვილის შესახებ). სიუჟეტს მოვიყვანთ მოკლედ: ერთ კაცს სამი ვაჟი ჰყავდა. უმცროსმა თავისი წილი მოითხოვა და წავიდა. უწესო ცხოვრებით გათულს მამის მთელი ქონება გაეფანტა. შემშლიმა ისე შეაწყუბა, მელიორედ დაუდგა ერთ კაცს. დამშეულს ღორის სალაფავის ჭაბა სურდა, მაგრამ ამის უფლებასაც არ აძლევდნენ. ბოლომდე დაცემულმა და განადგურებულმა იფიქრა: მამაჩემს იმდენი ქონება აქვს, სხვას ურიგებს; წავალ, ვთხოვ, იქნებ მოსამსახურედ მაინც მიმიღოს და ჩემი უგუნურება მაპატიოსო. მოვიდა მამასთან და უთხრა: „მამაო, ვცოდვე ცად მიმართ და წინაშე შენსა და ხოლო მამამან ჰრქუა: ძე ესე ჩემი მომკუდარ იყო და განცოცხლდა, წარწყმედლუ იყო და იბოვა“. გულმოწყალე მამამ ახალი სამოსით შეამკო შვილი, დასაკლავი დაკლა და ახლობლებს დაუძახა, რათა მისი სიხარული გაეზიარებინათ; ლუკა 15, 11—32. სახარების ეს თავი აღნიშნავს ცოდვით დაცემული ადამიანის (იგივე უძღვები შვილის) მიერ საკუთარი თავის შეცნობას, რომელიც ინანიებს დანაშაულს და უფალს შენდობას თხოვს. ეკლესიამ ამ დიდი მარხვის (აღდგომის მარხვა) დაწყების წინა პერიოდში დააწესა „უძღვები შვილის კვირიაკე“, მაცხოვრის ამ იგავის აღსანიშნავად და კაცთა გულებში სინანულის მოსაპოვებლად; — ურჩი, უმადური, დედ-მამის არაპატივისმცემელი ადამიანი: „უძღვები შტილი გამიჩდა, არ გამიმართლა“; „ცოდუნაა საწყალი ნინა, უძღვები შტილები გამუადგა, წყალში ჩოუყარენ ნაწულალები“ (ქლსკი, ფონდი E).

მრევლისათვის „უძღვები შვილი“ ყველა ადამიანის ეპითეტი, რადგან იგი დღენიდაგ სცოდავს და არა მხოლოდ დედ-მამის ურჩი შვილის აღსანიშნავი გამოთქმა. მაგალითად, მრევლის წევრებში ხშირად გვესმის: „ჩემნაირი უძღვები შტილი რა სიკეთის ღირსია, მაგრამ ღიდება უფალს მოწყალეებისთვის“ (თბილისი, 1999), „შენი უძღვები შტილი არ ღირს ვარ, უფალო, შენი წყალობის,

მაგრამ მაღლობა, რომ ტკბილ ხარ და სიტკბოებითა შენითა მას-წავლი სიმართლეს შენსას“ (ბოლო სტროფი „ტკბილ ხარ...“ ფსალმუნის პერიფრაზია), (ქლსკი, ფონდი E).

**ხელების დაბანა** („დამიბანია ხელი წინაშე ერისა მის და თქვა: უბრალომცა ვარ მე სისხლისაგან მაგისა“ — პილატეს სიტყვები, როცა მას ხალხმა ქრისტეს გადაეცემა და ჭვარცმა მოსთხოვა; მათე 27,24) — თავის არიდება, ვალდებულების მოხსნა: „მე მაგ საქმიდან ხელები დამიბანია, რაც გინდა ის ქენი“ (ქლსკი, ფონდი E), „საქმე საქმეზე რო მიდგა, ელზამ ხელები დეიბანა, არაფერი ვიციო, ჩემო ბატონო, და ქი დავ[რ]ქი ასე“ (ქლსკი, ფონდი C) ...

**ხატი და მსგავსი** („და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად ჩუენდა და მსგავსად“ — შესაქმე 1, 26) — სრული მსგავსება: „ე ბოუში თლა დედამისის ხატი და მსგავსია“ (ქლსკი, ფონდი A).

აღნიშნული ფორმის პარალელური გამოთქმა: „ალიკვალი“, „ასლი“; გვხვდება რუსულიდან შემოსული ფრაზის კალკი „კოპიო“, იგივე „ასლი“. მაგ.: „ჩისტი, კოპიო მამამისია“. იმავე დატვირთვის მქონე უახლესი ფრაზა: „დედ-მამის ქსეროქსია“ (ინგლ. ვადამრავლება; სპეციალური აპარატი, რომლითაც ხდება ნაბეჭდი ფურცლების გადაღება, გამრავლება).

**ქვათა ღაღადი** („დალათუ ესენი დაღუმდნენ, ქვანი ღაღადებენე“ — მიუგო ჩოჩორზე მჯდარმა ქრისტემ იერუსალიმში შესვლისას ფარისევლებს, რომელთაც მოთხოვეს მას ხალხი გაეჩუმებინა, რადგან ეს უკანასკნელი ოსანათი, ზეიმიითა და დიდებით შეეგება მაცხოვარს; ლუკა 19, 37-40) — აღმაშფოთებელი ამბავი, რომელზეც უტყვიც ალაბარაკდება: „რაც არ უნდა ცილი დაწამონ, ქუები იღაღადებენ, შუილო, იმ ცხონებული კაცის სიმართლეს...“ (ქლსკი, ფონდი A).

ამა თუ იმ მეტად მძაფრი განცდა-ემოციის გადმოსაცემად „ქვა“ ხშირად გვხვდება კონტექსტში სიტყვებთან: „ატირდა“, „აღუღდა“, „ალაბარაკდა“. აქედან გვაქვს გამოთქმები: „ქუები აატირა მაგის ტირილმა, ისე მოთქუამდა“, „ქუა აღუღდა, შუილო, ორი პატარა კუბო რო გამეიტანეს ეზოში“ (ქლსკი, ფონდი E); მგერული მასალების მიხედვით გვაქვს ფრაზა: „ქუა განდღულუა“ (ქვა დაადნო ტირილმა), (ქლსკი, ფონდი D).

**ქვის ქვაზე არ დატოვება // ალგვა პირისაგან მიწისა**  
(„არა დაშეთეს ქვა ქვასა ზედა შენ შორის [იერუსალიმ], რამეთუ ვერ გულისხმავყავ ეამი მოხედვისა შენისა“ — მიმართა იესო ქრისტემ იერუსალიმს, ქალაქში შესვლისას პასექის დღესასწაულის დღეებში. მადე მოდიოდა ჯვარცმა, რის გამოც მომავალში ისრავლი პასუხს აგებდა განკაცებული ღმერთის ვერ შეცნობის გამო; ლუკა 19,44) — მოსპობა, ნგრევა, გაპარტახება. გამოთქმა ძირითადად გვხვდება წყევლის ფორმებში: „ღმერთმა ალგაოს პირისაგან მიწისა ეს სისხლის მწოულები, ჩემი კუთხის და სახლ-კარის დამაქცეურები, რაფერაც მე არ დამიტოვეს არაფერი, ისე არ დარჩა ქუა ქუაზე მაგენის სამოსახლოში“ (ქლსკი, ფონდი E), „გუშინ იმნაირი ამბავი დაათია, ქუა ქვაზე არ დატოვა, გონია; დალექა ყუელაფერი“ (ქლსკი, ფონდი A)... აღნიშნული ფრაზის პარალელურად სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვაქვს გამოთქმა: „ჯა, ქუა, ბორიას“ (ხეს, ქვასა და ნიავს), „ღინა უჩა ღონწყუ“ (ქვეყანა მოსბო, გააცამტეერა), „ქუა ქუაშა ვეგესკილ“ (ქვა ქვაზე არ დარჩება), (მასალა მოგვაწოდა ქლსკი მეც. თანამშრომელმა ე. დადიანმა); სვანურ ტექსტებში გვხვდება ფრაზა: „ბჰ ბჰჰუი მჰმ სედნი“ (ქვა ქვაზე არ დარჩება), (ქლსკი, ფონდი B).

**ჭრილობაში თითის ჩაყოფა** („უკეთუ არა ვიხილო ველი მისთა საზე იგი სამშქულათა და დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამშქულასა და დავსდვა ველი ჩემი გუერდსა მისსა, არასადა მრწმენეს“ — განუცხადა თომამ ქრისტეს მოწაფეებს, რომელთაც მას მაცხოვრის აღდგომა ახარეს; იოანე 20, 25) — გაღიზიანება, გამწვავება: „ჩემ ჭრილობეფში ხელეფს ნუ აფათურეფ, თავი დამანებე“, „გული კი არა სული დაგუიჩებეს ქართუელეფს და ახლა ჩუენ ჭრილობეფში ბინძური ხელეფით იქეჭებიან ეს არაკაცები“ (ქლსკი, ფონდი A).

გამოთქმის ფართოდ გავრცელებული სემანტიკურად პარალელური ფორმებია: „ბინძური ხელეფის ფათური“, „ჭრილობაზე მარილის დაყრა“, „ცეცხლზე ნავთის დასხმა“, „მაზოლზე ფეხის დაქერა.“

**ხმად მლაღადებლისა** („მე ვარ ჯმა მლაღადებლისა და უდაბნოსა ზედა“ — იოანე ნათლისმცემლის სიტყვები „ჭურისტანის“ უდაბნოში ქადაგებიდან (მათე, 3,3; იოანე, 1,23); შვენიშნავთ, რომ იოანემდე ძველი ალთქმის მიხედვით „ჯმა მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ იყო ესაია წინასწარმეტყველი: „ვმამან მლაღადებლისამან

ვმა ვყავ და ვთქუ“; ესია 40, 3-6) — ამაო, ფუჟად ნათქვამი, რომელიც არავის ესმის: „ჩემი ნათქვამი დარჩა ხმად მღალადებლისა,“ „ბევრი არიგა, ემუდარა, მაგრამ ვინ მოუხსინა. დარჩა მისი გარჯა ხმად მღალადებლისა“ (ქდსკი, ფონდი E)...

საზოგადოებაში ზემოთ აღნიშნული გამოთქმის პარალელურად გვხვდება ფრაზა: „ჩემი ნათქვამი და ძაღლის პარასკევი ერთია“; სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვაქვს გამოთქმა: „თიშ ნარაგადი ღო ჭოლორიშ ნატყორინა“ (ჩემი ნათქვამი და ძაღლის კული ერთია).

**ქვალი ქვალოთაგანი და ხორცი ხორცთაგანი // ჩემი ნეკნი** (ესე არს ძუალი ძუალთა ჩემთაგან და ჯორცი ჯორცთა ჩემთაგან. ამას ეწოდოს ცოლ“ — ამბობს ადამი ევას შესახებ; შესაქმე 2,23) — მეუღლე, ცოლი: „იპოვა ირაკლიმ თავისი ნეკნი, როგორც იქნა“, „დათოს ცოლი მოუყვანია, გამაცნო: ჩემი ძუალი ძუალთაგანი და ხორცი ხორცთაგანიაო. ვიფიქრე: ახლა კი ლაბარაკოფ მასე, მარა შენი თავი მანახა ორი-სამი წლის მერეთქო“ (ქდსკი, ფონდი A).

## 12.2. ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარე ფრაზა-ოლოგიზმები

აღნიშნულ ქვეპარაგრაფში გავაერთიანეთ ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სათავეს იღებენ ამა თუ იმ ბიბლიურ სიუჟეტიდან:

**აკრძალული ხილი** (ღმერთმა ადამსა და ევას სამოთხეში მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა, მხოლოდ აუკრძალა შეხებოდნენ კეთილისა და ბოროტის შემეცნების ხის ნაყოფს: „ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ, ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან, რამეთუ... სიკუდილით მოჰკუდეთ“; შესაქმე 2, 16-17) — სახიფათოდ მომზიბლავი, მაცდუნებელი: „ექიმ[მა] დიეტა დამინიშნა, მაგრამ აკრძალული ხილი გემრიელია და თავი ვერ შევიკავე“ (ქდსკი, ფონდი A); „ვიციდი, მასთან შეხუდრის უფლება არ მქონდა, მარა სხუა აკძალული ხილის გემო...“ (ბათუმი, 1998).

**ბაბილონელი მეძავი** („და მოვიდეს მისდამი ძენი ბაბილონელთანი საწოლად მედგურთა და შეაგინებდეს მას სიძვისა მიერ... და შეიბოლწა მათ თანა... და გამოაცხადა სიძვად მისი“; ეშეკია

23, 17-18; „... დედაკაცი შემოსილი პორფირითა და ძოწეულით, მორთული ოქროთი ... მის შუბლამდე დაწერილია სახელი საიდუმლო: ბაბილონელი მეძავი“; გამოცხადება იოანესი 17, 1-5) — საზოგადო გარყვნილება: „სამწუხაროთ, დღეს დასავლეთი ბაბილონელ მეძავს გაუს და ჩუენ აკძალული ხილის ხიბლით დაეწვეფეთ იქაურ სიბილწეს, რასაც ხელს ამერიკული ფილმებიც უწყაოუს“ (ქუთაისი, 2000).

ფრაზა მრევლის მეტყველებაში გვხვდება მხოლოდ კოსმოპოლიტი ქვეყნების აღსანიშნავად; რაც უთუოდ მე-20 საუკუნის I ნახევრის რუსი წმიდა მამების იოანეს გამოცხადების აღნიშნული ნაწილის განმარტებიდან მომდინარეობს.

**განტევების ვაცი** (ძველი აღთქმის მიხედვით ებრაელთა მღვდელთმთავარი ვაცს თავზე ხელს დაადებდა, მთელი ხალხის ცოდვებს დააკისრებდა და მერე უდაბნოში გაუშვებდა: „ვაცი, რომელსაც განტევებაზე ხვდა წილი, ცოცხლად დაუყენოს [აარონმა უფალს], რათა შეუნდოს მას და გაუშვას განსატყვევლად უდაბნოში“; ლევიანი 16,10) — სხვის ნაცვლად პასუხისგება: „მას კი პატრონი ყაჟდა, ყუელამ ხელი დააფარა და ეს საცოდავი შეიქნა განტევების ვაცი“ (ქლსკი, ფონდი A).

**გლოვის დეღე** („დეღესა მას გლოვისასა, ადგილსა მას, რომელსაცა აღუთქვა, რამეთუ კურთხევაჲ მოსცეს, რომელმანცა შჭული დადვა“; ფს. 83,6) — ტანჯვა, წამება: „გლოვის დეღე მოაწყო აფხაზები და ახლა თითქოს ლტოლვილებზე ზრუნაჟს“ (ქლსკი, ფონდი E).

გამოთქმა დღეს ხშირად ენაცვლება ახალდთქმისეული მსგავსი სემანტიკის მქონე სხვა პარალელური ვარიანტების სიმრავლითაა გამოწვეული ( გოლგოთაზე ასვლა, ჭვრის ზიღვა, ჭვარცმა, ჭოჭონეთური ყოფა, ჭოჭონეთის ფილიალი...)

**გოდოლის აგება** (ძველი აღთქმის მიხედვით ადამიანებმა გადაწყვიტეს გოდოლის აგება, რათა ღმერთამდე მიეღწიათ: „მოდით, ვიშენოთ თავთა თვისთათვის ქალაქი და გოდოლი, რომლისა თავი იყოს ვიდრე ცამდე“ (შესაქმე 11, 4); ბიბლიის თანახმადაც გოდოლის აგება ღვთის საწინააღმდეგო ქმედება იყო, რის გამოც ადამიანებმა დაკარგეს ერთი ენა) — სიფრთხილე, თავდაცვა; ღვთის საწინააღმდეგო ქმედება, შეთქმულება: „დღეს ყუელა საკუთარი გოდოლის აგებაზე ფიქროფს“ (2002 წლის პარლამენტის სხდომის ტელეტრანსლაციიდან), „კარგი ქნა საქართველოს



ეკლესიაშ ეკუმენისტური საპქოდან რო გამოვიდა და თავი დაანება ახალი ბაბილონის გოდოლის მშენებლობაში მონაწილეობას“ (ქდსკი, ფონდი E).

**გოლოგოთაზე ასვლა** („მოიყვანეს იესუ გოლოგოთას, ადგილსა, რომელ არს გამოთარგმანებით: თხემისა ადგილი“; მარკოზი 15, 22) — ტანჯვა, წამება, უბედურება: „საქართუელოს პირუელი პრეზიდენტი თავისი ცხოტრებით გოლოგოთის გზას ადგა“ (ქდსკი, ფონდი E), „ყუელა კაც[ს] თაჟისი გოლოგოთა აქ ასატლელი, შუილო, ისე არაა ცხოტრება“, „იმ სახლიდან დაიწყო ჩემი გოლოგოთა“ (თბილისი 1998)...

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ქუთაისის მომდიებელთა ჯგუფის მიერ ჩაწერილ მასალეებში „გოლოგოთა“ გვხვდება ტობონიზმადაც ციებაო ადგილის აღსანიშნავად: „სათაფლიამდე ჯერ გოლოგოთის აღმართი უნდა აიარო, მერე ებისკოპოსის ტყე და ბერძიმიდორი“.

**გულში ეშმაკის შეშება** („შევიდა ეშმაკი იულაში, რომელსა ერქუა ისკარიოტელ და იყო რიცხვისაგან ათორმეტთასა“; ლუკა 22,3) — გაბოროტება, რისამე ცუდის განზრახვა, ჩაფიქრება: „ეშმაკი უჯდა გულში და ვერაფრით მოვაბრუნე, ვიცოდისხტასაც დაღუბაუნდა და თაჟსაც“, „ამ ბოტუმს ეშმაკი ყაჟს შეჩენილი, მიხედე, რამე არ მიეწიოს, გლახათ დადის“ (ქდსკი, ფონდი E). ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალეებში გვაქვს გამოთქმა: „ეშმაკე მითუხე გურს“ (ეშმაკი უზის გულში); „გვერ მითუხე უბეს“ (გველი უზის უბეში); სეანური მასალეების მიხედვით გვხვდება ფრაზა: „ქაჯ ათგუარაჟნ“ (ეშმაკი შეუჩნდა). „ქაჯ ათგურდა“ (ეშმაკი დაეპატრონა).

**დაუწველი ბუჩქნარი // დაუწველი მაყვალი** („იჟუნა მას [მოსეს] ანგელოზი უფლისა ცეცხლითა აღისათა მაყულოვანით გამო და იხილა ვითარმედ მაყულოვანსა მას აღატყდების ცეცხლი და მაყუალი იგი არა შეიწუების“; გამოსვლათა 3,2) — ძნელად დასაწველი რამ: „რა დაუწველი მაყუალი შეიქნა ე შეშა, რატო არ ევიდება ცეცხლი, ვერ გვეიგე“, „ჩემი სახლი დაუწველი მაყუალი კი არაა, ქარიანობაში დიდი ცეცხლი რო დავანთო“ (ქდსკი, ფონდი E).

**შენიშვნა:** მრეველი აღნიშნული გამოთქმის გამოყენებას კრიდება, რადგან წმიდა მამათა სწავლებიდან იციან, რომ იგი

ღვთისმშობლის სიმბოლოა ძველ ალთქმაში. არსებობს ღვთისმშობლის, როგორც „დაუტყვევლის დამტყვევლის“ ხატი „მაყვალის შეუწველი“: „ვითარცა ცეცხლსა შინა მაყვალის შეუწველი ძველთაგანვე მოსეს მიერ ხილული წინა ხატად ქნათვისისა განკაცებისათვის ქორწილისა გამოუცდელისა ქალწულთა მიერ, რომელთა აწცა, ვითარცა საკვირველებათა მოქმედი და ყოველთა ქმნულთა შემოქმედი მრავალთა სასწაულითა განდიდებულსა ხატსა თვისსა სნეულებათა განსაკურნებელად მიჰმადლებს მართალთა, მცუელად სიფიცხისაგან ცეცხლისა...“ (ტროპარი, ხმა 4)

**ეგვიპტური ჰირი** (ძველი ალთქმის მიხედვით ღვთის რჩეული მოსე და მისი ძმა აარონი ათვერ მივიდნენ ფარაონთან და ეგვიპტის მონობისაგან ებრაელების გათავისუფლება სთხოვეს, მაგრამ ამაოდ, ათივეჯერ საშინელი ჰირი მიუვლინა ურჩ ფარაონს და მის ქვეყანას უფალმა: „... უფალმან მოსცა ქუხილი და სეტყუად და აღტყდებოდა ცეცხლი და აწვიმა უფალმან სეტყუად ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა კაცითაგან მიპირუტყუამდე. იყო სეტყუად და ცეცხლი შემწული... მოსრა სეტყუამან ყოველსა ქუეყანასა ეგვიპტისასა კაცითაგან მიპირუტყუამდე, ყოველი მწუანინილი, რომელი იყო ველსა ზედა... ყოველი ხე ველისად მოსრა... დაფარა მკალმან ყოველი პირი ქუეყანისად და განრყუნა ყოველი ქუეყანა ეგვიპტელთად და შეჭამა ყოველი მწუანინილი ველისად და ყოველი ნაყოფი ხისად, რომელ განრინებულ იყო სეტყვისაგან სასტიკისა და არა დაშთა მხალი ნედლი ველისა ქუეყანასა მას ეგვიპტელთასა“; გამოსვლათა 9,15-26; 10,13-15) — საყოველთაო უბედურება, შიმშილი, ებიდემია, სტიქიის მძვინვარება: „ეგვიპტური ჰირი ეწუთა იმ წელს საქართუელოს ზოგ კუთხეს; კალიებმა თლათ გაანადგურეს ნათესები და თუ რამე მწუანინილეულობა იყო; ხანტი რო ხანტია, იგი ძირამდე იყო შექმული“ (ქუთაისი, 1998), „კოლორადოს ხოჭო ეგვიპტური ჰირივით მოედო კარტოფილის ნათესეფს“ (სვანეთი, 1995).

გამოთქმას ღღეს მეტწილად ენაცვლება ახალი ალთქმიდან მომდინარე ფრაზები: „განკითხვის ღღე“, „ჯოჯოხეთური ჰირი“, „ჯოჯოხეთში ჩავარდნა“, „ჯოჯოხეთის მიწაზე ამოსვლა“, „მეორედ მოსვლა“: „თელი ქუეყანა ჯოჯოხეჩი ჩაადღეს, ვერ ხედვს, არც საჭმელია და არც ფული მისი საყიდელი“ (ქდსკი, ფონდი E).

**ეგვიპტური ჯაფა** (ძველი ალთქმის მიხედვით ეგვიპტის მონობაში მყოფი ებრაელები ძლიერ შევიწროებას და ტანჯვა-წამე-

ბას განიცდიდნენ: „... ძვირსა შეამთხუევდნენ მათ საქმითა... აჭირებდეს საღმრთოთი ცხოვრებასა მათსა საქმითა მით ფიცხელითა... რომლითა დამორჩილებდეს მათ სასტიკად“; გამოსვლათა 1, 11-14) — მიიშვე, მომქანცველი შრომა: „რო იტყუიან, მართლა ეგვიპტურ ჯაფაში ვიყავით ბერძნების ხელში, გუამუშავებდენ ვირივით და გუაქმევდენ ძალღვივით“ (ქდსკი, ფონდი E).

გამოთქმის დღეს ძირითადად ენაცვლება ახალი აღთქმისეული ფრაზები: „ჯოჯოხეთური შრომა“, „ჯოჯოხეთური ყოფა“: „პირველათ გზა რო გაიხსნა, საბერძნეი ტუმუშაობდი მშენებლობაზე, ჯოჯოხეთური შრომა ქუქონდა, დასუნება ჩუნეთუის არ იყო და არაფერი“ (ქდსკი, ფონდი E), „ჯოჯოხეთურ ყოფაშია ხალხი ჩაჟარდნილი, არაფერი არაა და, შენ წარმეიდგინე, აღარც იმედი აქ ვინმეს, საშინელება...“ (ქდსკი, ფონდი C).

**ეკლის გვირგვინი** („და შეთხზეს გვირგვინი ეკალთაგან და დაადგეს თავსა მისსა“; მათე 27,29) — ტანჯვა-წამება პატივის ნაცვლად: „ასია, ყუელა სიმართლისათუის თავდადებულს ეკლის გვირგვინი ელოდება. თუარადა დღეს თუითფრინავი უნდა ყაუდღეს მზათ, ცხენი არ უშუელის“, „ეგონა ამდენი შრომის მერე დააწინაურებდენ, მარა, როგორც ხიდება, ეკლის გვირგვინი ერგო, თლათ გაათავისუფლეს სამსახურიდან“ (ქდსკი, ფონდი E).

**ზეთისხილის რტო** (ძველი აღთქმის მიხედვით, წარღვნისას კიდობანში შესულ ნოეს მტრედმა ზეთისხილის რტო მოუტანა, ნიშნად იმისა, რომ წვიმამ გადაიღო და წარღვნა დამთავრდა: „და მოაქცია მისა მიმართ ტრედმან მიმწუხრი და აქუნდა ზეთისხილისა ფურცელი რტოთა პირსა შინა მისსა და ცნა ნოე, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქუეყანისა“; შესაქმე 8,11) — მშვიდობა: „ბეტურს ეგონა, შევარდნაძე ზეთისხილის შტოს ჩამეიტანდა საქართუელოში, მარა ქე შეხედენ, მარტო აფხაზეი ჩამდენი ხალხი ჩაწყუტიტა“ (ქდსკი, ფონდი C).

**თავზე ნაცრის დაყრა** (ძველი აღთქმის თანახმად, ებრაელთა ღრმა მწუხარების ნიშანი; ტანსაცმელს შემოიხევენ, თავზე ნაცარს დაიყრიდნენ და მღუმარედ იყვნენ ან მოსთქვამდნენ: „შეიტყო იობის სამმა მეგობარმა ყველა ეს უბედურება... და ატირდნენ. შემოიხია თითოეულმა თავისი მოსასხამი და თავზე ნაცარი დაიყარა“; იობი 2,11-12, „შემოიხია მორდოქაიმ სამოსელი, ჩაიკვა ჯვლო და თავზე ნაცარი დაიყარა. გავიდა შუაგულ ქალაქში და ხმამალა, მწარედ მოთქვამდა“; ესთერი 4,1) — დაბე-

ჩაგება, დაჩაჩანაკება: „რა კაი ბიჭი იყო და ახლა თლა თაუზე ნა-  
ცარდაყრილი დადის. რაა ცხოურება?!“ „ქალმა ცოტა მორიდებუ-  
ლათ უნდა ჩაიცივას, ახლა, ნაცარი კი არ უნდა დაიყაროს თაუ-  
ზე, მარა არც ისე განთილმა უნდა იაროს, ახლა რო დადიან“,  
„ადამიანს ჩაცმის კულტურა უნდა ქონდეს და თაუზე ნაცარდაყ-  
რილი არ უნდა დადიოდეს“ (ქდსკი, ფონდი E). მეგრული მასალე-  
ბის მიხედვით გვაქვს გამოთქმა: „ტუტა გირლუ ღულშა“ (ნაცარი  
დაიყარა თავზე, ე.ი. დაჩაჩანაკა), (ქდსკი, ფონდი D).

**თვალის ახელა** („და მაშინვე თითქოს ქერკლი მოსძვრა  
მის თვალებს, თვალები აეხილა, ადგა და მოინათლა“ — საუბარი  
ეხება პავლე მოციქულს, რომელიც მონათვლამდე სავლედ იწოდე-  
ბოდა და დევნიდა ქრისტიანებს; ხოლო შემდეგ, სულიწმიდის მად-  
ლით, სულიერი თვალი აეხილა და აღიარა ჭეშმარიტება; საქმე  
მოციქულთა 9,18) — გონების გახსნა, ჭეშმარიტების, სიმართლის  
მიხედვრა, შეცნობა: „ყუელაფერს რო ჩოუკუთირდი, თუალები ამე-  
ხილა და მიუხუდი რაში იყო საქმე“ (ქდსკი, ფონდი A), „თუალი  
აახილე და დაინახე რა ხდება, როდემდე უნდა იყო ასე!“ (ქდსკი,  
ფონდი E).

**ლედვის ფოთილი** (ეშმაკის მიერ ცდუნებული ადამ და  
ევას შესამოსელი; „და განეხუნეს თუალნი ორთანივე და აგრძნეს,  
რამეთუ შიშუელ იყვნეს, და შეკერეს ფურცელი ლედვისა და  
ქმნეს თავთა თვისთა გარე-მოსარტყმელნი“; შესაქმე 3,7) — ნი-  
დაბი, ყალბი საფარველი; ქალთა ჩაცმულობის აღსანიშნავი გა-  
მოთქმა: „ამ პარლამენ[ტ]ში პატიოსანი ხალხი მთავრობამ ლედ-  
უის ფოთლად გამოიყენა“ (2003 წლის პარლამენტის ტელეტრან-  
სლაციიდან); „თანამედროვე ახალგაზრდობა ლედუის ფოთლით  
შემოსილი დადის“, „გადაირევი, კაცი, რაფერ ლედუის ფოთლებ-  
ჩაცმულები დადიან ეს გოგუები“... (ქდსკი, ფონდი E).

**მანანის ჭამა** (ძველი აღთქმის მიხედვით, ეგვიპტის მონობი-  
დან გამოსულ ებრაელებს უდაბნოში უფალი მანანათი კვებავდა  
(მანანა — ებრ. „რა არის?“): „ხოლო ძეთა ისრაელისათა ჭამეს  
მანანა ორმოცო წელ“ (გამოსელათა 16, 35); „უწვიმა მათ მანანა  
საქმელად და პური ანგელოზთაჲ სჭამა კაცმან;“ ფს. 77, 24-25) —  
სულიერი საზრდო; გემრიელი საქმელი: „ზოგჯერ სეფისკუერს ისე-  
თი მაღლი აქ, მანანა უჭამეო, გეგონება“ (ქდსკი, ფონდი E), „ზო-  
გიერთები ფიქრობდენ: არიქა, აუშენდებით და მანანას გუაქმეუნს  
შევარდნაძეო, მარა ხმელა პური ენატრებათ ახლა“, „ისეთი გემ-

რიელი ნამცხვარი იყო, ისე ჰაეროვანი, მანანას უჭამო გეგონებოდა“, (ქდსკი, ფონდი C).

**მეორედ მოსვლა** (ახალი აღთქმის მიხედვით, იესო ქრისტე მეორედ ქვეყანაზე მოვა თავისი ღიღებით, ვითარცა ღმერთი და განსჯის ყველას თავიანთი საქმეების მიხედვით: „ხოლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა ღიღებითა თვისითა და ყოველი ანგელოზნი მისნი მის თანა, მაშინ დაჭდეს საყდართა ღიღებისა თვისისათა... და გამოარჩიოს ცხოვარნი თიკანთაგან“ (მათე 25, 31-32); „... და კუალად მომავალ არს ღიღებით განსჯად ცხოვართა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ“; მრწამსი, მუხლი 7) — საშინელი ამბავი, არეულობა; ცუდი ამინდი: „მერიის წინ იყო ერთი ამბავი და მეორეთ მოსულა“, „იობიძეფეს მეორეთ მოსულა ქონდათ გუშინ, კილამ დაწყუთიტეს ერთმანეთი“; „13 ივნის[ს] მეორეთ მოსულა იყო პირდაპირ, კინალამ დეიქვა ქუეყანა ისეთი წუთიმა და ქექა-ქუნილი იყო“ (ქუთაისი, 2003). მეგრული მასალების მიხედვით, იმავე მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმა: „მერეთმულა“, „მერეთმულა რე“ (მეორედ მოსვლა), (ქდსკი, ფონდი D). სვანეთში ჩაწერილ ტექსტებში გვაქვს: „მერმესობ“ (მეორეობა, ე.ი. მეორედ მოსვლა), (ქდსკი, ფონდი B).

ლექსიკონთა მიხედვით, ზემოთ აღნიშნული ფრაზის პარალელური ფორმა იმერზელში: „ყიამეთი“; „ყიამეთი ამინდი“ (ყიამეთი — არაბ. მეორედ მოსვლა, აღდგომა მკედართა) — ღიდი ამბავი, განსაკუთრებული მოვლენა; ცუდი ამინდი. გურულში გვაქვს გამოთქმა: „ყიამეთი კაცი“ ესე იგი ცუდი ხასიათის კაცი... (ალ. ლონტი, 1974).

**სამოთხეში ყოფნა // ედემის ბაღი** (სამოთხე — ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთის სამყოფელი, ნეტარების, ბედნიერებისა და ბარაქის ადგილი, სადაც უფალმა დაამკვიდრა პირველი ადამიანები: „დაჰწერგა ღმერთმან სამოთხე ედემს აღმოსავალით და დადვა მუნ კაცი და აღმოაცენა ღმერთმან მერმეცა ქუეყანისაგან ყოველი ხე შუენიერი ხილვად...“ (შესაქმე 2, 8-9); „მომხსენე მე, უფალო, ოღეს მოხვიდე ღიღებითა შენითა“ — მიმართა ავაზაკმა მის გვერდით გვარკმულ მაცხოვარს, რაზედაც იესომ უპასუხა: „ამინ, გეტყვი შენ: დღეს ჩემ თანა იყო სამოთხესა“; ლუკა 23, 42-43) — ღიდი ბედნიერება, ნეტარება; მშვენიერი, ლამაზი ადგილი: „ისე ბედნიერი იყო, თავი სამოთხეში ეგონა“, „ლელას რა უჭირს, სამოთხეში ცხოვროფს, არ აკლია არაფერი სიკეთე“, (ქდსკი,

ფონდი E); „ედემის ბალი აქ, ეზო კი არა, გული გაგინათლება შიგ რე შეხუალ“ (სამტრედია, 2000).

**შენიშვნა:** ლექსიკონებში გამოთქმა „ედემის ბალი“ სემანტიკურად „სამოთხეში ყოფნის“ პარალელურად გვხვდებოდა, დღეს ძირითადად გამოიყენება კონკრეტული ადგილის აღსანიშნავად, რომელიც გამოირჩევა მცენარეთა სილამაზითა და მშვენიერებით ან ხილთა მრავალფეროვნებით.

**სამოთხის დაკარგვა** (ეშმაკისაგან ცდუნებულმა ადამ და ევამ დაკარგეს სამოთხე, ღმერთმა ურჩობისათვის ისინი იქედან გააძევა: „და განავლინა იგი [ადამი] უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებელისა საქმედ ქუეყანისა, რომელისაგან მიდებულ იქნა“; შესაქმე 3, 23-24) — გაუბედურება, კეთილი ცხოვრების დაკარგვა, უბედურებაში ჩავარდნა: „მა ქალმა ვერ შეიშნო, ჩემო ბატონო, და იმნაირი სამოთხე დაკარქა, აწი რო ვერ ეღირსება“, (ქდსკი, ფონდი E), „რო იბანიენ: კომუნისტები გლახა იყოო, გუჯატა რამე? სამოთხე დატყარქეთ და ვერ გევიგეთ“. (ქდსკი, ფონდი C)...

**საქმეთაგან დაცხრომა** (ძველი აღთქმის მიხედვით, ღმერთმა ექვს დღეში შექმნა სამყარო, ხოლო მეშვიდე დღეს დაისვენა: „და დაცხრა დღესა მეშვიდესა ყოველთაგან საქმეთა მისთა, რომელ ქმნა“; შესაქმე 2,2) — გარდაცვალება, ამსოფლიური ამოებოდან დასვენება: „დათიკოს ამბავი გაიგე? — რა მოუვიდა? — დაცხრა საქმეთაგან, საწყალი, — რას ამბოფ, აცხოუნოს ღმერთმა!“ (ქუთაისი, 2002).

აღვნიშნავთ, რომ საზოგადოებაში მოცემული შესიტყვების სემანტიკურად პარალელური ფორმებია: „**ტანჯვის გათავება**“, „**ღელა ოდელიას დამთავრება**“, „**პესნის** (რუს. სიმღერა) **დამთავრება**“: „საწყალი, გათავდა მაგის ტანჯვა, აღარაფერი ექნება საფიქრალი მიწაში“ (ქდსკი, ფონდი A), „რაც ცხონებული მიხილას დელა ო დელია დამთაურდა, ქე გევიდა ბარე სამი წელი“ (ქდსკი, ფონდი C).

**შენიშვნა:** გამოთქმები „ღელა ოდელია“, „პესნის დამთავრება“, ზოგჯერ გვხვდება მთავარი, მნიშვნელოვანი საქმიდან მოწყვეტის, პირველობის დაკარგვის მნიშვნელობითაც: „ისეთი მდგომარეობაა, მგონი, არჩუნების მერე მალე დამთაურდება შევარდნაძის პესნი“ (ქდსკი, ფონდი E).

**სერობის მოწყობა // სერობის გამართვა** (ახალი აღთქმის მიხედვით ჭვარცმამდე ერთი კვირით ადრე იესო ქრისტე თავის მოწაფეებთან ერთად იჭდა სუფრასთან, სადაც მან საფუძველი ჩაუყარა ზიარების უწმიდეს საიდუმლოს: „და დაჯდა ათორმეტნი მოციქულნი მის თანა სერობასა და ჰრქუა მათ: გულის სიტყვით გული მითქმიდა პასექსა ამას ჭამინ თქუენ თანა, ვიდრე ვნებამდე ჩემდა“; ლუკა 22, 14-15) — თავშეყრა საიდუმლო განსჯის მიზნით: „ამათ ჩემ მოსულამდე სერობა მოუწყუთით და ჩემი ბედი გადო-უწყუტეით უჩემოთ“ (ქდსკი, ფონდი E), „ე პარტიები ცალკე სერობეფს მართავენ და მერე ისე დაცხებენ ერთმანეც, ხალხს ასეირებენ“ (ქდსკი, ფონდი C).

**სოლომური ცოდვა** (სოლომ-გომორი — ძველი აღთქმის მიხედვით გარყვნილი ქალაქები, სადაც ხდებოდა ყოველგვარი ბილწება და უწმინდურება, რის გამოც უფალმა გოგირდის წვიმა უწვიმა მათ და გაანადგურა (დღეს მათ ადგილზე მკვდარი ზღვა არის. ზღვის ქვეშ წარმოებულმა გათხრებმა, კიდევ ერთხელ, დაადასტურა ამ ქალაქების არსებობა): „და უფალმან წვიმა სოლომთა ზედა და გომორთა წუნწუბაჲ და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით და დააქცინა ყოველნი ესე ქალაქნი... და მკვიდრნი ქალაქსა შინა“; შესაქმე 19, 24-25) — მამათმავლობა: „საუბედულოთ, სოლომური ცოდუა საქართუელოშიც გატეცელა“ (თბილისი, 2000), „გაუბედი, კაცი, რო გავიგე, სიმღერა „პატარა ბიჭი დამეკარქა“ სოლომური ცოდუის ნაყოფი რო ყოფილა“ (ქუთაისი, 2001).

**მოსოლომგომორება // მოსოლომგომორება** — გაპარტახება, მიწასთან გასწორება: „იმფერი წუთიმა და სეტყუა იყო, სულ მუასორომგომორმა ყორფელი“ (ქდსკი, ფონდი A), „კაცმა მთელი სამეგრელო მუასოლომგომორმა და ეროუნულ გვირათ გამუაცხადეს, სადაა სამართალი?“ (ქდსკი, ფონდი C)

**ტრაპეზობის მოწყობა (გამართვა)** (გამოთქმა შექმნილი ჩანს „სერობის მოწყობის“ ანალოგიით. სერობა — იგივე პურის ჭამა „გული მითქმიდა პასექსა ამას ჭამინ თქუენ თანა“; ლუკა 22,15) — პურობა, ჭამა-სმა: „უჩემოთ რა ტრაპეზობა მოგოწყუთით?!“ (ქუთაისი, 1999), „მე გამიშუეს ყანაში და ამგენს აქანა ტრაპეზობა გოუმართით, სულ ვარალალოს იძახოდენ თურმე“ (ქდსკი, ფონდი C).

**შენიშვნა:** დღეს მრევლი მოცემული გამოთქმის გამოყენებას მეტ-ნაკლებად ერიდება კრძალულების გამო. ტრაპეზი წარ-

მოადგენს დიდ საეკლესიო სიწმიდეს, რომელზეც საღვთო ლიტურგიისას ღვინო და პური ქრისტეს სისხლად და ხორცად გადაიქცევა. მორწმუნეთა მეტყველებაში ტრაპეზი სუფრის მნიშვნელობით ძირითადად გვხვდება შესიტყვებაში „საკურთხის ტრაპეზი“.

**უდაბნოში ხეტიალი** (ძველი აღთქმის ერთ-ერთი წიგნის „გამოსვლათა“ ზე მხედვით, ეგვიპტის მონობიდან გამოსული ხალხი მოსემ უდაბნოში 40 წელი ატარა, სანამ აღთქმულ ქვეყანაში მიიყვანდა: „და მოაქცია უფალმან ერი უდაბნოდ მიმართ...“ გამოსვლათა, 13,18) — უაზრო, მომქანცველი საქმიანობა: „მართალია, დღეს საქართველოში ცხოვრება უდაბნოში ხეტიალია, მაგრამ მაინც მჭერა, ჩუენი შუილები მოიპოვებენ ახთქმულ ქუეყანას“ (ქდსკი, ფონდი E).

**ცოდვამ უწია** (ყველა უნდა გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წინაშე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის მიხედვით, რასაც სიცოცხლის დროს აკეთებდა — კეთილს თუ ბოროტს“; კორინთელთა 5,10) — სამაგიეროს მიზღვევა: „არ ვიყავი მისგან ასე გასამეტებელი, როცა უჭირდებოდი, გუერდიდან არ მიშორებდა, მარა ღმერთი სამართლიანია, უწია ცოდუამ, ახია, მაგაზე“ (ქდსკი, ფონდი C), „რაც არ უნდა იყოს, ჩუენ სიკეთე არ უნდა დევივიწყოთ და კაი გავაკეთოთ. მაგენს ყუელას ცოდუა უწეუს, ნახავ აგერ“ (ქდსკი, ფონდი E)...

**წითელი პარასკევის ამინდი** (ახალი აღთქმის მიხედვით, იმ დღეს, როცა იესო ქრისტე აწამეს, ცა ჩამობნელდა, იყო ქეჩაქუხილი და მიწისძვრა: „ბნელ იყო ყოველსა ქუეყანასა ვიდრე მეცხრედ ჟამამდე და დაბნელდა მზე და განიპო კრეტსამბელი ტაძრისა მის შორის ... და დღე იყო პარასკევი“; ლუკა 23, 44-45-54) — საშინლად ცუდი ამინდი: „ცამეტ იენის წითელი პარასკევის ამინდი იყო; კინალამ დეიქცა ქუეყანა; ელაუდა და გრუხუნი იყო იმნაირი, გული გაგისკტებოდა; წუიამ თლათ წარეცხა ყუელაფერი; შუადღეზე უკუე კაი დალაშებული გეგონებოდა, საწყალი ჩემი მეზობელი შეიწირა ამ ამინდამ“ (ქუთაისი, 2003).

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში (დაქადნებისას, ხან კი წყევლის ფორმულებში) გვხვდება გამოთქმა: „წითელ პარასკევს გაგითენებ“. „მაგათ გაუთენდათ წითელი პარასკევი“ (ქდსკი, ფონდი D).



**წმიდა წყლის დაღევა** (ძველი აღთქმის მიხედვით, ებრაელთა ჩვეულების თანახმად, რომ გაეგოთ მრუშობაში ეჭვმიტანილი ადამიანი მართალი იყო თუ სცოდავდა, მას ეკლესიაში მღვდელმთავარი შეასმევდა წმიდა წყალს. თუ კაცი შემცოლვე იყო, უშად გასივდებოდა. ეს იყო უტყუარი საზომი მტყუან-მართლის გარჩევისა: „და მოიღოს მღვდელმან მან წყალი წმიდად ცხოველი ქურქელითა კეცისაჲთა“ (რიცხვთა 5,17); გელათის მონასტერში არსებობს ფრესკა, რომელზედაც ყოვლადწმიდა დედოფალი სურით ხელში სვამს წმიდა წყალს, რითაც მან ურწმუნოთ დაუმტკიცა, რომ ძე ღვთისა უთესლოდ ჩაესაზა სულიწმიდის ძალით) — უპატოხნო, მეძავი, ხელმრუდი: „არაა ნუტას რძალი წმინდა წყლის დამღვევი, როგორც ვატყოფ“ (ზონი, 1998).

აღნიშნული შესიტყვება ლექსიკონებში მართალი, პატოხნის მნიშვნელობით გვხვდება; დღეს ძირითადად გამოიყენება უარყოფით ფორმაში და ირონიული დატვირთვით.

**წენიშენა:** ფრაზის განმარტება ლექსიკონებში ბიბლიურ სიუჟეტს არ უკავშირდება. მითითებულია, რომ წყალი ქართულში სათვყვანო საგნადაა მიჩნეული. იგი სიწმიდესა და სისუფთავის ნიშანია (იხ. თ.სახოკია, 1979, გვ.873).

**ჯვარზე გაკვრა // ჯვარზე გაცმა** („ვითარცა მოჰყვანდის ადგილსა მას, რომელსა რქვიან თხემისა ადგილი [ებრ. გოლგოთა], მუნ ჯუარს აცვეს იგი“; ლუკა 23,33) — დასჯა, წამება; არ დაცალება: „ამ უბრალო საქმისთვის ჯუარს მაცუა პირდაპირ“, ისეთი ხასიათისა, თუ წამში არ აუსრულე ყუელაფერი ჯვარზე გაგაკრატუს, არ დაგზოგატუს“ (ქლსკი, ფონდი E); „გუშინ ვაპირებდი იმ ტორტის გამოცხობას, მაგრამ ბაბუშმა ჯუარს მაცვა, ისე ჭირვეულობდა და ვერ გაგაკეთე“ (ქლსკი, ფონდი C). მეგრული მსალებების მიხედვით გვაქვს ფრაზა: „წკირს ქუმმოცუნუ“ (წკირი, წვეტიანი ჯონი. ამ შემთხვევაში გამოიყენება ჯვრის მნიშვნელობით, ე.ი. ჯვარს მაცვა. გვხვდება აგრეთვე ფრაზა: შამფურს ქუმმოცუნუ — შამფურს მაცვა), (ქლსკი, ფონდი D).

**ჯვარის ზიღვა** („დასდვეს მას ზედა ჯუარი იგი და მიაქუნდა იესუს“; ლუკა 23,26; იოანე 19, 17) — ღიღი მოვალეობა, ტანჯვა: „ყუელა კაცი თავის ჯუარს ზიდატუს ამ ქუეყანაზე, ისე არაა ცხოვრება“ (ქლსკი, ფონდი E), „ძან მძიმე ჯუარი შეხუთა ჩემ შუილს საზიდავი, ოთხი შუილი უკაცოთ და უსახკაროთ, როგორი გასაზღელია?“ (ქლსკი, ფონდი C).

**ჯოჯოხეთის ალი** („ხლო რაჟამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა... განარჩინის ცხოვარნი თიქანთაგან და იგინი შთავარდეს ჯოჯოხეთისა ალსა და კუბრში“ (მათე 25, 31-32); „[ცოდვილინი] დაიტანჯებიან ჯოჯოხეთის ცეცხლსა და კუბრში“; გამოცხადება იოანესი 14, 10) — წარმოდგენილი ტანჯვა, წამება, უბედურება: „როცა სახლიდან პატარა კუბო გაიტანეს ჯოჯოხეთის ალი ტრიალებდა ირგულივ. დუღდა ქუეყნიერობა“ (ქლსკი, ფონდი D).

ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სვანეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით, წყევლის ფორმულებში გვხვდება შესიტყვებები: „კუბრშიმც გადამბტარხარ“ — „ფსათეთუ უჭსკინა“ ე.ი. ჯოჯოხეთშიც გადამბტარხარ, „ფისეისგააუ ჯარ ლაქუნ“ (კუბრში გქონდევ სასუფეველი, ე.ი. ჯოჯოხეთში), სიკვილის, ჯოჯოხეთში მოხვედრის მნიშვნელობით გვხვდება ფრაზები: „ელიას ალი“ — „ელიაჲ ჰელუ სი“ (ელიას ალი შენ), „ელიაჲ ლიჰლჲლ“ (ელიას ელვა), „ელიაჲ მელჲმ“ (ელიას ალი), (ქლსკი, ფონდი B).

(ელია — ძველი ალთქმის ერთ-ერთი წინასწარმეტყველი. კერპთაყვანისმცემელ აქაბ მეფეს უწინასწარმეტყველა, თუ იგი ერთდმერთიანობას არ დაუბრუნდებოდა მისი ქვეყანა დაისჯებოდა უწვიმობით. მართლაც იქ სამწელიწადნახევარი წვიმა არ მოსულა, დაიწყო შიმშილობა. ბოლოს ელიამ მოსთხოვა მეფეს: ცალ-ცალკე ავაგოთ საკურთხეველი და რომელზედაც ციდან ცეცხლი გადმოვა, ის ვიწამოთ ჰემარიტ ღმერთადო. მართლაც, ელიას საკურთხეველს ზეციური ცეცხლი დაეცა და შესაწირავი დაწვა. მთელმა ხალხმა აღიარა ელიას ნაქადაგარი ღვთის ჰემარიტება. წინასწარმეტყველის ლოცვით გვალვით დამზრალი მიწა ნანატრმა წვიმამ განაპოხა. ამქვეყნიდან გასვლისას, ელია უფალმა ცეცხლის ეტლით ცოცხლად აიტაცა ცაში).

საქართველოში, როგორც მიწათმოქმედთა ქვეყანაში ელია წინასწარმეტყველი დიდი პატივითა და მოწიწებით სარგებლობს, როგორც ამინდის გამგებელი. მას გვალვაში წვიმას შესთხოვენ ან პარიქით. ხალხური გადმოცემის თანახმად, ჰექა-ქუხილისას ელია ცაში ცეცხლის ეტლით დადის. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში (ლეჩხუმი, სვანეთი, იმერეთი...) დღესაც აღინიშნება მისი სახელობის დღესასწაული (ახალი სტილით 2 ავგისტო) ათასგვარი შეწირულობებითა და მრავალფეროვანი სუფრით.

### 1.2.3. ბიბლიურ სახელშეკრულთან დაკავშირებული შრახეოლოგიზმები

მოცემულ ქვეპარაგრაფში გაერთიანებულია ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც შექმნილია ამა თუ იმ ბიბლიური სახელის საფუძველზე:

**აარონის კვერთხი // მოსეს კვერთხი** (ძველი აღთქმის „გამოსვლათას“ მიხედვით მოსესა და მისი ძმის აარონის კვერთხმა უფლის ძალით ფარაონის თვალწინ გველის სახე მიიღო, ნილოსი სისხლად აქცია, მეწამული ზღვა ორად გააბო, წმიდა კარავში ამწვანდა, ფოთლები გამოისხა; უდაბნოში მყოფი მოწყურებული ხალხისათვის მოსემ კლდეს დაჰკრა კვერთხი და წყალი გადმოიინდა) — სასწაულოქმედი, უჩვეულო, გასაკვირი: „მგონი მოსეს კვერთხი აქვს, თორე ამ უფულობა-უმეფერობის დროს ასე რაფერ ცხოვრობს, გასაკვირია“, „ჩემი მშობლები მთელი ცხოვრება იძენდენ ამ ქონებას, თუარა მე მოსეს კვერთხი კი არ მქონია, უცებ რო შემეძინა ყუელაფერი“ (ქდსკი, ფონდი E).

ფართო საზოგადოებაში გამოთქმის პარალელური ფორმაა: „ხვითო ყავს“ — „სამშეიას გონია, ხვითო ყაუტს ჭიბეში, ამხელა სახლი რო ააშენა“ (ქდსკი, ფონდი E).

**აბრაამის წიაღი** (აბრაამი — ებრ. მამა მრავალთა) — ძველი აღთქმის მამა, ღვთისსათნო და მოყვარული. წმიდა მამათა განმარტებით, აბრაამის გვერდით განისვენებენ სხვა ღვთისმოყვარული ადამიანები; ქრისტეს აღდგომამდე მას პირველმართალთა წიაღი ეწოდებოდა. ამიტომაც მიცვალებულის საბანაშიდო ლოცვებში გვაქვს: „სულმან მიცვალებულისმან წიაღსა შინა აბრაამისთა განისვენოს და ნათესავმან მისმან დაიმკვიდროს ქვეყანა“) — კარგი, სანეტარო ადგილი; სიკვდილი. ღღესღღებით გვხვდება მხოლოდ სიკვდილის მნიშვნელობით, ზოგჯერ ირონიული დატირთვით: „განისვენა იოსელიანმა წიაღსა შინა აბრაამისათა“ (ქდსკი, ფონდი E).

**აბრაამის ტაბლა** („ეჩუნენა აბრაამს ღმერთი მუხსა თანა მამბრესსა... და აჰა საშნი კაცნი ზედა-შოადგეს მას... და მოიღო ერბო და სძე და ვბო... და დაუგო მათ სჭამეს; შესაქმე 18, 1-9)— უხვი, ყოველი სანოვაგით სავსე სუფრა: „მამაოები რომ ჩამოვიდნენ, მრევლმა აბრაამის ტაბლა გავუშალეთ“ (ქდსკი, ფონდი E).

„აბრაამის ტაბლას“ ძველად ეძახდნენ, აგრეთვე, გარდაცვლილის წლისთავზე სულის მოსახსენებლად გამართულ ტაბლას, რომელიც საესე იყო ყველა სახის საქმელ-სასმელით.

დღეს აღნიშნული გამოთქმის სინონიმური ვარიანტებია: „ჩიტის რძე არ აკლდა“, „ენით უთქმელი სუფრა“, „ენით თქმული ყველაფერი ჰქონდა“, „არნახული სუფრა“, „შველით უნახავი სუფრა“, „სუფრა — სულო და გულო“, „მაგიდა წელში იზნიკებოდა“, „სუფრა თვალებში ვერ იხედებოდა“, „ხელმწიფის მისართმევი სუფრა“.

გვხვდება იუმორული გამოთქმაც: „ობრად ეყარა ყველაფერი“. რაც შეეხება მიცვალებულის სულის მოსახსენებელ სუფრას, მის აღსანიშნავად გამოიყენება მხოლოდ ტერმინი „საკურთხი“, რომელიც შეიძლება გააკეთონ ორმოცზე, წლისთავზე და მიცვალებულთა მოსახსენებელ დღეებში.

**აღამის ნეკნი // ევას მოდგმა // მშენიერი სქესი**  
(„ღმერთმან [აღამი] ... დააძინა და მოილო ფერცხალი ერთი გუერდისა მისისა და ადაესო ჯორცითა მის წილ და აღუშენა უფალმან ღმერთმან გუერდი, რომელი მოილო აღამისაგან კოლად და მოიყვანა იგი აღამისა“ შესაქმე 2,21-22) — ქალი: „ამდენ ხალხში ერთი აღამის ნეკნთაგანი ისე აქტიურობდა, ვერაფრით გააჩერეს“ (ქდსკი, ფონდი E), „ჭარისკაცი უპირველეს ყოვლისა უნდა ერიდოს ღვინოს და ევას მოდგმას, თუარადა წასულია მისი საქმე“ (ახალციხე, 2000).

**აღამის ფამის // ადამუამობის // აღამის ხანის // მითაჟამის** — მითის დროინდელი, ძველი, უძველესი: „მოიტანა რაღაც ადამუამის ტანტი და იძახის ფასდაუღებელიაო“ (ქდსკი, ფონდი C)...

აღნიშნულ ფრაზათა პარალელურად ჩვენს მასალებში გვხვდება ფორმები „ნუსხა-ხუცურის დროინდელი“, „ღმერთისაგან დავიწყებული“ „ნიკოლოზის დროინდელი“, „რევოლუციამდელი“: „ისეთ რაღაცაზე მითხრა ჩემმა მამამთილმა, თუ ვახსოვსო, მე უთხარი: ნუსხა-ხუცურის დროინდელი კი არ ვარ, მაგი რა ვიკოლდე-თქვა“ (ქდსკი, ფონდი C); „სად იყო ეს ნიკოლოზის დროინდელი ტაშტი, არ წაგილიათ თურქეთში?“ (ქდსკი, ფონდი E), „საწყალი, ერთი ღმერთისაგან დავიწყებული კაცი იყო, ასაკი კი არა, მისი არსებობა ჩუენც გუავიწყდებოდა“ (ქდსკი, ფონდი C).

**ადამის შვილი // ადამის ძე // ადამიანის შვილი // კაც-  
ცი შვილი // ქეზორციელი** (ადამის ძე — მიმართვა მოდის ძვე-  
ლი აღთქმიდან: „და შენ, ძეო კაცისაო... არქუ ყოველსა მფრინ-  
ველსა და ყოველსა ფრთოანსა და ყოველთა მვეცთა ველისათა,  
შეკერებით და მოვედით“; ეზეკიელი 39,17) — ადამიანი: „ადამიანის  
შვილი, გიხსარი წამოდი-თქო“ (ქდსკი, ფონდი E), „კაცი შვილის  
ქაჭანება [ე.ი. ადამიანური ჩქამი] არ იყო“, „ეგი რო უთქუტი, ძე-  
ხორციელს არ ოუბია სული (სულის აბმა — ხმის ამოდება), გვი-  
სუსა ყუელა“ (ქდსკი, ფონდი C).

აღნიშნული ფრაზის პარალელურ ფორმად ლექსიკონებში  
გვხვდება გამოთქმა: „**ძე ღვთისა**“ — ადამიანი: ასევე იყენებს  
მას მ. ჯავახიშვილიც: „ისე უნდა წახვიდე, რომ ძე ღვთისამ არ  
დაგინახოს“ (ფრაზა მომდინარეობს ახალი აღთქმიდან: „შენ ხარ  
ძე ღვთისა ცხოველისა“ — მიმართა პეტრემ იესო ქრისტეს). რად-  
გან ძე ღვთისა მორწმუნეთათვის არის მხოლოდ მაკნობარი, იესო  
ქრისტე, ისინი ადამიანის აღსანიშნავად ამ შესიტყვებას არ მიმარ-  
თავენ.

**ბალთაზარივით ცხოვრება** (ძველი აღთქმის მიხედვით, ბალ-  
თაზარი იყო ნაბუქოდონოსორის შვილი, ქალდეველთა მეფე, რო-  
მელსაც ნადიმისას კედელზე წაეწერა ცეცხლის ასოებით: „მანე,  
თეკელ, ფარეს“, რაც მხოლოდ დანიელ წინასწარმეტყველმა ახსნა:  
„გაზომილია, აწონილია, დანაწილებულია“ ე.ი. შენი სამეფო სპარ-  
სთა ხვედრი იქნებაო; დანიელი 5,5-28) — უღარდელი დროსტა-  
რება განსაცდელის ჟამს: „ქუეყანა თაუზე ენგრევათ და მთავრო-  
ბის წევრები ბალთაზარივით ცხოვრობენ; რესტორნფეს აქ არ  
აღარულობენ და საზღუარგარეთ დადიან“ (თბილისი, 1998).

**გოგი და მაგოგი** (ძველი აღთქმის მიხედვით, გოგი სასტი-  
კი მეფე, მაგოგი მისი ხალხი და სამეფო; ეზეკიელი 38,39; „გამო-  
ვა, რათა აცდუნოს ხალხნი, რომელნიც არიან ქვეყნის ოთხივ კუ-  
თხივ, გოგი და მაგოგი, რათა საბრძოლველად შეკრიბოს ისინი“  
იოანეს გამოცხადება 20,8) — საშინელი, მძვინვარე ძალა: „ეს სა-  
შინელი დაავადება, კიბო, გოგი და მაგოგივით მოედო მთელ ქვე-  
ყანას“ (ქუთაისი, 2001).

**იერემიას გოდება** (იერემიას გოდება — ძველი აღთქმის  
ერთ-ერთი წინასწარმეტყველის წიგნი. იგი გოდებდა და მოსთქვამს  
თავისი ქვეყნის დაცემისა და დამხობის გამო) — ძალზე გლოვა,  
უიმედო მდგომარეობა. დღეს გვხვდება მხოლოდ ირონიული გაგე-

ბით. გამოიყენება ფრაზის „ნიანგის ცრემლები“ პარალელურად: „ეს შევარდნაძე იერემიას გოდებით რომ გუამცნოფს, არ დამიჯერეს და აფხაზეთი დაკარგეთო, თითონ არ შეუშუა კიტოვანი სოხუმში?“ (ქლსკი, ფონდი C), „გამიმართა, აქ იერემიას გოდება, ვითომ არაფერი იცოდა. ყუელამ ნახა, მისი შთილები რომ იყუნენ იმ ღამეს იქ“ (ქლსკი, ფონდი E).

**იობივით ღარიბი** (იობი — ძველი აღთქმის მიხედვით, ძალზე მდიდარი და ღვთის მოყვარული ადამიანი. იგი უფალმა გამოსცადა; წაართვა შვილები, სიმდიდრე, გააღატაკა და დაავადმყოფა, მაგრამ იობს ღვთის აუფი მანც არ დასცდენია: „წიგნი იობისა“) — ძალზე გაღატაკებული, მიწასთან გასწორებული, გაუბედურებული: „თუ რამ მქონდა, აფხაზეთში დავტოვე, ნაწილი ჭუბერში; სული შემრჩა მართო და უარ ახლა იობივით ღარიბ-ღატაკი. იმას რწმენა მანც ქონდა, მე ესეც წამერთუა“ (ქლსკი, ფონდი E).

ფართო საზოგადოებაში გავრცელებული პარალელური ფორმებია: „თითივით გალოკილი“, „თითზე გადასახვევი არაფერი აბადია“, „გატყაული კვერნასავით“, „ჩიბეგამოხეული დაღის“, „ნიფხავი არ აცვია“...

**იობის მოთმინება** (ძველი აღთქმის მიხედვით, იობმა დაკარგა ყველაფერი რაც გააჩნდა, შვილები, უთვალავი სიმდიდრე, მაგრამ ყველაფერი დაითმინა ღვთის სიყვარულით და აუფი არ დასცდენია - ძველი აღთქმა. იობის წიგნი) — უსაზღვროდ მომთმენი, გაჭირვების ამტანი ადამიანი: „იობის მოთმინება ქონია, საწყალს, რაც მაგან გადაიტანა და კიდე ღიმილი შეუძლია“, „ჩვენი ხალხი ამბობდა, ძმა და ძმიშვილის სიკვდილს რა იობის მოთმინებით შეხუთა ნუნუო“ (ქლსკი, ფონდი E).

ჩვენი მასალების მიხედვით, აღნიშნული გამოთქმის პარალელური ფორმებია: „დანით საჭრელი კაცი“, „ცხვარივით კაცი“: „დანით საჭრელი კაცია, რაც არ უნდა იყოს, ხმას არ ამოიღებს, მოგითმენს ბოლომდე“. ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალებში გვაქვს გამოთქმა: „იობი აფუ ჭოფილი“ (იობი ჰყავს დაჭერილი) — იტყვიან მამინ, როცა ვინმეს გვერდით მომთმენი და დამყოლი ადამიანი ჰყავს, (ქლსკი, ფონდი D).

**იობის დღეში ჩავარდნა** (წიგნი იობისა) — საშინელი გაჭირვება, სიღატაკე და ავადმყოფობა: „ისედაც გაჭირვებაში ვიყა-

ვით, მაგრამ ჩემი ქმარ-შვილის მკვლელობამ, იობის დღეში ჩამაგდო, სიკუდილიც საძებარია ჩემთვის“ (ქუთაისი, 1999).

ფართო საზოგადოებაში აღნიშნული გამოთქმის ბარალელურ ფორმად უმეტესად გვხვდება, ახალი აღთქმისეული ფრაზები: „ჯოჯოხეთში ჩავარდნა“, „ჯოჯოხეთური მდგომარეობა“ (ე.ი. წარმოუდგენლად გაჭირვებული მდგომარეობა): „ამ ვახელოსუფლებამ ჯოჯოხეთში ჩაგვადგო. მარტო ლტოლვილები კი არა, მიეღლი საქართველო“ (ქუთაისი, 1997).

**იობის ეშმაკი** (ძველი აღთქმის მიხედვით, სატანამ მოსთხოვა უფაღს, რომელიც ხარობდა იობის მისდამი სიყვარულითა და სიწრფელით, წაერთმია მისთვის სიმდიდრე, შვილები, ჯანმრთელობა და იობი დაიწყებდა ღვთის გმობას; იობი 1,6-12; 2,1-7) — უბოროტესი მტერი: „აღბათ, იობის ეშმაკი თუ შეუქთა თუარა, ასეთ საშინელებას კაცი ვერ გააკეთებდა, რაც მაგან გააკეთა“, (ქლსკი, ფონდი E).

**იობის დაჭერა** (წიგნი იობისა) — სხვისი მოთმინებით სარგებლობა; სარფიანი საქმის შოვნა: „უენო ცოლი ყაჟს, ხმას არ აღებებენ, იობი ყავთ დაჭერილი“; „იმნაირი საქმე იშოვა იობის ყავს დაჭერილი, კარქათ შოულოფს, კაცი არაფერს უჩივის, უმართლეფს ზოქს, ტყვილა ხტეტავს ფულს, ზოგი წელებზე ფეხს იღგამს, მარა არაფერია“.

**იოსებად თავის მოჩვენება // იოსებ მშვენიერი** („და იყო იოსებ კეთილ სახითა და შუენიერ ხიღვითა ფრიად“; შესაქმე 39,6) საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენის ქონა: „მყავს ეგეც მშვენიერი იოსები“, „მაგას ბიბლიური იოსებ მშვენიერი გონია თავი, იე დაღის“, (ქლსკი, ფონდი E).

ბარალელურ ფორმებად ფართო საზოგადოებაში გვხვდება ფრაზები: „თავი ღმერთად მოაქვს“, „თავი კიტრად მოაქვს“, „ყვენის თავს მოაქვს თავი“, „თავი კინოვარსკვლავი (აღენ დელონი // დიკაბრია // სოფი ლორენი // კლავდია შიფერი) ჰგონია“...

**იუდას ამბორი** (ახალი აღთქმის მიხედვით, გესემანიის ბაღში მყოფ ქრისტესთან იუდა მივიღა და ეამბორა. ამით ბილატეს ხალს ამცნო, თუ რომელი იყო იესო, რათა შეეპყროთ: „ხოლო იესუ ჰრქუა მას: იუდა, ამბორის ყოფითა მისცემა ძესა კაცი-სასა?“ ლუკა 22-48) — ვერაგული, ბირმოთნე საქციელი: „რატომ ხარ ასე გულუბრყვილო, ვერ მიხვდი, მისი კოცნა იუდას ამბორი რომ იყო; არაფერს კარგს არ მოგიტანდა მასთან მეგობრობა?“

(ქლსკი, ფონდი C), „სამწუხაროა, ხალხმაც რომ ამ ვაიმათავრობი-საგან ისწავლა იუდას ამბორი“ (ქლსკი, ფონდი E).

აღნიშნული გამოთქმის პარალელური ფორმებია: „ზურგში დანის ჩაცემა“, „ზურგსუკან სამარის გათხრა“ (შდრ.: „ხრანცივი (თხრილი) თხარა და აღმოკუეთა იგი და შთავარდეს იგი თხრებელსა მას, რომელიცა ქნა“; ფს. 7,15)

**იუდა ისკარიოტელი** (იუდა - ქრისტეს ერთ-ერთი მოწაფე, რომელმაც 30 ვერცხლად გასცა იესო. „ეშმაკი შესულ იყო გულსა იუდაძესა ისკარიოტელისასა, რადთა განსცეს იგი?“; იოანე, 13,2) — გამცემი, მოღალატე, მწვალებელი: „ვინაა ეს იუდა ისკარიოტელი, მან გააბზო ჩემი შუილის გული, მაგ შეჭამა მიწამ“ (ქლსკი, ფონდი E), „ამდენხანს მეგონა საქართუელოს ერთი იუდა ისკარიოტელი მართავდა, ახლა უზღდავ რამდენი იუდეები გაუზრდია მას, მაგრამ უნდა იცოდნენ, მათი ბოლოც მათი სულიერი წინაპრების მსგავსი იქნება“ (ქლსკი, ფონდი C).

**იუდას კერძი // ეშმაკის კერძი** (იუდას ლუკმა, მისი საქმის თანაზიარი) — ვერაგი, მოღალატე: „აქედან გადაშენდეს მაგ ეშმაკის კერძი, მისი ფეხი არ უნახო ჩემ ეზო-ყურეში“ (ქლსკი, ფონდი A). შესიტყვება ხშირად გეხვედება წყევლის ფორმებში.

**კაენის ბეჭედი** (კაენი — ადამის ვაჟი, პირველი მკვლელი კაცთა მოღვამაში, რომელმაც შურით სიცოცხლეს გამოასალმა საკუთარი ძმა: „და ჰრქუა მას უფალმან ღმერთმან: ყოველმან მომკვლელმან კაენისგან შვიდნი შურისძიებანი დაჰსნეს და დასდვა უფალმან ღმერთმან ბეჭედი (ნიშანი) კაენს არა მოკვად მისა ყოველისაგან მპოვნებისა მისისა“; შესაქმე, 4,15) — მოსარიდებელი, საშიში: „მაგას კაენის ნიშანი უნდა დაადო, შუილო. კაცმა არ უნდა გაისწაროს მაგის სისხლში ხელი, ღმერთმა მიაგოს მის წილ, რაც ჩუენ და ჩუენ ქუეყანას გაუკეთა“ (ქლსკი, ფონდი E).

**კაენის მოღვამა // კაენის შვილი // კაენის შთამომავლობა** („და თქუა კაენ აბელისა მიმართ ძმისა თვისისა: განვიდეთ ზოგად ველად? და იყო ყოფასა მათსა ველს, აღდგა კაენ აბელის ზედა, ძმისა თვისისა და მოკლა იგი“; შესაქმე 4,8) — მკვლელის, ყაჩაღის, შეუბრალებელი ვინმეს შთამომავლობა, ზოგადად იტყვიან კაცთა მოღვამაზეც: „ჯერ ვითომ კაი ბიჭია, მარა კაენის ჩამომავალია და არ მგონია მამის კუალს უღალატოს... ღმერთმა ჰქნას“ (ქლსკი, ფონდი C).



**კაენის ზეიმი** — ბოროტების თარეში, განუკითხაობა: „კაენის ზეიმი იყო 1992 წელს საქართველოში“ (ქდსკი, ფონდი E), „ამათ ზელში სიმართლე სანთლით საძებარია, შუილო, კაენის ზეიმი და რას იზამ“ (ქდსკი, ფონდი C)...

**მამა აბრაამის ბატკანი** (ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთისმოყვარე აბრაამს ღმერთმა გამოსაცდელად ერთადერთი შვილის — ისააკის მსხვერპლშეწირვა მოსთხოვა. მან, როგორც ღვთისმოსიშმა, სათნო და მართალმა კაცმა, მართლაც მიიყვანა უსაყვარლესი ძე სამსხვერპლოზე. სწორედ ამ დროს ღმერთმა ანგელოზი მოუვლინა აბრაამს, რომელმაც კრავი მოუყვანა მას, რათა შვილის სანაცვლოდ შეეწირა: „ნუ მიჰყოფ ჯელსა შენსა ყრმასა მაგას ზელა, ნუცა უყოფ მას ნურარას. აწ უწყი, რამეთუ გეშინის შენ ღმრთისა და ჰრიდებ ძესა შენსა საყუარელსა ჩემთვის... აჰა ესერა ვერძი ... და შესაწირი იგი მსახურებლად ისააკის წილ, ძისა თვისისა“; შესაქმე 22,12-13) — მიამიტი, უცოდველი, კეთილი; მოჩვენებითი, თითქოსდა უცოდველი. გამოთქმა დღეს გვხვდება მხოლოდ მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „ეგონა მისი რძალი მამა აბრაამის ბატკანი იყო, მარა კი გამოუფტქენა წარბები“ (ქდსკი, ფონდი A); „ვიცოდი მაგი რა მამა აბრაამის ბატკანიც იყო და მიტო არ ვენდე“ (ქდსკი, ფონდი E).

**მონანიე მაგდალინელი** (მარიამ მაგდალინელი — ცოდვილი ქალი, რომელიც ქრისტემ ხალხს არ ჩააქოვინა და მისგან სიძვის ეშმაკები განდევნა. მარიამმა ცრემლებით დაბანა მაცხოვარს ფეხები და საკუთარი თმებითვე შეუმშრალა. მარიამმა დარჩენილი სიცოცხლე სინანულსა და ღვთის სამსახურში გაატარა. ამიტომაც ღირსი შეიქნა აღდგომილი მაცხოვარი კაცთაგან პირველს ეხილა; იოანე 8; 20) — ცოდვების დამვიწყებელი, მოჩვენებით პატიოსანი. გამოთქმა ძირითადად გვხვდება ირონიული დატვირთვით: „ეგ მონანიე მაგდალინელი, ყველამ იცის, ახალგაზრდობაში ვინც იყო, ახლა დაბერდა, აღარ შეუძლია და ნოტებზე ლაპარაკობს (მაღალფარდოვნად ზნეობაზე მოსაუბრე)“ (ქდსკი, ფონდი C), „მაგ მონანიე მაგდალინელის ჭკუის სასწავლებელი რა მჭირს, არავის დავიწყებია, ვინც იყო“ (ქდსკი, ფონდი E).

**შენიშვნა:** მრევლი კრძალულების მიზნით აღნიშნულ გამოთქმას არ იყენებს... (მარიამ მაგდალინელი ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. წმიდა დედა მოციქულთა სწორადაა მიჩნეული თავისი შემდგომი ცხოვრების გამო).

**მოსესადმი ღალატი** (ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთის რჩეულმა და თავის ერზე შეყვარებულმა მოსემ უფლის კურთხევით გამოიყვანა თანამემამულეები მონობის უფლიდან და მრავალი სასწაული უჩვენა მათ. მონობაში დაბადებულნი ვერ შეეგუენ თავისუფლებისათვის ბრძოლას და უღაბნოში (მიუხედავად იმისა, რომ მოსეს ლოცვით ღმერთმა მათ ანგელოზთა პური აჭამა) მოსეს ყვედრება დაუწყეს, ხორცს ვერა ვჭამთო. ბოლოს უღალატეს მასაც და ღმერთსაც, ააგეს კერპები და მსხვერპლი შესწირეს მათ; გამოსვლათა 16:17; „განარისხეს იგი წყალთა მათ ზედა ცილობისათა და განბოროტნა მოსე მათთვის, რამეთუ მათ განაშწარეს სული მისი... ჰმონეს კერპთა... და დაუტყეს ძენი მათნი და ასულნი მათნი ეშმაკთა და დასთხიეს სისხლი უბრალოდ, სისხლი ძეთა და ასულთა მათთაჲ, რომელ-იგი უზორეს კერპსა მას ქანი-სასა, დაკვლით მოისრა ქუეყანა სისხლითა“; ფს.105, 32-33; 35-38) — კეთილი გზიდან გადახვევა, ღალატი: „წლების განმავლობაში ერთათ მოჴდილით, ჴიბროდით პატიოსნათ, მარა მერე მავან უღალატა მოსეს და იმას უკმია გუნდრუკი, ვინც აქეთ გჴეწინა- აღმდეგებოდა“ (ქდსკი, ფონდი E), „ჩემი ბიჭი ჳერ ქე დამყობოდა „ზაკაზებზე“ და ერთათ მუშობდით, მარა მერე უღალატა მოსეს და დაფშუტიროფს მისთჴის“ (ქდსკი, ფონდი C), „ვიორგიმ გაზარდა, კაცად აქცია, მარა ამან მერე უღალატა მოსეს და იმის მაგინებლებთან ჩაერთო საქმეში“ (ქდსკი, ფონდი E).

**ნოეს კიდობანი** (ნოე — ძველი აღთქმის მიხედვით, ღვთის-მოშიში და პატიოსანი, კაცი, რომელიც ღმერთმა გამოარჩია ამ თვისებების გამო თავის ოჯახთან ერთად. უფალმა უბრძანა მას, წარღვნამდე აეგო კიდობანი. შიგ შეეყვანა ყველა სულიერი მღებრობითი და მამრობითი სქესისა: „ჰქმენ ... კიდობანი ძელთაგან ოთხკედელთა: „სამასი წყრთა სიგრძე კიდობანისა და ერგასისი წყრთა სიგრცე და ოცდაათი წყრთა სიმაღლე მისი... ხოლო კარი კიდობანისა ჰქმენ იგურდიე ქუენად საყოფელად... ორ სართულე-ბად და სამ სართულეზად ჰყო იგი... და ყოველთაგან საცხოვართა და ყოველთაგან მჳეცთა და ... ჳორცისა ორ-ორი ყოველთაგან შეიყვანო კიდობნად... მამალი და დედალი“. (შესაქმე 6, 14-19) — დიდი, უზარმაზარი შენობა: „ამ საფიჩხიაზე რო გევილი, ნახავ, სულ ნოეს კიდობანივით სახლები წამოჭიმეს.“ „ახლა სახლებს აშენებენ, ნოეს კიდობანი გეგონება, დიდი, უსაშუელო რაღაცა“.

**ნოეს მტრები** (წარღვნის შემდეგ ნოემ მტრები გაუშვა კილობნიდან, რომელმაც უკან ზეთისხილის რტო მოუტანა. ნიშნად იმისა, რომ ორმოცდღიანი წვიმა შეწყდა: „და მოაქცია მისამართ ტრედმან მიმწუხარი და აქუნდა ზეთისხილისა ფურცელი ხელითა პირსა შინა მისსა. და ცნა ნოე, რამეთუ მოაკლდა წყალი პირისაგან ქუეყანისა“; შესაქმე. 8,11) — იმედის მომცემი, სასიხარულო ამბის მომტანი; ცრუ მოიმედე, ფარისეველი. გამოთქმა დღეს გვხვდება ძირითადად მეორე მნიშვნელობით ირონიული გაგებით: „მყავს ეგეც ნოეს მტრები. მაგის კეთილი სიტყუთ რომ ტყუედები ვერ ხუდები? გაიგე, ეგ გოგო თავისთუის უფრო ცთილოფს ვიდრე შენთუის“ (ქუთაისი, 1997).

**ნოეს ღვინო // ზედაშე ღვინო // საბარძიმე ღვინო // ქაშერი ღვინო** (ძველი აღთქმის მიხედვით, ნოე პირველი ადამიანია, ვინც ღვინო დააყენა და დალია: „და იწყო ნოე კაცმან საქმედ ქუეყანისა და დაასხა ვენაჯი და სუა ღვინისაგან და დითრო“; შესაქმე 9,20-21) — საუკეთესო ხარისხის ღვინო: „არ მინდოდა ვასვენებაში დარჩენა, მარა ბიჭებმა თქუს ზედაშე ღვინო აქუთ და სულ ეუხსენოთო“, „ქორწილი იყო იმნაირი სულ საბარძიმე ღვინო გუასაუეს“, „ბენოიამ ქაშერი ღვინო მაქო და იმასთან გადავედიოთ მერე“ (ქლცი, ფონდი E).

**პილატეს ცრემლები** (ახალი აღთქმის მიხედვით, რომელთა მიერ დანიშნულმა იუდეველთა მმართველმა პილატე პონტოელმა იესო ქრისტე დასასჯელად გადასცა ბრბოს. მართალია, თავად ხვდებოდა მაცხოვრის უდანაშაულობას, მაგრამ ხალხის რისხვის შეეშინდა; ამიტომაც გამოიტანა წყალი და ხელი დაიბანა მათ წინაშე: მე ამ საქმიდან უბრალო ვარო: „... ვითარცა იხილა პილატე, რამეთუ არარას არგებს, არამედ უფრომდლა შფოთი იქმნების, მოითხოვა წყალი და დაიბანა კვლნი წინაშე ერისა მის და თქუა: უბრალო ვარ მე სისხლისაგან მაგისა... ხოლო იესუს შოლტი სცა და მისცა მათ, რადთა ჭუარს ეცუას“ (მათე 27, 24-26) — არაყი: „ღვინო რო გაგუითაუდა, მერე პილატეს ცრემლები გამოვიტანე და იმით გავაგრძელეთ სმა“ (ხალხური გადმოცემის თანახმად, ქრისტეს ჯვარცმისას პილატეს სიმწრის ცრემლები წასცვივდა. აქედან გამომდინარე ანალოგიაა გატარებული არაყის სიმწარესა და პილატეს ცრემლების სიმწარეს შორის).

**სავლეს პავლედ ქეცვა** („საულ, საულ, რად მღვენი მე? — ზეციდან მოესმა ქრისტეს ხმა სავლეს, რომელიც ქრისტიანობას სდევნიდა და მოციქულებს დილეგში ამწყვედევდა. სულიწმი-

დის ძალით მას აეხილა სულიერი თვალი, შეიცნო ქეშმარიტება, მონათლა პავლედ და ეწამა ქრისტიანობისათვის; მოციქულთა 22, 7-16) — ბოროტის კეთილად შეცვლა, ცუდის კარგად გადაქცევა; დაუჭრებელი რამ. დღეს ძირითადად გვხვდება მეორე მნიშვნელობით და მხოლოდ ირონიული დატვირთვით: „რა უქნა, ძმაო, ამ ცხოვრებაში არ მჭერა სავლის პაწულეთ ქცევა, მით უმეტეს ელუარდისა გიორგით და რა უქნა“ (ქლსკი, ფონდი C), „უნდოდა სავლე პავლეთ ექცია, მარა ვერ მიართვეს, არ გამოუვიდა“ (ქლსკი, ფონდი A), „ჩუენ ცხოვრებაში არც საწულე იქცევა პავლეთ და არც ეკალი მოისხამს ჭარცს [ვარდს]“ (ქლსკი, ფონდი E). (შდრ. შ. რუსთაველი: „ცულსა კარგით ვერვინ შეცვლის, თავსა ახლით ვერვინ იშობს“, მაგრამ სახარების მიხედვით „უმუძღუბელი კაცთათვის, შესაძლებელ არს ღვთისათვის“).

**სოლომონ ბრძენი** (ძველი აღთქმის ერთ-ერთი დიდი წინასწარმეტყველი, დავით მეფესალმუნის ვაჟი, რომელიც გამოირჩეოდა დიდი სიბრძნითა და გონიერებით. მას მიეკუთვნება ძველი აღთქმის წიგნები: იგავნი, ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, ქებათა-ქება) — ჭკვიანი, ბრძენი; უტკუო, რეგვენი. დღეს, ძირითადად გვხვდება მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „სოლომონ ბრძენმა რა გირჩია, იყო ჭკუასთან ანლოს მაგის ნათქვამი?“ „გამოვიდა ეგეც სოლომონ ბრძენი, ჩემი საქმე მე უფრო ვიცი თუ მაგან?“ (ქლსკი, ფონდი E).

**ურწმუნო თომა** (ახალი აღთქმის მიხედვით, ქრისტეს თანამედროვე, რომელმაც არ დაიჭერა აღდგომის სასწაული და თქვა: „უკეთუ არა დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა არარადა მრწმუნის“; იოანე 20,25) — ძნელად დამჭერი, ურწმუნო: „კაცო, რატო ხარ ურწმუნო თომა, გეუბნები სინამდუღილია-თქუა და რა უქნა მეტი“ (ქლსკი, ფონდი E).

**ქრისტეს პერანგი** (ახალი აღთქმის მიხედვით, ქრისტეს ჯვარცმისას ჯარისკაცებმა კვართზე წილი ჰყარეს, თუ ვის შეხვდებოდა. ეს ყოველივე ნაწინასწარმეტყველები აქვს დავით მეფესალმუნესაც: „განხვრიტეს ხელნი ჩემი და ფერხნი ჩემი და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“; ფს. 21, 16-18. „ხოლო კუართი იგი, რომელ იყო უკერველ, ზემთ გამოქსოვილ ყოვლად, თქუეს უკუე ურთიერთას: არა განხვით ესე, არამედ წილ-ვიგდოთ ამას ზელა, ვისიცა იყოს“; იოანე 19, 23-24. წმიდა გადმოცემის თანახმად, მაცხოვარს აღნიშნული კვართი მოუქსოვა ყოვლადწმიდა ღვთისმშო-

ბელმა. ქრისტეს ზრდასთან ერთად პერანგიც იზრდებოდა.) — სადაო, საცილობელი რამ; დაუმთავრებელი, გაწელილი საქმე: „რა ქრისტეს კუბარითი შეიქნა, რით ვერ დაამთავრეთ ამ სახლის რემონტი“, „გოგო, შენ ქრისტეს პერანქს ხუ არ ქსოვ, რაა ამნაირი დოუმთავრებელი?“ (ქლსკი, ფონდი E).

**შენიშვნა:** მაცხოვრის წმიდა კვართის პატივისცემისა და კრძალულების გამო, მორწმუნენი აღნიშნულ ფრაზას იშვიათად იყენებენ.

**ქრისტეს ფენის მკამელი (მკანეტელი) // ეშმაკის ფენი // ეშმაკის ფენის მკამელი** — მოხერხებული, მატყუარა, გაიდევრა; ანცი, მოუსვენარი: შესიტყვება ღღეს გვხვდება მეორე მნიშვნელობით და ძირითადად გამოიყენება ცელქი ბავშვის აღსანიშნავად: „ამნაირი ეშმაკის ფენი ბოტუში ჭერ არ მინახია, იმაზია მაცადინი, რა გააფუქოს“, „ეგი ვინ გაჩთა, ეს ეშმაკის ფენის მკამელი, მთელი დღია დარბის, გამაცალა სიქა, სახ[ლ]ში ვერ შევიყუანე“ (ქლსკი, ფონდი E), „ბატუშვი კი არა ქრისტეს ფენის მკანეტელია, მაგის გაჩერება არაა; არც გაგიგონეფს, რო მოკუღღე ძახილით“ (ბათუში, 1999). ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სვანეთში ჩაწერილი მასალების მიხედვით, იმავე მნიშვნელობით გვაქვს შესიტყვება: „ქაჭი ნაყუილ“ (ეშმაკის განაყოფი) — მოხერხებული, მოუსვენარი, ანცი; „ქაჭ ხასგურ“ (ეშმაკი ჩასჯღომია) — გადარეული, მოუსვენარი, ანცი (ქლსკი, ფონდი B).

ფართოდ გავრცელებული მოცემული შესიტყვების გამოყენებას მორწმუნენი ძალზე ერიდებიან, რადგან „ეშმაკი“ მათთვის ქრისტეს მტერია. ცელქი ბავშვებისადმი მსგავსი მიმართვა არაერთხელ ყოფილა მრევლის წევრთა შორის დავის საბაბი.

აღსანიშნავია, რომ მოცემული გამოთქმა შესაძლებელია რელიგიური აკრძალვის წლების ნაყოფი იყოს, ისე როგორც ფრაზეოლოგიზმებში: „ეშმაკის ფენი“, „ეშმაკუნები უხტის თუღლებში“... ეშმაკის არსი შეცვლილია.

#### 1.2.4. მატრფლადიფაგურ ჟენ-ჩვეულებათან ღაკაგში-რეპული შრახოელობიური ერთეულები

მოცემულ ქვეპარაგრაფში გავაერთიანეთ ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც სათავეს იღებს საეკლესიო რიტუალებიდან და წეს-ჩვეულებიდან:

**ალილო და ხვალეო // აღდგომა და ხვალეო** (ალილო (აქედან ალილო) ებრ. — ქება; — აღიდეთ უფალი. ქრისტიანული ღვთისმსახურების საზეიმო მისამღერი; ალილო შობის წინა დამის სიმღერა, ჭონა, როცა მომღერლები კარდაკარ ჩამოვილიან და ხალხს სიმღერით მიულოცავენ შობას: „ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო, ჰაი, ალილო... ანგელოზთა გუნდი გალობს ალილო, იესო დაბადებულა, ალილო.“) — ამასაც მალე ვნახავთ, ესეც მალე გამოჩნდება: „აგერ უნახაჲთ, ბატონო, თუ ამ საქმიდან რამე გამოვა, ალილო და ხტალეო“, „აღდგომა და ხტალეო, შეუზნეად რისი გამკეთებელიც ხარ“ (ქდსკი, ფონდი C).

**ალილოზე სიარული** — კარდაკარ სიარული, შინ გაუჩერებლობა (მსგავსად მომღერალი მეალილოებისა, რომლებიც კარდაკარ დადიან და „ალილოს“ მღერიან): „რა მეალილოესავით დადიხარ, საქმე არა გაქვს?“ „ამან დღეს ბარე სამგერ ჩამეიარა, ალილოზე ხტარ დადის ნეტაი?“ (ქდსკი, ფონდი E).

**ანათემაზე გადაცემა // ხატზე გადაცემა** (ბერძ. αναθεματισμός — შორს, τιμωρι — დაყენება). ანათემა — საეკლესიო წყევლა, უდიდესი სასჯელი ქრისტიანობაში; რისთვისაც იკითხებოდა სპეციალურად განკუთვნილი 108-ე ფსალმუნი და ტარდებოდა საგანგებო რიტუალი. ანათემაზე გადასცემდნენ მწვალებლებს, ერეტიკოსებს, ეკლესიის მოწინააღმდეგებს. გამოთქმა სამუდამო დაწყევლას, შეჩვენებას ნიშნავს. მის პარალელურად, ამავე შინაარსით ხალხში გვხვდება „ხატზე გადაცემა“: ხატს შეევედრებიან და გადასცემენ ამა თუ იმ პიროვნებას, რათა გაუსწორდეს, დაწყევლოს, სამაგიერო მიუზღოს შემცოდეს ჩადენილ ბოროტებაზე) — წყევლა, შეჩვენება, განკვეთა, უფლის სახელით წყრომა: „მა გუარო ხატზია გადაცემული და მიტო ვერ იხარეფს კაცები მათში“ (ქდსკი, ფონდი E), „ანათემაზე გადაცემის ღირსია ჩემი ოჯახის ამ დღეში ჩამაყენებელი“ (ქდსკი, ფონდი E), „ლიტიამ ხატზე გადაცა ის კაცი, ვინამაც ბოში შეუვლო და კინაღამ ამოწყუთა ოჯახი“ (ქდსკი, ფონდი E). ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის სვანური მასალების მიხედვით, იმავე მნიშვნელობით გვაქვს ტერმინი „გერკამ, რაც ხატზე გადაცემა, დაფიცებას ნიშნავს (დაფიცების ამბობენ ამასა და ამას შეასრულებ და თუ არა დაწყევლილ იყო...“).

**უნისუნა:** ანათემაზე (ხატზე) გადაცემის ჩვეულება გვხვდება, ძირითადად, დასავლეთ საქართველოს მასალების მიხედვით.

**აღდგომის გათენება // აღდგომის დადგომა** (აღდგომა — საუფლო დღესასწაულთა თავი. უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს მკვდრებით აღდგომა, საყოველთაო რელიგიური ზენიმი. აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, ენების კვირა (ქრისტეს წამება, ეკლის გვირგვინით შემკობა, ჭვარცმა. ენების, ესე იგი, ტანჯვის დღეები). ჭვარცმულმა მაცხოვარმა სიკვდილით გამოისყიდა კაცთა მოღვმის შეცოდება, გამოიყვანა ჯოჯონეთიდან მართალთა სულეები, ადამიანები ღმერთს შეუერთა და დაუბრუნა დაკარგული სამოთხე. მან სიკვდილითა დასთრგუნა სიკვდილი) — ბედნიერება, გამართლება, გახარება: „ეს საქმე თუ გამოვიდა, აღდგომა გათენებია და ეგაა“ (ქდსკი, ფონდი E), „ილიკო რო დავინახე, აღდგომა გამითენდა პირდაპირ, გადავირიე ქალი“, „იქანა რო მუშაობა დამაწყებია, აღდგომა დამიდგება ნამდუღლათ“ (ქდსკი, ფონდი C), მეგრული მასალების მიხედვით, ვეაქვს შესიტყვება: „თანაფაქ გუთანდიე“ (აღდგომა გაუთენდა) // „თანაფა ულუნა“ (აღდგომა დაუდგა) (ქდსკი, ფონდი D); სვანური მასალების მიხედვით კი აღნიშნული ფრაზეოლოგიზმი ერთი სიტყვითაა გადმოცემული: „ჩანთანაფუნ“ (გაუაღდგომა), (ქდსკი, ფონდი B).

**გუნდრუკის კმევა** (გუნდრუკი — სპარს. — სურნელოვანი ფისი; საეკლესიო რიტუალისათვის დამახასიათებელი ქმედება. წმიდა მამათა სწავლებით, გუნდრუკის ანუ საკმეველის სურნელება სიმბოლოურად სულიწმიდის მადლს ნიშნავს. სურნელოვანი კვამლი კი — ადამიანთა ამ მადლით დაფარვას, დაცვას. ძველ აღთქმაში იგი უფლისადმი ქება-დიდების აღსანიშნავ ერთ-ერთ დიდ ძღვენად გამოიყენებოდა; ასევეა ახალი აღთქმის მიხედვითაც. ახალდაბადებულ მაცხოვარს მოგვებმა, დიდი პატივისცემის ნიშნად, მიართვეს: ოქრო, მური და გუნდრუკი.) — პირფერობა, მლიქვნელობა: „დღეს პარლაამენტართა უმრავლესობა შევარდნაძეს უკმევს გუნდრუკს“, „ისეთი ცხოვრებაა, საქმე რომ გააკეთო, ძალსა და მამაძალს გუნდრუკი უნდა უკმო“ (ქდსკი, ფონდი E), „მიდღემში გუნდრუკის კმევა იცოდა და არ ვენდობოდი მანდამანინც იმ კაცს და ქე გამიმართლა ბოლოში“ (ქდსკი, ფონდი A).

**დიაკვანივით კითხვა // მღვდელივით ბუტბუტი // მე-  
დავითნესავით კითხვა** (დიაკვანი — ბერძ. δΙΑΚΟΝΟΣ — მსახუ-  
რი, მღვდლის თანაშემწე, ღვთისმსახურების შესრულებისას კი-  
თხულობს საეკლესიო წიგნებს; მღვდელი — ქრისტიანული სარ-  
წმუნოების მსახური, მრევლის თავი, უფლებამოსილი — ჩაატაროს  
ველა საიდუმლო წესი, გარდა მღვდლადკურთხევისა; მედავითნე  
— დავითნის ანუ ფსალმუნთა წიგნის წამკითხავი ეკლესიაში) —  
ძალზე ჩქარა, გაუგებრად, გაურკვეველად კითხვა რისიმე: „რა  
ჩვენი მედავითნესავით კითხულობ, გამაგებინე, რა წერია“, „სულ  
ვეუბნები, გამოკუთვითლათ და ნელა იკითხე, მადავითნესავით რო  
კითხულოფ-თქუა“ (ქლსკი, ფონდი E).

შენიშვნა: დღეს ძირითადად გამოიყენება შესიტყვება: „მელა-  
ვითნესავით კითხვა“.

**ველოგია ხომ არაა? ევლოგიასავით ჩამორიგება** (ბერძ.

εὐλογία — კურთხევა; ევლოგია დღეს ეწოდება მრგვალ ნაკურთხ  
პურს ანუ სეფისკვერს (სიმბოლურად ქრისტეს ხორცი), რომელ-  
საც მორწმუნენი ეკლესიაში იძენენ და აგზავნიან საკურთხეველში,  
როგორც წმიდა შესაწირავს მიცვალებულთა მოსახსენებლად ან  
ცოცხალთა სამშვიდობოდ. მისგან ამოკვეთილ ნაწილს მღვდელი  
ჩაუშვებს ბარძიმში ღვინოსთან ერთად. იგი სპეციალური ლოცვე-  
ბის შემდეგ გადაიქცევა ქრისტეს სისხლად და ხორცად. ვინმეს  
სახელზე შეგზავნილი ასეთი სეფისკვერი ნიშნავს მის თანაზიარე-  
ბას ქრისტესთან. წირვის ბოლოს პატარა ნაჭრებად დაჭრილ ევ-  
ლოგიას ურიგებენ მორწმუნეებს) — ძალზე მცირე, პატარა (ით-  
ქმის მხოლოდ საჭმელზე): „ეს რა მომეცი, ევლოგია ხომ არაა?  
დამიმატე კიდე!“, „გოგო, ეს ნამცხუარი ეულოგია ხო არაა, ასე  
ცოტა რო ჩამოგურიგე?“ „ადრე, შუილო, ხაჭაპურს ეულოგიასა-  
ვითა ჩამოვარიგებდით ქორწილში, აბა ომიანობისას სად იყო იმ-  
დენი“ (ქლსკი, ფონდი E).

**ერთი ზიარება დარჩა // მღვდელი ზიარებას ვერ მო-  
ასწრებს** (ზიარება — წმიდა ქრისტიანულ საიდუმლოთაგან ერთ-  
ერთი უმთავრესი. ამ დროს ქრისტეს სისხლად და ხორცად გა-  
დაქველ ღვინოსა და სეფისკვერის მცირე ნაწილს მიიღებენ  
მორწმუნენი ნიშნად უფალთან თანაზიარებისა, შეერთებისა. საზა-  
რების თანახმად: „რომელი სჯამდის ხორცსა ჩემსა და სუმიდეს  
სისხლსა ჩემ შორის ჰვიეს და მე მის თანა“ — მაცხოვრის სიტყვე-  
ბი საიდუმლო სერობისას, როდესაც მან საფუძველი დაუდო ზიარ-



რების წმიდა საიდუმლოს) — მცირე დრო დარჩენილი სიცოცხლისა: „საწყალი, ვალიკო, ერთი ზიარება და რჩა“ (ქლსკი, ფონდი C), „ახლა თუ გატყუდი, მღვდელი ზიარებას ვერ მოასწრეფს“ (ქლსკი, ფონდი E).

**ეშმაკის შეფურთხება** (ეშმაკი — სპარს. — ავი სული; გამოთქმა მომდინარეობს ნათლობის რიტუალიდან, როცა მოსანათლი მღვდლის მოთხოვნის თანახმად სამჯერ ამბობს: „ფუი, ეშმაკს“) — უდიდესი მოშორება, ბოროტების დაგდება და სიკეთის გზაზე დადგომა: „შეაფურთხე ეშმაკს და დამეხმარე ამ კეთილ საქმეში“, „შეაფურთხე ეშმაკს და დაიწყე შეცადინება“ (ქლსკი, ფონდი E). მოცემული შესიტყვება დასტურდება მეგრული და სვანური მასალების მიხედვითაც: მეგრ. — „ფუი, ეშმაკს“; „ქინეაფურტინ ეშმაკის დო მოკირთ ჩქინდე“ (შეაფურთხე ეშმაკს და მობრუნდი ჩვენენ), (ქლსკი, ფონდი D); სვან. — „ლახტებინ ქაჟს“ (შეაფურთხე ქაჟს, ესე იგი, ეშმაკს), (ქლსკი, ფონდი B).

**ვიჯმნი ეშმაკისაგან // ეშმაკისაგან განშორება** (გამოთქმა მომდინარეობს ნათლობის რიტუალიდან. მღვდელსა და მოსანათლს შორის კითხვა-პასუხიდან, რომელსაც სამჯერ იმეორებენ: „ვიჯმნი ეშმაკისაგან?“ — „ვიჯმნი“, „განეშორები სატანასა?“ — „განეშორები“) — უდიდესი საქმისაგან განშორება, სიკეთის გზაზე დადგომა: „ის ისევ იკეთებს [შორფს] თუ იჯმნა ეშმაკისგან“ (ქლსკი, ფონდი E), „არ გარგია უაზრო სიარული, მოშორდი ეშმაკს და ოჯახს მიხედე“ (ბათუმი, 2001). იმავე მნიშვნელობით მეგრულში გვხვდება შესიტყვება: „მორძგვე მოკირთუ“ (მარჯვნივ შემობრუნება), (ქლსკი, ფონდი D); სვანურში ლოცვის ფორმებში გვაქვს: „მარჯვნივ მაყოფე“ ე.ი. ბოროტს განეშორე და ავისაგან დამიცავი: „ჯგრგ აგურდინ ლეხგუნე ფოყი“ (წმიდა გიორგი გვიმყოფე მარჯვენა მხარეზე), (მასალა მოგვაწოდა ქლსკი მეც. თანამშრომელმა ნ. ნაკანმა). სახარების თანახმად, ქრისტეს მტერნი მარცხენა მხარეზე იქნებიან, საქმით მიმდევრები კი მარჯვენაზე. მარცხნივ მყოფნი გადასცივიან ჯოჯოხეთის საუკუნო ცეცხლში.

**ლოცვა-კურთხევის აღება (მიცემა, გატენვა)** (საეკლესიო რიტუალი, მღვდლისაგან დალოცვის გამოთხოვა) — ნებართვა; ლანდვაგინება: „მამაო ლოცუა-კურთხევა მომცა, ავადმყოფობის გამო მარხვის დღეფში რძის ნაწარმი მივიღო“; „მამაჲმისგან ლოცუა-კურთხევა ვერ ავიღე, არ მიშუფეს ექსკურსიაზე“ (სამბრედია 1999), „სანამ თავისახლს წაეიდოდი, ჩემმა ქმარმა

კარგი ლოცვა-კურთხევა მომცა“, „ჩემი მეუღლე, ეკლესიაშიც რომ მოვდივარ, მაშინაც კაი ლოცვა-კურთხევას მატნევს, ისეთი უხეირო კაცია“ (ქუთაისი 2001-2002).

**მამაო ჩვენსავით გაზებირებული** („მამაო ჩვენო“ საუფლო ლოცვა, რომელიც სახარების მიხედვით თავად მაცხოვარმა ასწავლა ადამიანებს. ღვთისმსახურებაში დასაწყისი ლოცვების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი) — უშეცდომოდ, კარგად ნასწავლი; გაუცნობიერებლად გაზებირებული რამ: „მამაო ჩუენოსავით ჩაარაკრავა ბაბუშუმა ლექსი“, „რა მამაო ჩუენოსავით ყუებო, სიტყუების მნიშუნელობა არ გესმის?“ (ქლსკი, ფონდი E).

**მარხვის გატეხვა // მარხვის ჭამა** (მარხვა რელიგიური რიტუალი, რომელიც გარკვეულ პერიოდში კრძალავს ზორცის, კვერცხისა და რძის პროდუქტების გემოს ხილვას) — აკრძალული საკვების მიღება: „მარხუა გავტეხე, ყუელი დავინახე, ვერ მოვითმინე და შეუჭამე“ (ქლსკი, ფონდი C), „თუ მარხვას ჭამ მღუდელი არ გაზიარფს“, „შიშნინა კუპატები რო დავინახე, კი გამიტყდა მარხვა“ (ქლსკი, ფონდი E).

**შენიშვნა:** მარხვის გატეხვას უნდა უკავშირდებოდეს სვანური „ნატ ოთკუაშ“, სიტყვისიტყვით „ხატის გატეხვა“ ანუ ფიცის, აღთქმის უარყოფა, დარღვევა (ფიცის გატეხვა). ესე იგი, ხატისათვის მიცემული პირობის (სიტყვის) შეუსრულებლობა, დარღვევა (სვანური ტრადიციის მიხედვით, ადამიანს ხატზე დაფიცებენ ამა თუ იმ საქმის შესრულებას). მეგრული მასალების მიხედვით — მარხვა „პიჩვანი“ — სიტყვისიტყვით ნიშნავს პირის დაცვას, შენახვას.

**მფარველი ანგელოზი // ჩემი ღმერთი** (ქრისტიანული ნათლობისას ადამიანს მიენიჭება (ანგელოზი — ბერძ. αγγελος — შიკრიკი, მაცნე) მფარველი, მცველი ანგელოზი. მღვდელი ლოცვაში კითხულობს: „ანგელოზი მფარველი სულთა და ზორცთა ჩვენთა უფლისა მიმართ ვითხოვოთ...“ ძველი აღთქმის მიხედვითაც გამორჩეულ ადამიანებს ღმერთი მცველად ამა თუ იმ მთავარანგელოზს მიუჩნდა. მაგალითად, ტობიასს წინ უძღოდა რაფაელ მთავარანგელოზი, სასიხარულო მაცნედ მიდიოდა გაბრიელ მთავარანგელოზი, წინასწარმეტყველ ეზრას რჩევა-დარიგებას აძლევდა მთავარანგელოზი ურჩიელი...) — დამხმარე, მშველელი, შემწე.

ღღეს მორწმუნენი კრძალულობის მიზნით მეტ-ნაკლებად ერიდებიან აღნიშნული ფრაზის გამოყენებას შემწე, დამხმარე ადამიან-

ნის აღსანიშნავად და ნაცვლად ამბობენ: „ჩემი ანგელოზის (ესე იგი, მფარველი ანგელოზის) გამოგზავნილი ხარ“, „ღმთისაგან მოვლენილი ხარ...“ (ქუთაისი, 2000) მეგრული მასალების მიხედვით გვაქვს ფრაზა: „ღორონთქ ქემომჭლინ სკან ღუღი“ (ღმერთმა გამომიგზავნა შენი თავი), (მასალა მოგვაწოდა ქდსკი მეც. თანამშრომელმა ე. დადიანმა).

**სალოცავი ხატი // საფიცარი ხატი** (ხატი — მსგავსი, ანალოგი უფლისა ან რომელიმე წმიდანის, რომელზედაც ლოცულობენ და ითხოვენ შემწეობას, დახმარებას, შეწყურებენ დიდი რწმენითა და იმედით) — მეტად ძვირფასი, საუკეთესო ვინე ან რაიმე: „დედღაჩემი ჩემი სალოცავი ხატი იყო, საწყალი, და მკვდარსაც ასე ვუყურებ“ (ქდსკი, ფონდი E), „მაგათი სალოცავი ხატი ფულია, ღარიბი კაცი ადამიანად არ მიაჩნიათ“ (ქდსკი, ფონდი C)...

**სანთელივით უნთია // სანთელივით უყურებს** (სანთელი — წმიდა საეკლესიო შესაწირავი, რომელსაც იმედით შეწყურებენ) — საიმედო, საფიცარი, მოსაფრთხილებელი ვინმე: „ერთი შუილი სანთელივით უნთია და ჯარში არ გაუშუფეს“ (ბათუმი, 2002), „სანთელივით საყურებელი ძმა მყატს, მეტი ვინ დამრჩა“ (ზესტაფონი, 1998)...

**სახარების წაკითხვა** (ბერძ. εὐαγγέλιον — ხარება, სასიკეთო ცნობა; სახარება — ბიბლიის შემადგენელი ნაწილი, ახალი აღთქმა, შედგება ოთხი მოციქულის, ქრისტეს მოწაფეების — მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს წერილებიდან ქრისტეს მიწიერი ცხოვრების, მისი იგავებისა და ქადაგების შესახებ. სახარების წიგნიდან ამა თუ იმ თავებს კითხულობენ საღვთო ლიტურგიისას) — ვინმეს ჭკუის სწავლება, დარიგება. ფრაზა დღეს გვხვდება ძირითადად ირონიული გაგებით: „შენგან სახარების კითხუა არ მჭირდება, თავი დამანებე“, „ამ მთავრობის რა უნდა ვიწამო, ჩუენი ნაშრომ-ნაწულები შექამეს და აქეთ გუიკითხავენ სახარებას“ (ქდსკი, ფონდი E).

ფართო საზოგადოებაში აღნიშნული მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმა: **„ვარადნიკის (რუს. вара́тник - საყელო) გასწორება“**, **„ულვაშების გაპარსვა“**, რომელსაც სხვა ნიუანსიც ემატება. ესაა ჭკუის სწავლება სამაგიეროს გადახდით: „დაანებე თავი ქადაგებას, თორე დადგება ღრო და მეც გაგისწორებ ვარადნიქს“, „მაღე შაშაიშვილსაც გაპარსავენ ულვაშებს“ (ქდსკი, ფონდი E).

**ღმერთის ჩამოყვანა // ხატის ჩამოსვენება // შვილი რომ მოუნათლო, შენსკენ არ გამოიხედავს** (ღმერთის ჩამოყვანა — ღმერთის მიწაზე ჩამოყვანა, ესე იგი, კაცთა კეთილდღეობა, ნეტარება; ხატის ჩამოსვენება — საეკლესიო რიტუალი, როდესაც რომელიმე წმიდანის ხატს გარეთ გამოასვენებენ ერი-სათვის საამბობრებლად ამა თუ იმ თხოვნის შესრულების მიზნით, რაც, ხალხის რწმენით, უცილოდ შესრულდება. გვაღვისას ხატის წყალში ჩასვენება, რასაც უმეტესად წვიმა მოსდევს; შვილის მონათვლა — უახლოესი ადამიანის გაქრისტიანება, ღმერთის მფარველობაში მოქცევა) — ხვეწნა-მუდარა; უმადურება: „რა არ უთხრა, ღმერთი ჩამოყვანა ციდან, მაგრამ არაფრით მოუსმინა“ (ქლსკი, ფონდი A), „კაკო, ხატები რო ჩამოუსვენო, მაინც არ დაგებმარება“, „შეილი რომ მოუნათლო, ხელს არ წაგაშუღელფს, შენსკენ არ გამოიხედავს“ (ქლსკი, ფონდი E)...

**ქადაგად დავარდნა** (ქადაგი, ბიბლიური წინასწარმეტყველი; მოძღვარი, რომელიც ხალხს ღვთის სათნო საქმეებს ამცნობს და მოძღვრავს) — ბევრი ლაპარაკი: „ჩუენი შაშიაშუილი მთლად ქადაგად დავარდა და საქმე კი დაავიწყდა“ (ქლსკი, ფონდი E)...

**ღმერთის ხსენება // ქრისტეს შედგომა** (ღმერთის ხსენება — წმიდა მამათა სწავლების თანახმად, ყველა საქმის დაწყების წინ ღმერთს აღიდებენ, შეწვენას სთხოვენ და პირჯვარს იწერენ; ქრისტეს შედგომა — ნათლობის რიტუალის ერთ-ერთი ფრაზა, რომელიც მღვდელსა და მოსანათლ პიროვნებას შორის იმართება: „შეუდგები ქრისტესა?“ — „შევეუდგები“, ე.ი. დაიწყებ ახალ ცხოვრებას?) — საქმის დაწყება: „ვახსენოთ ღმერთი და შევეუდგეთ საქმეს“ (ქლსკი, ფონდი E), „რატომ ფიქროვ ამდენს, ახსენე ღმერთი, ნუ ზარმაცოფ!“ (ზეესტაფონი, 1999), „რას შუება მაგ, კიდე არ შედგომია ქრისტეს, მასე მოიყუანს ცხოურებას?“ (ქლსკი, ფონდი A).

**წითელი კვერცხი** (სისხლით გამოსყიდული სიცოცხლის, დედამისის სიმბოლო ქრისტეანობაში. კვერცხი იღებება ვნების კვირაში წითელ პარასკევს, ნიშნად მაცხოვრის გვარცმისა და სისხლის დათხებისა. წითელი კვერცხით ერთმანეთისთვის ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის ხარება უკავშირდება წმიდა მარიამ მაგდალინელის სახელს. როცა ნეტარმა წმიდანმა აღდგომილი მაცხოვარი იხილა, მან ეს უდიდესი ბედნიერება ყველას აუწყა, მათ შორის იმპერატორსაც. ამ უკანასკნელმა მაგიდიდან კვერცხი აიღო

და უთხრა: როგორც ეს კვერცხი არ გაწითლდება, ისე დამარხული კაცი ვერ აღსდგებოდაო. სწორედ ამ დროს კვერცხი წითლად შეიფერა) — საალერსო, მოსაფერებელი; გამორჩეული, განსაკუთრებული. დღეს გამოთქმა გვხვდება მხოლოდ მეორე მნიშვნელობით ირონიული გაგებით: „ეგ რა წითელი კუერცხია?“ „მე უთხარი: ამხანაგეფს რომ არ მოქყუბები, წითელი კუერცხი ხარ? ან ჩუენთან ერთათ იქნები ან წახუალ საერთოთ აქედან-თქუა“ (ქუთაისი 2001). სვანური მასალების მიხედვით გვაქვს შესიტყვება: „გგვრანგო ჯან მამ ხი?“ — „წმიდა გიორგის სახელზე შეწირული ხარი კი არ ხარ? (წმიდანების სახელზე გაზრდილ საქონლებს შეწირვამდე ყველაფრის უფლება აქვთ. მათ ნათესაში გადასვლასაც პატიობენ (ქლსკი, ფონდი B). მსგავსი დატვირთვა აქვს ხევსურულში შესიტყვებას: „კობალადს ხარი ხომ არა ხარ?“ — მასალა მოგვამოდა პროფ. ალ. ჭინჭარაულმა).

**წითელი კვერცხის გორება** (აღდგომის მეორე დღეს მიცვალებულთა საფლავზე კვერცხს გადააგორებენ, ნიშნად იმისა, რომ მაცხოვარმა ჯოჯობიდან გამოიხსნა სულელები და ზეცას დაუბრუნა. ქრისტეს აღდგომამ საფუძველი ჩაუყარა მიცვალებულთა მომავალ აღდგომას) — მოფერება, დათმობა. გამოთქმა გვხვდება ძირითადად ირონიული გაგებით: „უგოვრე ახლა ამას წითელი კუერცხი“, „მე მაქუს ბედი? შინ და გარეთ ყუელას წითელი კუერცხი უნდა უგორო“ (ქლსკი, ფონდი E).

**წესის აგება // ანდერძის აგება** (წესის აგება, ანდერძის აღსრულება — მიცვალებულთა უკანასკნელი პანაშვიდი. გარდაცვლილთათვის განკუთვნილ რელიგიურ საქმიანობათა, წესთა (საეკლესიო კრებულები — წესი და განგება მიცვალებულთათვის) ერთობლიობა) — ბოლოს მოღება, მოსპობა, ანგარიშის გასწორება: „მაგ ნუ ტრებახოფს თავისი ქურდებით და ფულით, თორემ უნახავ როგორ აუგებენ წესს“ (ქუთაისი, 2002), „ამ მთაჭრობასაც აუგებენ წესს, ისე არ იქნება“ (ქლსკი, ფონდი C).

ფრაზა გვხვდება დამუქრების ფორმითაც: „მანდ არ მომიყუანოთ, თორემ აგიგფთ წესს“ (ზონი, 1999).

**წირვის გამოხვლა // წირვის გამოყვანა** (წირვა — საეკლესიო წმიდა ლიტურგია (ბერძ. λειτουργια — მსახურება), უსისხლო მსხვერპლშეწირვა. ფეშხუმზე დასვენებული სეფისკვერის ნაწილი სიმბოლოა ქრისტესი, რომელიც „ვითარცა ცხოვარი კლვად მიიგვარა“. უსისხლო მსხვერპლშეწირვას საფუძველი დაუ-

დო მაცხოვარმა საიდუმლო სერობისას „ესე არს ხორცი ჩემი თქვენთვის განტეხილი... ესე არს სისხლი ჩემი თქვენ მრავალათვის დათხეული მისატევებლად ცოდვათა“; მათე 26,28) — დასრულება, დაბოლოება; სიკვდილი: „ამ უსაჭამალობისას ლობიოს კი გამოუყუანეთ წირუა“ (ქდსკი, ფონდი C); „როდის გამოუვა მაგის სიცოცხლეს წირუა, როდის ამოვისუნთქაუთი?“ (მათუმი, 1998).

**ჯვარი აქაურობას // ჯვარი გეწეროთ** (ჯვარი უდიდესი საეკლესიო სიწმიდე, ნიშნად ქრისტეს წამების საფასად კაცთა სიცოცხლის გამოსყიდვისა. პირვერის გადაწერა — ე.ი. სხეულზე ჯვრის გამოსახვა, ღვთისმსახურების ერთ-ერთი აუცილებელი რიტუალი. მარჯვენა ხელის ცერა, საჩვენებელ და შუათითს შეაერთებენ, არათითს და ნეკს კი მოხრიან. პირველი სიმბოლოა სამების ერთარსებობის, მეორე კი ქრისტეს ორბუნებოვნების (კაცი და ღმერთი) — მფარველობა, დაცვა ყოველივე ავისაგან: „ჯვარი აქაურობას და მელქაძეები გაუქურდიათ წუხელ. თითზე გადასახვევი არაფერი დაუტოვებიათ სახლში“ (ქდსკი, ფონდი E). სვანური მასალების მიხედვით იმავე მნიშვნელობით გვაქვს შესიტყვება: „სტარუინ ჯერა“ (პირჯვარი გქონებოდეს, გეწეროს). (ქდსკი, ფონდი B).

ფართო საზოგადოებაში ზემოთ აღნიშნული გამოთქმის პარალელური ვარიანტია: „ცხრა მთას იქეთ“ // „ქარს და ნიავს (შევიჩივლებ, თქვენ არ შემოგჩივლებთ)“. ხალხის რწმენით, როგორც აღმაინებს, ასევე სიტყვებსაც აქვთ კარგი და ცუდი აურა და მათ წარმოთქმას უნდა ვუფრთხილდეთ.

**ჯვარდაწერილი ხომ არ ხარ?** (ჯვრისწერა — შვილთაგან ერთ-ერთი დიდი საეკლესიო საიდუმლო, რომლის დარღვევის უფლება არავის აქვს. ჯვრისწერის განგება-ტიპიკონში მითითებულია: „რომელნი ღმერთმან შეაერთნეს, კაცნიც ნუ განაშორებენ...“) — რაიმეზე ვერ შეღვევა: „დღევანდელი ბატუმუბი პირდაპირ კომპიუტერზე ჯვარდაწერილები არიან, სხუაგან არ იყურებიან და ვერაფერს გააკეთებოფე“ (ქდსკი, ფონდი E), „ამ სახლზე ჯვარი ხომ არა გაქუს დაწერილი? გადი გარეთ, რამეს მოკიდე ხელი, იქნებ გაგიმართლოს“ (თბილისი 2000), „შუილო, მე ვაჭრობაზე კი არა მაქ ჯვარი დაწერილი, ჩემი პროფესია მაქუს, ამ მთავრობამ მასწაულა ვაჭრობა და დამაგლო ქუჩაში“ (ქდსკი, ფონდი E).

## 1.2.5. ხალხურ წარმოდგენებთან დაკავშირებული სამეცნიერო ტერმინების შემცველი მუხიტყვებები

აღნიშნულ ქვეპარაგრაფში გაეაერთიანეთ ის ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებშიც ასახულია ბიბლიის გავლენა ხალხურ ცნობიერებაზე:

**აირია მონასტერი** — არეულობა, განუკითხაობა, აყალბაყალი: „ჩერ კაი ქორწილი იყო, მარა ბოლოს, რო დათურენ, ეირია მონასტერი, დაცხენ ერთმანეც“. (ქლსკი, ფონდი E).

გამოთქმის სემანტიკურად პარალელური ფორმებია: „ძალდი პატრონს ვერ ცნობს“, „დედა შვილს ვერ აიყვანს“, „გაუშვი ქორწინში (ბანალში) ხელი“: „ამასწინ პარლამენტის სხდომას ვუყუარებდი, ამბავი იყო, ძალდი პატრონს ვერ ცნობდა“ (ქლსკი, ფონდი C), „ეს რო ლუტუშამ გეიგო, შეიქნა ამბავი, დედა შუთილს ვერ ეიყუანდა“, „შიადაროს ჩემ ოჯახს, მაგენთან რუა, გოუშვი ბანალში ხელი, ისეა, ბიგო, ჩემთან, აბა რა“ (ქლსკი, ფონდი A). ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში ჩაწერილ მასალებშიც გვაქვს შესიტყვება: „ერუ მონასტერქ“ (აირია მონასტერი), (ქლსკი, ფონდი D).

**ანგელოზების (ხატების) დაფრთხობა** (ხალხური გადმოცემის თანახმად, თუ ადამიანი ძლიერ შეშინდება, მისი მფარველი ანგელოზიც დაფრთხება და ტოვებს მას. თავად შემშინებელს კი ეს კაცის კვლის ფარდ ცოდვად ეთვლება. ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ავადმყოფობა ბოროტი სულია, რომელიც აშინებს ადამიანს ამა თუ იმ სახით ან ფორმით, თავად შედის მასში და კაცს აავადებს; ამიტომაც გვაქვს შემინებულის შელოცვები: „... შეგილოცავ ავი ქარისას, ავი ანგელოზისას, დღე მავალისას, ღამე მავალისას... სისხლში ხარ, ხორცში გამოდი, ხორცში ხარ გარეთ გამოდი, გამოდი, გამოყარე“) — შეშინება, დაფრთხობა, ჭავრის ამოყრა: „რა არეული ლაპარაკოვ, ანგელოზები ხუ არ დაგიფრთხო ვინმემ?“ (სამტრედია, 1999), „თუ თავს არ დამანებფეს, ჩემ ბიძაშუთილფეს ვეტყუი და რო დოუფრთხოებენ ანგელოზფეს, მერე ისწავლის ჭკუას“ (ქუთაისი, 1996). მეგრულ მასალებშიც იმავე მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმა: „დაიფეთე ანგელოზებს“ (დაგიფეთებ ანგელოზებს), (ქლსკი, ფონდი D); სვანეთში კი, არც მრეველი და არც ერი, კრძალულების

გამო არავითარ შემთხვევაში მსგავს გამოთქმას არ გამოიყენებენ. ხატი და ანგელოზები უდიდესი სიწმინდეა ღმერთის შემდეგ, რომლის ხშირი წარმოთქმაც კი არ შეიძლება (მასალა მოგვაწოდეს ქლსკი მეც. თანამშრომლებმა ნ. ნაკანმა და დ. ფირცხელანმა).

**შეიშვნა:** მრევლი, რელიგიური კრძალულების მიზნით, აღნიშნული ფრაზის გამოყენებას ერიდება; უფლის მიერ ნათლობისას მინიჭებული ანგელოზის დაფრთხობა კაცთა მიერ კადნიერება და ცოდვაა; იგი სიკვდილის შემდეგაც, საუკუნო ადგილის დამკვიდრებამდე, კაცის მფარველი და მეონია უფლის წინაშე.

**ანგელოზების ჩამოვლა // სიჩუმის ანგელოზი** (საეკლესიო გადმოცემის თანახმად, უფლის ნებით დედამიწაზე წარმოიგზავნებოდნენ ანგელოზები აღამიანების დასახმარებლად. ისინი სტუმრობდნენ იმ ოჯახებს, სადაც სიმშვიდე, სიყვარული და ღოჯვა სუფევდა. გამომდინარე აქედან, ხალხის რწმენით, სადაც სიჩუმე ჩამოვარდებოდა, იქ ანგელოზები ჩამოვილიდნენ) — სიჩუმე, სიწყნარე: „რა ყველა გაჩუმებულხართ, ანგელოზებს ხომ არ ჩამოვლიათ?“ (ქლსკი, ფონდი E), „ეს რო თქუა, ყუელა ისე დაჩუმდა, ვეგონებოდა სიჩუმის ანგელოზებმა ჩამოიარაო“ (ქლსკი, ფონდი C). ფართო საზოგადოებაში აღნიშნული გამოთქმის სემანტიკური პარალელური ფორმებია: „მილიციელის დაბადება“ (შესაძლოა, გამოთქმა წესრიგის დამყარებას უკავშირდებოდეს), „გოგოს დაბადება“ (რაკი ყველას ბიჭი სურს და მის დაბადებას ჟრიამულით ელოდნენ, გოგოს დაბადებისას ერთბაშად ყურებს ჩამოყრიან ხოლმე). მაგ.: „რამ გაგაჩუმათ ყუელა, მილიციელი იბადება?“ „გოგო ხომ არ დაბადებულა, ყუელას ენა რო ჩაგვიარდათ?“ (ქუთაისი 1997)...

**დედის ცხონება // კურთხევა** — გაახარეთ, სიკეთე უყავით; ლანძღვა-გინება. დღეს გვხვდება ძირითადად მეორე მნიშვნელობით, ირონიული გაგებით: „ისეთი ამბავი ატეხა, სულ დედა უცხონა მეზობლებს“, „პარლამენტში ერთმანეთს სულ მკუდარი და ცოცხალი უკურთხეს“ (ქლსკი, ფონდი E).

შეიძლება ვთქვათ, რომ აღნიშნულმა გამოთქმამ ერთგვარი ევფემისტური გაგება შეიძინა. მოცემული შესიტყვების სემანტიკურად პარალელური ფორმებია: „მკვდრების მიწიდან ამოყვანა“, „მკვდრების მიწაში არ დაყენება (არ გაჩერება)“: „გამ ისეთი დღე დამითია, მკუდრები ამომიყუანა მიწიდან“ (ქუთაისი, 1996).



„ჩემი მეზობლის ბიჭის გლახა სიმთრალე აქ და გუშინ ვინცა-ზე ისე იყო გაბრაზებული, მკურდრები არ დოუყენა მიწაში“, „სულ უნდა ეფერო, თუარა, თუ გაბრაზდა, ქჭტრეფს არ გაგიჩერეფს მიწაში, იმნაირია“ (ქლსკი, ფონდი C). სამეგრელოში ჩაწერილი მასალების მიხედვით გამოთქმა „ლურელეფს უჩხონუანქ“ (მკვდრებს უტხონებ) უმეტესად გვხვდება დაქაღნება, დამუქრების მნიშვნელობით (ქლსკი, ფონდი D).

**შენიშვნა:** შესაძლებელია, ზემოთ აღნიშნული გამოთქმა რელიგიური აკრძალვის წლების ნაყოფი იყოს, ისე როგორც ფრაზები: „ეშმაკის ფეხი“, „ეშმაკუნა“, „ეშმაკუნები უხტის თვალეში“, „გაეშმაკებულია“. აქ ეშმაკის, როგორც ბოროტი სულის არსი შეცვლილია და მოცემული გამოთქმები ან-ეც, მოუსვენარის მნიშვნელობით გამოიყენება.

**ეშმაკსაც შეაცდენს** — გაიძვერა, მატყუარა, მაცდური: „უფრთხილდი მა კაცს, შენ კი არა ეშმაქს შიაცდენს,“ „ისეთი კაცია, ეშმაქს შეაცდენს, შენნაირი მაგასთან ცოდვია, ვერც გაძლებს და ვერც გაიხარებს“ (თბილისი, 1998).

ზოგჯერ გამოთქმა გვხვდება ქალის ებითეტადაც: „მე კი არა ეშმაქს შიაცდენდა, იმნაირი მაგარი ქალი იყო და ისე ეცუა“, „პირველათ ჯონის ქალი ყავდა, ეშმაქს შიაცთენდა და კი გაუშვა მერე“ (ქლსკი, ფონდი E).

**მეუფეს მიბარება** — გარდაცვალება: გამოთქმა გვხვდება ძირითადად ირონიული დატვირთვით: „იოსელიანი რა მიბარებია მეუფეს, გაიგე? — მატირე ახლა, გადასახურავი მაინც არ მაქ მი-სატანი“ (ზონი, 1998), „ერთ-ერთი პატიოსანი გვაში მიბარებია მე-უფეს, როგორც გავიგე“ (ქლსკი, ფონდი E). ლეჩხუმში იმავე მნიშვნელობით გვაქვს შესიტყვება „უფალს მიბარება“, მაგ. „მიბარა სული უფალს“ (მასალა მოგვაწოდა ქლსკი მეც. თანამშრომელმა ლ. ლომთაძემ). სვანური მასალების მიხედვით, იმავე მნიშვნელო-ბით გვხვდება შესიტყვება: „ქუინ ლახბარიე“ — სული ჩააბარა. იგულისხმება ღმერთს, მეუფეს — ე.ი. გარდაიცვალა (ქლსკი, ფონ-დი B).

მრეველი, კრძალულების მიზნით, ზემოთ აღნიშნული გამოთ-ქმის გამოყენებას ერიდება.

**სამოთხის კარის გაღება** (წმიდა მამათა გადმოცემით, სა-მოთხის ბჭენი ეღებათ ღვთისსათნო, ღვთისმოყვარე, მართალ ადა-მიანებს, რომლებიც ამქვეყნიური წამების შემდგომ ჯილდოდ იღე-

ბენ სასუფევლის ნეტარებას. „გიხაროდენ სახიერო მეკარეო, სამო-  
თხისა ბჭეთა მორწმუნეთად გამღებელო“ — უგალობს ეკლესია  
ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს) — გულის წადლის ასრულება,  
სანატრელ მღვდმარებაში ჩაეარნა, გამართლება.

აღნიშნული გამოთქმის სემანტიკურად პარალელური ვარიან-  
ტებია: „აღღვომის დაღვომა“, „აღღვომის გათენება“, „გულის განა-  
თება“, „შავი ღვდალივით გამართლება“ (შავ ღვდალს იშვიათად  
კლავენ, ზემოდან ქორი ვერ უყურებს და ვერ წაიყვანსო. ამავე  
ღვოს, ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ქუთაისის  
ჯგუფის მასალების მიხედვით, არსებობს ასეთი გაღვოცება: შავ  
ღვდალს მიტომ არ კლავენ, რომ შავმა ღვდალმა თქვა: ჩვენს  
ოჯახში შავი ჩემს მეტს არ ჩაეცვასო). „კვერცხის მადებარი ღვდა-  
ლივით გამართლება“ (ჩვეულებისამებრ, ისეთი ქათმის დაკვლას,  
რომელიც კვერცხს ღებს და ოჯახს ხვავს მატებს, ერიდებიან),  
(ქდსკი, ფონდი E). მრევლის წვერები ამავე მნიშვნელობით იყენე-  
ბენ გამოთქმას — „ღვთისმშობელმა მოწყალების კარი გაუღო“:  
„მართლაც რო აღღვომა გამოთენდა და ღვთისმშობელმა მოწყა-  
ლების კარი გამიღო იმ ღღეს“ (ქუთაისი, 2000).

**სანთელივით გაზღობა // სანთელივით დაღნობა** (სანთე-  
ლი — ერთ-ერთი წმიდა საეკლესიო შესაწირავი. ღვთისმსახურე-  
ბის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტი) — ავადმყოფობით ან  
ღარღით გაზღობა, ჩამოხზობა, გაყვითლება; თავგანწირვა, ერთგუ-  
ლება: „რა იცის დაწყველილმა კიბომ (უკურნებელი სენი), სანთე-  
ლივით დააღნობს და გააყვითლებს კაცს“ (ქდსკი, ფონდი E);  
„ისეთი პატრისანი და კეთილი ქალი იყო, სანთელივით დაღნებო-  
და შენი გულისთვის“, „სანთელივით დაღნება შენთვის, ისეთი  
ადამიანია, ღმერთმა მოგცეს გაჭირვებაში“ (ქდსკი, ფონდი A; C)...  
ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ სამეგრელოში  
ჩაწერილ მასალებში გვხვდება გამოთქმა: „სანთელცალო ქოგორ  
ლუაფულა“ (დალოცვა — სანთელივით შემოგველე); „სანთელცა-  
ლო ღოწირღუ“ (სანთელივით დაიწრიტა), (ქდსკი, ფონდი D).

**სანთელივით ჩაქრობა** — უეცარი სიკვდილი: „საწყალი ღო-  
ლო, რავა სანთელივით ჩაქრა, ასე უცეფ რა მოუვიდა“, „ბეგვიით  
კაცი იყო და სანთელივით ჩაქრა, კინაღამ გადავირიე“ (ქუთაისი  
2002).

**სულის წაწყმედა** (სახარების თანახმად, ბოროტების გზით  
სიარულის გამო სულის დაკარგვა, მისი ჯოჯოხეთისათვის გაწირვა)

— ავკაცობა, დიდი ბორცვების ჩაღწევა. დღეს ძირითადად გვხვდება ფიცილის ფორმულებში: „სული ნუ წამიწყდება, მართალს გეუბნები“ ...

აღნიშნული ფიცის სინონიმური ვარიანტია „სულის სწორად ამოსვლა“. ჩვენი რესპოდენტის თქმით, კაცი თუ მართალს იტყვის, სული სწორად ამოვუვა პირიდან, თუ არადა თვითმკვლელობით სული ტანის ქვემო ნაწილებიდან დატოვებს სხეულს: „ისე სწორად ამომსტლოდეს სული, რაფერაც მე შენ მართალს გეუბნები“ (ქლსკი, ფონდი E)...

**სულის გაყიდვა // სულის ეშმაკისთვის მიცემა** — ბორცვების ჩაღწევა, ზნეობის დაკარგვა: „გაზეჩი ეწერა, ზოგი პარლამენტარი ხალხს ყიდის უცხოეჩიო. მაგენი სულს ყიდიენ ფულისთვის და ხალხს დინდობენ?“ (ქლსკი, ფონდი C), „მასწავლიდენ, მურმანი ცუდი კაცია, ეთერის გამო სული გაიდაო. კაცო, ესენი ფულის გულისთვის აძლევენ ეშმაქს სულს და იმან თუ ქალისთვის მიცა, რა მერე, ამგენს მინც არ ჯობია?“ (ქლსკი, ფონდი E).

**სულის საქმეზე დადგომა** (სახარებისა და წმიდა მამათა გადმოცემით, სულიერი საქმეების კეთება ე.ი. ლეთიესათრო საქმეთა აღსრულება, ყველაზე დიდი შესაწირავია (ყველა საქმეზე დიდია) ამქვეყნად. ლეთიესულიერ საქმეთაგან პირველი სიკეთის ქმნა) — სიკეთე, სათნოება. გამოთქმა დღეს ძირითადად გვხვდება ირონიული გაგებით: „მეინათლა ელიკა, ბიძია, თუარა სულის საქმეზე შედგება აწი, ისე ცხონდა მაგის სული და მკუდარ-ცოცხალი“ (სამტრედია, 1998).

**ღმერთი, ხატი, რჯული // ღმერთია მოწამე (ე.ი. მოწამე)** — მართალია, ქვეშარტია (ფიცილის ფორმულა): „ღმერთი, ხატი, რჯული, თუ რამე გამეგებოდეს მაგ საქმის“, „ღმერთია მოწამე, თუ ვიცოდე, რაშია საქმე“ (ქლსკი, ფონდი E). მეგრული მასალების მიხედვით იმავე მნიშვნელობით გვხვდება გამოთქმა: „ღორონთ, ხატი, რჯული“ (ქლსკი, ფონდი D).

**ღვთის უბეში ყოფნა** — განცხრომა, ბედნიერება, სიკვდილი. დღეს აღნიშნული გამოთქმა ძირითადად გვხვდება მეორე მნიშვნელობით. მორწმუნე საზოგადოებაში „ღვთის უბეში ყოფნა“ ძირითადად სიკვდილის სინონიმი და სემანტიკურად უკავშირდება „აბრაამის წიაღში (უბეში) ყოფნა“-ს (შდრ.: „წიაღსა შინა აბრაამისათა განისვენოს და ნათესავმა მისმან დაიკვიდროს ქვეყა-

ნა“ — საპანაშვილო ლოცვიდან): „ღვთის უბეში ყოფნა ამჟობინა მისმა შეიღმა დედის კალთაში ყოფნას“ (ქდსკი, ფონდი E).

**შენიშვნა:** როგორც ფართო საზოგადოების მეტყველებაში, ასევე ლექსიკონებში ღვთის სახელთან დაკავშირებული არაერთი ფრაზეოლოგიური ერთეული გვხვდება (ღმერთი გიწყენს, ღმერთი გაუწყრა, ღმერთმა ინებოს, ღმერთმა იცის...), რადგან დღევანდელ მასალებთან შედარებისას რაიმე საყურადღებო ცვლილება ვერ დავაფიქსირეთ, ისინი ჩვენი მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

**ჩემი გაჭედილი ხატი** — ძალზე ახლობელი (ძირითადად იტყვის მასწავლებელი მოსწავლეზე, გამზრდელი გაზრდილზე): „ჩემი გაჭედილი ხატი მომატყუებდა რამეს?“ (ზონი, 1999), „ეგრას გამომაპარებს, ჩემზე უკეთ ვინ იცის ჩემი გაჭედილი ხატის ამბავი?“ (ქუთაისი, 2003).

### 13. ბიბლიური პერიფრაზები

#### 13.1. ღაბით წინასწარმეტყველის საბალოგლეზი- დან მომდინარე ფრაზეოლოგიზმები

ათეისტური მმართველობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში ბიბლიას, როგორც ცოცხალ წიგნს, მოსწყდნენ საზოგადოების ფართო წრეები, ხალხი ნაკლებად სარგებლობდა საეკლესიო ლიტერატურით. რელიგიური აკრძალვა მეტყველებაშიც აისახა, იშვიათად გამოიყენებოდა ბიბლიური ანდაზები, იდიომები, ფართოსანი გამოთქმები... გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როცა ადამიანები კვლავ დაუბრუნდნენ ეკლესიის წიადს, მორწმუნეთა მეტყველებაში გაჩნდა ბიბლიური ფრაზეოლოგიზმები. კერძოდ, ფსალმუნებიდან მომდინარე ფრაზეოლოგიური ერთეულები.

წმიდა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნები სავალდებულო საკითხავი ლოცვანია მრევლისათვის (თანახმად წმიდა იოანე ოქროპირის ანდერძისა: „უმჯობესია, მზემ დაკარგოს ბრწყინვალეობა, ვიდრე ფსალმუნთა კითხვა მივატოვოთ“) და ლიტურგიაშიც მას მთავარი წარმმართველი ადგილი უჭირავს. ყოველივე ამან ხელი შეუწყო მათი მოხმარების არეალის გაზრდას

ადრე ქრისტიანულ (3-5 სს.) საზოგადოებაში ფსალმუნთა პე-რიფრაზების ხშირ ხმარებაზე მიუთითებდა წმიდა ბასილი დიდცი თავის წერილში „ფსალმუნთა მუსიკალობისათვის“. აი, რას წერდა იგი: „დავითისეული ეს წინასწარმეტყველება გალობით ითქმის, რათა გალობისას თითოეულმა სულიც დაიტკბოს და კითხვის სიმძიმეც განიქარვოს... რათა მელოდიით, რიტმით სულიერად შვებულთ დიდი წადიერებით აღგვევლინა უფლისადმი წმიდა ჰიმ-ნები. ჩვენი ბუნება იმგვარადაა მიდრეკილი საგალობლებისა და მელოდიებისადმი, რომ ამ სახით... იქარვებენ საქმეთა სიმძიმეს, რადგან სული, რომელიც მელოდიას ისმენს, ადვილად ახერხებს ყოველგვარი საწუხარისა და სიმძიმელის ატანას... როდესაც სუ-ლიწმიდამ ნახა, რომ ადამიანთა მოდგმა ძნელი წასაყვანი იყო სათნოებისაკენ და რომ ჩვენ, სიამისაკენ მიდრეკის გამო უგულვებ-ღვაცყოფდით სწორ ცხოვრებას, მელოდიის საამურობით შეგვი-ზავა დოგმატები, რათა ხმის სიამესა და სინარნარეში შუშჩნე-ვლად შეგვეთვისებინა სიტყვათმიერი სარგებლობაც... დაუდევარნი ისე მიდიან ტაძრიდან, რომ იშვიათად თუ ვინმეს ახსოვს მოცი-ქულთა და წინასწარმეტყველთა მცნებანი, ფსალმუნთა სტრიქო-ნებს კი სასახლეშიც და სავაჭრო მოედნებზეც წარმოთქვამენ, ჩვი-ლის აკვანთანაც მღერიან და მომაკვდავის სარეცელთანაც გალო-ბენ... მიზეზი იმისა, რომ სიამოვნებით აღვასრულებთ ფსალმუნებ-ში გაწვრთნას, ეს არის: მელოდიით გალობა სიტყვებისა“ (ბასილი დიდი, ფსალმუნთა მუსიკალობისათვის, 1990).

ყოველივე ზემოთ თქმული განაპირობებდა იმ გარემოებას, რომ წინა საუკუნეების ქართულ მწერლობაშიც (მხედველობაში გვაქვს არა თუ აგიოგრაფიული, არამედ საერო მწერლობის ნიმუ-შები) არც თუ იშვიათად გვხვდება ფსალმუნის ფრაზები ამა თუ იმ აზრის გამოსახატავად, თუ რისამეს შესაფასებლად. მაგ.: „...ახ-ლა თვით ჩემზეც გამოვცადე, **„მრავალ არიან ჰირნი მართალ-თანი“** (ი.ბაგრატიონი, კალმასობა, 1990); „ესენი იყვნენ მხედარნი, რომელთაც **„სწამდეს, ხილვად კეთილი უფლისა ქვეყანასა მას ცხოველთასა“** (ტ.გაბაშვილი, მიმოსვლა, 1990); „აწ მოვითხ-რა ადგილთაცა მშენიერებისათვის, თუ ვითარ ნუვეშად ბოძებია მათ ღმრთისაგან **„მთანი მაღალი ირემთა“**, **„კლდენი შესა-ვედრებლად უურდღელთა“** (იქვე); „[მონაზონნი] სისრულესა შინა სულიერებათასა ქეშმარიტად... გონებითა ფრინველ... ღვთისა მიმართ **„ვითარმცა მცნა ფრთენი ტრედისანი, აღფრინდე და განვისვენო“** (იქვე)...

დღეს მართლმადიდებელი მრევლის სტილიზებულ მეტყველებაში ფსალმუნების პერიფრაზი გამოიყენება როგორც ხატოვანი თქმა, ამა თუ იმ გრძნობის, აზრისა თუ განწყობილების გამოსახატავად. მაგ.: ერთგულების დასამტკიცებლად ამბობენ: „**არა გაგაცე შენ**“ (რაც მომდინარეობს ფრაზიდან „არა გაგაცე შენ, სიქადულყო ჩემო, მართლმადიდებლობაო“); მოთმინების ან ღუმულის აღსანიშნავად იტყვიან: „**დავდევ საცომა პირსა ჩემსა**“ (ფს.140,3) (შეენიშნავთ, რომ მოცემული ფრაზა იხმარება „პირში წყალი ჩაიგუბას“ მნიშვნელობითაც) — „რო მიგვხვდი, რაში იყო საქმე, **დავდევ საცომა პირსა ჩემსა**“; „**აექუნ ენა ჩემი სასასა ჩემსა**“ (ფს. 136,6) — ამ გამოთქმას უფრო ღუმულის აღთქმისას იყენებენ: „ღალად რო მითხრა ყველაფერი, უთხარი: ნუ გეშინია, **აექუნ ენა ჩემი, სასასა ჩემსა**-თქვა, ჩემგან ვერავე ვერაფერს გაიგებს-თქვა“; ფართო საზოგადოებაში მის ნაცვლად გვხვდება ფრაზა „სამარე ვარ“. შეენიშნავთ, რომ აღნიშნულ ფრაზას იყენებენ ერთგულების აღსანიშნავადაც (იგი ერთგვარი წყევლის ფორმაა). მაგალითად, დეკანოზმა არჩილ მინდიაშვილმა გარდაცვლილი ბერი გაბრიელის შესახებ თქვა: „მან ერთხელ მითხრა — „მამო, არჩილ, არასოდეს დაივიწყო შენი მამა გაბრიელი“; მე კი ვიტყვი: **აექუნ ენა ჩემი სასასა ჩემსა, უკეთუ შენ დაივიწყო, ბერო გაბრიელ**“ (2003 წლის ივნისი, რადიოსადგური „ივერია“, საკვირაო ქადაგების აუდიოჩანაწერიდან). ამა თუ იმ ეპითეტის მნიშვნელობით ვინმეს შეფასებისას იტყვიან: სიკეთის დაუნახავ, უმადურ ადამიანზე — „**კაცი პატივსა შინა იყო, ბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ**“ (ფს.48,12): „გადაყვა ჩემი ოჯახი ჩემ ბედოვლათ ქმარს, მარა ხო იცი, **კაცი პატივსა შინა იყო, ბაძვიდა იგი პირუტყვთა უგუნურთა და მიემსგავსა მათ**“; მოღალატე ახლობელზე — „**რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, აღილო ჩემ ზედა ბრჭყალი**“ („რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, აღილო ჩემ ზედა ბრჭყალი, რომელი სუმიდა ღვინოსა ჩემსა, მან ვანადიდა ჩემ ზედა შეტყუილი“ (ფს.40,9) — აღნიშნულ ფსალმუნში ნაწინასწარმეტყველება იუდას მიერ ქრისტეს ღალატი და გაცემა): „ღედანემის ძუძუ ქონდა ნაწოვი, ჩვენ ოჯახში გაიზარდა, მერე **რომელი ჭამდა პურსა ჩემსა, აღილო ჩემზედა ბრჭყალი**, მოიყვანა ვიდაცეები და ისე გაგვძარცვა, თითზე გადასახვევი არაფერი დაგვიტოვა“; უგუნურ, უგულო კაცზე — „**უურ ასხენ და არა ესმას**“ (ფს.113,14) ან „**ოვალ ასხენ და ვერ ხედვენ**“ (იქვე): „მავას

იმდენი ველაპარაკე, მაგრამ **ყურ ასხენ და არა ესმას**“, „უყურებს, შვილო, მისი დედამთილ-მამამთილის წვალეზას, მარა **უვალ ასხენ და ვერ ხედავს**“; დაუნდობელ ადამიანზე — „**არა არს სული მათ შორის**“: „ამდენი უბელღურება მოუტანეს მაგვენმა ხალხს, უნდა იცოდე, რო არაა **სული მათ შორის** და კარგსაც არ უნდა ელოდე“. აღნიშნული ფრაზა საზოგადოების ფართო წრეებში, შესაბამისად ლიტერატურაშიც, გამოიყენება ხელოვნების მდარე ხარისხის ნაწარმოებების აღსანიშნავად, მრეველი კი ძირითადად მას გულბოროტი, გულრძო ადამიანის ეპითეტად ხმარობს. კეთილშობილ, მართალ კაცზე იტყვიან: „**ღმერთი არს მის თანა**“, რაც მომდინარეობს ფსალმუნის ფრაზიდან „ღმერთი არს თესლთა შორის მართალთა“ (ფს.149,7); მწუხარებას მრეველის წევრები შემდეგი ფრაზით გამოხატავენ: „**ვიდრემდის ცოდვილნი, უფალო, ვიდრემდის ცოდვილნი იქადოდიან**“ (ფს.93,3) ან „**ღმერთო, შეწვენასა ჩემსა მოხედენ**“ (ფს.69,1) ან კიდევ „**ღმერთო, ნუ განმეშორები ჩემგან**“ (ფს.70,12); უმწეობისა და სასოწარკვეთილების აღსანიშნავად გვხვდება: „**მატლ ვარ და არა კაც**“ (ფს.21,6) [შენიშვნა: მოცემული ფრაზა ფსალმუნში უმაღლესი თავმდაბლობის ნიმუშად ითვლება, მრეველი კი ამით უფრო საკუთარ უსუსურობას, უღონობას გამოხატავს]: „რა უნდა გავაწყო მაგათთან, **მატლ ვარ და არა კაც**“, „**გული ჩემი შეძრწუნდა და დამიტევა ძალმან ჩემმან**“ (ფს.37,10): „ამ ამბავმა გამანდგურა, **გული ჩემი შეძრწუნდა და დამიტევა ძალმან ჩემმან**, აღარაფრის თავი აღარ მქონდა“; სინარულის გამოხატავად მორწმუნენი ამბობენ: „**ტკბილ ხარ შენ, უფალო**“ (ფს.118,68): „არ ღირს ვარ, უფალო შენი წყალობის, მაგრამ **ტკბილ ხარ შენ, უფალო** და სიტკბოებითა შენითა მასწავლე მე სიმართლენი შენი“ (აღვნიშნავთ, რომ ბოლო ფრაზა მთლიანად ფსალმუნის სიტყვებს წარმოადგენს), „**აკურთხა უფალმან მოშიშნი მისნი**“ (ფს.113,21): „არ ვიცოდი, შვილი გადამირჩებოდა თუ არა, მარა **აკურთხა უფალმა მოშიშნი მისნი**, დიდება მის სახელს“, „**აკურთხეულ ხარ შენ, უფალო**“ (ფს.118,12): „**აკურთხეულ ხარ შენ, უფალო**, გმადლოებ, რომ ღირსი გამხადე, შვილიშვილი გამჩენოდა“...

## 132. ლიტურგიიდან მომდინარე ფრაზეოლოგიზები

რელიგიური ფრაზეოლოგიზების შესწავლისას ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალებიდან გამოიკვეთა, რომ ბიბლიიდან მომდინარე შესიტყვებების გვერდით გვხვდება ისეთი ფრაზეოლოგიური ერთეულები, რომლებიც ლიტურგიიდან, ღვთისმსახურებიდან მომდინარეობს. მაგალითად, მღვდლის ასამაღლებელი ლოცვებიდან, ჟამნიდან, თუნიდან, კურთხევანიდან, ფსალმუნებიდან, ე. ი. ყოველივე იმიდან, რაც ეკლესიაში წირვა-ლოცვისას გამოიყენება. თუ ბიბლიიდან მომდინარე ფრაზეოლოგიზებს ბიბლიზმებს ვუწოდებთ, შესაძლებელია, ლიტურგიიდან მომდინარე შესიტყვებებსაც ლიტურგიზმები დავარქვათ. აღნიშნული ფრაზები შეენაცვლენ მოცემული დიალექტისათვის დამახასიათებელ სიტყვაფორმებს: მაგალითად, მრევლის წევრები ერთმანეთს ზიარებას განსხვავებულად ულოცავენ, ამ დროს მორწმუნე ამბობს: „საკურნებლად სულისა და ხორცისა“, რაზეც პასუხობენ: „სადიდებლად ღვთისა“ ან „სადიდებლად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტისი“ (მდრ.: ტიბიკონი, 1987); წყლის მიწოდებისას ჩვეულებრივ მაღლობას ენაცვლება: „წყალსა ზედა განსასუენებელსა გამოგზარდოს უფალმა“ (მდრ.: ფს. 22) ან „გასუას უფალმა წყარო ცხოვრებისა“ (მომდინარეობს ძველი აღთქმიდან — „შენგან არს წყარო ცხოვრებისა და ნათლითა შენითა ვიხილოთ ჩვენ ნათელი“; ფს. 35,8), შესაბამისად გვხვდება იოანეს სახარებაშიც „... ხოლო რომელმან სუას წყლისა მისგან, რომელი მივსცე მას, არღარა სწყუროდეს უკუნისამდე“ (მდრ.: იოანე 4,14); მრევლის წევრები ერთმანეთთან სიყვარულის გამოცხადებისას ამბობენ: „ქრისტეა ჩვენს შორის“ — პასუხად იღებენ: „არს და იესო“ (მდრ.: ტიბიკონი, 1987); სტუმრობისას: „ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე ცოდვილი“ (მდრ. ლოცვანი, 1987); მასპინძელი თანხმობას ადასტურებს სიტყვით „ამინ“. აღსანიშნავია, რომ სტუმრობის ეს ფორმა უფრო მრევლსა და მღვდელს შორის ხდება, როცა მრევლი სტუმრად მიდის მღვდელთან ან მღვდელმთავართან.

გვხვდება ცრურწმენის ქრისტიანიზაციის ფაქტიც: ხალხური წარმოდგენით, ცხვირის დაცემინება რაიმეს დამოწმებას ნიშნავს და გარკვეული რიტუალი თუ დალოცვის გამოძახებელი ფრაზა ახლავს. მაგ.: „სიცოცხლე“, „ჯანმრთელობა“, „ცხონდარჩი“, „მკვდართა გაცოცხლებამდე არაფერი გეტკინა“... მართლმა-



დიდებლობა ამგვარ მოვლენებს (დაცემინება, თვალის, წარბის თამაში და მისთანანი) მისნობად მიიჩნევს და კრძალავს, მაგრამ, რადგან ხალხში იგი ძლიერ ფეხმოკიდებულია, მორწმუნე საზოგადოება მას ქრისტიანული საფარველით მოსაეს. ამიტომაც, მაგალითად, მრევლის წევრები ცხვირის დაცემინებაზე ერთმანეთს ეუბნებიან: „**წყალობა ღვთისა სასუფეველი ცათა**“, რაზეც პასუხობენ: „**და სულისაცა შენისა თანა**“ (მღრ.: ტიპიკონი, 1987).

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმები საეკლესიო მწერლობის სტილითაა აგებული; ამავე დროს გვხვდება დღევანდელი მეტყველებისთვის დამახასიათებელი ფორმითაც. მაგალითად, ეკლესიაში სეფისკვერის მიწოდებისას მადლობის ნაცვლად ერთმანეთს ეუბნებიან: „**მადლი გიმრავლოს**“, „**წყალობა არ მოგაკალოს**“, „**პური არსობის მოგცეს**“ ან „**უფალმა მოგმადლოს პური არსობისა**“ (მომდინარეობს ლოციდან: „მამო ჩვენო“, აიაზმის მიწოდებისას: „**განგწმიდოს უფალმა**“, „**ქრისტემ თავისი წყალი გასვას**“ და ა.შ. შევნიშნავთ, რომ მოცემული ფორმები უფრო ხშირად გვხვდება იმ მოქალაქეთა მეტყველებაში, რომლებიც მრევლის წევრები ჯერ არ არიან, ან ახლა ზღებიან, თუმცა ამ ფრაზებსაც ეტყობათ არქაულობის კვალი.

აღნიშნული ფრაზეოლოგიზმების ჩამოყალიბების საფუძველი წმიდა მამათა სწავლებაში უნდა ვეძიოთ (წმიდათა ცხოვრება, 1991). წმიდა მამათა სწავლების საფუძველზეა შექმნილი ტიპიკონის განმარტებანი. აქ ღვთისმსახურთა ლოცვასა და რიტუალს თან ახლავს შესაბამისი ქმედება მრევლისაგან. მაგ.: „მცირე გამოსვლისას“, როცა სახარებას გამოაბრძანებენ, მრევლი გულში ამბობს: „**გამოაბრწყინე გულთა შინა ჩვენთა, კაცთმოყვარეო მეუფეო, ღმრთის მეცნიერებისა ნათელი მიუწვდომელი და გონებისა ჩვენისა თვალნი განახვენ, განცდად სახარებისა შენისა ქადაგებათა... რამეთუ შენ ხარ განმანათლებელი სულთა და ნორცთა ჩვენთა, ქრისტე ღმერთო, ჩვენო**“ (საღვთო ლიტურგია, 1999, გვ.26); „რომელი ქერუბიმთას“ გალობისას მრევლი გულში ამბობს „**კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა...**“ ან **მომისხენე უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა**“ (იქვე, გვ.40); როდესაც ლიაკვანი ამბობს ასამაღლებელს — „**ვიყვარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ**“ — ამ დროს მრევლი ერთმანეთს ემთხვევა (მამაკაცი-მამაკაცს, დედაკაცი-დედაკაცს) და თან ეუბნება: „**ქრისტეა ჩვენს შორის**“, პასუხად იღებს: „**არს და იყოს**“ (იქ-

ვე, გვ.45), როცა მღვდელი ამბობს: „თავი ჩვენი უფალსა მო-  
უდრიკნეთ“, მრევლი თავს იხრის და გულში ამბობს: „შენ  
უფალო, ღმერთო ჩვენო, თავსა ჩემსა მოგიხრი და ვაღია-  
რებ...“ (იქვე, გვ.63-64).

ლიტურგიიდან მომდინარე ფრაზეოლოგიზმებს ახასიათებს  
იდიომათივის დამახასიათებელი სიტყვათა რიგის სიმყარე, რასაც  
ხელს უწყობს ლოცვიდან ციტირება, თუმცა აქაც გვხვდება ფრა-  
ზეოლოგიზმებისათვის დამახასიათებელი ცვლა რიცხვში, პირსა  
და დროში, სუბიექტის დაკარგვა.

რიცხვში მონაცვლეობა უმეტესად ზრდილობის ფორმითაა გა-  
მოწვეული: „წყალსა ზედა განსასვენებელსა გამოგზარდოთ...“ „და  
სულისაცა თქვენისა თანა...“

პირში ცვლა: ფსალმუნის სიტყვები „წყალსა ზედა განსასვენე-  
ბელსა გამოგზარდა მე“ ან „მასუ მე წყარო ცხოვრებისაჲ“ მეორე  
პირში გვხვდება, რადგან აღნიშნული ფორმები დალოცვის გამო-  
ხატველი ფრაზეოლოგიზმებია.

დროში ცვლა: მაგ.: გამოგზარდა-გამოგზარდოს; მომძალა-  
მოგმადლოს.

სუბიექტის დაკარგვა: „გასუას (უფალმან) წყარო ცხოვრები-  
საჲ“...

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძალზე მცი-  
რეა გრამატიკული არქაიზმების მქონე ფრაზეოლოგიზმები (თ. სა-  
ხოკია, 1979; ა. თაყაიშვილი, 1961; ლ. კვაჭაძე, 1993; ალ. ონიანი,  
1966; გნებეიერიძე, 1999), გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ლი-  
ტურგიიდან მომდინარე არქაული ფორმის მქონე ფრაზები ანუ  
ლოცვის პერიფრაზები, „პერიფრაზი კი ხელს უწყობს მეტყველე-  
ბის მაღალ სტილს“ (ა. თაყაიშვილი, 1961), აქედან გამომდინარე,  
ვლინდება სალიტერატურო ქართულით მეტყველებისაკენ სწრაფ-  
ვაც.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ შეინიშნება მრევლის მის-  
წრაფება ნუსხურის შესწავლისაკენ. არსებობს გადმოცემა, რომ-  
ლის თანახმად მორწმუნე ვალდებულია, ისწავლოს ნუსხური,  
რადგან გარდაცვალების შემდეგ ანგელოზი გადაუშლის წიგნს,  
რომელიც ნუსხურადაა დაწერილი და თუ ვერ წაიკითხა, დიდ წი-  
ნაპარებს ვერ ნახავს (მასალა ჩავიწერეთ ქუთაისის (არქიელის გო-  
რაზე მღებარე) წმიდა გიორგის ეკლესიის მგალობლებისაგან:  
დოლო ფანცხავა - 55 წლის, იზო მანავაძე - 72 წლის, ნუნუ იამა-  
ნიძე - 65 წლის, ანა გაბრიაძე - 71 წლის).

### 13.3. სამონასტრო ცხოვრებიდან მომდინარე ლოცვითი ფორმულები

“ბერების ლოცვით ღმერთი იცავს სამყაროს. ვაზი ერთ გამბზარს სარს ეყრდნობა. გამოაცალეთ ვაზს სარი, რტო მიწაზე ჩამოვარდება და ვერ მოიტანს ნაყოფს. გამოაცალეთ ბერმონაზვნობა სამყაროს და რა მოუვა მას, თავად განსაჯეთ” (ღმითრი როსტოველი, 1998, გვ. 8).

ქართველი მართლმადიდებლებისათვის ეკლესია, განსაკუთრებით კი მონასტერი, ცხოვრების საყრდენია. ისინი რჩევა-დარიგებისთვის, რწმენაში გაძლიერებისათვის, სულიერი განკურნებისათვის ხშირად მიმართავენ მას და იქაურ სწავლებებსა თუ წესჩვეულებებს ნერგავენ საერო ცხოვრებაშიც. ამას განსაკუთრებით ხელს უწყობს მონასტრების მონახულება-მოლოცვის ტრადიცია. სწორედ ეს უდევს საფუძვლად მრევლის მეტყველებაში არსებულ სამონასტრო ცხოვრებიდან მომდინარე ლოცვით ფორმულებს.

მეტყველებაში (როგორც ერისკაცთა, ასევე ბერ-მონაზონთა) მათი გამოყენების საფუძველი წმიდა მამათა სწავლებაშიც უნდა ვეძიოთ. ისინი მოუწოდებდნენ მორწმუნეებს, გულშიც ელოცათ, რათა მარად ხსომებოდათ უფალი.

იოანე კიბისადმწერელი (კლემაქსი) გვიჩვენებს: “ეცადე ყოველთვის შეიგრძნობდე უფალს. ყოველი საგანი, რომელიც ატკობს გულს, ათბობს კიდევ მას. სულიერი ზემოქმედება მასში ჩნდება მხოლოდ სულიერ საგანთა ზემოქმედებით, რაც სულიერი ცხოვრების წესის აღსრულებაში მდგომარეობს. მისი დამახასიათებელი ნიშანია განდგომა ყოველი ქმნილებისაგან, ყურადღების მიპყრობა მხოლოდ ღმრთისადმი და ყოველივე ღმრთაებრივისაკენ. ამ ნიშნის მიხედვით ის ისე განსხვავდება მშვინიერი და სხეულებრივი მხურვალეებისგან, როგორც ცა ღვდამიწისაგან” (უხილავი ბრძოლა, 2004, გვ. 182).

“გრძნობადი საგნებიდან გონება ღმერთის ჰერეტისათვის აღვამალლოთ. ვისწავლოთ გონების აღმართვა გრძნობადიდან ღმრთაებრივისკენ... მღვიძარე იყავ, ყურადღება მიაპყარი გრძნობებს და არ დაუშუა, რომ რასაც მათი მეშვეობით აღიქვამ, განაცხოველებდეს შენს გულისთქმას, პირიქით, გრძნობისმიერი შთაბეჭდილება ღვთის მცნებებს შეუსაბამე!” (იქვე, გვ. 77): ...როცა ეკლესიის ზარის ხმას გაიგონებ, მოიგონე მთავარანგელოზის ხარება: “ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ...” და შენც მადლობ-

დე უფალს... როცა სახლში ხარ, გაიხსენე, რომ უფალი ბაგაში დაიბადა... როცა წვიმს, გაიხსენე, სისხლიანი ოფლის წვეთები ქრისტეს სხეულიდან... მზემ გაგახსენოს ის წყვილია, რომელმაც ჭვარციასას მოიცივა სამყარო... ოდეს შესვამ ღვინოს ან სხვა სასმელს, მოიგონე ძმარი და ნაღველი, რომელიც ასვეს ჭვარზე შენს მუხუფს; როდესაც იმოსები, გაიხსენე, რომ მარადიულმა სიტყვამ ხორცი შეისხა... და რომელმან ინება განშიშვლებული გაშოტილიყო და ვნებულიყო ჭვარზე შენთვის..." (იქვე, გვ. 73, 74).

"სასოწარკვეთილებისას გაიმხნევე თავი შენი და იმეორე გულში: "უფალი ნათელ ჩემდა და მაცხოვარ ჩემდა, ვისა მეშინოდეს" (ფს. 26-1,3), "აღსდგ უფალო, შემეწიენ და მიხსენ მე სახელისა შენისათვის" (ფს. 43-27), "საჯენ უფალო, მავნებელი ჩემი და ბრძოლე მბრძოლთა ჩემთა" (ფს. 34-1,2,3), "ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შეგვეწიენ ჩვენ", "მფარველო ანგელოზო, საფარველსა ფრთეთა შენთასა დამიფარე მე" ... (იქვე, გვ. 44-45).

თუკი წმიდა მამები, მოცემული ეპიზოდების გახსენებით, მონასტერში მცხოვრებთ სინანულისა და მწუხარებისაკენ (საკუთარი ცოდვებიდან გამომდინარე) მოუწოდებენ, ერში მცხოვრები მორწმუნენი მეტ-ნაკლებად ცდილობენ ამგვარ სწავლებაში უფრო ნუგეში ეძიონ და იმ ფრაზებს ირჩევენ, იმედს რომ ალუძრავს მათ. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავს ქმედებას ეკლესია და მამათა სწავლებაც არ უარყოფს: "ლოცვის შერჩევა შეიძლება თითოეულის ნება-სურვილს მიევანდოთ. წაიკითხე ფსალმუნთა წიგნი და მათგან გამოკრიბე ისინი, რომლებიც ახლოს არის შენს სულიერ მდგომარეობასთან, ისწავლე და იმეორე ისე, რომ მულამ თან გღვედეს ყოველგვარი საქმიანობისას, ლოცვიდან ლოცვამდე. ხშირად გამეორების შემდეგ მათ ენა თავისთვის გამოთქვამს, ხოლო გონება ღმერთზე ფიქრში განმტკიცდება. წმიდა კასიანე მოწმობს, რომ მის დროს მსგავსი მოკლე ლოცვები მიღებული იყო მთელ ეგვიპტეში. სხვა მამათა სწავლებებიდან ჩანს, რომ ამგვარ ლოცვებს მიმართავდნენ სინას მთაზეც, პალესტინაშიც, სირიასა და თითქმის მთელს ქრისტიანულ სამყაროში. ეს იყო ყველაზე კარგი გზა გონებაგაფანტულობისაგან თავდასაცავად, ყურადღების მოსაკრებლად, რათა განუშორებლად ჰგებდნენ ღმერთში" (უხილავი ბრძოლა, 2004, გვ. 156); "მოკლე ლოცვები სულთქმითი ღვაწლია ღვთის წინაშე, მულამ მღვიძარე იყავ და ილოცე, როგორც მხნე მებრძოლს შეჭვერის, "მოიღვაწე ღუაწლი იგი კეთილი" (I ტიმ.

6,12), რამეთუ “რომელი ვიდოდეს სიბრძნით, იგი ცხოვრდეს” (იგავი სოლომონისა 28, 26) — იოანე ოქროპირი” (იქვე, გვ. 156).

მრევლის წევრები მონასტრიდან ნასწავლ მოკლე ლოცვით ფრაზებს ყოფით ცხოვრებაში გულში იმეორებენ, ავისაგან თავდასაცავად და გასაძლიერებლად. მაგალითად:

დილით, სინათლის დანახვისას ამბობენ: “**დიდება შენდა, რომელმან მოგვფინე ნათელი!**” დაწოლის დროს საბნის გადაფარებისას: “**დამიფარე უფალო, საფარველსა ქვეშე შენსა;**”; ცეცხლის ჩაქრობისას: “**მიხსენ, უფალო, ჭოჯობეთისა ალთაგან;**”; კარის გაღებისას: “**მოწყალებისა კარი გამიღე, კურთხეულო ღვთისმშობელო;**”; ეკლესიის ზარების ხმის გაგონებისას: “**უფალო, მესმა ხმა შენი და განიხარა გულმან ჩემმან;**”; ჩაცმისას — “**შემოსე უფალო მაღლითა სულისა წმიდისა შენისათა**” ან თუკი იმ დღეს მღვდვარება აქვთ გადასატანი: “**უთამაცვ, უფალო, ძალი ბრძოლასა და შეამბრკოლენ ყოველნი, რომელი აღდგომილ არიან ჩემს ზედა და ჩემს ქვეშე, მტერი ჩემი მომეც მე მეოტად და მოძულენი ჩემნი მოსრენ**” (ფს. 17,39); ღვთისმსახურების დროს საკმეველის კმევისას გულში ამბობენ: “**წარემართენ ლოცვა ჩემი, ვითარცა საკმეველი შენს წინაშე**” (ფს. 140,2); “რომელი ქერუბიმთას” გალობისას მრევლი გულში ამბობს “**კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა...**” ან: “**მომიხსენე, უფალო, ოდეს მოხვიდე სუფევითა შენითა**” ... სეფისკვერის საკურთხეველში შეგზავნისას: “**ესე არს პური ზეცისა, რომელ არს ტარიგი ღვთისა**”.

ზოგ შემთხვევაში წიგნურ ფრაზებს ენაცვლება გახალსურებულ ვარიანტებით. მაგ., ზეთისცხებისას, სხვა შემთხვევაში ნათლობის ლოცვის სიტყვების — “**სვლად გზასა სიმართლისასა, სმენად საწმუნოებისა**” (კურთხევანი, ნათლობის საიდუმლო, 2000) პარალელურად გვხვდება: “**დახშული გონება გამიხსენ, თვალთა ხედვა მომმადლე, ყურთა სმენა მომგვარე, ენა-პირი დამიტკეპ, გულისყური განმიღე, ჭანი-ღონე მომეცი, მუხლმაგარი მატარე**” (ნაკურთხ ზეთის ისევემნ სხეულის სხვადასხვა, განსაკუთრებით მტკივან, ნაწილზე) — (ქდსკი, ფონდი E, პეტრე-პავლეს ეკლესია, 2005); კურთხევისას, როცა მოძღვრის ხელი თავზე დაედება: “**ქრისტეს ხელი მეხებოდეს, სნეულება ქრებოდეს, აორთქლებად ხდებოდეს, ბორბობება კვდებოდეს**” (იქვე); ვხვდება ძილის ლოცვის გახალსურებული ვარიანტიც “**დაეწევი, დამეძინება, პირჩვარი დამეწერება, ცრა ხატი, ცხრა ანგელოზი სასთუმალს დამესვენ**”.

ნება, ღმერთო, მარიღე ეშმაკი, ღმერთო მარიღე ცღუნება, ახლა კარგად დამძინე, დილით მომეცი გუნება!“ (ბეტრე-პავლობის ეკლესია, მარიამ იმედაძე, 68 წ. 2000წ. 21. 09)

ზემოთ აღნიშნული ლოცვითი პერიფრაზები მორწმუნეებმა ეკლესია-მონასტრების მოლოცვის ჩვეულებიდან გამომდინარე, სა-მონასტრო ცხოვრებიდან აიღეს.

### 13.4. ბიბლიური მისაღმების ფორმულებისათვის მრევლის მეტყველებაში

საქართველოში ოდითგანვე მტკიცედ შემუშავებულ ზნე-ჩვეულებებს შორის ერთმანეთის დახვედრისა და მისაღმება-დამშვიდობების წესიც არსებობდა. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა: „წარჩინებულნი მოვალენი იყვნენ ერთმანეთისადმი თანასწორი პატივისცემა გამოეჩინათ იმიტომ, რომ ურთიერთის „პატივად ხილვად“ ამ წესის ზრდილობიანობის საანბანო ჭეშმარიტებად ითვლებოდა. „წესისამებრ „პატივით ხილვად“ იმაში მდგომარეობდა, რომ, როდესაც წარჩინებულნი, ცხენზე მჯდომნი, ერთი მეორეს შეხვდებოდნენ, ორივენი მოვალენი იყვნენ ჯერ ჩამოქვეითებულიყვნენ, ხოლო შემდეგ კოცნით, მხარზე მთხვევით, მისაღმებოდნენ ერთმანეთს. ქართველ ჟამთააღმწერელს მოთხრობილი აქვს ერთი შემთხვევა, როდესაც ეს წესი დაურღვევიათ: ავაგ ამირსპასალარი უცხოეთიდან საქართველოში ბრუნდებოდა, ქართველებმა ეს რომ გაიგეს „წინამოეგებნეს ყოველნი მთავარნი და წარჩინებულნი შანშა და ეგარსლანი, რომელსა კნინდა და სახელიცა მეფობისა ეყურა და ვითარ მიეახლა ავაგ, ჰგონებდა ჰონისაგან გარდამოჯდომად და ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი განლაღებულ იყო: არა ინება წესისამებრ პატივით ხილვად და ამბორისყოფად ავაგისად და ამიტომაც შესაფერისად დაისაჯა“ (ივ. ჯავახიშვილი, 1919, გვ. 62).

დღეს ქართველობა მეტ-ნაკლებად აგრძელებს წინაპართა ტრადიციას. განსაკუთრებულ პატივისცემას ძველი ჰუმანური ტრადიციებისადმი კი მრევლის წევრები ამჟღავნებენ.

მართლმადიდებელ ეკლესიაში მისაღმების ფორმულები შეიძლება შემდეგნაირად დავაჯუფოთ: I) ჩვეულებრივ დღეებში: ა) მრევლს შორის, ბ) მრევლსა და მოძღვარს შორის; II) რელიგიურ დღესასწაულებზე და კვირა დღეს.

ეკლესიაში ჩვეულებრივ დღეებში ასაკისა და სქესის მიუხედავად მრევლი ერთმანეთს ესალმება სიტყვებით: **„მშვიდობა“, „მშვიდობა თქვენდა“**. პასუხად იღებენ: **„და სულისაცა თქვენსა თანა“**. საღამოს ლოცვაზე ზემოთ თქმულის გარდა გვხვდება სიტყვები: **„მწუხრი მშვიდობისა“**. მისალმების ფორმა „მშვიდობა“ და „მშვიდობა თქვენდა“ ძველი აღთქმიდან მოდის. ბიბლიაში ვკითხულობთ: „მევიდა და რქუა მათ: მშვიდობა!“ (ტობიასი 7, 12, 149), ახალ აღთქმაში — როცა მაცხოვარი გამოეცხადა მოწაფეებს, ასე მიესალმა: „მშვიდობა თქვენდა“ (მათე 28,9, იოანე 20,19). მსგავსი მისალმების ფორმა შესაბამისად გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაშიც. მაგ.: „ოდეს მოახლოვდა იგი, მყისივე იცნო იოანემ და ჰრქვა: **„მშვიდობა შენდა ღამბარაშვილო!“** — **„და სულისაცა შენისა თანა ხელაშვილო!“** „მშვიდობა შენდა, ანდრია“ — „სულისაცა შენისა თანა, იოანე!“ (ი. ბაგრატიონი, 1990).

მრევლი პასუხს მისალმებაზე **„მშვიდობა თქვენდა“, „მშვიდობა“** მიუგებს შემდეგნაირად: **„არ დაგილიოს დემრთმა“**.

მორწმუნენი ერთმანეთს ესალმებიან თავის დაკვრით ან ბეჭზე მთხვევით მიუხედავად ასაკისა და სქესისა (გამონაკლისს წარმოადგენენ ბავშვები, თუმცა თავად სკოლის ასაკის მოსწავლე მრევლის წევრებიც ერთმანეთს ასევე ესალმებიან). ტიპიკონისა და წერილობითი ძეგლების მიხედვით, ბეჭზე მთხვევით ძველად მხოლოდ ერთი სქესის ადამიანები ესალმებოდნენ ერთმანეთს. მამაკაცები ქალებს მხოლოდ თავის დაკვრით ან გულზე ხელის დაღებითა და თავის დაკვრით ესალმებოდნენ.

მრევლი მოძღვარს თავის დაკვრითა და იმავე ფრაზებით ესალმება, როგორც ერთმანეთს, ან კიდევ უსიტყვო მისალმების ფორმით: მარცხენა ხელის გულს ზემოდან ზურგით დაადებენ მარჯვენას და თავს დაუკრავენ, რაც აღნიშნავს მისალმებას კურთხევის გამოთხოვით. შეიძლება აღნიშნულ ჟესტს ახლდეს სიტყვები: „გაკურთხე, მამაო!“ ან „ღამლოცეთ, მამაო!“ მისალმების უსიტყვო ფორმაა აგრეთვე, მოძღვრის, უფრო კი ეპისკოპოსის წინაშე დაჩოქება და თავის დახრა. ასეთ შემთხვევაში მღვდელი პასუხობს ჯვრის გადასახვით და ხელს ან ჯვარს გაუწვდის საამბორებლად; ანდა ჯვარს სახავს და ამბობს: „გაკურთხოს უფალმა“; ხოლო სიტყვიერი მისალმებისას მოძღვარი პასუხობს „მშვიდობა“, „მშვიდობა თქვენდა“ ან „გაკურთხოს უფალმა“. ეს უკანასკნელი ფორმაც დასაბამს ძველ აღთქმაში პოულობს: „რაფაელ მთავა-

რანგელოზმა მოიკითხა და ჰრქუა ტობიას: „ღმერთმან ისრაელისამან გაკურთხოს შენ“ (ტობითი 1,62), „მელქისედეკი გამოეგება აბრაამსა და უთხრა: კურთხეულ იყოს აბრაამი უზენაესი ღმერთის წინაშე“ (დაბადება 14, 19).

მსგავსი ფორმები, როგორც დადგენილი წესი, შესაბამისად გვხვდება შემდგომი დროის მხატვრულ ლიტერატურაშიც. მაგალითების სიმრავლის გამო, საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმეს: „რა იცნა იოანე, ჰრქვა: „გვაკურთხენ, მამაო!“— „კურთხეულ იყავ საქმეთაებრ შენთა“— მიუფო იოანემ (ი. ბატონიშვილი, 1990); „მაკურთხე, მამაო“— „უფალმა გაკურთხოს“— მიუფო მამაო და ვაჟს პირჯვარი გადაწერა (რ. შენგელია, 1996)...

მოძღვრები და სხვა ღვთისმსახურნი ღიაკვანი, სტიქაროსანი, მორჩილი ერთმანეთს ბეჭზე მთხვევითა და სიტყვებით „მშვილობა თქვენდა“ ესალმებიან ან მხოლოდ სიტყვითა და თავის დაკვრით. მღვდლები ზოგჯერ სულიერ შვილებსაც ხედებიან მხარზე კოცნით. რაც შეეხება ზემოთ ნათქვამ მისაღმების ექსტებს, ისინი უხვად დაიძებნება რელიგიურ ლიტერატურაში და წერტილობთ ძეგლებში: „ღედაკაცი იგი მსწრაფლ მოვიდა წმიდისა მის... რაფთამცა ღირს იქმნა ჭუარსა ნეტარის მის კაცისას, ხოლო მან არა დასწერა ჭუარი“ (გიორგი მერჩულე, 1990), „კურაპალატი წინა მიეგება ფებრონიას და მიიღო ლოცვაჲ დედისა მის“(იქვე)... საბა იშხნელს „კურაპალატი წინა მიეგება და პატივით მოიკითხა და მან კურთხევით ულოცა“(იქვე)... „აბრაამი გაიქცა მათ მისაგებებლად და მდაბლად თაყვანი სცა (მუხლი მოიყარა)“(დაბადება, 18,2), „დაინაზა ისინი ლოტმა, წამოუდგა მისაგებებლად და მდაბლად თაყვანი სცა“ (დაბადება, 19,1), „მიეგება მოსე თავის სიმამრს, თაყვანი სცა და გადაკოცნა, მოიკითხეს ერთმანეთი“ (გამოსვლ. 18,7), „ისინი მივიდნენ იესოსთან მუხლებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას“ (მათე, 8,9), „აღდგა შიო და შეუვრდა ფერხთა იოვანესთა“ (ცხოვრება შიო მღვიმელისა)...

დღესასწაულებზე და კვირა დღეს — მორწმუნენი ერთმანეთს ესალმებიან სიტყვებით: „მრავალს დაესწარით“, „მრავალს“; თუკი რომელიმე წმიდანის დღეა პირდაპირ დალოცვითაც ესალმებიან: „ღვთისმშობელი გფარავდეთ“, „ღვთისმშობელმა გაკურთხოთ“, „წმიდა გიორგი შეგეწიოთ“, „წმიდა გიორგი გფარავდეთ“...

ყოველ კვირას აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აღსანიშნავად (საღვთისმსახურო წიგნების მიხედვითა და მორწმუნეთა განმარტებით კვირა აღდგომის სწორი დღეა) ძველად საქართვე-



ლოში ქრისტიანები ერთმანეთს ესალმებოდნენ სიტყვებით: „ქრისტე აღსდგა“ — „ქეშმარიტად“, რაც დასტურდება წმიდა გაბრიელ ქიქოძის „ქადაგებანშიც“, მაგრამ დღესდღეობით აღნიშნული წესი თითქმის აღარ გვხვდება.

აღდგომის დღეებში ამაღლებამდე ერი და ბერი ერთმანეთს ესალმება სიტყვებით: **„ქრისტე აღსდგა“ — „ქეშმარიტად“**, **„ქეშმარიტად აღსდგა“** — პასუხობენ პირველს და თან დალოცავენ: „მრავალს დაესწარით“, „თქვენიანად, მრავალს დაგასწროთ უფალმა“... მისალმების ეს ფორმა წმიდა გადმოცემის მიხედვით უკავშირდება წმიდა მარიამ მაგდალინელს. აღსანიშნავია, რომ ფართო საზოგადოება მოცემულ ფრაზას იყენებს ორი კვირის განმავლობაში. მრევლი კი საეკლესიო წესის თანახმად, აღდგომიდან ორმოცი დღის განმავლობაში, ამაღლებამდე ერთმანეთს ტაძარში და მის გარეთ „ქრისტე აღსდგათი“ ესალმება.

შობის დღეებში ერთი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ესალმებიან შემდეგი ფრაზებით: **„ქრისტე იშვა“ — „გიხაროდინ“** — არის პასუხი. მასაც მოსდევს დალოცვა.

სადაც და სადღესასწაულო დღეებშიც, გარდა აღდგომისა და შობისა მრევლი ერთმანეთს ემშვიდობება სიტყვებით: **„ღმერთს ებარებოდე“**, რაც ღვთის მფარველობაში მშვიდობით მყოფობას ნიშნავს. შევნიშნავთ, რომ „ფრაზა „ღმერთს ებარებოდე“ მომდინარეობს ძველი ქართული ლოცვიდან, რომელიც ჩვენში დავიწყებულ იქნა (მხოლოდ დამშვიდობების აღნიშნული ფორმა შემორჩა ეკლესიაში), შემონახულია ფერეიდნულში, რომელსაც დღესაც იყენებენ იქაური ქართველები (გაზ. „საპატრიარქოს უწყებანი“, №41, 2003წ. გვ.6-10). ზოგჯერ აღნიშნულ ფორმას ენაცვლება გამოთქმა: **„ქრისტე შენთანა“**, რასაც იგივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ზემოთქმულს.

გამომშვიდობების ეს ფორმა ხშირად გვხვდება გასული საუკუნის ლიტერატურაში. მაგ.: ი. ბატონიშვილი „კალმასობაში“ მღვდლისა და სულიერი შეილის გამომშვიდობებას ასე აღწერს: **„ქრისტე იყოს შენთანა“ — „უფალმან წარგიმართოს ყოველი ქმნული ხელთა შენთანა“**...

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება ვთქვათ, რომ მრევლი აღნიშნულ შემთხვევაშიც არ ღალატობს საეკლესიო ტრადიციას, მისდევს ძველ სწავლებას და ურთიერთს ბიბლიური ფრაზებით ესალმება-ემშვიდობება.

### 135. ბიპლური წყევლა—დალოცვის შორეულად ხალხური მარიანტებისათვის

დალოცვა-წყევლას დასაბამისეული ისტორია აქვს. ძველ აღ-  
თქმაში ხშირად გვხვდება აღნიშნული ფორმები, რომლითაც  
ღვთის მგობელნი იწყევლებიან და მძებარნი ანუ საქმით მადი-  
დებელნი ღვთისაგანვე ილოცებიან; რადგან ფსალმუნის სიტყვებით  
რომ ვთქვათ: „ღმერთი არს თესლთა შორის მართალთასა“. თა-  
ვად უფალმა ასე აკურთხა თავისი რჩეული ერი: „ვაკურთხო პუ-  
რი თქვენი და ღვინო და წყალი თქვენი და გარე-წარვაქციო  
საღმობად შენგან. არა იყოს უშვილო, არცა ბერწი თქუენსა.  
რიცხვი დღეთა შენთა ადევასო... და მოგცნე ყოველი მტერნი  
შენი მეოტად“ (გამოსვლათა 23, 25-27). ძველ აღთქმაში აღნიშნუ-  
ლი ფორმებით მდიდარია დავით წინასწარმეტყველის მიერ შექ-  
მნილი ფსალმუნები, სადაც ზოგჯერ მთლიანად ფსალმუნი ცალკე  
დალოცვასა და ცალკე წყევლას შეიცავს, არა თუ მის გამომატ-  
ველ ფორმებს:

**დალოცვა:** „ნაყოფი ნაშრომთა შენთა და შტამო შენ, ნეტარ  
იყო და კეთილი გვეყოს შენ. ცოლი შენი ვითარცა ვენახი მსხმო,დ,  
კიდეთა სახლისა შენისათა. შვილნი შენნი ვითარცა ახალნერგი  
ზეთისხილისანი, გარემოჲს ტაბლისა შენისა... გაკურთხოს უფალ-  
მან სიონით და იხილო შენ კეთილი იერუსალიმისაჲ, ყოველთა  
დღეთა ცხოვრებისა შენისათა და იხილნე შვილნი შვილთა შენთა-  
ნი“ (ფს. 127, 1-6), „გაკურთხოს უფალმან სიონით, რომელმან  
ჰქმნა ცანი და ქუეყანაჲ“ (ფს.133,3), „დიდება და სიმდიდრე სახ-  
ლსა შენსა“ (ფს. 111,3).

**წყევლა:** „მოვედინ სიკვდილი მათ ზედა და ცოცხლიე შთაბ-  
დენ იგინი გოჯონეთად“ (ფს. 54,15), „დაეცა მათ ზედა ცეცხლი  
და არა იხილეს მზე“ (ფს. 57,8), „წვიმოს ცოდვილთა ზედა მახე,  
ცეცხლი და წუნწუბაჲ“ (ფს. 10,6), „იყავ სამკვიდრებელი მისი  
ოხერ და საყოფელთა მისთა ნუ იყოფინ მკვიდრნი“ (ფს. 68,26),  
„იქმნენ დღენი მისი მცირედ და განსაგებელი მისი სხუამან მიი-  
დენ... მოისპედ ქვეყნით სახსენებელი მათი“ (ფს. 108).

რაც შეეხება ახალ აღთქმას, აქ არსებული დალოცვა-წყევლის  
ფორმულები ძირითადად ძველი აღთქმიდან ციტირებას წარმოად-  
გენს. მაგ.: სამოციქულოში ვკითხულობთ: „ვითარცა ფსალმუნი  
იტყვის: „იყავ სამკვიდრებელი მისი ოხერ და საყოფელთა მისთა  
ნუ იყოფინ მკვიდრი“ (საქმე 1,20). ზოგჯერ თავად მაცხოვარი,

კაცთა მოღმგის წყევისაგან დაბხსნელი, ბოროტ სულს და მისი ნე-  
ბის გამოძახატველ მღვდელმთავრებსა და ფარისევლებს (რომელთა  
ცდუნებითაც ხალხმა უფლის ჯვარცმა მოითხოვა) ასე წყევლის:  
„განვედით ჩემგან იქედანთა ნაშობზო საუკუნო ცეცხლში“ (მათე  
23,33).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი აღთქმა, წყველის ფორმე-  
ბის გამოყენების თვალსაზრისით, მკვეთრად განსხვავდება ახლისა-  
გან; აქ ისინი ძალზე იშვიათია.

სიგელ-გუჯრებსა და განჩინებებში გამოყენებული დალოცვა-  
წყველის ნიმუშები კარგად ასახავს იმ დროის ყოფით გარემოს.  
მძარცველთა და ათასი რჯულის თავდამსხმელთაგან შევიწროებუ-  
ლი, სულგამწარებული ადამიანი ხშირად მიმართავდა წყველის  
ბიბლიურ ფორმებს. აქ გვხვდება როგორც ფსალმუნებიდან ციტი-  
რებები, ასევე რელიგიური ტერმინოლოგიის შემცველი წყველა-და-  
ლოცვის ფორმულები (აქვე დავძენთ, რომ სიგელ-გუჯრები ძირი-  
თადად სამი ნაწილისაგან შედგება: დალოცვითი, ძირითადი ტექ-  
სტისა და კრულვითი ნაწილისაგან; იხ. ივ. ჯავახიშვილი, 1926).  
აღსანიშნავია, რომ გამოყენების მხრივ წყველის ფორმები გაცილე-  
ბით სჭარბობს დალოცვისას:

**დალოცვა:** „მიიღენ კურთხევა და ღმრთისაგან“, (ქსდ, შეწირუ-  
ლობის სიგელი ბაგრატ IV-ისა შიომღვიმისადმი, 1057წ; 1965,  
გვ.7), „ღმერთმან მეოხებითა წმიდათა მოციქულთადათა და ვედრე-  
ბითა წმიდათა მამათადათა დღესა მას განკითხვისასა უღბინოს  
სულსა მისსა“ (ქსდ, სიგელი ბაგრატ IV-ისა ოპიზართა და მიძნა-  
ძორელთა სამამულე დავის გამო, 1027წ; 1965, გვ.9), „შეწევნითა  
ყოვლად სახიერისა ღმრთისადათა და მადლითა ყოვლად წმიდისა  
ღმრთისმშობლისადათა... მიეცინ სიმტკიცე ეკლესიასა, ჩემ მიერ შე-  
ნებულსა“ (იქვე, ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმისადმი,  
1123). მეფედ თუ მთავრად დადგინება ჩვეულებისამებრ საეკლესიო  
„კურთხევანის“ ტექსტის მეშვეობით ხდებოდა: „უფალო, ღმერთო  
ჩვენო, რომელსა ყოვლისა მთავრობისა და ველმოწივებაჲ გაქუს  
ცათა შინა და ქუეყანასა ზედა... მონიჭე ამას (სახელი) ყოველი-  
ვე საცხოვრებელი თხოვაჲ და ღირს ყავ იგი სჯად მის ქუეშემ-  
ყოფთა სიწარფოებითა და სიმართლითა, რათა სათნოდ შენდა გა-  
მოჩნდეს ყოველსავე შინა... უფალო, ღმერთო ჩვენო, ყოველთა  
დაბადებულთა შემოქმედო, ისმინე ვედრებისა ჩვენისა და მოჰმად-  
ლე სარწმუნოსა ამას მონასა შენსა (სახელი) ყოველივე საცხოვ-  
რებელი თხოვაჲ და ღირს ყავ იგი ნებისამებრ შენისა განგებად...“

რათა იქმნას მკვიდრ ზეცისა სასუფეველისა შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი წყალობისა და მაცხოვარებისა, ქრისტე ღმერთო ჩვენო და შენდა დიდებასა აღვავლენთ თანა დაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლად წმიდით და სახიერით და ცხოველსმოყველი სულით შენით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე; ამინ“ (იქვე, წესი და განგება მეფედ-კურთხევისა, XIII.).

**წავლა:** „ვინც რამანც გუარისა კაცმან შეცვალოს, შემცაიცვლების რჯულისაგან ქრისტიანეთასა, რისხვამდესმცა მამა, ძე და სული წმიდა; კრულმცა არს ძილი და ღვიძილი მისი, საფლავი და სახსენებელი მისი... წირვითა კრულია, სატანის განუქსნელითამცა საკვრელითა შეიკვრის ტომით, ნათესავით, სახსენებელით მისითურთ, წმიდათ მადლი რისხავს, რამანც ადამიანის ნათესავმა შეშალოს“ (ქსდ, ბეგარის დადების დაწერილი შიომღვიმისა, 893-918 წწ., გვ.4-5), „ვინც ეს შეცვალოს... შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტიანეთასა... ასდამერვე ფსალმუნი მის ზედა აღესრულების... და იგიმცა სიტყუაჲ მისგან იძიების, რომელი ჰურიათა თქუეს, ვითარმედ: „სისხლი მაგისი ჩვენ ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა“ (მათე 27,25)... ყოვლად წმიდაო ღვთისმშობელო რკონისაო, რისხვით აღიძარ და ძისა შენისა ლახურისა შემცემელითა პატივი მისგან იძიე“ (იქვე, შეწირულობის დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, 1259წ; გვ.64).

გამოქვეყნებულ და ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოპოვებულ დიალექტურ, ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებში მრავლადაა ქრისტიანული ტერმინოლოგიის შემცველი წყველა-დალოცვის ფორმულები. ისინი მოცემული დიალექტური მეტყველებისათვის დამახასიათებელი სტილით გვხვდება, რაც ბუნებრივია; რადგან დალოცვა-წყევლის შემცველი ფორმები ყველაზე ნათლად წარმოაჩენენ ადამიანის შინაგან სამყაროს, მის მრწამსსა და მეტყველების კულტურას. ამავე დროს მათში ასახულია ამა თუ იმ კუთხის რწმენა-წარმოდგენები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ იმერეთში, სამეგრელოსა და სვანეთში ჩაწერილ მასალებს: **დალოცვა** — „დედა ზეთისამ დაგლოცოს, მისი კალთა ქვარავდეს“ (ოკრიბა), „წმიდა გიორგი წინამძღურობდეს შენ ოჯახს!“ „გელათის მაცხოვარი ქვარაუდეთ“ (ქუთაისი), „წმიდა ბასილის ძალა ქვარაუდეს, მისი ლოცუის მადლი შექწეოდეთ“, „ღმერთმა გაკურთხოს და წყალობა არ მოგაქლოს“ (მათხოვი)... **წავლა** — „ხატებო, ყუენლა ანგელოზებო, ქთხოუთ დამეხმაროთ, ჩემი გამამწარებელი გა-

ამწარეთ“, „მიქელ-გაბრიელ მთაწარანგელოზო, გეზეწევი, შემის-რულე ჩემი წყეტლა, მითხარი ბანი“ (მათხოჯი), „წმიდაო გიორგი, შენ გვედრები, შენი მახტილით მოსპე ჩემი მტერი და ოჯახის გა-ამწარებელი“ (ოკრბა), „ამომავალი მზის ძალო და მადლო, მზის ანგელოზო, შენ არ გაუთუნო ჩუნენ დამაქცევარს, მოუსპე ნა-თელი“, „ჩემი გამქურდავი გეიპარა მიწაში, ჩემგან წაღებული შე-ერგოს ალაპათ, საკურთხათ“, „როგორც შემარგე, ისე შეგერგოს წირტის მადლი“ (ქუთაისი)...

რაც შეეხება სამეგრელოში (სოფ. ქვალონი, დიდი ჭყონი) ჩა-წერილ დალოცვა-წყევლის ფორმულებს, აქ ისინი გვხვდება, რო-გორც მეგრულად, ასევე მეგრულ-ქართულად: **დალოცვა** — „ჯვა-რი დაგწეროს ღმერთმა, „შემოვევლე დიდებულებს, თქვენი ჩრდელის ქირიმე, დაიფარეთ ჩემი შვილები“... **წყევლა** — „სუმოშ სუ-მინეჩლო ხლთი წმიდა გიორგიშ ლახვარ შენ გულსა და სულს“.

აქვე შევნიშნავთ, რომ ქართულ-მეგრულად წყველა-დალოც-ვის კონტამინირებული ფორმები გვხვდება სოფელ მათხოჯში ჩაწე-რილ მასალებშიც: „ილორიშ ჭგეგე მისარნო, შენი ლახტარი აძგერე მის გულს“.

დალოცვა-წყევლის ფორმულები სვანეთში მოძიებულ მასა-ლებში (მოვიყვანთ გაქართულებულ ვარიანტებს): **დალოცვა** — „თეთრო ელიავ, დარისა და ავდრის მომწესრიგებელო, შენ მოგვი-წესრიგე ყველაფერი“, „წმიდაო გიორგი, დალოცე ქუდიანი ყველა, ცული აცილე, სვე აახლე, შენი ნალოცი წაუძღვარე“, „მზის მყო-ლო ანგელოზო, თეთრად ყოფნა მიეცი ახალგაზრდობას“... **წყევ-ლა** — „წმიდა გიორგი თავის ძალებს დაგისევედეს და საშველი არ გქონდეს“, „ელიას ალი სწავლეს შენს თვალებს“, „მიქაელ მთავარანგელოზის მწვერებმა დაგგლიჯოს“, „შავმა ძალებმა და წითელმა მამლებმა დაგფლითოს“, „ცის სუნდუქი მის გამოშვებულ დაავადებებს ნუმეც ავაცილებდეს“...

რწმენა-წარმოდგენების მხრივ სვანურ მასალასთან ერთგვარ სიახლოვეს ამჟღავნებს ფშავ-ხევსურული სადიდებლები. მათში გადმოცემულ წყველა-დალოცვის ფორმულებში, მსგავსად სვანუ-რისა, გვხვდება ფრაზები: „მიქაელის მწვერები“, „წმიდა გიორგის ძალები“. ყველგან ისინი მგლის აღსანიშნავად გამოიყენება. აღ-ნიშნული მტაცებელი საქართველოს ამ კუთხეებში ერთგვარ ტო-ტემას წარმოადგენს: „მიქაელის ლაშქარო, მწვეარნო... ხთისგან გამოშობილნო, თქვენ მეხვეწურთ ყუდროს ნუ მაჯკერძებთ...“ (ჯვარ-ხატთა სადიდებლები, 1998, გვ.81); „გაუწყრას წმიდა გიორ-

გის მწვერები ცული ენის კაცს, მოლაატეს, ცულის ხელისას...“ (იქვე, გვ.89), „გაუწყრას მზის მყოლ ანგელოზი სოფლის პირის მშელს, მოლაატეს, ავის ენისას...“ (ალ. ოჩიაური, 1988, გვ. 37). შეენიშნავთ, რომ მგლის ტოტემა საერთო უნდა იყოს კავკასიელი ხალხისათვის; ამასთანავე, ალბათ, აღნიშნული ცხოველის განსაკუთრებული თვისებების გამოც აქვე იგი გამოსახული ეროვნულ დროშაზე ჩეჩენ ხალხს და ამიტომაც გვხვდება იგი მთ ჰიმში (მოვიყვანთ რამდენიმე სტროფს): „ღამით, როცა ძუ მგელი ლეკვებს ყრიდა კლდეში, ჩეჩენც მაშინ დაეიბადეთ, მგლის ძალაა ჩეჩენში, მგლის ძარღვებით შეგვეკერეს მგლის გულია მკერდში“ (გაზ. „ალია“, 2002).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან განსხვავებული ვარიანტები გვხვდება საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (თბილისი, ხონი, მარტვილი, აბაშა, სამტრედია, მესტია) მოქმედი ეკლესიების მრევლთა მეტყველებაში. აქ დიალექტისათვის დამახასიათებელ დარღვევა-წყველის ფორმულებს მეტ-ნაკლებად ენაცვლება ფსალმუნებისა და ლოცვების პერიფრაზები, რომლებიც არქაულ სტილს ინარჩუნებენ. მრევლის წევრები მადლიერებას საქმიანობასთან შესაბამისი დარღვევით გამოხატავენ; მაგ.: წყლის მიწოდების ჩვეულებრივ „მადლობას“ ენაცვლება: **„წყალსა ზედა განსახუნებელსა გამოგზარდოს უფალმა“** (ფს. 27) ან **„გასუას უფალმან წყარო ცხოვრებისაჲ“** (ფს. 35,9), ბურის ან სეფისკერის მიწოდებისას: **„უფალმან მოგმადლოს ბური არსობისა“**. სხვა შემთხვევაში გვხვდება: **„წყალობა ღვთისა, სასუფეველი ცათა, მოტეგება ცოდვათა იესო ქრისტემ მოგანიჭოს“** (მღვდლის ასამაღლებელი ლოცვიდან), **„ანგელოზთა მისთა უბრძანებებს შენთვის დაცვად“** (ფს. 90), **„მოწყალების კაი გაგიღოს ღვთისმშობელმა“** (ლოცვანი, 1999)...

რაც შეეხება წყველის ფორმებს მრევლთა მეტყველებაში, მორწმუნე თანახმად სახარებისეული სიტყვებისა „მაწყევართა თქვენთა აკურთხევდით“ ცდილობს, თავი შეიკავოს წყველისაგან, მაგრამ ზოგჯერ თავს ვერ აღწევს მას და ამ შემთხვევაშიც ფსალმუნს მიმართავს. ძლიერი ემოციის დროს, როცა გონება ნაკლებად განაგებს ქმედებას, მოსალოდნელია მოცემული რეგიონისათვის დამახასიათებელი მეტყველების გააქტიურება. მაგრამ მრევლი, ამ დროსაც ფსალმუნებიდან წყველის ციტატებს მოიხმობს ხოლმე, თითქოსდა ამით ნაკლებ ცოდვას ჩადის („თავს რო ვერ ვიკავებ, ფსალმუნის სიტყვეს მიმართავ, მაინც ფსალმუნია და... ისე

წყველას ვცდილობ მევერილა“ (ქუთაისი, 2000). მაგ.: „უფალმა მოგაგოს მოსაგებელი, რომელი მომაგე მე“ (ფს. 136), „იყავ ხაყვიდრებელი შენი ოხერ და საყოფელთა შენთა ნუ იყოფინ მკვიდრი“ (ფს. 68,25), „დაეცა მათ ზედა ცეცხლი და არა იხილონ მზე“ (ფს. 57,8).

აღნიშნული წყველა-დალოცვის ფორმულები გამოირჩევა რიტ-მულობით, რაც ფსალმუნის ენის მუსიკალობაში მდგომარეობს. მათ მგლოდიურობაზე თავის დროზე წერდა ქრისტეს ეკლესიის ბურჯი წმიდა ბასილი დიდი (იხ. თავი 1.3.1).

ფსალმუნთა რიტმს ქმნის სიტყვისა და სიტყვათა დაბოლო-ბების განმეორება. მსგავსი რამ დიალექტურ ფორმებს ნაკლებად ახასიათებს, თუმცა მუსიკალურია შელოცვებში, სადიდებლებსა და სადღეგრძელოებში გადმოცემული დალოცვა-წყველის ფორმუ-ლები. შელოცვების რიტმულობას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა მეცნიერმა ჯ. ბარდაველიძემ: „ფოლკლორის არქაული ჟანრებიდან შელოცვა გამოირჩევა როგორც მხატვრულ- შინაარსობრივი, ასევე რიტმულ-მუსიკალური თავისებურებით... შელოცვას ისევე ძნელია უწოდო პროზა, როგორც — ლექსი. იგი შეიცავს პროზის ძლიერ ელემენტებსაც და პოეზიისა და საკუთრივ ლექსის ასევე ძლიერ ელემენტებს, ზოგჯერ სპეციფიკურ კომპონენტებსაც კი; როგორი-ცაა, მაგალითად, რიტმი, რითმა, ალიტერაცია, ანაფორა და მეტ-რული წყობის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილები.

ტექსტის რიტმულობას განსაზღვრავს არა რომელიმე ცალკე-ული კომპონენტი, არამედ მთელი კომპლექსი; ერთიანობა — ში-ნაარსისა, იდეური გააზრებისა, შესრულების მანერისა, ბგერათმე-თანხმებისა და, რაც მთავარია, გარკვეულ მარცვალთა, ზოგჯერ სიტყვათა განმეორებისა. განმეორებას, ყველა მნიშვნელოვანი რო-ლი აკისრია. განმეორება დამახასიათებელია არა მხოლოდ ტექ-სტის შიგნით, არამედ საერთოდ მთელი ტექსტისთვის. აქედან გა-მომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ განმეორებას გარკვეული ფუნქცია ჰქონდა დაკისრებული, რომელმაც განსაზღვრა შელოც-ვის რიტმული წყობა“ (ჯ. ბარდაველიძე, 1979, გვ. 186-187).

კანონიკური ქრისტიანული ტექსტებიდან მხოლოდ ფსალმუნე-ბი თუ ამჟღავნებენ გარკვეულ მსგავსებას ხალხური შელოცვების რიტმულ წყობასთან:

„მოიხსენე უფალო, დავითი და ყოველი სიმშვიდე მისი;

ვითარ იგი ეფუტა უფალსა და აღუთქვა ღმერთსა იაკობი-

ხანა:

უკეთუ შვიდე მე საყოფელსა სახლისა ჩემისასა,  
ანუ თუ აღესდგე სარეცელსა ცხედრისა ჩემისასა,  
ანუ თუ ვსცე ძილი თულათა ჩემთა და ჰრული  
წამთა ჩემთა და განსვენება ხორცთა ჩემთა“.

(ფს. 131)

ფსალმუნების მოყვანილ ტექსტში ყურადღებას იპყრობს ცალკეულ სიტყვათა და ზოგიერთი სიტყვის დასასრული მარცხლის განმეორებანი, რაც ხალხური შელოცვებისთვისაც დამახასიათებელია. განმეორება ფსალმუნებში არ შემოიფარგლება ცალკეული სიტყვებით. ხშირად გვხვდება მთელი ფრაზების, ზოგჯერ, ტაქების კანონზომიერი განმეორებანი, რომლებიც რეფრენის სახით გასდევს მთელ ტექსტს:

„აუარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ,

**რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი,**

აუარებდით ღმერთსა ღმერთასა,

**რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი...**

(ფს. 135)

შელოცვებში დადასტურებული წყევლა-დალოცვის მუსიკალური ფორმულები ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის არქივიდან: **დალოცვა:** „ჩემი ნალოცი ლოცვად შეგრგებია,

ხუთის წყალობა გრგებია“, „ერდოს კარი, კარსა ჭუარი, ღმერთო, შენ დასწერე შენი წმინდა ჭუარი“, „ამ ოჯახის კედელ-კუთხე, ღუთისმშობელო, შენ აკურთხე“, „უფალო იესო, რომელმან კანას გალილიას წყალი ღუთით აქციე, ჩემი ცული სიზმარი კეთილათ გადააქციე“!.. **წყევლა:** „გამჩენო, წმინდაო გიორგი, ამის ავის შემტახებელს, დოუფსე თუალები, გამოუკეტე კარები“, „წეიქვა წარე ბალი, წაუარდა ორივე საბზერი თუალი ამის (სახელი) ავით შემხედაუნ“, „მოლობოს ფარცხი, სახში დოუხუთეს მარცხი; გათალოს თოხის ტარი, დოუხუთეს ოთხი მქუტარი“, „მეუფეო გარმუაგდე ხელბორკილი რკინისა, ნადირს კილი შოუკარი, ქურდი კაც[ს]ა ხელ-ფეხი, ნუ გოუშოფ გზაში, გადააგდე ზღუაში“...

შელოცვა რიტმულ-მუსიკალობის მიხედვით დიდ საერთოს პოულობს **სადიდებლებთან:** „წმიდაო გიორგი, ღვთეო ღვთისმშობელო... თქვენ უშველეთ ქუდოსანთ-მანდილოსანთა, ფურსა, მეფურსა. ზბოსა, მევბორესა, ვარსა, მეგუთენსა, ცხვარსა, მეცხვარესა, ცხენსა, მვედარსა, მონადირესა, აშორეთ აღორებულ წყალსა, დაგორებულ ქვასა, მოქნეულ ხმალსა“ (ჯვარ-ბატთა სადიდებლები, 1998, გვ.175), „წმიდაო გიორგი, კეთილი წყალობა გადაუ-



ლოცე შენს მხევეწელსა, მლოცავსა. მლოცავისაგან შემოწირული საკლავი, სანთელი. შენაზღვენი ღირსად აიღე, ღირსეულადა, სხნი-ლადა, კურთხეულადა. ბარაქა მიეც იმის ნახნავ-ნათესსა. ჭვარი დაუწერე კაცსა, საქონსა, ნაყოლსა, ნაქონსა. აცოცხლე, აღდგე-რძელე, ერთი ათასად გაუჭადე“ (იქვე, გვ.116);

**ღარისხება:** „გაუწყრას მიქიელი, სოფელში ცუდი ენის კაცს, მელალატეს, ცუდის ჳელისას, სოფლის გამტეხს. ღრისხე-დას, მიზღიოს შვილით შვილამდინა, ქალი შვილამდინა, ნუ გამა-იყვანას იმის სახლშით ნუც ქუდიანი, ნუც მანდილიანი“ (იქვე, გვ. 89)

რაც შეეხება სადღეგრძელოების რიტმულ-მელოდიურობას, შეიძლება ვთქვათ, რომ იგი დალოცვის უფრო პოეტური ფორმაა ვიდრე პროზული. ქალაქ ქუთაისის მომხიებელთა ჯგუფის მიერ ჩაწერილ მასალებში კვითხულობთ: „წადმა-წადმართიანათ, ღუთის წყალობა მთლიანათ, იყაჭეთ-იბრეშუმეთ თქუენ შუილ-მომაშული-ნათ“ (ქდსკი, ფ. E, კ. 60).

როგორც აღვნიშნეთ, დიალექტური დალოცვა-წყევლის ფორ-მები მუსიკალობას მოკლებულია. თუმცა იშვიათად, აქაც გვხვდებ-ბა რიტმულობის მქონე წყევლის ისეთი ორიგინალური ნიმუშები, როგორცაა მაგ.: „დახჩოზა, არ გაგითენდა არც აღდგომა, არც შობა“, „ზაზა, შეგიცხადე გზა-გზა“, „მაია, შენს თავში ვაია“, „ნე-ლი, შენი თავი ბნელი“, „კიკო, შენ გაგინდა კიბო“...(ქდსკი, ფ. C, კ. 70; ფ. E, კ. 15).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან გამომდინარე შეიძლება ვთქვათ, რომ დიალექტურისაგან განსხვავებით მრევლის მეტყვე-ლებაში დადასტურებული დალოცვა-წყევლის ნიმუშები განსხვავ-დება სტილით და რიტმულობით, ხოლო მსგავსია რელიგიური ტერმინოლოგიით. საერთო ჯამში კი ქართველურ დიალექტებში დაფიქსირებული წყველა-დალოცვის ფორმულები შეიძლება ერთი-ანი სისტემის ვარიანტებად განვიხილოთ.

## II ტაზი კელიბიური ტარმინები მრავლის მატყველგაჟი

### 2.1. ზოგი ტარმინის ისტორიისათვის

„IV-V საუკუნეებში ქართულ ენაზე ბიბლიური წიგნების გად-  
მოთარგმნა შეუძლებელი იქნებოდა, რომ ქართულ ენას ძველი  
ლიტერატურული ტრადიცია არ ჰქონოდა. მარტო ის ფაქტი,  
რომ ბიბლია ადრე ითარგმნა, აშკარად მეტყველებს საქართველოს  
ძველ და მაღალ სამწერლო კულტურაზე. საინტერესოა, როგორ  
მოხერხდა მრავალსაუკუნოვანი წარმართული კულტურის წიაღში  
ახალი, ქრისტოლოგიური ცნებების ათვისება და გამოხატვა? ბიბ-  
ლიის ნაციონალურ ენაზე გადმოღება ურთულესი საქმე იყო ყვე-  
ლა ქრისტიანი ერისათვის და მათ შორის ქართველებისთვისაც.  
ბიბლიის თარგმნას ართულებდა არა მარტო ქართული მსოფ-  
ლმზედველობისა და კულტურის ძირძველი წარმართული ხასიათი,  
არამედ ებრაული და ბერძნულ-რომაული სამყაროს რთული სპე-  
ციფიკა... დედნისეული „ღრმა ადგილების“ „ქართული მსგავსებუ-  
ლი სიტყვით“ გადმოცემა. გარდა ამისა, ბიბლიური ტექსტები  
ღმერთის ნაკარანხვე სიტყვებდ მიაჩნდათ მორწმუნე მთარგმნე-  
ლებს. ეს გარემოება თავიდანვე აიძულებდა მათ, მაქსიმალურად  
ჩასწვდომოდნენ დედნისეულ აზრს. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნე-  
ლია, თარგმანები ზუსტი იყოს და არა თავისუფალი“ (ქ. დანე-  
ლია, 1998, გვ.443); ეს ძირითადად ასეც არის, მაგრამ „ქართველ-  
თა შემოქმედებითმა გენიამ შესძლო ნათარგმნი ლიტერატურის  
ასიმილირება, თავის საკუთარ იდეურ-ესთეტიკურ შეგნებაში გადა-  
ხარშვა... იშვიათად შეხვდებით ჩვენს ძველ მწერლობაში ისეთ გა-  
დათარგმნილ ძეგლს, რომელიც სიტყვა-სიტყვით, უცვლელად იყოს  
გადმოღებული, მთარგმნელებს შეაქვთ თავიანთ თარგმანში ქარ-  
თული სული და შეგნება“ (ქ. კეკელიძე, 1956, გვ.183).

თარგმანში მთარგმნელი ერის შინაგანი განცდის გადმოცემის  
მნიშვნელობაზე მიუთითებდა ბ.ბელინსკიც „ჰამლეტის“ პოლევი-  
სეული თარგმანის განხილვისას: „თარგმანში ყველგან იგრძნობა  
თავისუფლება. ჩანს, რომ ცდილობდა გადმოეცა სული და არა  
ასო. ამიტომ ხშირად დედანს სცილდება კიდევ, რათა ამით უფ-  
რო სწორად გადმოსცეს მისი არსი. ამაში მდგომარეობს თარგმან-  
ის საიდუმლოება!“ (ბ. ბელინსკი, 1974).

„... ძველი მთარგმნელები ადრევე ცდილან ნასესხები სპეცი-  
ფიკური ტერმინისათვის ქართული შესატყვისობანი დაეძებნათ,  
რისი შედეგიცაა სინონიმური პარალელები“ (კ. დანელია, 1998,  
გვ.193).

საეკლესიო ლექსიკის დინამიკაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ  
მართლმადიდებელ ეკლესიაში ადრეული საუკუნეებიდანვე შეინიშ-  
ნება ბერძნულ ტერმინთა გაქართულების ტენდენცია, რაც მოწ-  
მობს ქართულ მთარგმნელთა ძლიერ სურვილსა და ისტატობას,  
წარმოეჩინათ მშობლიური ენის დიდი შესაძლებლობა და, ამასთა-  
ნავე, ღვთის სიტყვა გასაგები და მისაღები გაეხადათ ქართულენო-  
ვან მორწმუნეთათვის.

## 2.1.1. აიაზგა / ჳმინჯა ჳყალი / ნაკურთხი ჳყალი

ქრისტიანულ ეკლესიაში ერთ-ერთ სიწმიდეს წმიდა, ნაკურთხი  
წყალი წარმოადგენს. სწორედ მასში განბანენ მოსანათლ (ქრისტე-  
ში შესაერთებელ) ადამიანს. მართლმადიდებლური სწავლებით,  
წყალი განიწმინდება ანუ მღვდლის მიერ იკურთხება (წმიდად იქ-  
ცევა) სპეციალური ლოცვების წაკითხვისას წყალში ჳერის ჩაშვე-  
ბისას და განსაკუთრებულ დღეს, ნათლისღებისას, როცა ბუნებაში  
არსებული ყველა წყალი ღვთიური ძალით განიწმინდება და უზ-  
არწნელი ხდება (იოანე ოქროპირი, სიტყვა თქმული უფლის ნათ-  
ლისღების დღეს, 1991). **წმიდა** ანუ **ნაკურთხ წყალს** ყველა  
მორწმუნე იღებს უზმოზე ყოველ დილით ლოცვის შემდეგ; ასევე  
კვირა დღესა და დღესასწაულებში წყალს ჳერის სახით აპკურებენ  
სახლშიც. ხშირია ნაკურთხი წყლით სნეულთა განკურნების შემ-  
თხვევებიც.

დღეს, როგორც სამღვდლოება, ასევე მრევლი **ნაკურთხ  
წყალს** ზოგჯერ **აიაზმასაც** უწოდებს. იგი მომდინარეობს ბერძნუ-  
ლი სიტყვიდან „αγιασμασ“, რაც წმიდა, განწმედილ წყალს ნიშ-  
ნავს.

ძველ წერილობით ძეგლებში აღნიშნული სიტყვა თითქმის არ  
გვხვდება. მის ნაცვლად გამოიყენება ქართული შესატყვისი **„წმი-  
და წყალი“**: „და მოიღოს მღუდელმან მან წყალი წმიდაჲ ცხო-  
ველი ჳურკლითა კეცისაჲთა“ (რიცხვთა 5, 17), „განწმედს წელი-  
თა წმიდითა განწმედელითა“ (გრ. ანძიანძორეველი, შობისათვის  
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა)...

**„წმიდა წყლის“** ბერძნული ეკვივალენტი სიტყვა **„აიაზმა“** ქართულში გვხვდება მე-18 საუკუნიდან: „ხოლო შემოსილი არხი-მანდრითი ასხურებდეს **აიაზმას** უსუპითა“ (განწესება ერეკლე მე-ფის დაკრძალვისა, 1798, ქსძ); „აქუნდეს შემოსილსა დიაკონსა წყალი კურთხეული **აიაზმისა**“ (იქვე). იგი დასტურდება სულხან-საბა ორბელიანთან: „**აიაზმა** ბერძნულია, ქართულად **წმიდა წყალს** ჰქვიან“. აღნიშნული სიტყვა ასევე მოიხსენიება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების, თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონებში და შემდგომი დროის ქართულ მწერლობაში: „მღვდელი თან ჯვარს სახავდა ხალხს და თან **წმიდა აიაზმის წყალს** ასხურებდა“ (დ. კლიაშვილი, 1961)... აღნიშნულ ტერმინს ფიგურალურად იყენებენ თავიანთ ნაწარმოებებში პოეტებიც; „იამ ნაზმა ველს აპკურა **აიაზმა**“ (ი. გრიშაშვილი, 1955), „ხმით **აიაზმის** ნელი ბკურება“ (გ. ტაბიძე, 1990), „გრძნობათა **აიაზმით** მელგა“ (იქვე)...

დღეს მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში საანალიზო სიტყვა (**აიაზმა**) შედარებით იშვიათად გამოიყენება. ძირითადად გვხვდება შესიტყვება **„ნაკურთხი წყალი“**: „ეკლესიიდან ნაკურთხი წყალი წამოვიღე“, „დილით, ლოცვის მერე, უზმოზე, ჯერ ეულოგია უნდა ჰკომო და შემდეგ ნაკურთხი წყალი დალიო“, „საუფულო დღეებში სახლში ბზის რტოებით ნაკურთხი წყალი უნდა ასხურო“... აღნიშნული შესიტყვება ფართოდაა გავრცელებული არა მარტო მორწმუნეთა, არამედ ფართო საზოგადოების მეტყველებაში.

## 2.1.2. ანალოგია / ანალოგია / უპიქსატი

მართლმადიდებელ ეკლესიაში ხატებისა და საღვთო წიგნების დასასვენებლად გამოიყენება მაღალი დახრილი მაგიდა, რომელსაც **ანალოგია // ანალოგია** ეწოდება. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „**αναλογιον**“ (αναλογια) (დ. ბიზანტიური წარმოთქმაა ᾠ-სი). თ. ბაგრატიონის განმარტებით, „წმიდა საბასა კანონსა შინა ანალოგია არს სახე ანუ ხატი ქრისტესი ანუ ხუთისმშობლისა“ (თ. ბაგრატიონი, 1979); აქედან გამომდინარე, რადგან აღნიშნული მაგიდაც ძირითადად ხატთათვისაა განკუთვნილი, სახელიც აქედან ეწოდა.

ტერმინი **ანალოგია // ანალოგია** საწიგნე მაგიდის აღსანიშნავად ქართულში მე-19 საუკუნემდე არ გვხვდება (დასტურდება

დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში). იგი რუსულიდან უნდა იყოს შემოტანილი, ისე, როგორც ჩვენს ეკლესიებში ხატების ხატსასვენზე დაბრძანების ჩვეულება. ქართულ ტაძრებში აღრეული დროიდან ხატები დაკიდებული იყო.

რუსულში აღნიშნულ მაგიდას „аналой“ ეწოდება — „На аналой лежат Крест и Эвангелий“ (Закон Божий, 1991 ст; 67). ქართველთა მეტყველებაში, მხოლოდ იქ, სადაც მრევლში რუსებიც არიან, იშვიათად გვხვდება **ანალოი // ანალოე** (ქუთაისის (მწყანეყვაილას) მთავარანგელოზის ეკლესია). ქართულენოვანი მრევლი კი ძირითადად „ანალოის“ აღსანიშნავად იყენებს საკუთრივ ქართულ ტერმინებს: **ფუძეხატი, წირვის ხატი, საკურთხევის ხატი** (ასე ეწოდება ეკლესიის გუმბათის ქვეშ მდებარე ხატსასვენს. მასზე სადაც დღევანდელში დასვენებულია ის ხატი, ვისი სახელობისაცაა ტაძარი, ხოლო დღესასწაულებში ის, რომლის ხსენებაცაა და რომელსაც ეძღვნება წირვა; ე.ი. მთავარი, ძირითადი აღმნიშვნელი ხატი იმ დღესასწაულისა, რომელიც მოიცავს სამყაროს (მსგავსად იმისა, როცა ნათლისღებისას ბუნებაში არსებული ყველა წყალი იწმიდება; იხ. იოანე ოქროპირი, 1991), **სახატე** (ე.ი. ხატის დასასვენებელი), **კათედრა** (ანალოია თითქმის იგივეა, რაც მაგიდა ორატორთათვის, კათედრა, ოღონდ შემოსილი), **საწიგნე** (საღვთო წიგნებისათვის განკუთვნილი მაგიდა). შეინიშნება პარალელურ ტერმინთა შორის ფუნქციების განაწილება. აღრე **ანალოია // ანალოია** ერქვა ყველა ხატსასვენს და მას დღესაც ასე მოიხსენებენ ეკლესიის მსახურნი; მრევლი კი შუა სახატეს, ძირითადად, **ფუძეხატად**, იშვიათად, **წირვის** ან **საკურთხევის ხატად** მოიხსენიებს, ხოლო სხვას **სახატეს** ან **საწიგნეს** უწოდებს. ახალი მრევლი კი, რომელიც ახლა ეცნობა საღვთო სჯულს, ხატსასვენს ზოგჯერ კათედრასაც ეძახის.

### 2.13. აღაპი / საკურთხე

პირველ საუკუნეებში ქრისტეს მიმდევრები აწყობდნენ მაცხოვრის უკანასკნელი სერობის აღსანიშნავ ვაზშაშს, რომელსაც სიყვარული (ბერძ. „αγαπεις“ - აღაპი) ეწოდებოდა (კოორინთელთა 11, 20; იუდ.1, 12) ნიშნად ღმერთის, როგორც სიყვარულის, მათთან ყოფნისა („ღმერთი სიყვარული არს“ — იოანე მახარობე-

ლი). (სიმბოლურად ეს იყო "საიდუმლოს სერობის" მოგონება. ამ დროს ასრულებდნენ ზიარებას, არჩევდნენ საზოგადო და საეკლესიო საქმეებს). შევნიშნავთ, რომ დღესაც მორწმუნენი წირვისას მღვდლის ასამაღლებელი ლოცვის: „იყვარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ“ შემდეგ ერთმანეთს მხარზე ემთხვევიან და სიყვარულს უცხადებენ სიტყვებით: „ჭრისტე არს ჩვენს შორის“ — „არს და იყოს“). აღნიშნული პურობა მე-7 საუკუნემდე გრძელდებოდა.<sup>4</sup>

ძველ წერილობით ძეგლებში „ალაპი“ ორი მნიშვნელობით გვხვდება: 1) ესაა ისტორიული წიგნი, სადაც აღნიშნულია ეკლესიის ან მონასტრის შემოწირველთა და შემოწირულობათა სია და მოხსენების წესი (მაგ.: „ჯვრის მონასტრის ალაპები“), 2) ძველ ქრისტიანთაგან შემოდებული პურობა ეკლესიის კარზე მიცვალბულთა მოსახსენებლად: „იყო ალაპი დიდი“ (წამებად წმ. ვარინოზისი), „ალაპი გაუჩინეთ“ (სამართალი ვახტანგ VI მეფისა, ქსძ, 1965), „კარგი ალაპი გარდაიხდებოდეს, ოთხითა ფერთა საქაპადითა და მაძორად პურითა და ღვინითა და რაც გლახად იყოს, ყველა დაძღვებოდეს“ (შემოწირულობის დაწერილი მეჭურჭლეთუხუცეს კახა თორელისა რკონის მონასტრისადმი, 1259, ქსძ, 1965), „გამიჩინეთ ალაპი დღეს თვედრობაჲ, რაჲთა მღვდელნი წირვითა... და ღამისთევითა და პანაშვიდითა და კარღებული ტრაპეზი გარდაიხდებოდეს“ (შეწირულობის დაწერილი ძაგან აბუთელის ძინა შიომღვიმისადმი, 1260, იქვე), „განვაწესეთ საუკუნო ალაპი წელისადმი, 1545, იქვე), „ვითარმედ ძმაჲ რაჲ მიიცვალებოდეს... ერთი ალაპი ტრაპეზით გარდაიხდებოდეს ახალ მიცვალბულისა ძმისათვის და მას დღესა ყოველნივე მღვდელნი და დიაკონნი უსასყიდლოდ შეიმოსებოდენ მისთვის“ (ლ. მუსხელიშვილი, ვაჰანის ქაბის განგება (1204-34), 1939), „შემწირველს ალაპისათვის საჭირო პური, ღვინო და სხვა ყოველგვარი სახმარი უნდა მიერთმია

<sup>4</sup> ალაპი ცნობილი ტერმინია არქეოლოგიაში, არქეოლოგიური მასალების მიხედვით ანტიკურ ხანაში ადამიანები მიცვალბულა პატივსაცემად ამპაროვნების ტერიტორიაზე, ქვლებს (ალაპს) შერთავდნენ, არსებობდა ცხოველთა შეწირვის ტრადიცია, მიცვალბულს საფლავში ატენვდნენ თიხის ჭრქელსა და იარაღს (ქართლის ცხოვრების ტომოარქეოლოგიური ლექსიკონი, 2013)

მონასტრისათვის... შემწირველს დაკისრებული ჰქონდა განსაზღვრული რაოდენობის პურისა და ღვინის, აგრეთვე წელიწადში ერთხელ ან ორჯერ სხვა ყველაფრის მიტანა მონასტრისათვის, რაც კი საჭირო იყო, რომ სულის მოსახსენებელი წირვა და პანაშვიდი ეწირათ და მონასტრის ძმობისა და გლახაკთათვის ალაპი მოემზადებინათ“ (ივ. ჭავჭავიძე, 1919).

ქართულში **ალაპის** აღსანიშნავად ზოგჯერ გვაქვს შესიტყვება „სიყვარულის ტრაპეზი“, რომელიც აღნიშნული ბერძნული სიტყვის მნიშვნელობასა და არსსაც ერთდროულად გამოხატავს: „სიყვარულის ტრაპეზი არ უნდა მოეწყოს საუფლო ტაძრებში და ეკლესიებში, ტრაპეზიდან ნაწილი არ უნდა წაიღონ სახლში“ (ლადიკიის კრების კანონი, 28; დიდი სჯულის კანონი, 1987), „სიყვარულის ტრაპეზზე მიწვეულმა სამღვდლო პირებმა, ეკლესიის მსახურებმა და ერის კაცებმა არ უნდა წაიღონ იქედან ნაწილი, რომ არ შეუტაცხოთ საეკლესიო წესი“ (იქვე), „ალაპი არ არის მდაბალი რამ და ვისაც ეზიზღება სიყვარულის ტრაპეზის მომწყობნი, ის შეჩვენებულ იყოს!“ (იქვე)...

**ალაპი**, როგორც მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი სუფრა, გვხვდება შემდგომი დროის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებშიც: „არ დამრჩა შვილი, რომ მას აღენთო სანთელი ცვილი, ექნა ალაპი, დაედგა ტაბლა“ (დ. გურამიშვილი, 1992); „იდგა საალაპო სუფრა, რომელზედაც საქმლის გარდა... დოქით ღვინო იდგა“ (ნ. ლორთქიფანიძე, 1989); „მღვდელმა დაამწყალობა საალაპო სუფრა“ (იქვე); „მონასტრის ვაზი მზით ძალუმად ნათამამები და ალაპებში გარდასულთა ძმათა ხსენება“ (ზ. გამსახურდია, 1989)...

დღეს ზემოთ განხილული ლექსიკური ერთეული ფართო საზოგადოებისა და მრევლის მეტყველებაში თითქმის აღარ გვხვდება. იგი იშვიათად დასტურდება წყევლის ფორმულებში: „ჩემი პენსიის 14 ლარი შეერგოთ ალაპად, საკურთხად!“ (ქდსკი). **ალაპის** მნიშვნელობით კი გამოიყენება ტერმინი „საკურთხი“. ესეც მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი სუფრაა, რომელსაც დღემდე სახლში ან მიაქვთ ეკლესიაში დასაკურთხებლად და გლახაკთათვის (დღეს მათ უმეტესად „ღვთის შვილებად“ მოიხსენიებენ) გასანაწილებლად (განსაკუთრებით დამახასიათებელია დასავლეთ საქართველოსათვის): „ოჯახი საკურთხისთვის ისე უნდა ემზადებოდეს, როგორც ქორწილისთვის“ (ქდსკი), „საკურთხი ადრე დილით უნდა გქონდეს მზად, რომ ეკლესიაში მიიტანო“ (იქვე), „საკურთხზე იმდენი სანთელი უნდა აანთო, რამდენი თავი საქამადიკა“

(იქვე)... „აკრობოს სანთელი საკურთხის სუფრას, მმოსავს სიმშვიდე, მფარავს ბალახი, მიწად თუ ვიქეც, დიდება უფალს, მგვრამ ვაითუ, დავრჩე ტალახი“ (თ. ლანჩავა, 2002)...

გაღმოცემის თანახმად, საკურთხი მხოლოდ ოჯახში არ უნდა შეიჭამოს. ჭირის სუფრის ამდაგვარი ფორმა სათავეს იღებს მამათა სწავლებიდან. წმიდა იოანე ოქროპირი დარიგებაში „მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად“ წერს: „სიმართლით მონაგებისაგან ვიქმოდეთ მოწყალებასა მარადის და შემდგომად სიკვდილისა-ცა იყვნენ მრავალნი გლახანი მლოცველ ჩვენთვის“ (ი. ოქროპირი, 1991). ესე იგი, მოწყალების გაცემა, მშვიერათვის კმევა მიცვალებულთა სახელზე გამოხატავს საკურთხის (ჭირის სუფრის) არსს.

## 2.14. ძართული ძრისტიანული ტერმინოლოგიის ისტორიისათვის (კურთხევა / კურთხე)

ტერმინი **საკურთხი** ნიშნავს რაიმე საკურთხებელს, რაც უნდა აკურთხონ (სა-კურთხ-ი). ძველ წერილობით ძეგლებში ვიდრე მე-19 საუკუნის პირველ ნახევრამდე „საკურთხი“ გვხვდება **მსხვერპლის, შესაწირავის, ყოვლად დასაწველის** სემანტიკურ პარალელურ ერთეულად. მისი ფონეტიკურ ცალია „საკურთხი“: „ყოველნი ოთხფეხი ვერ კმა არიან საკურთხად“ (ესაია 40,16-ოშკური), „რადთამცა შესწირეს მას ზედა საკურთხი“ (I ეზრა 5,49 — მცხეთური), „ტრაპეზსა ყოვლად დასაწველთასა და ყოველთა ჭურჭელთა მისთა“ (გამოსვლათა 30,28 — მცხეთ.), „შემდგომად შესწირვიდეს საკურთხთა მათ ჟამად-ჟამად“ (ეზრა 5,51 — ექტურციკიძე, 1970), „იწყეს შეწირვად საკურთხთა უფლისა ღმრთისა“ (იქვე 5,52), „შესაწირავი და მსხუერპლი არა გონდა, ხოლო ხორცი და მამტიკი ცენ მე; საკურთხები და ცოდვისათვის არა ითხოვე“ (ფს.39,6), „მსხუერპლი სიმართლისა შესაწირავი და ყოვლად დასაწველი, მაშინ შეიწირავს საკურთხეველსა შენსა ზედა ზუარაკნი“ (ფს.50,19), „რამეთუ უკეთუმცა გენება მსხუერპლი შემცამეწირა, არამედ საკურთხნი არა გონეს“ (ფს.50,16)...

ძველ წერილობით ძეგლებში „კურთხევ“ ზმნურ ძირს რამდენიმე ლექსიკური ერთეული უკავშირდება: **საკურთხი/საკურთხი** (სამსხვერპლო-შესაწირავი, ყოვლად დასაწველი), **საკურთხე-**



**ველი** (სადაც ხდებოდა შეწირვა), **კურთხევა** (დალოცვა). ბერძნულში კი ყველა მათგანს სხვადასხვა ძირის მქონე ტერმინი შეესაბამება: საკურთხი/საკურთხის, იგივე ყოვლად დასაწველის აღსანიშნავი ტერმინია „ολοκαυτωμα“ — Всесожение жертва вполне сжигаемая (Ваисман А; 1991), საკურთხევის — θυσιαστηριον „жертвенник, алтарь“ (იქვე), კურთხევა — ευλογειω „хорошо говорить, благословлять“ (იქვე).

„**კურთხევ**“ ზმნურ ძირში შესაძლებელია გამოვყოს „**კურ**“ და „**თხევ**“ კომპონენტები. როგორც ზემოთ ვნახეთ, „**კურ**“ ძირი „**კუერ**“ ფორმის ფონეტიკური ვარიანტი ჩანს. „**კურთხევ**“ კომპოზიტის ისტორია ჩვენ ასე წარმოგვიდგენია:

წარმართობის დროს, ასევე ძველი აღთქმის წიგნების მიხედვითაც, სამსხვერპლო-შესაწირავს ჯერ **საგანგებო ჯოხს კუერის/კვრის** (შდრ.: ქართ. **კუერი**-პატარა ჩაქუჩი, „რკინის საცემელი, დასაკვრებელი“ (საბა), ზან. **კვალია**-პატარა ნაჯახი, სუან. **კუერ**-ჩაქუჩი, კვერი — მ. ჩუხუა, 2003) მოუღერებდნენ და შემდეგ თავზე დაჰკრავდნენ (ივ. ჯავახიშვილი, 1919). ამით იგი განიწმინდებოდა, ეკურთხებოდა. შდრ.: მღვდელთმთავარი მღვდლად კურთხევისას სამღვდლო პირს დააწოქებდა და თავზე ხელს დაადებდა (ბერძნ. χειροτονια სიტყვა-სიტყვით ხელთა დადება, ხელთდასხმა — მღვდლად კურთხევა; ვაისმანი, 1991); მსგავსად ამისა, დღეს რაიმეს კურთხევა ჯვრის დადებითა და ჯვრისავე გადასახვით ხდება.

გამომდინარე ზემოთქმულიდან, თავდაპირველი (წარმართული) რელიგიური რიტუალი აღიწერება როგორც „**კუერის დადება**“, „**კუერის მთხვევა**“ (შდრ.: ქართ. მ-თხ-უ-ევ-ა — შეხვედრა, შეხება, შემთხვევა, ზან. **ნთხ**-აფ-ა — დაცემა, თავდასხმა, ქან. მ-ი-**ნთხ**-უ — მკრა, შემთხვია, სუან. ა-**თხ**-ჲ — ახვედრებს; მ ჩუხუა, 2003); შესაბამისად: **კუერის მთხვევა** > **კუერმთხვევა** > **კუერთხვევა** > **კურთხევა** („უე“ ხმოვანთკომპლექსიდან უ-ს მიღება ჩვეულებრივი ჩანს კლასიკური ქართულისათვის, შდრ.: **საკურთხი** // **საკურთხი** (იხ. **ზემოთ**); შდრ. აგრეთვე: **ყუერბეული/ყურბეული** — პურის კვერი: „იქმოდეს მას **ყუერბეულად**“ (გელათის ბიბლია, რიცხენი 11,8); „**ყურბეული** ქართილისად ჭამე შენ იგი“ (ოშკის ბიბლია, ეზეკიელი 4,12); „შესუარე სამი საწყაული სამინდოი და ქმენ **ყურბეული**“ (ოშკის, დაბადება 18,6); **საყურელი/საყურელი** — სამართებელი, საპარსი; „დაყურენა//დაყურენა —

მოპარსვა (საბა): „ყოველი წვერნი დაიყუნენ“ (I იერემია 48,38); „დაიყუნა კოწოლი თავისად“ (მცხეთის ბიბლია, მსაჯულთა 16,19); **კუედ** > **სიკუდილი**, **კკუეთ** > **საკუთარი**, **ყუედ** > **ყუდ** > **საყუდარი** > **საყდარი**(...).

„**კურიხევა**“ ზმნური ძირიდან გვიანდელი ნაწარმოები ჩანს „**კუერთხი**“; შდრ.: **კუერთხი** < **კუერთხევა** > **კურთხევა**.

უდავოა, აღნიშნული სიტყვის ისტორია სცილდება ქრისტიანობის ხანას. ამ პერიოდისთვის უკვე ღრმად გააზრებული და ჩამოყალიბებული ლექსიკური ერთეული გვაქვს. მასში ქართველთა „წარმართობის ნისლში“ ნაფიქრი ქეშმარიტება მოხსანს — ღმერთი მხოლოდ ტანჯვას შეიწირავს. უფალმა ხომ დასჯით, ენების აღრევით, იხსნა ადამიანები წარწყმედისაკენ მიმავალი გზიდან. როგორც წმიდა მამები გვასწავლიან, თვით სიკვდილიც მისთვის გამოიგონა, რომ კაცთა ცოდვა და დაცემული ბუნება საუკუნო არ გამხდარიყო (იხ. *Талковая библия*, 1987); ახალი აღთქმის მიხედვითაც ხომ ამაღლება (სულის ხსნა) ჯვარცმის გარეშე შეუძლებელია.

## 2.1.5. ბუნდოპი / სული სუნელი / სული ჰამოი

ჯერ კიდევ კერბთაყვანისმცემლობის დროს კულტისადმი დიდ შესაწირავად ყვავილთა არომატული სურნელბა ითვლებოდა. არქეოლოგიური აღმოჩენების თანახმად, ეგვიპტურ სამარხებში, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე XVI ს-ს განეკუთვნება, ნაპოვნია ქილები, რომლებშიც სხვადასხვა კეთილსურნელოვანი ზეთი და ფისი ინახებოდა. პაპირუსის ხელნაწერებში კი მითითებულია, თუ რა ძველად მოიპოვებდნენ მას და სწირავდნენ, როგორც ღვთაებებს, ასევე ფარაონებს. აღნიშნულ კეთილსურნელებებს ლათინებმა *Parfumum* უწოდეს, რაც სიტყვასიტყვით „როგორც კვამლს“ ნიშნავს. აქედან წარმოიშვა სიტყვა პარფიუმერიაც (*De L'histoire des parfums*, 2004)

ოღითგანვე ღვთისმსახურებაში ერთ-ერთ ძვირფას შესაწირავად ითვლებოდა კეთილსურნელოვანი ფისი იგივე: „**გუნდარუკი**“, „**სული სუნელი**“, „**სული ჰამოი**“, „**საკუმეველი**“.

ბერძნულში მის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი „*λιναιος*“ და განიმარტება, როგორც წიწვიანი მცენარე, რომე-

ლიც იძლევა სურნელოვან ფისს, საკმეველს (აღნიშნული ტროპიკული ხის ლათინური სახელწოდებაა „*Lavrus benroin*“, ხოლო ფისის „*juniperus thurifera*“, შემოკლებით „*thus*“). მოცემული სიტყვა ბერძნულში ებრაულიდან ნასესხებადაა მიჩნეული. გვხვდება სემიტურ ენებში და მომდინარეობს აქადური „*libanu*“-დან (მ.ნედოსპასოვა, 1979). საანალიზო ტერმინის მრავლობითი რიცხვის ფორმაა „*Libanoth*“, რომელიც ბერძნულში „*λαβανθος*“- სახითაა გადასული და იგივეა, რაც *Ладон кадилница* (*Древногреческо-русский словарь*, 1958). სულხან-საბას ლექსიკონში გვაქვს „ლივანოტი“ და განმარტავს: „საკმეველი სუნელი“. ქართულ თარგმანებში ბერძნული „*λαβανθος*“ თარგმნილია „**გუნდრუკ**“ სიტყვით: „გუნდრუკსა შესწირვიდენ შენდა“ (გამოსვლათა 30,34), „დასდევს მას ზედა გუნდრუკი“ (ლევიტელთა 2,1), „არა დაასხას მას ზედა ზეთი და არცა დასდვას მას ზედა გუნდრუკი“ (რიცხვთა 50,15), „აჰა, წარმოვეზავნეთ თქვენდა ვეცხლი და იყიდნით ვეცხლითა ყოვლად-დასაწუელნი და გუნდრუკი და... აღიდეთ საკურთხეველსა ზედა უფლისა ღვთისა ჩვენისასა“ (ზარუქი 2,10), „არამედ საჭურველსა წილ აქუნდა ოქრო სამეუფო, მური მსწრაფლ მკურნალი წყლულებითა და გუნდრუკი სულ-ამო“ (ლ. მროველი, ქართლის ცხოვრება, 98, 8; 1986).

ტერმინი „**გუნდრუკი**“ მომდინარეობს სპარსული სიტყვიდან „**ქუნდურუქ**“, რაც ებრაული „**ლიბანისისა**“ და ქართული „**საკმევლის**“ სემანტიკური ცალია. მ. ანდრონიკაშვილი აღნიშნავს: „საშუალ სპარსული „უ“ ქართულში სიტყვის შიგნით გადმოცემულია „უ“ ხმოვნით. ახალ სპარსულში მას შეესაბამება „ქონდორუ“ (მ. ანდრონიკაშვილი, 1966). „გუნდრუკი“ ქართულში სომხურიდან შემოსულად მიაჩნიათ ნიკო და დავით ჩუბინაშვილებს.

ქართულ წერილობით ძეგლებში ზემოთ განხილულ ტერმინთა პარალელურად გვხვდება — „სული სუნელი“, „სული ჰამოე“, რაც ბერძნული „**αρωμα**“ (კეთილსურნელება, სასიამოვნო სუნი) და „**θυμαμα**“ (სურნელება) ზუსტი თარგმანია: „ეს არს აღსაველნი ყოვლად დასაწუელი სუნად სუნელად უფლისათვის“ (ლევიტელთა 1, 13), „სუნი სუნელთა მსგავსია სულისა წმიდისა მაღლითა“ (ჯრუქის მონასტრის ხელნაწერი, „ჯვარი ვაზისა“, №4, 1992) „მოიზადეს სუნელი და ნელსაცხებელი“ (ლუკა 23,58)...

**შენიშვნა:** როგორც ლათინური *par fumum*-იდან, სიტყვისატიყვიით „კვამლივით“ წარმოიშვა პარფიუმერია, ასევე ქართული სული ჰამოდან (> სულ ჰამო > სულ ამო >) მივიღეთ სუნამო.

უფლისაღმბი შესაწირავი კეთილსურნელოვანი ძღვენის ზემოგანხილულ ტერმინთა საკუთრივ ქართული შესატყვისია „საკუმეველი“, იგი მომდინარეობს „კვამლ“ სიტყვისაგან. ქართული „**კუამლი**“, „**კუმ-ოლ**“, „**კუმ-ევი**“, „სა-**კუმ-ევი**“, მეგრ. „**კუმ-ა**“ (კვამლი), „**ო-კუმ-აფ-უ**“ (საკუმეველი); ლაზ. „**კომ-ი**“ (კვამლი), სვან. „**კუამ-ე**“ (ბოლავს), „ლა-**კმ-არ-უნ**“ (სურნელი) (პ.ფეინრიხი, ზ.სარჯველაძე, 1990).

საანალიზო ტერმინი ზემოთ აღნიშნულ სხვა სემანტიკური ცალეზის პარალელურად გამოიყენება, როგორც ძველ წერილობით ძეგლებში, ასევე შემდგომი დროის ქართულ მწერლობაშიც: „აპრონ და ძენი მისნი აკუმევედეს **საკუმეველსა**“ (I ნეშტა 6,49 — მცხეთური), „აკუმევის მას ზედა **საკუმეველი** სამიმდემო მარადის წინაშე უფლისა ნათესავსა შინა მათსა“ (რიცხვთა 30,9 — მცხეთური), „და არა აღვიდეს მას ზედა **საკუმეველი**... მსხუერბლი და შესაწირავი არა შეწირულ იქმნეს მას ზედა“ (რიცხვთა 30,10 — იქვე), „ტაბარი იგი აღივსო **საკუმეველითა**“ (ესაია 6,4 — იერუსალიმური), „უკმევედა **საკუმეველსა** და უზორვიდის კერბთა“ (III მეფეთა 11,8 — ოშკური), „წარემართენ ლოცვა ჩემი ვითარცა **საკუმეველი** შენს წინაშე“ (ფს. 140,2), „აქუნდა ლანკანნი ოქროდანი საფენი **საკუმეველითა**“ (გამოცხადება 5,8 — ექვთიმე ათონელის თარგმანი), „მიეცა მას **საკუმეველი** ფრიადი და აღნდა კუამლი იგი **საკუმეველითა** ველისაგან ანგელოზისა მის წინაშე ღმრთისა“ (გამოცხადება 8,3 — 4- მისივე)... „შევაკმეთ ეკლესია ხატითა, კანდელითა, სანთელითა, **საკმეველითა** და მამულითა“ (შეწირულობის სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისაღმბი, 1545 წ; ქსძ), „უნდა მოეგებონ მის უწმიდესობას და... ღიაკონი შემოსილი და ჯელთა საცეცხლურისა მქონებელნი და უკმეონ ამას ღერბსა **საკმეველითა**“ (სამღუფდლო დასათთვის განწესება და დაწყობა, განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა, 1798 წ; ქსძ)... „ჰობს, რომ გიძღვნან კინამკასი, **გუნდრუკ**-ჰური და შტახს-ალო, ჯვარცმულისა ქრისტეს ღედავ, ცოდვილს მკურნე ღედოფალო“ (ბესიკი, ყოვლადწმიდის ქება, 1990), „ვითა **გუნდრუკსა** სამადლობელსა შენდა აღკმევენ სურნელებასა!“ (ნ. ბარათაშვილი, შემოღამება მთაწმიდაზედ, 1996), „მუნ **გუნდრუკის** წილ შევსწირავდი წმიდას მთაწარულს“ (იქვე), „და მისსა ფერფლსა, ვითა **საკმეველს**, შევ-

სწირავ სატრფოს, ჩემსა სალოცველს“ (იქვე), „ვაჟი კეთილმშვენიერებას გუნდრუქს უკმევდა“ (ნ. ლორთქიფანიძე, ზღაპარი, 1989), „გრძნობათა შენთა საკმეველი უკმეი ხატებს“ (ზ. გამსახურდია, სონეტი, 1990).

დღეს **გუნდრუქი** საკმეველის მნიშვნელობით თითქმის აღარ გვხვდება არც მრევლის, არც ფართო საზოგადოების მეტყველებაში. იგი შემორჩენილია მხოლოდ ფრაზეოლოგიზმში „გუნდრუქის კმევა“ და ძირითადად პირფერობის მნიშვნელობით გამოიყენება („მოსწყინდა გრძნობას უცხო კერპის გუნდრუქის კმევა“ (ს. შან-შიაშვილი, 1946)... „ღებუტატები შევარდნაძეს უკმევენ გუნდრუქს“ (ქდსკი)...).

ეკლესიაში დასაკმევი კეთილსურნელოვანი ფისის აღსანიშნავად გვხვდება მხოლოდ ოდიფანვე მისი ქართული შესატყვისი „**საკმეველი**“. აღსანიშნავია ისიც, რომ დღესდღეობით საზღვარგარეთის ქვეყნებთან (საბერძნეთი, იერუსალიმი) ხშირი მიმოსვლის გამო, გვხვდება საკმეველის სხვადასხვა სახეობა: ლიბანის/ლივანოტის, კედარის, როზმარის, ყსამინის, ვარდის, იასამნის... ღვთისმსახურებაში გამოსაყენებელი ზეთუნის ზეთიც სხვადასხვა მცენარის არომატით იფინთება.

სავარაუდოა, ძველი საქართველო უცხოური საკმეველებიდან მხოლოდ ლიბანისას იცნობდა; შესაძლებელია, სხვა ქრისტიანული ქვეყნები საკმეველის მხოლოდ ამ სახეობას გამოიყენებდნენ ღვთისმსახურებაში, ამიტომაც ითარგმნებოდა **ლივანოტი** ქართულად საკმეველის მნიშვნელობით და არა როგორც საკმეველის ერთ-ერთი სახეობა.

## 2.1.6. ევლობია / სეზისკვერი

დღეს მართლმადიდებელ ეკლესიაში, როგორც სამღვდლო პირთა, ისე მრევლის მეტყველებაში, გვხვდება ტერმინი **ევლოგია** // **ევლოგია**. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან **εὐλογία** (γ ბიზანტიური წარმოთქმის ღ-ს ექვივალენტია), რაც კურთხევას, დალოცვას ნიშნავს; ბირდაბირი თარგმანით „კარგი სიტყვა“.

ძველი წერილობითი ძეგლების განხილვამ წარმოაჩინა, რომ იგი ადრე მრავალი მნიშვნელობით გვხვდებოდა: დალოცვა, კურთხევა, მოსაკითხი, შესაწირავი, ძღვენი. ამჟვე დროს ევლოგიად

იწოდებოდა ყველაფერი ნაკურთხი: პური, წყალი, ზეთი, წმიდა ნაწილები და სხვა... მაგ.: „მოგვართვეს ჩვენ ეულოგია ალექსანდრიათ თუითო საწყაული ზეთი“ (ვ. იმნაიშვილი, 1975, 189,3), „რომელმან დაუტევა ევლოგია ეკლესიას, დაუტევა იგი გლახათათვის“ (გ. მთაწმიდელი, 1986, 43,26-27), „ალიტაცეს თითოეულმან სამოსლისა მისისაგანი მცირედ-მცირედ და წარიღეს იგი ევლოლიად და საკურნებლად სნეულთა“ (იქვე, 141, 24-25)...

რუსულში ევლოგიას შეესაბამება სიტყვა „ПАМЯТЬ“ და ისეთივე მრავალმნიშვნელობით გამოიყენებოდა, როგორც ჩვენში.

დღეს მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში **ევლოგია** ეწოდება მხოლოდ **სეფისკვერს** (სეფის-კუერი — დიდებულთ პური (საბა). სეფ — საუფლო, სამეფო, დიდებული; კუერი — პატარა მრგვალი პური (იქვე)): „ევლოგია შევავაგანე საკურთხეველში“, „ჩემსობას ეულოგიას მარტო ლოცუა მოყურებულს ურიგებდენ“, „სანამ ეულოლიას ჩამუარეგებდენ, მანამ ჩამეილოცაჲდენ ხატეფს“ (ქდსკი, ფონდი E)... იგი წარმოადგენს ხორბლის წმინდა ფქვილისაგან გამომცხვარ ორ ნაწილიან პატარა მრგვალ პურს, რომელზედაც აღესრულება ევქარისტის წმიდა საიდუმლო. სეფისკვერი შედგება ორი ნაწილისაგან. იგი წარმოადგენს ორი მრგვალი კვერის შეერთებას (აქედან ქვედა ოდნავ დიდია, ზედა კი მომცრო), რაც ქრისტეს ორბუნებოვნებას ნიშნავს (გარდაცვილიათვის განკუთვნილ სეფისკვერს ზემოდან გამოსახული აქვს ჭვარი წარწერით: იესო ქრისტე ნიკე (ბერძ. ძლევა), ცოცხალთათვის განკუთვნილს კი ღვთისმშობელი). მას აცხობს სპეციალურად განკუთვნილი პირი (მას მრევლი მესეფისკვერეს უწოდებს) — ბერი ან მონაზონი, იშვიათად, მღვდელიც. წმიდა მამათა ცხოვრებიდან ჩანს, რომ ადრე სეფისკვერი ოჯახებში ცხვებოდა, რომელსაც შემდეგ ეკლესიაში შესწირავდნენ (იხ. ნ. ყუბანეიშვილი, 1991). ეკლესიისთვის განკუთვნილი პურის აღსანიშნავად ტერმინი სეფისკვერი ძველ წერილობით ძეგლებშივე გვხვდება: „წარავლინეს იგი... მიღებად სეფისკუერისა“ (ი. მოსხი, 1980, 349,19), „შეჭამეს სეფისკუერი ერთი“ (იქვე, 349,5), „არა გუაქვს სეფისკუერი ადგილსა ჩუენსა“ (ვ. იმნაიშვილი, 1975, 138,129)...

რუსულ ენაში სეფისკვერის მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი „просфора“ (ბერძ. „მიძღვნა“): „просфора должна быть круглую и состоять из двух частей“, Закон Божий, 1990, გვ.642); ლათინურში „hostia“, რაც ზვარაკს ნიშნავს (ქართულ ეკ-

ლესიაში იმავე მნიშვნელობით გვაქვს სიტყვა „ტარიგი“: „მღვდელი ტარიგისთვის განკუთვნილ სეფისკვერს დაასვენებს დაფაზე“ — იოანე ოქროპირის ტიპიკონი).

საინტერესოა სეფისკვერის ფრანგული ენის მიერ შერჩეული ტერმინი: „*pain benit*“ (ნაკურთხი პური), „*pain a chanter*“ (სასიმღერო პური). ქართულ და ფრანგულ ვარიანტებში პური სიმბოლიზირებულია; ახალი აღთქმის თანახმად: „ესე არს ხორცი ჩემი (უფლისა) თქვენ მრავალთათვის განტეხილი მისატყვევებლად ცოდვათა“ (1 კორინთელთა II, 24).

თანამედროვე ბერძნულში სეფისკვერის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინები: „*πρωτοφειρα*“ — მოდილო სეფისკვერისათვის, „*αυτομειρα*“ (სიტყვასიტყვით შხამსაწინაღმდეგო) — მომცრო სეფისკვერისთვის.

საინტერესოა მნიშვნელობები შეიძინა სეფისკვერმა ხალხურ წარმოდგენებში:

მიცვალებულთა სულის მოსახსენებელი სუფრისათვის გაკეთებულ კვერებს უწოდებენ: **სულიკვერს**, **სულიპურს**, ხოლო ოდნავ განსხვავებულ, შედარებით დიდი ზომის კვერებს: **ბერიკვერს**, **მეკრებერს**, **მეკრე-მემაჟეს**, **მეკარეს**. ხალხური განმარტებით ესენი ეკუთვნის საიქიოს კარის მცველს, რომელმაც მოცვალებულს მის სახელზე გაკეთებული საჭმელი უნდა გადასცეს.

ვფიქრობთ, ტერმინები: **მეკრებერი**, **მეკრე-მემაჟე** უნდა უკავშირდებოდეს არა ხალხური განმარტებით **მეკარეს**, არამედ **მეკვერეს**; ე.ი. მას, ვინც ამ კვერებიდან ხარკს იღებს. სვანეთში შესაწირ **ლეშირებთან** (**ლეშირ** — **სეფისკვერი**, **შესაწირი პური**, ვთოფურია, მქალღანი, 2000) ერთად აკეთებენ **მოშირი-ლეშირებსაც**, რაც მლოცველის **სეფისკვერს** ნიშნავს და მას მლოცველს, შემწირავს უტოვებენ. იგი ხალხისგან მოტანილ კვერებს შესწირავს ღმერთს და ლოცულობს ამ ადამიანებისთვის უფლის წინაშე.

თუმცა არც ის აზრია მიუღებელი, რომ საკურთხის დიდი ზომის კვერი მეკარეს, ანუ სამოთხის კარის მცველს ეკუთვნის. არსებობს კარის ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც ცალკეა უგალობს: „გინაროდნ, სახიერო მეკარეო, სამოთხისა ბჭეთა მორწმუნეთად განმღებულო“. მითუმეტეს კარის ღვთისმშობლის ძველ ხატებს ხშირად ამშვენებს წარწერა ქაჩაგამით „მეკრე“.

სეფისკვერსა და ზემოთ აღნიშნულ კვერებს შორის კავშირის მაჩვენებელია შემდეგი გარემოება: მღვდელი დაფაზე დასვენებულ

სეფისკვერს (აწ უკვე ტარიგს) თავზე ლახვრის წვერით გამოსახავს ჯვარს სიტყვებით: „მოსახსენებლად უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. შემდეგ სხვა სეფისკვერებზე მსგავსი მოქმედებისას კითხულობს გარდაცვილითა სახელებს. ჩვენ მიერ მოპოვებული ხალხური მასალების მიხედვითაც, მიცვალებულთათვის განკუთვნილ სუფრაზე (საკურთხე) დიასახლისი დანით გადასახავს ჯვარს კვერებს: **მეკრებერს//მეკრე-მებაუეს//ბერიკვერს** და ამბობს: უფალო, მოიხსენე მეკრებერი... ხოლო შემდეგ ჩამოთვლის თავისი მიცვალებულების სახელებს. ისე, როგორც წირვის შემდეგ, ჩამოურიგდება მრევლს დაჭრილი სეფისკვერი, ასევე დიასახლისი, სანთლების ჩაწვის შემდეგ ყველას უნაწილებს მეკრე-მებაუეს კვერს.<sup>5</sup>

თანამედროვე საბერძნეთში მიცვალებულთათვის განკუთვნილ კვერს, რომელსაც ზოგჯერ სახლში ამზადებენ, უფრო მეტად კი ეკლესიაში ყიდულობენ „ფსომაკი“ (ψωμακος – პური) ეწოდება.

## 2.1.7. კანკელი / იკონოსტასი

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში ლიტურგიულ ტერმინთა უმრავლესობა ბერძნული წარმომავლობისაა, რაც მის ნა-

**საინტერესოა ერთი გარემოებაც** „წასადგამად“ (ანუ დასაკურთხებლად) გამზადებულ საკურთხის სუფრას იქ მყოფმა ოჯახის წევრებმა ჯვრის სახით საკმელოთ უნდა უკმოს (ანუ როგორც თავად ამბობენ, ჩაუკმოს თევზზე ან კვებ დადებულ ნაკვერცხალზე) სიტყვებით: „უფალო, აკურთხე, შენა წინ დაგებული ეს საკურთხი და პირნათლად მიჰგვარე ჩვენს მიცვალებულებს; მიმალე მათ ცოდვათა შენდობა და მივე საუკუნო ხსენება. ჩვენც შეგვაძლებინე პატივი მივავთ მათ სულებს“. მღვდელიც კვეთის დასასრულს კურთხევას გამოითხოვს ღვთისგან, ჯვრისებურად გადასახავს სასაკმეველს და ამბობს: „შენ აკურთხე წინა დაგებული ესე და შეიწირე ესე წილასა და ზეთსა ცათასა და საცნაურსა საკურთხეველსა შენსა. მოიხსენენ, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან შემომწირველნი და რომელთათვის(აც) შემოსწირნეს და ჩუენ დაუსჯელად დაგვიცავ...“ (საღმრთო ლიტურლიის შესახებ, 1997, გვ. 123).

ეს კი მოწმობს ლიტურლიის აშკარა გავლენას მიცვალებულთათვის განკუთვნილ ხალხურ მსახურებაში. ალბათ ამის მიზეზი ათეისტური მმართველობის წლები უნდა იყოს, როცა ეკლესიები დახურული იყო, ხოლო გარდაცვილითა უარვისად პატივსმემელი ქართველი მოსახლეობა ვალდებული შეიქნა წირვა-ლოცვის ელემენტები მისიძრევე ჩამოყალიბებულ მსახურებაში გამოეყენებინა.



სესხობაზე მიუთითებს, მაგრამ, თუ მეცნიერ ჟერარ გარიტის აზრს გავიზიარებთ: „თარგმანში ჩვეულებრივ ნაკლებად შეაქვთ ლექსიკა იმ ენიდან, რომლიდანაც თარგმნიან; თუ რომელიმე თარგმანში უცხო სიტყვები იხმარება, მაშინ იგი უკვე ამ ენის საკუთრებაა და არ შეიძლება თარგმნის მაჩვენებლად მივიჩნიოთ“ (ე. გარიტი, 1973).

ისტორიულად ეკლესია შედგება საკურთხევლის, შუა ტაძრისა და სტოვასაგან. შუა ტაძრიდან საკურთხევლის გამოყოფა დაფანჯრულ ზღუდეს, რომელშიაც ხატებია ჩასვენებული, „**კანკელი**“ ეწოდება. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „**καγκελιος**“ და ჯებირს ნიშნავს.

ზღუდის გამოსახატავად ბიზანტიელებს მრავალი ტერმინი ჰქონდათ, რომელთა შორის ფართოდ გავრცელდა „ტემპლიონი“ (ბერძ. „**τεμπιον**“). მასში თავდაპირველად იგულისხმებოდა ზღუდის არქიტრაფზე დამყარებული ხატები, ხოლო შემდგომ იგი ეწოდა მთლიანად საკურთხევლის წინა ზღუდეს. ასევე გადმოიღეს აღნიშნული ტერმინი სერბებმა (**tempo**), ბულგარელებმა (**tempio**), რუმინელებმა (**timpio**), რუსებმა (**Тѣмплъ**) (ე. ლაზარევი, 1971).

„ძველი აღთქმის **კანკელი**, რომელიც იყო საზღვარი წმიდათა-წმიდასა და წმიდას შორის, ახალ აღთქმაში კრეტსაბმელად წოდებული ქსოვილია. ადრეულ ეტაპზე კანკელად გამოიყენებოდა ფარდები, საკურთხევლის მრევლისაგან დასაფარავად. ბიზანტიაში კანკელის ინტერკოლიმიებში გამოიყენებდნენ ფარდებს, სომხეთშიც დღემდე იხმარება ფარდა. მოსეს სკინიაშიც წმიდათა-წმიდა ფარდით იყო გამოყოფილი. საქართველოში ძველად კანკელი იყო ფარდა და მხოლოდ მოგვიანებით მიიღო განსხვავებული საგნობრიობა. ქრისტიანული პრაქტიკის ადრეულ ეტაპზე საკურთხეველში მიმდინარე ზიარება ყველას თვალწინ ხდებოდა (ქრისტემ ხომ ჯვარზე აღსრულებით გამოისყიდა პირველქმნილი ცოდვა და ზეციური საუფლო გაუხსნა ყველას). სპეციალისტთა აზრით, **კანკელის** პირველი მოხსენიება მოცემულია ეპისკოპოს ევსევი კესარიელის სიტყვაში, რომელიც მან წარმოთქვა, ქ. ტერში ბაზილიკის კურთხევისას მე-4 ს-ში“ (რ. შმერლიგი, 1962). „კანკელის სიმბოლო განიცდის გარდასახვას ღვთისმსახურების მიმდინარეობასთან ერთად. ეკლესიის ინტერიერის ძალზედ ღრმა და მრავლისმომცველ სიმბოლოთა შორის იგი ყველაზე მეტად ტრანსფორმირებულია“ (ე. ლაზარევი, 1971).

ქართულ წერილობით ძეგლებში კანკელის პარალელური ტერმინებია: **ლანძვი, არდაბაგი, კანკლელი და ფანჯრის, ბადის, ფარდის, ცხაურის, მოაჯირის** მნიშვნელობით გამოიყენება. კანკელი იმდენად გავრცელებული ლექსიკური ერთეული ყოფილა, რომ ფანჯრის განმარტებისას სულხან-საბა წერს: „თურქთა ენაა, ქართულად კანკელი და ლანძვი და არდაბაგი ჰქვია“ (საბა, 1993, გვ.183): „და იყო კანკელი და პროწეულები სუეტის თავსა ზედა გარემოის“ (I იერემია 52,22), „მისცეს... კანკელი საუფლოთა დღესასწაულთაჲ“ (გ. მთაწმიდელი, 1946, 23,13), „ქმნული კანკლედად ქუეშე საცეცხლურისა მის ქუემორე ვიდრე საშუალადმდე მისა“ (გამოსვლათა, 38,24), „სარკუმლები კანკლენი“ (ეზეკია, 41,16 — იერუსალიმური), „სარკუმლენი ბადეენი“ (იქვე — ბაქარის ბიბლია)...

რუსულ ენაზე გამოცემულ „ბიბლიაში“ კანკელი ყველგან თარგმნილია, როგორც **Решотка**: „Сделай к нему решотку из меди...“ (исход 27,4), „В окно выглядывает мать Сисарина сквозь решетку...“ (Библия, 1991)

დღეს ქართულში კანკელი ეწოდება მხოლოდ ეკლესიის საკურთხევლის ზღუდეს. იგი გააზრებულია, როგორც ჭებირი ღვთიურსა და ადამიანურს შუა; იგი არის სარკმელი ზენა და ქვენა სამყაროს შორის.

თანამედროვე ბერძნულში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინი „**εικονοστασις**“ (ικονοσις — ხატი. στασις — დგომა) და სიტყვასიტყვით ხატსადგამს ნიშნავს. ამ შემთხვევაში ტერმინი ზედმიწევნით ასახავს დღევანდელი კანკელის ვიზუალურ მხარეს. ასევე იწოდება საკურთხევლის ჭებირი თანამედროვე რუსულსა (**иконостас** — „иконостас уставлена иконами и называется иконостасом“, Закон Божий, 1991, ст. 616) და ევროპულ ენებში (**une iconostate** (ფრანგ.), **un iconostate** (იტალ.).

## 2.1.8. კლიროსი / საზსალმუნე / საღაპითენი

ღვთისმსახურებაში ფსალმუნთა კითხვას უძველესი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ დავით მეფესალმუნე წინასწარმეტყველის სიცოცხლეშივე (ჩვ. წ. აღ.-მდე 1055 წ.) იგი გამოიყენებოდა კარავში, შემდეგ იერუსალიმის ტაძარში. ქრისტიანულ ეკლესიებში ფსალ-

მუნებმა თავიდანვე ფართო აღიარება ჰპოვეს, როგორც წინასწარ-მეტყველურმა საგალობლებმა მაცხოვრის განხორციელების, ჭვარცმისა და აღდგომის შესახებ (იხ. ფს. 2, 15, 21, 39, 44, 67, 88, 90, 96, 109, 117). მოციქულთა დროიდან დღემდე იგი წარმოადგენს ლიტურგიის უმთავრეს ნაწილს და თითქმის მთლიანად ავსებს მას.

**ფსალმუნი** მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „ψαλμοϛ“ და ხოტბას, ქების საგალობელს ნიშნავს („იგი უნდა წარმოადგენდეს საღამურზე, ფლეიტაზე დაკრის გავლენით ინტერფერენციის ნიადაგზე შექმნილ ებრაულ ტერმინს რელიგიური ფსალმუნის გადმოსაცემად. ებრაული და ბერძნული ეს სიტყვები შინაარსობრივად აბსოლიტური ექვივალენტებია. ხოლო ბერძნული ოთხთავის ავტორიტეტის გამო მსოფლიოს მრავალ ენაში გავრცელდა ბერძნული და არა ებრაული სიტყვა“; მ. ნედოსპასოვა, 1978, გვ.33-34): „სადა ფსალმუნებამ არს, მუნ არს ღმერთი“ (მამათა სწავლანი, 1955, 209,1); „მარხვამან განკურნეს მთვრალობამ თქუენი და ფსალმუნებამან — შეგიწებულნი იგი ვმანი“ (ბასილი კესარიელი, 1983); „ფსალმუნითა სულიერითა და საკმეველითა სულნელითა აღვიხუენით პატრიოსანნი ძჳალნი“ (მუშანიკის წამება, 1964, 19,8).

„ფსალმუნად“ იწოდება აგრეთვე წიგნი, სადაც ფსალმუნებია თავმოყრილი. მისი სახელწოდება არაერთგზის არის ნახსენები ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებშივე, რაც საშუალებას გააძლევს გავარკვიოთ, რომ მას ძველადვე რამდენიმე სახელი ჰქონდა: „**დავითი**“, „**წიგნი ფსალმუნთა**“, „**ფსალმუნი**“, „**საფსალმუნე**“. გიორგი მთაწმიდელი ფსალმუნის ანდერძში ამ წიგნს ყოველთვის „დავითს“, უწოდებს და მას ხან მხოლოდით, ხან მრავლობით რიცხვში იყენებს: „ვთარგმნენ ესე დავითნი... დავითი ზებირით იძალოს...“ აღნიშნულ საკითხს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა მეცნიერმა მზექალა შანიძემ წიგნში „ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები“ (მ. შანიძე, 1979), ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით.

ადრეულ ქრისტიანულ ტაძრებში, ბერძნული ტრადიციის თანახმად, ფსალმუნთა, იგივე წიგნის, კითხვა ევალებოდა მორიგე დიაკვნს ან სამონასტრო ცხოვრებაში გამოჩენულ პირს - ბერს, მორჩილს, რომელსაც კენჭისყრით ირჩევდნენ. იგი დგებოდა მისთვის განკუთვნილ, სპეციალურად ამადლებულ ადგილზე „**კლი-**

**როსზე**, კანკელის წინ სამხრეთ ან დასავლეთ მხარეს. „კლიროსი“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „κλιρος“ — რაც წილს ნიშნავს. აქედან **კლიროსი** — წილსაყარი ანუ **საწილობელი** ადგილი (როგორც მას ქართულად უწოდებენ — ლ. ხ.) (Греческо-русский словарь, 1899). მე-10 საუკუნემდე აღნიშნული ადგილის აღსანიშნავად ქართულში გამოიყენებოდა ტერმინი „**მვარი**“, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეებზე მოწყობილი კათედრების გამო. წიგნში „იერუსალიმის კანონდება“ ამ სიტყვას კ. კეკელიძე ასე განმარტავს: „მხარე, ფრთა; ასე ეწოდებოდა კლიროსებს ეკლესიაში. ისინი ჩვეულებრივ ორია: მარჯვენა და მარცხენა. მარჯვენა კლიროსი მდებარეობს კანკელის სამხრეთი კარის მოპირდაპირედ, ხოლო მარცხენა კი — ჩრდილოეთის მოპირდაპირედ“ (კეკელიძე, 1912, გვ.334). გამომდინარე აქედან, ფსალმუნთა მკითხველთ ეწოდათ „**მემვრე**“ : „და სხუანი იყვნენ მგალობლად და მემვრედ და მეფსალმუნედ“ 6,21 (პეტრიწონის ტიპიკონი, 1971). ზოგიერთი ძეგლის მიხედვით ისინი მგალობლებადაც მოიაზრება, რადგან ფსალმუნსა და საღვთო წიგნებს ეკლესიაში წესისამებრ გალობით, წამლერებით კითხულობენ: „ალილუიასა განსრულებამდე მემვრეთა ვერ იყიდრიან მუჯლისა აღებაჲ“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1964); რაც შემთხვევაში კი მემვრეებად იწოდება მეფსალმუნედ და მგალობლები ერთად, რადგან მგალობლები წიგნის მკითხველთან ერთად დგებოდნენ კლიროსთან.

აქვე დავძენთ, რომ აღნიშნული ტერმინის, „**მემვრეს**“ პარალელურად ამავე საუკუნეებში გვხვდება ტერმინები: **მეფსალმუნე** და **წიგნის მკითხველი**. **მეფსალმუნე** — სახელდება გამომდინარეობს ფსალმუნთა კითხვიდან, ესე იგი, ის, ვინც ფსალმუნს კითხულობს: „ისწრაფიან თუმცა ოდეს აღასრულნა მეფსალმუნემან მუჯლნი“ 112,21 (ბასილი კესარიელი, 1983); „სხუანი იყუნენ მგალობლად, მემვრედ და მეფსალმუნედ“ 6,21 (პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონი, 1971). შევნიშნავთ, რომ ძველ აღთქმაში მეფსალმუნე ეწოდებოდათ ფსალმუნთა მგალობლებს: „მეფსალმუნენი იგი გალობდეს“ (II ნეშტთა 29,28); „შემსხმელნი მეფსალმუნენი მათნი“ (II ზზრა 2,65)... **წიგნის მკითხველი** — მოტივაცია გულისხმობს როგორც ფსალმუნთა წიგნის მკითხველს, ასევე სხვა საღვთო წიგნებისასაც, რადგან კლიროსზე მდგომი მორიგე დიაკვანი თუ ბერ-მონაზონი ლიტურგიისას წესისამებრ ფსალმუნთა გარდა კითხულობს სხვა საღვთისმეტყველო წიგნებსაც (თთუენი,

ჟამნი, საღმრესაწაფლო და სხვა...): IX საუკუნის ძეგლში „კანონი კონსტანტინეპოლის გუმბადას შინ სამეფოფოდა პალატისასა შეკრებილთა წმ. მამათანი“ კითხულობთ: „უკეთუ ებისკოპოსი... ანუ კერძო დიაკონი, ანუ წიგნის მკითხველი... შეწირულსა დედაკაცსა შეეყოს, განიკუთნონ, ვითარცა განმზრუნელნი სძლის ქრისტესისაჲ“ 374,35 (დიდი სჯულის კანონი, 1975): „არა ჯამს წიგნის მკითხველთა, ვინა მგალობელთა ცუმად ოლარისაჲ“ (იქვე, 256,10)...

მე-11 საუკუნემდე შექმნილ საეკლესიო ტიპიკონთა მიხედვით, „ფსალმუნთა“ კითხვა ევალებოდა, აგრეთვე, მგალობელთათვის „ხმის მისაცემად“ სპეციალურად გამოყოფილ პირს — **კანანახს//კანანარახს**. სახელწოდება მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „κανοναρχα“ რაც, კანონის დამწყებს, სიტყვისიტყვით მეკანონეს, ესე იგი, კანონთა წამკითხველს ნიშნავს, გამომდინარე იქიდან, რომ ფსალმუნები შედგება კანონებისაგან. იგი წამოიწყებდა საგალობლის პირველ მუხლს და ამით უჩვენებდა მგალობლებს, რომელ ხმაზე უნდა ეგალობათ: „და სხუანი კერძოდიაკონი ორნი წიგნის მკითხველად და კანანარხად“ 6,9 (კ. კეკელიძე, 1912). აღნიშნული ტერმინი გვხვდება პეტრიწონის ქართული მონასტრის ტიპიკონშიც (შენიშნავთ, რომ მოცემული სიტყვისაგან მოდის კანანახება: „აჲა მღვდელმონაზონი ნემსაჲ მიკანანახებდა“ (თ. ჟორდანი, „ქრონიკები“, 1892), აქედან კი გვაქვს დღევანდელი კარნახი (იხ. კ. კაკიტაძე, 1996).

მე-11 საუკუნიდან წიგნის წაკითხვისას „**კანანახს**“ ჯერ რიგ შემთხვევებში ენაცვლება, შემდეგ კი სავსებით ცვლის ძველი ტერმინი „**მეფსალმუნე**“, ამჟამად მხოლოდ ფსალმუნთა წამკითხველის აღსანიშნავად. შესაბამისად ადგილსაც უკვე ერქმევა „**საფსალმუნე**“: „აღვიდა დიაკონი საფსალმუნესა ზედა აღმოკითხვად წმიდისა სახარებისა“ (კიმენი II, 1946).

წიგნის მკითხველის აღსანიშნავად ზემოთ განხილულ ლექსებთან ბარალელურად თანაარსებობა სამონასტრო ცხოვრებაში მრავალრიცხოვან ბერ-მონაზონთა შორის თითქმის ერთი და იმავე საქმის განაწილებით უნდა იყოს გამოწვეული, რის დადასტურებასაც პეტრიწონის მონასტრის შემდეგი განწესებაც წარმოადგენს: „და იყვენ მღვდელნი ჟამის მწირველნი ექუსი და კერძოდიაკონი ორნი წიგნის მკითხვად და კანანახად და სხუანი იყუნენ მეფსალმუნედ და სხუანიცა მგალობლად“ (აქ. შანიძე, 1971).

ტერმინი „მეფსალმუნე“, როგორც ფსალმუნთა მკითხველის აღმნიშვნელი დღესაც, გვხვდება რუსულ და ბერძნულ ეკლესიებში. რუსულში გამოიყენება „псаломщик“, ხოლო თანამედროვე ბერძნულში - „ψαλμικ“.

რაც შეეხება ადგილს, საფსალმუნეს, რუსულ ენაში კვლავ ძველი ბერძნული ტერმინი „კლიროსი“ იხმარება, ხოლო თანამედროვე ბერძნულში იგი თითქმის დაკარგულია და მის ნაცვლად მრეველი და სამღვდლოებაც იყენებს ლექსემას „αυαλιουο“ — ანალოგიო, როგორც კათედრა, საწიგნე, მაღალი დაქანებული მაგიდა (თანამედროვე ბერძნული მასალების მოწოდებისათვის მადლობას უვხდით საბერძნეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეს ფილოლოგ-რომანისტ თამარ ხელიაის).

განსხვავებული ვითარება გვაქვს ქართულში. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი მწერლობის უძველეს ძეგლებშივე ფსალმუნთა წიგნის აღსანიშნავად პარალელურად გამოიყენება ტერმინები: „ფსალმუნნი“, „წიგნი ფსალმუნთაჲ“, „ფსალმუნნი მეფის დავითისა“, „დავითნი“. მე-19 საუკუნეში გამოცემული ფსალმუნთა წიგნები სახელდება თითქმის მხოლოდ „დავითნად“, შესაბამისად, წამკითხველი „მედავითნედ“ იხსენება, ხოლო მისთვის განკუთვნილი ადგილი კი „სადავითნედ“. აღნიშნული ტერმინები დღემდე დასტურდება როგორც საეკლესიო ტიპიკონებში, ასევე მხატვრულ ლიტერატურასა და მრეველის მეტყველებაში: „ეკლესიის გალავანზე მღვდლის მოლოდინში გადმოყუდებულია მედავითნე“ (ნ. ლორთქიფანიძე, 1989). „სანთლების გვერდით სადავითნესავით მაღალი და თავწაქანებული მაგიდა დაედგათ“ (შ. დადიანი, 1959); „მიმიყვანეს და სადავითნესთან დამაყენეს“ (რ. ერისთავი, 1893); „ჩვენი მედავითნე, ეტყობა, კითხვისგან დაიღალა“ (ქლსკი, ქუთაისი, 1999); „ჩემი სემინარიელი ამხანაგი დღეს მედავითნეა“ (ქლსკი, ქუთაისი, 1999)...

დღეს ლვთისმსახურთა მეტყველებაში „კლიროსის“ გვერდით დასტურდება „საწილობელიც“, რომელიც ბერძნული ტერმინის სიტყვასიტყვითი თარგმანია: „მედავითნემ საწილობელზე უნდა წაიკითხოს ჟამნები“ (ქუთაისის წმ. გიორგის (ზედა) ეკლესიის მოძღვარი დეკანოზი მამა გიორგი დაღუნაშვილი, ქლსკი, 1999); „მღვდელმთავარმა თავადი გვერდით დაიყენა და კლიროსზე საღვთისმეტყველო წიგნი წააკითხა“ (არქიმანდრიტი რაფაელი, 1996).

რაც შეეხება მრევლს, მათი უმრავლესობისათვის დღეს სადავით-ნეს ბერძნული სახელწოდება საერთოდ უცნობია.

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ფსალმუნთა წასაკითხი ადგილის სახელწოდებას სხვადასხვა მოტივი უდევს საფუძვლად: თავდაპირველად, ბერძნულში სახელდება კენჭისყრიდან გამომდინარე გვაქვს. ქართულში კი აქცენტი ჯერ სამხრეთ-ჩრდილოეთ მხარეებზე მოწყობილ კათედრებზეა გადატანილი, შემდეგ კი ენამ წინ წამოსწია აქტიური, მოქმედი პირი, ესე იგი, წიგნის მკითხველი და მისთვის განკუთვნილი ადგილის სახელდებაც ამ პირიდან გამომდინარე ხდება. თავის მხრივ, ფსალმუნთა მკითხველის აღსანიშნი ტერმინის მოტივაციას საფუძვლად უდევს აღნიშნული წიგნის სახელწოდებები. რაც შეეხება სამღვდლოებს, მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის ძველი წესი დღეს აღარ მოქმედებს, ენაში დღესდღეობით დამკვიდრებულ ტერმინთა პარალელურად მაინც იყენებს ძველი ბერძნული სიტყვის შესაფერის ქართულ ვარიანტს.

საეკლესიო ლექსიკის დინამიკაზე დაკვირვება ცხადად აჩვენებს, რომ მართლმადიდებელ ეკლესიაში ადრეული საუკუნეებიდანვე შეინიშნება ბერძნულ ტერმინთა გაქართულების ტენდენცია, რაც მოწმობს ქართველ მთარგმნელთა დიდ ოსტატობაზე, წარმოეჩინათ მშობლიური ენის მრავალშესაძლებლობიანობა და, ამასთანავე, ღვთის სიტყვა გასაგები და მისაღები გაეხადათ ქართულენოვან მორწმუნეთათვის.

## 2.1.9. მნათე / სტიქაროსანო

ლიტურგიკულ ლიტერატურაში, შესაბამისად, მხატვრულ ლიტერატურაში ეკლესიის მსახურს, რომლის მოვალეობაა სანთლების ანთება, ზარის რეკვა და ეკლესიის მოვლა **მნათე**, **კანდელაკი** ეწოდება. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისაგან „καυδελαντις“ და ნიშნავს — კანდელების ანთებს.

მოვიყვანთ შესაბამის მაგალითებს სათანადო ლიტერატურიდან: „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“: „და ერთი იყოს **მნათედ-კანდელაკად**, რომელ ბრძანებისაებრ დეკანოზისა იმჭირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა, ზედაშესა და მხველსა და შიშითა ღმრთისაგათა წარა-

გებდეს ჯეროვნად“ 6,11 (აქ. შანიძე, 1986); „იოანე ოქროპირის ტიპიკონი — დიდი სერობა და პურის კურთხევა“: „ღვთაყვანილნი **მნათესან** ერთად სამჯერ შემოუკმევს ხუთ პურს, ხორბალს, ღვინოსა და ზეთს“ (მასალა დამოწმებულია დღევანდელ ეკლესიაში გამოყენებული აღნიშნული ტიპიკონიდან); „შეწირულობის სიგელი დავით ნარინისა გელათისადმი, 1271 წ.“: „ყოველთა მარიამობათა დღეთა **კანდელაკის** ჯვლითა მიიღებენ ბეგარასა ორმოცდაათ ლიტრა ცუთისა“ (ქსძ, 1965, გვ.74), ან „სხვათა ხატათა წინაშე ნთებად აღვილითა და მიათულენ **კანდელაკს**, რათა მისითა ჯვლითა მიიღებოდეს ცუთილი ბეგარა“ (იქვე, გვ.74); „შეწირულობის სიგელი ბაგრატ მეფისა გელათისადმი, 1545 წ.“: „სხვეთ ჯურის-მტერთველსა, **კანდელაკსა**, მწირველსა სამ-სამი თეთრი მიეცემოდეს“ (იქვე, გვ. 184); „ბიჭვინთის იადგარი, 1525-1550 წ.“: „წინამძღვარ-ღვთაყვანილთა, **კანდელაკ-ჯურისმტერთველთა**, მეტრაპეზეთა და სხუათა საყდრის შვილთა“ (იქვე, გვ. 178); „განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა, 1798 წ.“: „**კანდელაკნი** მარჯვენით და მარცხენით მეფისა“ (იქვე, გვ. 536); აკაკი წერეთელი, „ხატის წინ“: „ი, მაგრამ **მნათე** არსად ჩანს, ჩემთან მომტანი ცეცხლისა“ (აქ. წერეთელი, 1948); კ. გამსახურდია „ზარები გრიგალში“: „მოავლო **მნათემ** სველ თოკებს ხელი, ჩამორეკა ორი პატარა ზარი“ (კ. გამსახურდია, 1992, გვ. 67) ან „**მნათე** ოქროპირს არაფერი ჰქონდა დასანანი... ოცდახუთი წელიწადი რეკავდა... ცისკარზე... მწუხრზე“ (იქვე, გვ. 63-64)...

**მნათე-კანდელაკი** ღვთისმსახურებაში აგრძელებდა იმ გზას, რასაც ძველი აღთქმის მიხედვით ლევიტელნი აღასრულებდნენ: „ლევის შტო არ აღრიცხო. ჩააბარე მათ მოწმობის სავანე მთელი მისი მოწყობილებით, ყველაფრითურთ, რაც მას ეკუთვნის. მას მოემსახურონ და სავანის ირგვლივ დაიბანაკონ“ (რიცხვნი 1; 49,50) — უბრძანებდა უფალი მოსეს. ლევის შთამომავლებს უფლის სამსახური ღვთისაგანვე ჰქონდათ განაწილებული: „გერშონიანებს სადღესასწაულო კარავში ებარათ სავანე მისი გადასახურავით, ფარდა და სადღესასწაულო კარავში შესასვლელი“ (რიცხვნი 3,23); „კერპათანთა სავარეულოს ებარა კიდობანი, ტაბლა, სასანთლე, სამსხვერპლოები და წმინდა ჭურჭლები, მსახურების დროს გამოსაყენებელი“ (რიცხვნი 3,31); „მერარიანებს ებარათ სავანის ძელები, მისი ლარტყები, სვეტები ფეხებითურთ, მთელი მისი აღჭურვილობა და მოწყობა“ (რიცხვნი 3,36) და ა.შ.



თავისი უფლებამოსილებით მნათესთან აშკარა მსგავსებას აქვლავნებს ფშვ-ხევსურეთის ხევისბერ-ხუცესი. შედარებისათვის მოვიყვანო მაგალითს ალ. ოჩიაურის მიერ შეკრებილი მასალებიდან: „ხევისბერები იყვნენ ბევრნი. ყველას თავისი საკუთარი საქმე ჰქონდა ხატისაგან ჩაბარებული. ხატი გამოუცხადებდა მკითხავის პირობას: ამა და ამ ხევისბერს ვაბარებ ზარს და საკლავის დაქველავს, მეორე ხევისბერს მამულის მოვლას, მესამეს ვენახის და ქვევრ-მარნის პატრონობას, მეოთხეს — ქადა-პურის დაჭრას, მეხუთეს — სისუფთავის დაცვას, მეექვსეს — თას-განძობა მოვლა-პატრონობას, მის დასუფთავებას, დათვლას, თავის დანიშნულ ადგილზე დაწყობას — დალაგებას და ხანდახან დამალვას სხვადასხვა ადგილებში. როცა მტრის დაცემის შიში იყო, დამალვადნენ თას-განძობს, ეს სამ კაცს უნდა სცოდნოდა. მტრის დაცემის დროს ამ სამში ერთი მაინც გადარჩებოდა და განძი არ დაიკარგებოდა. უფროსად ანუ თავხევისბერად ის ითვლებოდა, ვისაც ზარი ებარა და საკლავის დაკვლა ევალებოდა“ (ალ. ოჩიაური, ქართულ-ხალხური დღეობები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, 1991, გვ.202-203). წიგნი „ჯვარ-ხატთა სადიდებლები“ გვაწვდის დამატებით ცნობასაც, რომ „ხევისბერებს, ღვთისმსახურებაში ეხმარებოდნენ რიგითი ხევისბერები, ხუცეები, მაგანძურნი (ჯვარ-ხატის განძის მცველი), მედროშენი, დასტურები (ხატის სამეურნეო საქმეების გამძღოლი) და სხვა“ (ზ. კიკნაძე, ტ. მახაური, ხ. მამისი-მედიშვილი, 1998, გვ. 10,11).

ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ იმერეთსა და სამეგრელოს რეგიონებში ჩაწერილი მასალების მიხედვით „მნათეს“ აღსანიშნავად გვხვდება ტერმინი „სტაროსტა“//„საროსტა“. იგი მომდინარეობს რუსული სიტყვიდან староста — მნათე, კანდელაკი, იგივე свечник — მესანთლე, кучарь — მეკლიტული.

მოვიყვანო მაგალითებს: „მამაჩემი საროსტათ მუშაობდა ეკლესიაში. ღუღღს ეხმარებოდა, სამთლევს ანთებდა, ზარს რეკატდა, ალაგებდა“ (ფონდი E 7.1.), „წმინდა გიორგის ეკლესიაში იყო მამაჩემი, ივანე ჭიჭაბერიძე სტაროსტათ, მღუღღს ეხმარებოდა, ეგი იყო 1918 წელი“ (ორპირი, სოფ.ჭყეები, ნ.ჭიჭაბერიძე, 85 წლის, 1999. მასალა მოგვაწვოდა ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მეც.თანამშრომელმა დარჩვან ბაკურაძემ), „სტაროსტა ეკლესიაში მღუღღს ეხმარებოდა, ალაგებდა, ასუფთავებდა,

ზარს რეკავდა, სანთლევს ანთებდა. ბაბუაჩემის ძმა მუშაობდა აქ მარტვილში **სტაროსტათ**“ (მარტვილი, შ.რუხაია, 80 წ. 1999).

სოფელ კუზში ჩასახლებულ ქვემო სვანთა გადმოცემით **სტაროსტა**, არის პიროვნება, რომელიც ეკლესიის განძს, შემოწირულობებს იცავს, საკლავს კლავს და ლოცულობს ხალხისათვის: „ფაყის ეკლესიაში ამაღლების შვირე დღეს მოდიან ლეჩხუმიდან, ლენტეხიდან, მიაქვენ შესაწირავები... იქინე არიან **სტაროსტები** და ულოცავენ იმას. შესაწირს მიცემს პატრონი და ის დალოცავს: ღმერთმა დალოცოს, ფაყის ეკლესიამ ესა და ეს კაცი, შემოწირა ამდენი და რა რამდენი შესწირა, იმას იტყვის“ (ცოლა მუსელიანი, დაბ. 1963 წ. კუხი, 1997), „ამინის ხატი“ საზღვარგარეთ იყო გატანილი და დააბრუნეს შერე, ძალთან ძლიერა. იმ ხატს და ძვირფას ნივთებს, რაც არი შესაწირათ მიტანილი, კლდეში ინახავენ. ეს იცის სამმა კაცმა მარტო. იმის მეთუაღუყურია, **საროსტას** უძახით ჩუნ და იმ **საროსტამ** და ამ სამმა კაცმა იცის სად ინახავენ ამ ძვირფას ნივთებს“ (ნ.გვილიანი, დაბ. 1949 წ., კუხი, 1997), „ეკლესიაზე მიგუბაქ შესაწირავები: ცხვარი, ხარი, სანთლები, ტაბლუები. ჩუნ გუყაჟს, **საროსტას** უძახით, ვინც ესე იგი შელოცუა იცის. მას ვეტყუთ, რომ შემოქწირავ ამას და მინდა, რო დამილოცო ოჯახი. ი **საროსტა** შერე მისი სიტყუებით დალოცავს ოჯახს. **სტაროსტა** ქუთია კაცს, რომელიც ეკლესიას ხელმძღუანელოვს, ამ ლოცვის ხელმძღუანელია იგი. მღვდელი ზოგ ეკლესიაში კი არის, მაგრამ...“ (დ. მუქბინიანი, 27 წ., კუხი, 1997).

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ „**სტაროსტას**“ იგივე ფუნქცია აკისრია, რაც ფშავ-ხევსურეთის **ხევისბერ-ხუცესს**, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, და აგრეთვე, ზემო სვანურ **მოკილი/შეკილს** — სიტყვა-სიტყვით, „ჩამკეტი“, იგივე „**ლაგუამი მარეს**“ — სალოცავის კაცი. ვ. ბარდაველიძის „სვანურ დღეობათა კალენდარში“ ვკითხულობთ: „ყოველ სალოცავს ჰყავდა სვანეთში თავისი ძირითადი მოსამსახურე, რომელთა მოვალეობას შეადგენდა ხატის სამსახური. სალოცავის სიმდიდრე მის ხელში იყო. მათი ნებართვის გარეშე ხელს ვერავინ ახლებდა ეკლესიაში განძულს. სალოცავის შენობის შეკეთება, გადახურვა და სხვა ყუელაფერი მათ ვეალებოდათ. მომსახურეთა შორის ყველაზე პატივცემულ მოსახლეს, რომელსაც **მოკილი** ეწოდებოდა, ეკლესიის გასაღები ებარა. თითო სალოცავს მეტ შემთხვევაში ერთი გვარი ემსახურებოდა. ამ გვარის ხალხს ეძახიან სალოცავის კაცებს — **ლაგუამი**

**მარაღს.** მოტანილ შესაწირავს მას გადასცემდნენ. იგი შესწირავდა სალოცავს და სამაგიეროდ შეწირულის ნაწილს დიიტოვებდა“ (ვ. ბარდაველიძე, 1935, გვ. 36), მაგ.: „ვაჟიშვილის მოსურნე მანდილოსანი სხვას ვაგზავნიდა თარინგულში მოსალოცად. ვაგზავნილი პირი ზედანს **მოკილს** გადასცემდა. მოკილი შესწირავდა ხატს ამ შესაწირავს“ (იქვე, გვ. 66). „**ჭგრაგის მწარე** შესწირავდა ილიორდან გამოგზავნილ ხარს, ერთხელ ამ **ჭგრაგის მოკილმა** ხარი მოიპარა“ (იქვე, გვ. 68).

სევანურში მოკილის გვერდით გვხვდება ტერმინები: **მულზონ/მულზუნენ** და **მომზერი/მომზირი**. **მულზონი** საერთოდ მონაზონს ნიშნავს, მაგრამ აქ იგივე ეკლესიის კაცის აღსანიშნავად გვხვდება. მაგ.: „შესაწირავებს ეკლესიის მარეს (ჭგრაგის მულზონს) გადასცემდნენ დასალოცად. ის კი წმიდა ბარბაღეს თხოვდა ოჯახის კეთილდღეობას. დალოცვისას მულზონს ეძღეოდა ორორი **ლემზირი** თითო ოჯახიდან“ (ვ. ბარდაველიძე, 1935, გვ.16), „**ლემზირებს** წაიღებდნენ ეკლესიაში და ამ ეკლესიის მულზონს შეაწირვინებდნენ ოჯახის კეთილდღეობისათვის. შეწირული პურებიდან სამ ცალს ხატის კაცს, მულზონს გადასცემდნენ“ (იქვე, გვ.17).

**მომზირი** კი შემწირველ-მლოცველს ნიშნავს. ვ. ბარდაველიძის განმარტებით: „მომზირი მომდინარეობს ლიმზირი-დან, რაც ნიშნავდა ლოცვასა და საწირავის მიტანას ერთად. ამავე ძირიდანაა ნაწარმოები შესაწირი პურის სახელწოდება **ლემზერი/ლემზირი** და შემწირველ-მლოცველი პირი **მომგზერი/მომზირი**“ (ვ. ბარდაველიძე, 1938, გვ. 1). მაგალითად, „**ლემზირებს** წაიღებდა ეკლესიაში და იქ მლოცავს **მომზირს** აკურთხებინებდა“ (იქვე გვ. 18), „ლემზირთა შორის ერთი ცალი დიდი ზომისა უნდა ყოფილიყო და მას **მომზირი ლემზირი** ეწოდებოდა. მას ხატის კაცს, მომზირს-ს დაუტოვებდა“ (იქვე, გვ. 13). **მომზირი** მარტო ხატის კაცს არ ქვიოდა, როგორც, მაგალითად, ეკლესიის მცველ-შემწირველს „**მოკილი**“, ასე უბრალო მლოცველსაც ეძახდნენ, რომელიც შეიძლება ყოფილიყო როგორც მამაკაცი, ასევე ქალიც. მაგ.: „ბარბაღან-შის დადგომამდე სამი დღით ადრე თვალის ტკივილით დაავადებულთათვის გამოაცხობდნენ ლემზირებს. მათი შემწირველი, მომზერი ქალი იყო, ოჯახის დიასახლისი“ (იქვე, გვ. 14), აღიქვანდა საღამოს ოჯახის უფროსი (ქორან მახტუში) დაიჭერდა ხელში დიასახლისის გამომცხვარ დიდი ზომის ლავანს და წარმოთქვამდა ლოცვას. ლოცვის შემდეგ გარეთ გავიდოდა. ამ დროს

ოჯახის სხვა წევრებიც გარეთ გავიდოდნენ და მომზერის (ე.ი. ქორა მახუშის) პირდაპირ დადგებოდნენ, მომზირი მათ ლავაშს ესროდა, ისინი დაიჭერდნენ და შემდეგ უკანვე დაუბრუნებდნენ. ასე გაიმეორებდნენ სამჯერ“ (იქვე, გვ. 131).

ლეჩხუმური მასალების მიხედვით (მასალა მოგვაწოდა დილექტოლოგიის ინსტიტუტის მეც.თანამშრომელმა ლ. ლომთაძემ სოფელ ლასურიაშის მაგალითზე) იქაურ შემწირველ-მლოცველს „სტაროსტა“ ეწოდება. იგი ფუნქციის მიხედვით სიახლოვეს ამჟღავნებს, როგორც ქვემო სვანეთის „სტაროსტასთან“, ასევე ზემო სვანეთის „მომზირთან“, რადგან მლოცველი ქალი იყო. „**სტაროსტად** კარგი ენის მქონე, ენაწყლიან ქალს ირჩევენ. იგი წაუძღვებოდა ხალხს სალოცავზე. სალოცავს „დედახვთისა“ ეწოდებოდა. მაგრამ წარმოადგენდა მალა მთაზე მდგომ დიდ მუხას, და ძირითადად მუშეუღიანების სალოცავად ითვლებოდა, თუმცა მათთან ერთად მთელი სოფელი წმინდა ადგილად მიიჩნეოდა და შესაწირავები მათაც მიჰქონდათ (სოფელში ეკლესია არ იყო და სადაც იყო, იქაც უმოქმედო). ის ადგილი ნაკრძალი იყო და რაიმეს გატანა, ფიჩხისაც კი არ შეიძლებოდა. ელიობა დღეს, როგორც მუშეუღიანებს, ასევე სოფელში მცხოვრებ სხვა გვარის ხალხსაც **სტაროსტა/საროსტა** წინ წაუძღვებოდა, რომელსაც თოკით მიჰყავდა შესაწირი მოზვერი (უფრო მუშეუღიანები წირავდნენ მოზვერს). ხალხს მიჰქონდა სანთლები, ტაბლუები, წიწილები, რომელსაც იქვე უშვებდნენ, ცხვრები, სპილენძის ქურჭლები. **სტაროსტა** მოზვერიანად სამჯერ ხმამაღალი ლოცვით შემოუვლიდა ხეს. ხალხს ავედრებდა, მშვიდობას, ჯანმრთელობასა და ბარაქას ითხოვდა. შემდეგ შესაწირს კაცებს გადასცემდა დასაკლავად.“ აქვე აღვნიშნავთ, რომ **სტაროსტა** ლეჩხუმში ძირითადად ქალი იყო, როგორც ზემო სვანეთში **მომზირი** ქალი შეიძლებოდა ყოფილიყო. ფგარდაფხაძე-ქიქოძის მიერ რაჭა-ლეჩხუმში ჩაწერილი მასალების მიხედვით, სამშვიდობო ტაბლების შემწირველი და მლოცველი ქალი იყო ისე, როგორც დღეს საკუროტხს (მიცვალებულის მოსახსენებელი სუფრა) მხოლოდ ქალები აკეთებენ. ლეჩხუმში „**სტაროსტა**“ მეტახელადაც გვხვდება. ასე ეძახიან უფროსობის მოყვარე, სხვისი ჭკუის მასწავლებელ აღამიანს. გვხვდება გამოთქმები: „შენცა ხარ ერთი **სტაროსტა**“, „გამომივიდა ეგეც **სტაროსტა**“.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ **სტაროსტა-სვეისხერხუცესი**, **დეკანოზს**, **მოკილსა** და **მღვდელს** ბევრ მსგავს უფლება-მოვალეობასთან ერთად აქვთ კიდევ ერთი საერთო, ეს არის

ლოცვა. იგი ყველა მათგანთან თითქმის იდენტურია და შედგება სამი ნაწილისაგან: **ღვთის სადიდებლები, მოხსენება შემწირველისა და საწირავის დალოცვა ანუ დამწუკლობება** (როგორც მთაში ამბობენ). **სტაროსტას და მოკილის** ლოცვის შესახებ ზემოთაღვს კისაუბრეთ, ამიტომ, ამჟერად მხოლოდ სხვა დანარჩენთა ლოცვის მაგალითებს მოვიყვანთ: „ხევისბერი ახვეწებდა მომტანს: „წყაროსთავ წმიდაო გიორგი, უშველე შენთ მახვეწართა, ხალიზი მიეც, ბალინჯი აშორე და წელიწადი მშვიდობისა დაუყენე... შენთვის სამსახური მოუყვანია შენი წესის მიხედვით... შეიწყნარენ და მიიღენ... თუ რამე თავის უცოდინარობით გცოდონ, შენაცოდვარი შეუწდე“ (ალ. ოჩიაური, 1991, გვ. 203-204), „ხუცესი შეუდგება ხუცობას: დიღო მიქელ მთავარო ანგელოზო, შენს წყალობას მაუმატილი შენთ მეხვეწურთად, გვედრებთან დალოცვილო, გეხვეწებთან, შაიხეწენი, შველდი, სწყალობდი, სცევიდი, ხფარევიდი, წელი დალიან-ბარაქიანი დაუყენედ, ნამუშაველი მშვიდობას მოაქმარი, ღმერთი შენს ბატონობას გაუმარჯვებს, გამარჯობა შენდა!“ (ალ. ოჩიაური, 1988, გვ. 14-15), თუშეთში დეკანოზი ასე ილოცება: „დიდება ღმერთსა, მაღლი ღმერთსა! ღმერთო, შენ გაუმარჯვე ღმერთსა კვირიკესა. თქვენ გეხვეწებით, გვედრებით, თავი დაბლითა, გული მართლითა, თქვენთვის შემოუწირავთ სანთელ ზედაში... წყალობა გამოუთხოვიდითაო, ჯვარ დაუწერდითაო კაცსა, საქონელსა, დიდსა, პატარასაო, დეეშველენით, დეეხმარენით, დაიცავით, დაიფარეთ ზევისაგან, წყლიდან, სენიდან, სასჯელიდან, მწარე სიკვდილისა... მწყალებელიმც არის თქვენი, გაუმარჯოს ჩვენ სალოცავებს, გაუმარჯოს ყმებს ლაშარის გიორგისას!“ (ჯვარ-ხატთა სადიდებლები, 1998, გვ.165), ფ. გარდაფხაძე-ქიქოძის მიერ 1937 წელს რაჭა-ლეჩხუმში მოძიებული მასალების მიხედვით კი იმ რიტუალებს, რასაც ზემოთ აღნიშნული კულტმსახური (სტაროსტა, ხევისბერი, ხუცესი, დეკანოზი, მოკილი) ასრულებდნენ, აქ მღვდელი ასრულებს: „მღვდელი შესაწირ ტაბლას აიღებდა ხელში და დაილოცებოდა: დეიფაროს ღმერთმა ბოროტისაგან, კოხისაგან შენი ვენახი, დეიფაროს ღმერთმა შენი ოჯახი სნებისაგან, გაჭირვებისაგან, გამარჯლოს ღმერთმა. აიღებდა ღვინოს და იტყოდა: ეს ღვინო შემოსწირა ამან და ამან (სახელს ამბობდა), დალოცოს ღმერთმა! — ხალხიც იგრილებდა: დალოცოს ღმერთმა“ (ფ. გარდაფხაძე-ქიქოძე, 1995, გვ. 22-23), „მარიამობას მოიტანდნენ ეკლესიაზე ჩამოქნილ სანთელს, ფულს,

ცხვარს. ყველა ამას მღვდელი საჯაროდ გამოაცხადებდა და ხალხს დალოცავდა“ (იქვე, გვ. 44).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ ეკლესიის მოსამსახურე **მნათე**, იგივე **სტაროსტა** მთაში დამატებით ფუნქციებს იძენს. მან შეითვისა ის ფუნქციები, რომლის შესრულება არც ევალებოდა და არც უფლება ჰქონდა. რისამე კურთხევა მხოლოდ მღვდლის პრეროგატივაა, ისე როგორც ძველი აღთქმის მიხედვით, აარონის შთამომავლებს ევალებოდათ მღვდელმსახურება და ლევის შთამომავლებს მხოლოდ მათი დახმარება ღვთისმსახურებაში. მკაცრულ შემთხვევაში ფუნქციათა შერწყმის მიზეზი კი შეიძლება ასე აეხსნათ: „სტაროსტა“ რუსულ ენაში, უპირველეს ყოვლისა, „უზუცესს“ ნიშნავს. ასე იწოდებოდა მამასახლისიც, რომელსაც გადასახადების აკრებაც ევალებოდა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მამასახლისი (სტაროსტა) იმერეთში მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში სამრევლო საბჭოს მთავრის მაგვარი თანამდებობაც იყო.

ყოველივე ამასთან საქიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ, რომ საქართველოში ოდითგანვე არსებობდა საეკლესიო ქონების დაცვა-გადარჩენა-გადაზიზვნის კარგად ორგანიზებული ტრადიცია „**ფუსტობის**“ სახით. (ფუსტი, უზენაესი უფლის, შემოქმედის უდიდესი სიწმიდის სინონიმი სვანურ დიალექტში). „ფუსტობის“ ტრადიციამ საკმაოდ ჭანსაღად იარსება 1819-1820 წლების საეკლესიო აჯანყების პერიოდამდე. საქართველოსა და მისი ეკლესიის დამოუკიდებლობის შეწყვეტის შემდეგ, რუსულმა კოლონიურმა საეკლესიო მმართველობამ ეს ტრადიცია ძირფესვიანად ამოკვეთა ქართული სულიერი ცხოვრების დღის წესრიგიდან (გაზ. „მრევლი“, 2001, №7, გვ.15). საქართველოში არსებული აღნიშნული ტრადიციის გაგრძელებას ცდილობდნენ ჩვენს მთიანეთში **მოკილი** თუ **ლაზუამი მარე**... ბოლოს კი მათი ფუნქციების შეთვისება მეტნაკლებად შესძლო „სტაროსტამ“.

რაც შეეხება თავად ტერმინს „სტაროსტა“, იგი არ გვხვდება ჩვენ მიერ მოძიებულ კილო-თქმათა ლექსიკონებში და არც ქართველ მწერალთა შემოქმედებაში. იგი დასტურდება გასული საუკუნის ბრესაში. 1881 წლის გაზეთში „დროშა“ სვანი კორესპოდენტი ლაზარე დაღუანი დანანებით წერს: „მღვდელს მოხუცებულობისაგან ლაპარაკიც ეშლება, მაგრამ არც დიაკვანი ეჭირვება და არც **სტაროსტა**, მარტო ასრულებს საღმრთო ლიტურგიას. ალბათ ღმერთი გაგვირისხდა და მეტის ღირსი აღარ ვართ.“

ვფიქრობთ, აღნიშნული სიტყვა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის დაკარგვის (1811წ.), საქართველოში ეგზარხოსების ჩაყენების შემდეგ უნდა იყოს შემოტანილი და დღეს შემორჩენილია მხოლოდ ხალხურ მეტყველებაში. აწსუ ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, ჩვენ მიერ ჩაწერილ პირთა მამები ეკლესიაში სტაროსტად მუშაობდნენ 1895-1918 წლებში.

უკვე აღვნიშნეთ, რომ რუსულში староста — მნათე, კანდელაკის პარალელური ტერმინებია свечник — მესანთლე და ключарь — მეკლიტული. საჭიროდ მიგვაჩნია, განვმარტოთ, რომ რუსული свечник — შეესაბამება კანდელების ანთვებს და არა ქართულ მესანთლეს. „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“-ს რუსულ თარგმანში კვითხულობთ: „ОДИН ПУСТЬ БУДЕТ СВЕЧНИКОМ-КАНДЕЛАПОМ-КАНДЕЛОВЖИГАТЕЛОМ“ (6,11).

წერილობითი ძეგლების მიხედვით კი საქართველოში მესანთლე ეწოდებოდა მას, ვისაც წმიდა სანთლის ბეგარა ემართა: „წმიდას აღდგომას მესანთლეები ორს ლიტრას წმიდა სამთელს მოართმევენ მოურავს“ (დასტურლამალი 1703-1724, ქსდ, გვ.448); „ერთი თეთრი ბატონის წილ სამთლისათჳინ მესამთლეს თავილად ეძლევის“ (იქვე, გვ.282). დღეს მესანთლე ჰქვია ეკლესიაში სანთლების გამყიდველს. ძველ საქართველოში კი ასეთი რამ არ გვხვდებოდა, რადგან ეკლესიაში სანთლები არ იყიდებოდა. რაც შეეხება რუსულ ключарь — მეკლიტულს, რომელიც მნათეს მისი ერთ-ერთი ფუნქციიდან გამომდინარე ეწოდება და სვანურ „მოკილ“ — მეკლიტულს აქ ტერმინთა მსგავსი მოტივაცია მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევითია.

დღეს ეკლესიაში მნათეს აღსანიშნავად გვხვდება ტერმინი სტიხაროსანი/სტიქაროსანი. იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „στικαριον“, რაც სამღვდლო, სადიაკვნო გრძელ, ფართოსახელოებიან შესამოსელს ნიშნავს. ქართულ წერილობით ძეგლებში მის პარალელურად გვხვდება ტერმინები: „კვართი“, „კოლობი“. მაგ.: „ერთი კოლობი ემოსა უსაველოდ და მცირე კინდონი იყო მხართა მისთა“ 255,2 (შუა საუკუნეების ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, 1974); „კოლობი აქუნდა მას, ესე იგი არს სტიქარი, შესამოსელი სპეტაკი“ 17-18 (იქვე, მე-11 ს.); „უბრძანა მიცემად ყოველი საღვაწი და კუართები მღვდლთაჲ მათ, რომელნი აღასრულებდეს მსახურებასა უფლისასა“ (ეზრა

4,54, ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები მე-10-მე-18 სს. 1970); „ცხედარსა მოჰსდევდნენ ორნი სხვანნი დიაკონნი, სტიხარცემულნი“ (ქსძ, განწესება ერეკლე მეფის დაკრძალვისა, 1798წ., გვ. 540, 29); „ორი კერძო დიაკონნი სტიხარცემულნი ლამპრებისა მტკრთველი“ (იქვე, გვ. 539, 27).

მღვდელი და დიაკვანი სტიქართან ერთად სხვა შესამოსელ-საც ატარებენ, მნათე კი მხოლოდ სტიქარით იმოსება, და სახელი — სტიქაროსანიც, დღეს ტანსაცმლის ტარებიდან გამომდინარე დაერქვა. ფუნქცია კი იგივე დარჩა, რაც ადრე მნათეს. ჩვენს მიერ სასულიერო პირთაგან მოპოვებული მასალების მიხედვით ირკვევა, რომ „მღვდელს ღვთისმსახურებაში სტიქაროსანი ეხმარება, მნათე იგივე სტიქაროსანია, რომელიც ანთებს კანდელებს, სანთლით გამოდის, როდესაც გამოვლავა, საცეცხლურით გამოდის, ზარებს რეკავს, ტაძარს ალაგებს, ასუფთავებს, საეკლესიო ნივთებს უვლის, მრევლს სეფისკვერს ურიგებს, სტიქაროსანი ასრულებს ამ მოვალეობას დღესდღეობით“ (დეკანოზი ზინობი (ეყანია), ბაგრატიის ტაძრის წინამძღვარი, ქუთაისი, 1998).

ლიტურგიკული ძეგლების მიხედვით ძველ საქართველოში მნათე ერთი პიროვნება იყო, მაგრამ შეიძლება რამდენიმეს განაწილებინა მისი მოვალეობა. მაგ. წიგნში „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“ ვკითხულობთ: „და ერთი იყოს მნათელ-კანდელაკად, რომელ ბრძანებისაებრ დეკანოზისა იმჭირვიდეს ეკლესიისა საკუმეველსა და ზეთსა და სანთელსა და ზედამეს... და დიდთა დღესასწაულთა, ოდეს მსახურებამ ეკლესიისად განმრავლდეს, სხუათაცა მათა მისცემდეს მამსანლისი თანამეშვედ მნათისა“ (იქვე, 6,11).

თუ ადრე მნათე ერთი იყო და მხოლოდ დღესასწაულებზე მას მოვალეობის შესრულებაში სხვებიც ეხმარებოდნენ, დღეს ჩვეულებრივ დღეებშიც რამდენიმე სტიქაროსანი გვხვდება, რომელთაც მნათეს ფუნქციები აქვთ განაწილებული. ანალოგიური სიტუაციაა დღევანდელი საბერძნეთის ეკლესიებშიც და ამიტომაც „κανθιλαναυτις“ — კანდელაკის გვერდით გვხვდება ტერმინები: „καμπαναοκρουστις“ — ზარის მრეკავი (დამრტყმელი), „νεσοκορος“ — ტაძრის განძის მცველი, მეჭურჭლე.

ამრიგად, საეკლესიო ტერმინმა „მნათე“-მ დროთა ვითარებაში, თავისი მრავალფუნქციურობის გამო, მოგვცა ტერმინოლოგიური მრავალფეროვნება, ხოლო მთაში მან დაბატებითი ფუნქციებიც შეითვისა.



## 2.1.10. ტრაპეზი / საკურთხეველი

ღვთისმსახურების უმთავრეს ნაწილს ოდითგანვე მსხვერპლშეწირვა წარმოადგენდა. ძველ აღთქმაში წინასწარმეტყველ მოსეს მეშვეობით თვით ღმერთმა მისცა ადამიანებს მითითება, თუ როგორ აეგოთ ტაძარი. აღნიშნული ნაგებობა შედგებოდა სამი ნაწილისაგან: ეზო, წმიდა და წმიდათაწმიდა. თავად სამსხვერპლო, რომელზედაც იკვლებოდა მსხვერპლი, აღმართული იყო ეზოში. წმიდაში იდგა მსხვერპლის შესაწირავი მაგიდა **საკურთხეველ-საცეცხლური** იგივე **სამსხვერპლო**, რაზედაც გამუდმებით ენთო ცეცხლი და იწირებოდა ღვთისათვის განკუთვნილი შესაწირავი: „დაიკლას შესაწირავი სამსხვერპლოს ჩრდილო მხარე უფლის წინაშე და გარშემო ასხურონ აარონიანმა მღვდლებმა მისი სისხლი სამსხვერპლოს, დაანაწილოს წილობებად და დააწყოს მღვდელმა იგი შეშაზე, რომელიც ცეცხლზეა, სამსხვერპლოზე“ (ლევიანი I, 11-12) ან კიდევ „მსხვერპლი სიმათლისა შესაწირავი და ყოვლად დასაწყელი, მაშინ შეიწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზვარაკნი“ (ფს. 50,19) — გალობს დავით წინასწარმეტყველი.

მოყვანილი მაგალითებიდან დასტურდება, რომ **სამსხვერპლო** და **საკურთხეველი** იდენტური ცნებებია.

ძველი აღთქმის სისხლიანი მსხვერპლშეწირვა ახალ აღთქმაში უფლის, იესო ქრისტეს ჯვარცმით დასრულდა. მან, ყველაზე დიდმა ზვარაკმა, თავისი სისხლით გამოისყიდა კაცობრიობის ცოდვა და მომავალში „არა დაიკლის რა მასზე უმეტესი“.

ამით ძველი აღთქმის სისხლიანი მსხვერპლშეწირვა უსისხლომ შეცვალა, რასაც საფუძველი ჩაუყარა თავად მაცხოვარმა საიდუმლო სერობისას: „მოილო პური, ჰმადლობდა, განტეხა და მისცა მათ და თქვა: „ესე არს ჯორცი ჩემი თქუენთვის მიცემული, ამას ჰყოფდით მოსაქსენებლად ჩემდა. მოილო სასუმელი და... თქვა: ესე არს სისხლი ჩემი ახლისა აღთქუმისა, მრავალთათვის დათხეული მისატყვებლად ცოდუათა“ (მათე 26, 26-28).

ქრისტიანულ ღვთისმსახურებაში უსისხლო მსხვერპლშეწირვის ადგილს, საიდანაც ხდება კურთხევა — **ტრაპეზი** ეწოდება. იგი მოადინარეობს ბერძნული სიტყვიდან τραπέζα (ტრაპედა — ტრაპეზი), რაც მაგიდას ნიშნავს. სწორედ ამ მაგიდიდან ეძლევათ მორწმუნეებს სულიერი საზრდო — ღვინო და პური ანუ სისხლი

და ხორცი იესო ქრისტესი.

ტრაპეზი ოთხკუთხა ნაკურთხი და მირონცხებული მაგიდაა ძვირფასი ქსოვილით შემკული. მასზე ასვენია ლიტურგიისათვის აუცილებელი სიწმინდეები: ოდიკი, სახარება, წმიდა სანაწილე, ჯვარი, შეიღსანთლა.

ძველად საქართველოში ტრაპეზი ქვის იყო და ამასთანავე საკურთხეველის აღმოსავლეთ კედელთან მიდგმული. დღეს იგი ხშირ შემთხვევაში ხის მაგიდაა, რომელიც საკურთხეველის შუაში დგას.

აქვე მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ტრაპეზის, როგორც ლიტურგიული მაგიდის აღსანიშნავად: „... ტრაპეზსა მარჯვენით კერძო ორხაო დაუფინონ“ (მე-13 ს. ქსძ, 1965, გვ.53), „არის სიწმიდის იარაღი: ბარძიმი, ფეშხუმი ვერცხლისა... ტრაპეზზე გადასაფარებელი ერთი“ (1712 წ. ქსძ, 1970, გვ.688) „შევიდა საკურთხეველში, ემთხვია ტრაპეზს... და დაიჩოქა“ (წერეთელი, 1948).

ძველ წერილობით ძეგლებსა და ტიპიკონებში ტრაპეზი სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება:

1. მას, როგორც საყამენე მაგიდას, მსგავსად ძველი აღთქმისა, საკურთხეველიც ეწოდება, რადგან კურთხევა მასზე აღესრულება. მაგ.: „საკურთხეველი შევმოსე სკარამანგითა, მოვკვდე ვერცხლითა, დავდგი ბარძიმ-ფეშხუმი“ (1029-33 წწ., ქსძ, 1965, გვ.24). „მღვდელმან აღიღოს საკურთხეველისაგან ბისონი... და მეფეს თავი მოუდრიკოს“ („წესი და განგება მეფეთ კურთხევისაი“ — მე-13 ს. იქვე), „სხუა საკურთხეველისა საბურავი, შეყერილი სკარამანგი ღურანგი“ 34,53 (შანიძე, 1971).

2. ხოლო იმ სივრცის აღსანიშნავად, სადაც ტრაპეზი დგას და კურთხევა ხდება, გვხვდება ტერმინები: **საკურთხეველი** და **ტრაპეზი**.

საკურთხეველი წარმოადგენს აღმოსავლეთით, კანკელს მიღმა სივრცეს. მას ჩრდილოეთითა და სამხრეთით ესაზღვრება სამკვეთლო და საღიაკვნე. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ მე-8 ს-მდე საქართველოს ტაძრებისათვის არ იყო დამახასიათებელი დღევანდელი სამანწილიანი საკურთხეველი. საღიაკვნე და სამკვეთლო ამ დროს ტაძრის გარეთ აგებულ შენობებში იყო მოწყობილი ან სამკვეთლო მაგიდა საკურთხეველის ჩრდილოეთ კედელთან იდგა, რასაც მოწმობს ქართული ქრისტიანული არქიტექტურული ლიტერატურა (ბერაძე, 1974, ამირანაშვილი, 1971) და „საქართველოს საეკლესიო კალენდარი“ (1991 წ.), მხოლოდ მე-8 საუკუნიდან

გვხვდება სადიაკვნე და სამკვეთლო საკურთხეველის ჩრდილოეთით და სამხრეთით ოთახების სახით. მოგვიანებით კი, მე-17 საუკუნიდან, რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურების შემდეგ, სამკვეთლოსა და საკურთხეველს ერთი საერთო კანკელი ჰყოფთ შუა ტაძრისაგან. აქედან გამომდინარე, დღეს ასეთ სამნაწილედ საკურთხეველს ეკლესიებში საკურთხეველად იწოდება არა მარტო ის ადგილი, სადაც ტრაპეზი მდებარეობს, არამედ კანკელს მიღმა სივრცე, რომელიც სადიაკვნესა და სამკვეთლოს მოიცავს.

საკურთხეველის (როგორც კანკელს მიღმა სივრცის) პარალელურ ტერმინად ძველ წერილობით ძეგლებსა და ტიპიკონებში გვხვდება ტრაპეზიც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ძველად იგი არ გულისხმობდა სადიაკვნესა და სამკვეთლოს, რადგანაც მათ არ მოიცავდა; მე-12 საუკუნის ძეგლში (1191-1212) „წესი და განგებად უცნობისა მონასტრისა“ ვკითხულობთ: „წმიდისა ტრაპეზისა შესვლითა დაიდებოდის წელიწადისა დღეთა აღაპნი“ (ქსძ, 1965, გვ.133) ან „უკეთუ მოძღვარმან გინა ღეკანოზმან უღებებად გასცენ თავი თვისი და ტრაპეზს შესვლასა უღებ ჰყოფდენ განიყნონ პატრიისაგან“ („წესი და განგებად ვაჰანის ქუაბისა“, ქსძ, 1965, გვ.198).

ტრაპეზი საკურთხეველის მნიშვნელობით გვხვდება მე-20 საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებშიც: „შევედით საყდარში და მცირე ხნის შემდეგ შემოსილი მღვდელი გამოვიდა ტრაპეზიდან“ (ლაომოური, 1963), „ტრაპეზის წინ... გამხდარი მღვდელი იღდა“ (გაბაშვილი, 1936).

აქვე შევნიშნავთ, რომ ბერძნული ტექსტები კანკელს მიღმა სივრცისა და საუამრო მაგიდის აღსანიშნ ტერმინებს ერთმანეთისაგან განასხვავებს, რაშიც ქართული თარგმანები არ მისდევს მას და შედარებით თავისუფლებას ამჟღავნებს. მაგ.: პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ბერძნულ ენაზე დაწერილ ტიპიკონში საკურთხეველი და ტრაპეზი სხვადასხვა ტერმინებით გვხვდება, ქართულ თარგმანებში კი ორივე ერთი სიტყვით საკურთხეველით აღინიშნება. მაგ.: იქ, სადაც საკურთხეველი კანკელს მიღმა სივრცეს გულისხმობს ქართულად ასე იკითხება: „სანთელი ენთებოდეს ერთი დიდსა საკურთხეველსა“ (121). ბერძნულად გვაქვს: „εν τῷ μεγάλῳ βήματι“, ხოლო სადაც ტრაპეზს აღნიშნავს, ქართულში გვაქვს: „სხუად საკურთხეველისა საბურავი“ (34,53), ბერძნულად იგივე ადგილი ასეა: „ενδὴ τῆς αἰῶς τραπεζῆς“. რუსული ვარი-

ანტი ბერძნულის თანხვედრია. აქ პირველ შემთხვევაში საკურთხევის ადგილზე გვაქვს შესაბამისად *Алтар – "горела одна лампада в большом алтаре"*, მეორე შემთხვევაში, სადაც ივულისხმება ტრაპეზი, არის *Жертвенник – "другая покров жертвенника"*.

რუსულ მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებში **საკურთხევის** აღსანიშნავად გამოიყენება ბერძნული სიტყვა **алтарь**, რაც სიტყვა-სიტყვით ამალღებულ სამსხვერპლოს ნიშნავს. ტრაპეზს კი რუსულში შესაბამება ტერმინი **Жертвенник** (სამსხვერპლო), აგრეთვე მის აღსანიშნავად ენა იყენებს საკურთხე ტერმინსაც **Престол** (სიტყვა-სიტყვით ტახტი), ბერძნული ტრაპეზის (მაგიდის) ანალოგიით. ესე იგი, განსხვავებულად ქართულისა, აქ კანკელს მიღმა სივრცე და საუამრო მაგიდა სემანტიკით ერთმანეთის თანხვედრი სიტყვებით არის გადმოცემული. თუმცა საკურთხევის (კანკელის მიღმა სივრცის) და ლიტურგიკული მაგიდის გასამიჯნავად რუსულ ენას პირველ შემთხვევაში ადებული აქვს ბერძნული სიტყვა „ალტარი“, ხოლო მეორე შემთხვევაში „жертвенник, престол“. ბერძნულის ანალოგიურია იტალიური *Altare* (საკურთხეველი) და *un trapesa* (მაგიდა).

წერილობით ძეგლებსა და ტიპიკონებში ტერმინი **ტრაპეზი** გვხვდება, აგრეთვე, სხვა მნიშვნელობებითაც: 1. იხმარება ტაბლის, სუფრის აღსანიშნავად. მაგ.: „მას დღესა ხარებასა ტრაპეზი დაეგოს უხუებით“ (შანიძე, 1971, 37,2), „ტაბლად დაეგოს ბრწყინვალე“ (იქვე, 37,2); „რაიც ტრაპეზსა დაჯდებოდეს... ჩემთჳს შენდობა ათქუმედნენ“ (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984, 148,30).

2. **ტრაპეზი** ზოგ შემთხვევაში გვხვდება მონასტრის სასაღილოს აღსანიშნავადაც. მაგ.: „სახელითა ღმრთისაითა და მეოხებითა წმიდა იოანე ნათლისმცემლისათა ერისთავთ-ერისთავმა ბეშქენ და მურვანის მლოცველმან მე ეფრემ ჭაყელმან ხელყუავ შენებად ტრაპეზსა ამას და გამიკუეთეს ალაბი საუკუნოჲ“. წარწერა გვხვდება აგარის მე-10 ს-ის მონასტრის სასაღილოს შესასვლელის თავზე. ტაძარი მდებარეობს ახალციხის რაიონში სოფელ ურავლიდან რამდენიმე კილომეტრზე, თურქეთის საზღვართან (ბე-რიძე, 1974).

მონასტრის სასაღილოს საწყობი მე-10 ს-მდე აღინიშნებოდა ტერმინით „**საოსტივანე**“//„**საკელრო**“. ამათგან პირველი დრუბი-

ნაშვილის, თ.ბაგრატიონის ლექსიკონების მიხედვით სომხური სიტყვაა. მას აკ.შანიძე ფალაური წარმოშობისად მიიჩნევს; მეორე — **კელარი** ბერძნული სიტყვაა; ორთავე სურსათის საწყობს ნიშნავს. აქედან გვაქვს **ოსტიგანი** და **კელარი** (ბერძ. κελαιριος) მწე, სანოვაგეთ მცველი.

ხუროთმოძღვრების ლექსიკონში **საოსტიგნე** განმარტებულია, როგორც მონასტრის სასაბილო დაბზარე სათავსოებით, ასევე მიიჩნევს მას ნიკო მარიც (მასალას ვიმოწმებთ აკ. შანიძის წიგნიდან „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი“, გვ. 31, 1971), რასაც ეთანხმება ივ.ჯავახიშვილი. „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ ტომში იგი წერს: „სატრაპეზო ჩვენ მხოლოდ მე-10 — მე-11 საუკუნიდან გვხვდება, უფრო აღინდელ ხანაში მე-9 საუკუნემდე საოსტიგნე იხმარებოდა“. აღნიშნული ტერმინი გამოყენებული აქვს გ.მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც“: „ნეტარმან მამამან გრიგოლ პირველად აღაშენა ძელისა ეკლესიაჲ და სენაკები ძმათა მათთჳს მცირჳ და ერთი სენაკი საოსტიგნედ ღიდი“ (208,7).

ზემოთ აღნიშნულ სახელებთან (საოსტიგნე, საკელრო) დაკავშირებით გამოკვლევა ეკუთვნის აკ.შანიძეს. იგი აღნიშნავს, რომ საოსტიგნე ფალაური სიტყვაა და არაბობის ხანაში იხმარებოდა, ჩვენში მე-8 საუკუნეში მან მიიღო სასურსათო საქმის მეთაურის მნიშვნელობა, საოსტიგნე აღნიშნავდა ოსტიგნისათვის, ადგილობრივი მმართველისათვის შესაკრებელ გადასახადს ნატურით (პური, ღვინო, თაფლი, ზეთი...), შემდეგ კი ამ გადასახადის შესანახ სათავსოს. მართალია, ოსტიგანობა, როგორც თანამდებობა, გადავარდა, მაგრამ შენობის აღსანიშნავად იგი მაინც დარჩა. ცხადია, „საოსტიგნე“ და ბერძნული „საკელრო“ ერთი მნიშვნელობის არის და საკუჭნაოს, სათავსოს აღნიშნავსო (შანიძე, 1971, გვ. 31-32).

ტერმინი **საკელრო** ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებიდან უკანასკნელად გვხვდება ვ.იმიაშვილის „მამათა ცხოვრებანის“ მე-10 ს-ის ძეგლში: „დაუტევა თეფზი იგი საკელროსა შინა ქუე მღებარე ტაბაკითა“ (424).

სხვა შემთხვევებში მე-11 ს-დან წერილობით ძეგლებსა და ტიპიკონებში ტერმინები **საოსტიგნე** და **საკელრო** აღარ ჩანს. მონასტრის სასაბილოს აღსანიშნავად კი გვხვდება სიტყვა „**სატრაპეზო**“. საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მაგალითებს: „სატრაპეზო-სა არა შეუშუა: არამედ ვმელისა პურისა ჭამად განუწყისის მას“

(მთაწმიდელი, 1946, 61,4), „სახმარად ყოვლადვე სატრაპეზოს მი-  
ვილიან“ (იქვე, 96,1).

შესაბამისად მონასტრის სასაღილოს გამგე, ზედამხედველი  
**მეტრაპეზე // ტრაპეზომოძღვრად** იწოდება: „... ხოლო ორ-  
გზისა მეტრაპეზისა მიერ დაყენებულმან არა ისმინოს, განყვანე-  
ბულ იქმნეს ტრაპეზით“ (ქსძ, 1965, 139,4)“, „და ამას ყოველსა  
ზედა იყვნიან ტრაპეზომოძღვარნი და მემარნეთ მთავარნი...“  
(ბ.კესარიელი, 1983, 185,30).

რაც შეეხება სურსათის მცველს, მის აღსანიშნავად კვლავ  
გვხვდება ოსტიგან // კელარი: „და ერთი იყოს კელრად რომელ  
არს ოსტიგანი“ (შანიძე, 1971, 6,12), „რაიც გუარი საჭამადი ანუ  
სასუმაღი შემოვიდეს მონასტრად, ჭერ არს, რაჟთა ყოველი იგი  
კელარსა მიეცეს“ (8,10, იქვე).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ვეთანხმებით ნ.მარისა  
და ივ.ჭავჭავიძის აზრს, ვინაიდან ზემოთ მოყვანილი მაგალითე-  
ბი გვაფიქრებინებს, რომ თუკი მე-10—მე-11 ს-დან გვაქვს სატრაპე-  
ზო და აქედან ტრაპეზომოძღვარი ან მეტრაპეზე, არის კელარი  
და ოსტიგანი, მაგრამ არ გვხვდება საოსტიგნე და საკელრო, ხომ  
არ იყო შემდგომ პერიოდში სატრაპეზო და საკელრო მოთავსებუ-  
ლი ერთ შენობაში, რაც იყო სასაღილო დამხმარე სათავსოებით  
და იგი ზოგადად იწოდება სატრაპეზოდ, როგორც ეს დღეს  
გვაქვს რიგ შემთხვევებში.

დღესდღეობით მრევლის მეტყველებაში სატრაპეზო ეწოდება  
საკურთხეველს, კანკელს მიღმა სივრცეს.

ამდენად, მრევლში ტერმინმა სატრაპეზომ იცვალა ძველი  
მნიშვნელობა „სასაღილო“, ხოლო ბერ-მონაზონთათვის იგი კვლავ  
სასაღილოს აღსანიშნავად გამოიყენება, თუმცა აქაც, ზოგ შემ-  
თხვევებში, მის გვერდით გვხვდება ტერმინები „სასაღილო“, „სამ-  
ზაღი“.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დღეს ახლად აღდგენილ  
მონასტრებში რელიგიური ტერმინები ხელახლა იწყებენ კუთვნილ  
ადგილზე დამკვიდრებას. ხოლო, რაც შეეხება მრევლს, იგი მეტყ-  
ველებაში ერთმანეთის პარალელურად იყენებს საერო ცხოვრები-  
სეულ და სპეციალურ საეკლესიო ტერმინსაც.

## 2.1.11. ზოფორია

მე-20 საუკუნის პირველი ნახევრიდან ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში, შესაბამისად ქართული ენის დიალექტებში გვხვდება სიტყვა „ფოფორია“, რაც მღვდლის ცოლს ნიშნავს: „როცა ამ უბრალო და უშინაარსო ლექსს ვინმე იტყვოდა, ფოფორია ჰარხალივით გაწითლდებოდა“ (ჭ. ლომთათიძე, 1971); „ფოფორია ლამაზი ქალი იყო“ (სოფ. ნაბოსლევი, ქ. ძოწენიძე, 1974)...

იგი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „παπαδια“, რომელიც ქართულში რუსული ენის მეშვეობით შემოვიდა გასული საუკუნის დასაწყისში. ამ დრომდე იგი არც ერთ წერილობით ძეგლში არ მოგვეპოვება. (Из греч. „παπαδια“ - то же от „παπασ“ попа- священник (“Этимологический словарь русского языка” 1975) - მღვდელი, попадьа - მღვდლის ცოლი, попович - მღვდლის ვაჟიშვილი, поповна - მღვდლის ქალიშვილი; ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1956-1959).

დღეს, „ფოფორია“, უმეტესად დასავლურ დიალექტებში (იმერ. ლეჩხ. გურ. მეგრ.), გვხვდება გარკვეულ კონტექსტში: ფოფორია (ჩაფოფორიებული) სიარული, ფოფორია კაბა (შარვალი), რაც სემანტიკურად უკავშირდება „ფორიალს“, „ფოფიალს“ (მსუბუქი, სრული, გაშლილი, გრძელი საგნით სიარული — ალ. ღლონტი, 1974). ადრე მღვდლის ცოლსაც სრული, გაშლილი კაბა ემოსა, როგორც სამონაზვნე ჩოხა.

დიდი სკულის კანონის მიხედვით, ფოფორია გარკვეული უფლებით სარგებლობდა. მონაზვნად აღკვეცისას (მეუღლის ეპისკოპოსად კურთხევის გამო) მას, სხვასთან შედარებით იოლად დაადგენდნენ დელათიდაკვნად, იგივე ილუმენიად.

მე-20 ს-ის დასაწყისში, ათეიზმის გააქტიურების გამო, საეკლესიო პირებთან და მისი ოჯახის წევრებთან დამოკიდებულება შეიცვალა. განჩნდა დამცინავი ფრაზეოლოგიზმები: „ზოგს მღვდელი მოსწონს და ზოგს მღვდლის ცოლი“, „მღვდელი და ფოფორიასავით გაძდა“ — უზომოდ ჭამას მნიშვნელობით... თუმცა ფოფორია იმ გაგებით, როგორც დღეს გვხვდება: „ფოფორია სიარული“, „დაფოფორიობს“, „ფოფორია (ჩაფოფორიებული) კაბა (შარვალი)“, „ვალიკოს ფოფორია შარვალი ეცვა“, „ნუგზარის ცოლი სულ ჩაფოფორიებული დადის“, „შე ფოფორია“ (ეტყვიან სრულ,

გრძელკაბიან (შარვლიან) ადამიანს) გამოცემულ დიალექტურ ლექსიკონებში არ ასახულა.

ვეფქრობთ, სემანტიკური თანხვედრა (ჩაფოფოდიებული — ჩაფორიალებული) არა მხოლოდ (ფოფოდიას) ირონიული დატვირთვის, არამედ ფონეტიკური მსგავსების შედეგიც უნდა იყოს.

## 2.1.12. ერთი საეკლესიო ტერმინისათვის (ფეშუში)

ღვთისმსახურებაში გამოყენებულ ძვირფასი ლიტონისაგან დამზადებულ დაბალფეხიან (წმიდა ნაწილების დასაბრძანებელ) თეფშს ბერძნულად მიჯიგა— (სიმრგვალ) “დისკოსი” ეწოდება.

წმიდა მამათა განმარტებით, იგი სიმბოლური დატვირთვის მქონე სიტყვაა (კირილე იერუსალიმელის მიხედვით, “დისკოსი” სიმრგვალით სამყაროს ანალოგია) და ამიტომაც დაერქვა წმიდა “ტარიგის”/“წმიდა ძღვენის” დასასვენებელ სინს (წესი და განმარტება საღვთო ლიტურგიისა, 1993).

ქართულად თარგმნილ ტიპიკონებსა და ლიტურგიკულ წიგნებში წმიდა ჭურჭლის აღსანიშნავად უკვე IX საუკუნიდან (სინური მრავალთავი) გვხვდება ტერმინი “**ფეშუში**”.

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში “**ფეშუში**” ზოგადად ჭურჭელსაც აღნიშნავდა: “ჭურჭელი ტაბლანზედ სახმარი სანოვაგეთათვის” (საბა). მისი პარალელური ტერმინებია: **თეფში**, **სინი**, **ლანგარი**, **ლანკანი**, **ლანკა**, **კრატირი**.. “მოიღო თავი მისი **ფეშუენითა** და მისცა ქალსა მას” (სინური მრ. 6, 28), “მოართვა თავი მისი **ლანკლასა** ზედა და მისცა ქალსა მას” (პარხლის მრ. 6, 28), “ქმნა სანოვაგე იგი ჭურჭელი ტაბლისა მის **ფეშუენები** და გოვზაკები (დოქი, სურა)” (გამოსლვ. 37,16), “მომეც მე აქა ლანკლითა თავი იოვანე ნათლისმცემლისაი” (მათე 14, 8), “საშნი **ლანკლანი** სამინდოითა მქონდეს თავსა ზელა ჩემსა” (ოშკის, დაბად. 40, 16), “მოიყვანე აპრონ... და **ლანკლაი** იგი უცომოთაი” (ოშკის, ლევიტელთა 8,2), “შთადვა **კალათა**” (გელათის, მსაჯ. 6, 19), “შეწიროს **ლანკანი** უცომოი სამინდოისაი” (გელათის, რიცხვ. 6,15), “ჴამს იგი საჴმელსა **ფეშუენსა** შინა” (ლიმონარი, 66, 18), “ბურთვის სახე არს ჴუფყანაი, გინა თუ **ფეშუენისა**” (ბასილი კესარიელი, ექუსთა დღეთაი, 120, 20), “მისცეს ორნი ბარძიმი დიდნი ვერცხლისანი და **ფეშუში** კოვზითურთ” (ეხოვ. იოანესი და ეფთვიმესი, 22,25).



ბერძნულში კი საყოფაცხოვრებო და საეკლესიო ტერმინი გამოიჩნეა: სამაგიდო ჭურჭელს (თასი, თევში) აქ შეესაბამება ლექსემები: "κράσιος", "κανος".

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ზ. აპარ., ქიზიყ.) დღესაც გვხვდება ტერმინები **ფეშუმი/ფეშუენი**, რაც ნიშნავს: მრგვალი ფიცრის ნაჭერს ან დაბალ ტაბლასავით მრგვალ მაგიდას, რომელზედაც ლავაშს აბრტყელებენ (ალ. ლლონტი, 1974); ზემო იმერულში კი **ფეშუმი/ფეშუენი** "კალათის" სინონიმად გამოიყენება (ქ. ძოწენიძე, 1974).

საურადღებოდ გვეჩვენება ერთი გარემოება: **ფეშუმი**, იგივე **ლანგარი** (**თეფში/სინი/ლანკანი/ლანკა/კრატირი**) საძღვენე საგანი რომ იყო, კარგად ჩანს ბიბლიაშიც; იროდი მეფემ სალომეას იოანე ნათლისმცემლის თავი ლანგრით მიართვა — "მოართვა თავი მისი **ლანკლასა** ზედა და მისცა ქალსა მას" (სინური მრ. 6, 28), "მოიღო თავი მისი **ფეშუენითა** და მისცა ქალსა მას" (პარხლის მრ. 6, 28)...

აღსანიშნავია ისიც, რომ ებრაული ჩვეულების თანახმად საჩუქრის მისართმევი ნივთი აუცილებლად მრგვალი უნდა ყოფილიყო; ამის შესახებ ებრაელი მოგზაური იეჰუდა ჰალევი თავის ნაშრომში წერს: "წესადა აქვთ ქუთაისის ებრაელებს ყოველწლიურად ერთმანეთისთვის საჩუქარ-საბოძერების გაგზავნა... საჩუქარს აგზავნიან სპილენძის ან ხის ლანგრით, სულერთია რისიც არ უნდა იყოს იგი, მხოლოდ აუცილებლად დიდი და მრგვალი უნდა იყოს" (იეჰუდა ჰალევი ჩორნი, 1996, გვ. 101).

საინტერესოა საანალიზო ლექსემის სადაურობა. ძველი ებრაული ენის ლექსიკონებში მსგავსი ტერმინი არ დასტურდება (*Русско-Еврейский (идиш) словарь, Еврейская Энциклопедия, Т. 9,8, М.,1989*).

მ. ანდრონიკაშვილი **ფეშუმს** სპარსული წარმომავლობისად მიიჩნევს. გამოკვლევაში "სპარსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან" (1966) ავტორი აღნიშნული ტერმინის ეტიმოლოგიისათვის უთითებს გვერდებს: 34, 73, 113, 295. მოცემულ გვერდებზე (გარდა 34-ისა, სადაც მხოლოდ ჩამონათვალა სპარსულად მიჩნეული საეკლესიო ტერმინებისა) საანალიზო სალექსიკონო ერთეული არ ვიქსირდება. მხოლოდ გვხვდება ტერმინი "ფარცხალი" და მისი ფონეტიკური ვარიანტები ოსურსა და სპარსულში. გამომდინარე აქედან, უნდა ვივარაუდოთ, რომ მკვლევარი **ფეშუმს** "ფარ-

ცხალს“ უკავშირებს და მათ სპარსულად მიიჩნევს (ოსური ფერმ  
“ნეკი“ = ქართ. ფერცხ).

ჩვენი აზრით, მოცემული ტერმინი (**ფეშუმე/ფეშვანი/ფეშ-  
ხენი**) უნდა უკავშირდებოდეს ფალაურში დადასტურებულ  
სიტყვას “**ფიშან**“ [შედგება ორი ელემენტისაგან: ზმნიზელისაგან  
**ფიშ** “წინ“ და სახელისაგან **ან** “სუფრა“ (შდრ.: ფეშქაში/ფიშქა-  
ში — ფიშ - წინ და ქეშ/ქეშიდან - წვევა, თრევა)] და ნიშნავს:  
“1. Стол с угощением; 2. Большой деревянный поднос; 3. подставка  
(для чтения Курана, книга) (Фареваш, 2000).

“სპარსულ ენაში დასტურდება ორი ერთმანეთისაგან განსხვავ-  
ებული ნ და ნ, რომლებიც მაქსიმალური ლიაობით ხასიათდებიან  
და უპირისპირდებიან ერთმანეთს წარმოების ადგილის მიხედვით  
(უკანა რიგისმიერი, წინა რიგისმიერი) და უფრო ნ-სათვის დამა-  
ხასიათებელი ლაბიალური არტიკულაციით. ნ ფონემა ქართულში  
გადმოიცემა ა ხმოვნით, მაგრამ რიგ შემთხვევაში გადმოიცემა ო  
ხმოვნითაც; შდრ.: სპარსული **пах** “ხალიჩა, საფენი“ = ქართ. ნო-  
ხი; **ках** “საჩრდილობელი, საზაფხულო სახლი“ = ქართ. ქოხი (მ.  
ანდრონიკაშვილი, 1966).

ქართულში უკანა რიგის ბგერებია ო და უ, ამიტომ შესაძ-  
ლებელია, სპარსულ უკანა რიგისმიერ ნ ბგერას ქართულში მოე-  
ცა ო ან უ, აღსანიშნავია, რომ თავისუფალ მეტყველებაში თანა-  
მედროვე სპარსელი ხშირ შემთხვევაში ხმარობს ნ-ს ნაცვლად უ-  
ს; მაგ.: ქეთაზხუნე (<ქეთაზხანე); მიხუნამ (მიხანამ)...

ძველ ალექსანდრიულ გაწყობილ, მისართმევ სუფრას სიმბოლური  
დანიშნულება ჰქონდა. შდრ.: “დადგა ტაბლა სადღესასწაულო კა-  
რავში, “დააწყო მასზე პური უფლის წინაშე“ (გამოსვლათა, 40,  
21-23). ამ ტაბლის წინ იღო სასანთლე, რომელზეც ენთო სანთლე-  
ბი, კრეტაბემელის შიგნით კი იღვა სამსხვერპლო, მასზე აკმევდა  
მოსე საკმეველს (გამოსვლათა, 40, 24-27). სუფრის//ტაბლის აღ-  
ნიშნული გაგება გადმოვიდა ახალ ალექსანდრიულ და დღესაც საეკლესიო  
მსახურებაში მას, ტრაპეზს (იგივე სუფრა, ტაბლა), წმიდა-  
თაწმიდა დანიშნულება აქვს; ხოლო ფეშუმე, როგორც სატრაპე-  
ზე სიწმიდე, ძველ ალექსანდრიულ და მის მსგავსად ახალ ალექსანდრიულ  
წმიდა ძღვენის დასასვენებელი ჭურჭელია (შდრ. “გააკეთა ტაბლის  
ჭურჭელი: ფეშუმენები, კოვზები“ — გამოსვლათა, 38,16).

საანალიზო ლექსიკური ერთეული (ფეშუმე) შეიძლება შევეუ-  
პირისპიროთ **ფეშო/ფეშხო/ფეშხე** ფუძეს, რაც “აკაფულ, დაქ-  
რილ საკლავს“ ნიშნავს: “ძმაო, ერთი ცხერის ფეშო მომეც და

ხვალ ფასს მოგცემო (უთხრა კაცმა ყასაბს)“ (ს. ს. ორბელიანი, 1966, გვ. 29); “ზაქარიამ გოჭი აკაფა და ფეშვი სახლში ლურსმნებზე დაჭიდა“ (თ. რაზიკაშვილი, 1972, გვ. 121); “ყორანო, ერთხელაც იქნება, თოფს გავაყარო ფალია, ორ ფეშვად გაგათათო, ქანს გავატანო ცალია“ (ი. ვედოშვილი, 1974, გვ. 89); “ზორკის დაჭრიდნენ ფეშო-ფეშოდ“ (მ. ბალიაური, ნ. მაკალათია, 1989, გვ. 145). დასტურდება ზმნური ფუძეებიც: **ფეშვა/დაფეშობა (ფეშავს/ანფეშავს/გავფეშავს)** “საკლავის აკაფვა-დაჭრას, წვრილად ჭრას“ ნიშნავს: **ფეშავს** — ძალიან ჭრის, **ანფეშავს** — აქნის, წვრილ-წვრილად დაჭრის, **გავფეშავს** — დაჭრის (გაფეშვა, გაფეშული) (ალ. ჭინჭარაული, 2005).

ამგვარი მასალა საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ ფეშ- ძირის ქართველური წარმოშობა: **ფეშუ>ფეშუნეი>ფეშონი>ფეშუნი>ფეშუმი. ფეშვ-ენი** - “საკლავნი“ ან “საკლავიანი, შესაწირიანი ტაბლა“.

**ფეშო-, ფეშუმ-** ფუძეების წარმომავლობა და ურთიერ-თმიმართება შემდგომ დაკვირვებას საჭიროებს.

### 2.1.13. მსბუხსი / კვირიამე / კვირა

ძველ წერილობით ძეგლებში **მსგეფსი** შვიდეულს, ერთ სრულ კვირას აღნიშნავდა: “ორი **მსგეფსი** დაყვის ქუე-მწოლარემან“ (იოანე ოქროპირის ცხოვრება, 968წ), “**მსგეფსა** შინა სამსა დღესა საუფლოდ ეამსა წირავდნენ“ (აკ. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, 1971)... შემდგომ პერიოდში აღნიშნული სიტყვა დამატებით ფუნქციას იძენს და სწორს აღნიშნავს: “ამის მეტსა არას გნუკევ წელიწადსა ერთსა **მსგეფსსა**“ (ვეფხისტყაოსანი, 945,1)... ამავე მნიშვნელობით გვხვდება იგი სულხან საბასთან და შემდგომი დროის ლიტერატურაშიც: მსგეფსი — **შვიდეული დღეთა, გინა სწორით სწორი** — “შივიდეთ აღგილსა კეთილსა და ამოს, ვინადიროთ და მსგეფსი ერთი მუნ დაყოთ“ (ს.ს. ორბელიანი, 1993); **მსგეფსი** — სწორი შვიდი დღე, ვნების კვირა. ხსნილის კვირა (დ. ჩუბინაშვილი, 1984). ხოლო **კვირა** დღის აღსანიშნავად ძველ წერილობით ძეგლებში გამოიყენებოდა ტერმინი **ერთშაბათი/ კვირიაკე/კუირიაკე** “რომელი გათენდებოდა **ერთშაბათად**“ (ი. აბულაძე, 1973), “**ერთშაბათსაცა** გავადეთ კარი იგი“, “გამოუჩინდნენ მას წმინდანი იგი **კვირიაკედ**“ (იქვე), “საზ-

ლაური მიიღონ **კვირიაკეთი კვირიაკედ**” (იქვე)... სულხან-საბას-თან **კვირიაკე/კვირა და მსგეფსი** პარალელური ტერმინებია და აღნიშნავს შვიდეულს: **“კვირიაკე/კვირა** ეწოდების ერთ შვიდეულსა, ხოლო პირველსა დღესა, რომელ არს ორშაბათი, ბერძნულად ეწოდების კვირიაკე, ხოლო ქართულად **ხაუფლო და მზისა**” (ს.ორბელიანი, 1991).

შემდგომ პერიოდში (მე-19 ს-ის II ნახ.) **კვირა-კვირიაკე** უკვე კვირა დღის მნიშვნელობით გვხვდება: **“კვირა** დღეს დათიკომ დაინახა თამარა” (ი. ჭავჭავაძე, 1984), **“ელიობა** ნააღღგომეც სამ პირველ **კვირიაკეს** იციან” (ივ. ჯავახიშვილი, 1979).

ესე იგი **მსგეფსი** არის **неделя**, ხოლო **კვირა/კვირიაკე** **воскресения**.

დღესდღეობით კვირა ნიშნავს, როგორც კვირა დღეს, ასევე შვიდეულსაც **“ამ კვირაში** ლექციები არ მაქვს”, **“კვირას** სტუდენტები ექსკურსიაზე მიდიან”...

ამჟამად ტერმინები **კვირა და მსგეფსი** თითქმის სხვადასხვა ლექსიკური ერთეულები არიან. მაგალითად, მრევლისა და ხშირად მღვდლებისგანაც არაერთხელ გავვიგონია: **“შომავალი კვირა მსგეფსია”** ე.ი. ხსნილია; **“შამაომ** გამოაცხადა შობიდან ნათლისღებამდე **მსგეფსია** და რაც გსურთ იხმიეთო” (ქდსკი ფონდი), **“ბრწყინვალე შვიდეული მსგეფსია, ყველა დღეს შეიძლება ხორცისა და რძის ნაწარმის ჭამა”** (იქვე)... ტერმინი მსგეფსი ამავე მნიშვნელობით გვხვდება გამოცემულ საეკლესიო კალენდრებშიც. სწორედ ამიტომ გაზ. **“კვირის პალიტრის”** რუბრიკაში **“რას გვეტყვი მამაო?”** ლეკანოზი დავით შარაშენიძე და ზაქარია მაჩიტაძე მიუთითებენ: **“მსგეფსი შვიდეულს** ნიშნავს. დღეს რატომღაც მეტყველებაში იგი ხსნილის აღსანიშნავად დამკვიდრდა, რაც სწორი არ გახლავთ” (2009).

ზემოთ განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ დღეს მორწმუნეთა მეტყველებაში საიანალიზო სიტყვები თითქმის სხვადასხვა სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულებია, შედარებით არქაულმა ტერმინმა **მსგეფსი** სრულიად იცვალა სემანტიკა და გვხვდება ხსნილის, არამარხვის მნიშვნელობით, ხოლო **კვირამ** პილისემიურობა შეიძინა და აღნიშნავს, როგორც კვირადღეს, ასევე შვიდეულსაც.

## 2.1.14. ბზობა-ბაიაობა

ბზობა-ბაიაობა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაულია. მოძრავია, მოდის აღდგომის წინა კვირა დღეზე. ქრისტიანულ მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა (საწყისი იღებს ძველი ებრაული დღესასწაულიდან). მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესოს მოსახლეობა ზეიმით შეეგება, ზოგი მას ფეხქვეშ თავის სამოსს უგებდა, ზოგი პალმის ტოტებს, თან ოსანას შესძახოდნენ:

“ერი მრავალი, რომელ-იგი მოსრულ იყვნენ დღესასწაულსა მას, რამეთუ ესმა, ვითარმედ იესო მოვალს იერუსალიმდ, მოიღეს **რტოები და ნაკის კულთაგან** და განვიდეს მიგებებდ მისა, და ლაღებდეს და იტყოდეს: ოსანა! კურთხეულ არს მომავალი, მეფე ისრაელისაი!” (იოანე 12, 14-15).

უძველესი ტრადიციის თანახმად მეფეებს, დიდებულებს, გამარჯვებულ მეთომებსა და მღვდელმთავრებს დამხედურნი ყვავილებს, პალმის ფოთლებსა და ტანსაცმელს ან ძვირფას ქსოვილს (ფარჩა) უფენდნენ:

“მეფე ეტუოკლე უკვე გამარჯვებას დღესასწაულობდა. .... ყვავილებითა და თაიგულებით უფენდნენ გზას ელინელები“ (ელინური მითები);

“ფეხქვეშ ყვავილებსა და ფარჩა-ქსოვილებს უფენდნენ. თავზე-ით ვერცხლის ფულს ესროდნენ, ზოტბას ალავეზენდნენ და ზეცამდე განადიდებდნენ: „რამეთუ არა რომელსა მეფესა ექმნა ეგვიპთარი ძლიერი წყობა (ბრძოლა)“ (ლ.სანიკიძე, უქარქაშო ზმელები);

„სპარსთ სისხლის მძებნელს სააკაძეს ვეღარ ეგრძნო ხალხის გულისთქმა, მის გონებას არ ესმოდა ერის ძახილი. სურვილთ ყვა-ვილებს არ უფენდნენ მას ბრძოლის გზაზედ“ (ვ. ბარნოვი, გიორგი სააკაძე)...

ყვავილებს ადრეც და დღესაც უფენდნენ როგორც უკანასკნელ გზაზე მიცვალებულს [ფრანგი მსახიობის სარა ბერნერის ცხოვრებაში კვიტხულობთ: “1923 წლის 26 მარტს “თეატრის დედოფლის” დაკრძალვაზე ლამის მთელი პარიზი მივიდა. ათობით ათასი ადამიანი მიაცილებდა მალზეების ბულვარიდან პერ-ლაშეზის სასაფლაომდე და გზად საყვარელ ყვავილებს - კამელებს

უფენდა...“ (სარა ბერნერის ცხოვრება)], ასევე ნეფე-დედოფალსაც ჯერისწერისას, ამ უკანასკნელთ ამავე დროს ფეხქვეშ ფარჩასაც უფენენ.

ქართულში გვაქვს გამოთქმა ფიანდაზად დაფენა - რაც ნიშნავს დიდ პატივისცემას ვინმეს მიმართ, აგრეთვე მორჩილებას, თავის დამდაბლებას უღირსის წინაშე (თ. სახოკია, 1979).

სამხრეთის ქვეყნებში უფლის იერუსალიმში დიდებით შესვლის დღესასწაულზე გამოიყენება პალმა, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში პალმა ცოტაა, იგი ბზით შეცვალეს, გაზაფხულზე ბზა ყველა მცენარეზე აღრე ყვავის. თვით დღესასწაულის ჩვენში დამკვიდრებული სახელწოდება - **ბზობა** - ამ მცენარის სახელწოდებიდან მომდინარეობს. აღნიშნული ტერმინი პირველად გვხვდება IX ს-ის სინურ მრავალთავში “საკითხავნი ბზობისანი“, “შაბათ-სა **ბზობასა**“ (ზ.სარჯველაძე, 1995).

ლიტურგიკულ წიგნებში ბზობის დღესასწაული **ბზობა-ბაიაობის**, ან მხოლოდ **ბაიაობის** სახელითაა ცნობილი. მაგალითად, ჟამში ვკითხულობთ: “**ბაიაობის კუირიაცისა** საკითხავი“.

აღნიშნული დღესასწაული, რომელსაც მთელი საქრისტიანო (ყველა თავისი მიმდინარეობით) ერთხმად აღნიშნავენ, ცნობილია პალმობის დღესასწაულის სახელით: **ლათ. Dominica in Palmis**, იტალიასა და საფრანგეთში **პალმობა**, საბერძნეთში **დაფნობა**, საქართველოში — **ბზობა**, რუსეთში **ტირიფობა (Вѣрное воскресѣнье)**. რუსულ საეკლესიო წიგნებში **ბაიაობა/პალმობის (Неделя вѣрий, Пальмовое воскресѣнье)** ან კიდევ **ყვავილოვანი კვირის (Неделя Цветоносной)** სახელითაა მოხსენებული.

წმინდა წერილიდან ცნობილია, რომ ქვეყნიერება გაზაფხულზე შეიქმნა და რადგან მწვანე სიცოცხლის, უკვდავების და მარადიულობის სიმბოლოა. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყანამ მისთვის დამახასიათებელი მარადმწვანე მცენარის ახლად აყვავებული ტოტები შეიტანა აღნიშნული დღესასწაულის მსახურებაში.

ამ დღეს ბზებითა და ბაიებითა მორთული ეკლესიები, ზოგან კი ბაიის ყვავილები და ფოთლები შუა ტაძარშიც აფენია. მსახურების შემდეგ მცენარეები მორწმუნეებს შინ მიაქვთ, უძღურებისას მათ ნაყენს სვამენ ან კიდევ ინახავენ ე.წ. “**წასადები ბალიშის**“/“**საუკუნო ბალიშის**“ დასამზადებლად (ამ მცენარეებისაგან შეკერილ ბალიშს მიცვალებულს უღებენ თავქვეშ). ბზის სახელში

შეტანიტ კი ჩვენ ვთხოვთ უფალს, სულიერად ჩვენთანაც შემოვი-  
დეს, ვითარცა იერუსალიმში.

ჩვენში დღეს ტერმინში ბაია მოიაზრება მცენარე – ბაია  
(ლათ. **Ranunculus sceleratus**), იგი ყვითელყვავილებიანი ბალახია.  
იზრდება ტენიენ ადგილებში (ქეგლ, 1950), რომელიც ქართლურ,  
კახურ, მესხურ, ჭავჭავურ დიალექტებში – **ცხვირისატეხელას** სა-  
ხელითაა ცნობილი; ხოლო მოხეურ, ხეესურულ, თუშურ, რაჭულ,  
იმერულსა და აჭარულში – **წალიკას** სახელწოდებით გვხვდება;  
მეგრულსა და სვანურში – **ბაიე/ბაიათია** ცნობილი (ა. მაყაშვი-  
ლი, 1991).

დღესასწაულის სახელწოდებაში მოცემული ტერმინი ბაია,  
არის არა ზემოთ აღნიშნული მცენარე, არამედ - **რტო, ნეშო  
ფინიკისა, ანუ დანაკის კუდისა, იგივე პალმისა** (იოან.  
12,13), ბერძნულად - **βάσις** ნიშნავს ახალ რტოს. თავად ეპმწმში,  
აღნიშნული დღესასწაულის საკითხავში წერია: **“ბაიაი გადმოი-  
თარგმანების ვითარცა ჩუილი რტოი დანაკის კუდისა.**

დანაკის კული, იგივე ფინიკი გვხვდება ჯრუჭის და პარხლის  
ოთხთავში: “მიიღეს **რტოი დანაკისკუდთაგან** და განვიდეს მიგე-  
ბებად მისა“, აღიშის ოთხთავში: “აღიღეს **ბაიაი ფინიკისაი** და  
განვიდეს წინამიგებებად მისა“, მამათა ცხოვრებაში: “დაულო  
ბერსა მხალი უმგბარი და **დანაკისკული**, რომელ არს ფინიკი“ (ი.  
აბულაძე, 1973).

აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ დღეს ზოგჯერ არასწო-  
რად მიუთითებენ დღესასწაულის ქართული სახელწოდების წარ-  
მოშობაზეც, თითქოს დღესასწაულს “**ბზობა**“ მეოცე საუკუნის  
დასაწყისში ეწოდა. მაგ. ვაზ. “რეზონანსი“ (2008) წერს: “დღესას-  
წაულს **“ბზობა“** მეოცე საუკუნის დასაწყისში ეწოდა. მანამდე  
ეწოდებოდა “მაცხოვრის დიდებით შესვლა იერუსალიმში“. მაგრამ,  
როდესაც საქართველომ ავტოკეფალია დაკარგა და რუსი ეგზარ-  
ქოსები შემოვიდნენ და როდესაც ხალხში რწმენა ჩანავლდა, ხალ-  
ხურმა ტრადიციებმა იჩინა თავი და სარწმუნეობრივი ასპექტი  
დაუთმეს წარმართობას. ხალხი უკვე ვეღარ აცნობიერებდა დღე-  
სასწაულის მნიშვნელობას, მხოლოდ ბზის ტოტემი მიჰქონდა ე-  
ლესიაში საკურთხევლად. ამან გამოიწვია ის, რომ მაცხოვრის დი-  
დებით შესვლას იერუსალიმში “**ბზობა**“ დაერქვა, რომელიც ერის  
მიერ წოდებული სახელწოდებაა“.

მართალია, ყველა ერმა დღესასწაულს **“მაცხოვრის დიდებით შესვლას იერუსალიმში”** საკუთარი სახელი დაარქვა (ის რაც მათთვის უფრო ახლობელი და გასაგები იყო), მაგრამ ძველ ლიტურგიკულ წიგნებში აღნიშნული დღის სახელწოდებად გვხვდება ტერმინები **“ბზობა-ბაიაობა”**. აქედან გამომდინარე ეს ტერმინი XX საუკუნის საკუთრება ვერ იქნება.

## **2.2. ზოგ შორმათა გამოყენების თავისებურება-ბისათვის**

### **2.2.1. არქაული ზმნური შორმაბი მრავლის მითხველებასი**

ლვთისმსახურების დროს თუ ფსალმუნთა წიგნის კითხვისას თანამედროვე მართლმადიდებელი მრევლი ეცნობა, ითვისებს და შემდეგ საუბარში იყენებს საეკლესიო მწერლობისათვის დამახასიათებელ სიტყვა-ფორმებს და ფრაზეოლოგიურ ერთეულებს.

დღესდღეობით მორწმუნეთა მეტყველებაში არქაულ ზმნურ ფორმათა გამოყენების შემთხვევები შეიძლება ასე განაწილდეს:

**ა) საწიხები, რომელთაც სავსებით დაკარგეს ზმნური თვისებები და უკვე მხოლოდ არსებითის სახით გვხვდება:**

**„გარდამოხსნა“**— ძველ წერილობით ძეგლებში იგი გადმოხსნას, ჩამოხსნას აღნიშნავს: „გარდამოხსნეს სხეული მისი ძელისაგან“ (ისუ ნავე 8,29); „თვისითა ხელითა გარდამოხსნა იგი ჭუარისაგან“ (პეტრე 48,3); „მივიდეს გარდამოხსნად მამისა“ (მამათა ცხოვრება, 15,86); „მოვალს თუ არა ელია გარდამოხსნად მისსა?“ (მარკოზი 15,36); „წარმოიღო სახვეველნი და გარდამოხსნა იგი ჭუარისაგან“ (იქვე 15,46). აღნიშნულ სიტყვას იგივე განმარტება აქვს სულხან-საბასთან. მხოლოდ მე-19 ს-ის დასაწყისში ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ გვხვდება მეორე მნიშვნელობითაც: „ხატი შთამოსვენებისა ქრისტესისა ჯვრიდამ და დასვენებისა მისისა სათლავად, რომელიცა დიდსა პარასკევს წინა დაიდების სამთხვეველად ერისა“ (ნ. ჩუბინაშვილი, 1961).

ამავე საუკუნის მეორე ნახევრიდან თერგდალეულთა ნაწარმოებებში და შემდგომი პერიოდის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში მოცემული არქაულფორმიანი ზმნა უკვე გაარსებითებული



სახით გვხვდება და საგნის — ხატის ან ფარდაგის აღსანიშნავად გამოიყენება, მაგ.: „არსად რამე უნახავთ გარდა **გარდამოხსნისა** და ხატებისა ეკლესიებში“ (აქ. წერეთელი, 1948).

დღესაც მრევლის მეტყველებაში **„გარდამოხსნა“** ეწოდება მხოლოდ ფარდაგს, რომელზედაც ამოქარგულია (ზოგან ოქრომკედლით, ზოგან სირით) ჯვრიდან ჩამოხსნილი მაცხოვარი მასთან მყოფ პირებთან ერთად. მორწმუნეთა საუბარში, განსაკუთრებით ენების შვიდეულში, ხშირად გვხვდება: „წითელ პარასკევს, ნაშუადღევსას, ფუქებატის ადგილზე **„გარდამოხსნას“** დაასვენებენ“; **„გარდამოხსნას** სამჯერ უნდა შემოუარო და თაყვანი სცე“; „პატარა შაბათს დამთენიისას **„გარდამოხსნას“** სამჯერ შემოატარებენ ეკლესიის და მერე საკურთხეველში შეაბრძანებენ“...

**„წარმოტყუენა“** — იგი ნადავლის ან ტყვეთა წამოღებას, დატყუვებას, გაძარცვას ნიშნავდა: „საცხოვრებელი მათი წარმოტყუენა“ (II სჯ. 20,14); „წარტყუენოს ძალი შენი“ (ეზრა 26,12); „წარმოსტყუენა ნატყუენავი მათი“ (II სჯ. 21, 10); „წარმოტყუენა უბანნი მისნი“ (ივდ. 1, 14); „წარმოსტყუენათ ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტესა“ (II კორინ. 10,5); „წარმოტყუენა ტყუეჲ და მისცა იგი ნიჭად კაცთა“ (ეფესელთა 4,8); „რომელი იგი ტყუენიდა იერუსალიმს შინა“ (საქმე მოციქულთა 9, 21)...

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საანალიზო სიტყვა ქრისტესთან მიმართებაში ახალ დატვირთვასაც იძენს: წარმოტყუენა, ესე იგი, წამოყვანა, წარმოსტაცება ბნელ ძალთა მიერ დატყუვებულ ტყვეთა ანუ გათავისუფლება მათი და ღვთის წილში მოქცევა. მაცხოვრის მიერ ჯოჯოხეთიდან სულთა ამოყვანის აღნიშვნელ ფრესკებს ამშვენებთ წარწერა — „წარმოტყუენა“ (ცენტრში დგას ქვესკნელში ჩასული ქრისტე, რომელსაც იქიდან ამოჰყავს ადამი და ევა და სასოებით შესცქერიან ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი (მოსე, დავით მეფსალმუნე და სხვ.) და მისი თანამედროვე იონანე ნათლისმცემელი). სახარების თანახმად, ქრისტემდე სასუფეველი დახშული იყო მართალთათვისაც, ხოლო მან სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, „დახსნა წყვედ, მოგვამალა კურთხევა, განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ცხოვრება საუკუნო“, ამიტომაც ქრისტესადმი აღვლენილ ლოცვებში ვკითხულობთ: „...ქრისტე იესო... რომელმან დაფლვითა შენითა ჯოჯოხეთისა მეუფება წარმოსტყუენე... და ბოროტნი სულნი განაქარვენ, რომელმან მესამისა დღისა ცხოვრება შემოსილითა აღდგომითა შენითა პირველ მამა (ადამი) აღადგინე დაცემული, აღმადგინე მეცა სინა-

ნელის სახის დადებითა“ (ლოცვა წმ. სვიმონ მეტაფრასისა ზიარების წინა, ლოცვანი, 2000, გვ. 82); „დალაკათუ ნებხით თვისით საფლავად შთახედ უკვდაო, არამედ ჯოჯობეთისა იგი ძალი დაარღვიე და აღსდგ, ვითარცა მძლე, ქრისტე ღმერთო... რომელმან დაცემულთა მიეც აღდგომა“ (სააღდგომო კონდაკი, ხმა მ, იქვე.); „განჰკურნენ, იესო ჩემო, სულისა ჩემისა წყლულეზანი, გვედრები, წარმომტყვევენ ზელთაგან სულთა განმხრწნელთა ბელიარისათა, და მაცხოვრე მე, იესო ჩემო, სახიერო“ (იესო ტბილოს დაუჯდომელი, 1996).

აღნიშნული სიტყვა იგივე მნიშვნელობით — დატყვევება, აზრება, წარსტაცება — გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში და შემდგომი დროის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებშიც. მაგ.: ნ. ბარათაშვილის ლექსში „მთაწმიდას“ ვკითხულობთ: „რა სანახავი წარუტყვევს თვალთა... შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!“

დღესდღეობით **დატყვევება** სახელწმინის არქაულფორმიანი ვარიანტი (წარტყვევნა) ფართო საზოგადოების მეტყველებაში აღარ გვხვდება, მას გამოიყენებს მხოლოდ მორწმუნე ერი, აქაც ტერმინის დაკარგული აქვს ზმნური თვისებები და გააჩნითებულობა, კერძოდ, ხატის აღსანიშნავად გვხვდება. მაგ.: „ანალოლიაზე წარმოტყვევნა დააბრძანეს“; „ღიაკვანი წარმოტყვევნას უკმევს“... [შენიშვნა: ბოლო დროს წარმოტყვევნის ამსახველი ხატები აღდგომისადაც იწოდება, რადგან აღდგომილმა მაცხოვარმა სამი დღე ჯოჯობეთში შთასვლით განათავისუფლა სულნი და აღმოიყვანა მღვიმისაგან ბნელისა.]

**„მირქმა“** — ძველ წერილობით ძეგლებში იგი გულზე მიხუტებას, მიკონებას, აყვანას, მოხვევას, მიგებებას ნიშნავს: „მიიქუა დედაკაცმან მან ყრმაჲ იგი“ (ოშკის ბიბლია, გამოსვლ. 2,9); „მიიქუ ყრმაჲ ეგე“ (IV მეფ. 4,30); „...იხარებდ შენცა, მოხუტებულო, მართალო სვიმეონ, რამეთუ მიიჩქუ მკლავთა შენთა განმათავისუფლებელი. სულთა ჩვენთაჲ, რომელი მოგვანიჭებს ჩვენ დიდსა წყალობასა“ (ლოცვანი, ტროპარი მირქმისა, 2000). ფრესკებს, რომელზედაც მართალი სვიმეონის მიერ იესო ქრისტეს მიგებება და გულზე მიკონებაა ასახული, ამშვენებთ წარწერა „მირქმა“ (როგორც მიგებების აღმნიშვნელი ტერმინი). მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს ფაქტი განადიდა, როგორც წინასწარმეტყველების აღსრულება და იგი ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულად დაადგინა. შესაბამისად დღესასწაულიც „მირქმად“ იწოდება: „მა-

ცხოვრის შობიდან მე-40 დღეს წმიდა მარიამმა და იოსებმა მიიყვანეს ყრმა იესო ტაძარში, რათა ღვთისათვის მსხვერპლი შეეწირათ. ამ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა მოხუცი სვიმონი. კაცი მართალი და კეთილმსახური. ის მოელოდა მაცხოვარს და სულიწმინდა იყო მასზე, რომელმაც წინასწარ აუწყა, რომ მანამ არ მოკვდებოდა, სანამ არ იხილავდა მესიას. სულიწმინდის შთაგონებით ის მივიდა ტაძარში, აიყვანა ხელში ყრმა იესო და თქვა: „აწ განუტყვევებ მონად შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებად შენი, რომელ განუშადად წინაშე პირისა ყოვლისა ერისა ნათელი გამობრწყინებდა წარმართთა ზედა და დიდებდა ერისა შენისა ისრაილისა“; ლუკა 2,22-39)...

დავით ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში აღნიშნული ლექსიკური ერთეულის ორივე მნიშვნელობას მიუთითებს: **„მირქმა“** — 1) მიგებება, აყვანა, გულზე მიკვრა; 2) დღესასწაული 2 ფებრვალსა მოსახსენებლად მოგებებისა მართლისა სიმეონისაგან იესო ქრისტესადმი.

ტერმინი „მირქმა“ ორივე მნიშვნელობით გვხვდება შემდგომი დროის ქართველ მწერლებთანაც. მე-19 საუკუნის II ნახევრიდან დღემდე, საანალიზო სიტყვა დღესასწაულის აღსანიშნავად გამოიყენება: „ზამთარში ვდღესასწაულობთ მირქმას“ (ი. გოგებაშვილი). თანამედროვე მრეველის მეტყველებაში „მირქმა“ სახელზმნას დაკარგული აქვს ზმნური თვისებები და გაარსებთებულია. კერძოდ, დღესასწაულის ან ხატის აღსანიშნავად გვხვდება, მაგ.: „მალე მირქმას აღვნიშნავთ“; „მირქმისთვის მიინდა ზიარება“; „მირქმა (მირქმის ხატი) წარგზავნამდე იქნება ფუძეხატზე დაბრძანებული“

**აღდგომა** — ტერმინი **აღდგომა** აღდგა ზმნის საწყისი ფორმაა. კონკრეტული დღესასწაულის სემანტიკა მან მოგვიანებით შეიძინა. თავდაპირველად მე-17 საუკუნის ბოლომდე იგი აღდგომას, წამოდგომას, აღმართვას ნიშნავდა: „ცუდად არს თქვენი ეგი **აღმსობა**“ (ფს. 126,2); „აღვდევით და აღვემართებით“ (ფს.19,9); „რომელი აღდგომილ არიან ჩვენ ზედა“ (ფს. 43, 6); „აღდგომასა მას შეუდართასა ვისა შვიდთგანისა იყოს იგი ცოლად“ (მათე 22,28)... ამავე მნიშვნელობით გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონშიც: „აღდგომა — ზე ამართვა“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ აღდგომა უკვე დღესასწაულის მნიშვნელობით გამოიყენება: „ერთ დღეს აღდგომაც იყო

და ხარება“... ასევე დასტურდება იგი ნიკო და დავით ჭუბინაშვილების ქართულ-რუსულ ლექსიკონებშიც: „საუფლო დღე პასექის მოსახსენებლად მაცხოვრისა ჩვენისა მკვდრეთით აღდგომისა“.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ოფიციალურად 325 წელს დაადგინა ნიკეას პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და დააკანონა, რომ იგი აღნიშნულიყო გაზაფხულის ბუნიობის ეპოს მთვარის აღვების შემდეგ, მაგრამ არ უნდა დამთხვეოდა ებრაელთა პასექს. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულის აღმნიშვნელ თავდაპირველ ტერმინად ქართულში გამოიყენებოდა „აღვსება“, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა დღესასწაულის დროითი კავშირი მთვარის აღსებასთან (სავე მთვარესთან). საგულისხმოა ისიც, რომ აღვსება უკავშირდება გაზაფხულს, დროს, როდესაც ბუნება ივსება ახალი სიცოცხლით, ახალი ძალით.

„აღვსების“, როგორც დღესასწაულის აღმნიშვნელ პარალელურ ტერმინებად წერილობით ძეგლებში გვხვდება: პასექი და ზატიკი. **პასექი** — ძველ ებრაული „ჰესაჰ“ — გადასვლა — ებრაელთა საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაული ეგვიპტიდან გამოსვლისა და ეგვიპტელთა ბატონობისაგან გათავისუფლების აღსანიშნავად (ქველ)... **ზატიკი** — „ვნება“, პასექი, დღესასწაული, ჰუარიათა მსხვერპლი (ი. აბულაძე, 1973); „ზატიკად ჩვენდა დაიკლა ქრისტე“ (მამათა სწავლება, 1955); „მივალს მარხვა და მოვალს ზატიკი; გვეტებების აღვსებისა მოსვლა“ (სულახან-საბა, „სწავლანი“)...

თანამედროვე ქართულში „პასექი“ და „ზატიკი“ ისტორიზებად არიან ქცეული, თუმცა საეკლესიო წიგნებში — დღესასწაულთა საკითხავში თუ ტიპიკონებში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად გვხვდება „პასექი“, ასევე გვაქვს ლიტურგიკული საკითხავი წიგნი „ზატიკი“. მიუხედავად ამისა, როგორც მრევლში, ასევე ფართო საზოგადოებაში, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად იხმარება სიტყვა „აღდგომა“.

არქაულფორმიან აღნიშნულ სახელწმინდს დაკარგული აქვს ზმნური თვისებები, გაარსებითებულია და დღესასწაულის ან ამ დღესასწაულის ზატის აღსანიშნავად გვხვდება. მაგ.: „აღდგომას მუშაობა არ შეიძლება“, „აღდგომას ყველა დიდი სიხარულით ეგებება“... „დიაკვანმა აღდგომის ზატი შემოაბრძანა“...

**ბ) არქაული ფორმები, რომლებიც დღეს მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება**

**წარგზავნა** — წერილობითი ძეგლების მიხედვით, იგი გაგზავნას, მიგზავნას ნიშნავს: „**წარგზავნეს** რებეკა ... და მზითვეი მისი“ (დაბ. 24,59); „**წარტყზავნეს** კრებულისა მისგან“ (საქმე მოციქ. 15,3); „სხუით გზით **წარგზავნა** იგინი“ (იაკობი 2,25); „**წარიგზავნებოდა** იერუსალიმად“ (ლუკა 13,22); „**წარტყზავნედეს** მას ნავთსაყუდელსა ქრისტესა“ (შუშანიკის წამება II,10)...

დღეს ფართო საზოგადოება მოცემული სახელზმნის არქაულ ფორმას იშვიათად იყენებს, ისიც მაღალი სტილისათვის. მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში კი იგი გვხვდება მხოლოდ დღესასწაულის ან მის აღმნიშვნელ სიტყვასთან კონტექსტში. მაგ.: „ეს ლოცვა იკითხება სულთმოფენობიდან მის **წარგზავნამდე**“ (გაგზავნამდე ე.ი. გაცილებამდე); „ფუძებატზე ღვთისმშობლის შობის ხატი იქნება დაბრძანებული მის **წარგზავნამდე**“; „ჩასართავებში ჯვართამაღლების ტროპარს მის **წარგზავნამდე** წაეკითხავთ“; „საუფლო დღესასწაულის ტროპარს მხოლოდ მის **წარგზავნამდე** ვამბობთ „ღირს არსის“ ნაცვლად“...

**აღვლენა** — იგივეა, რაც აღვლინება, წარვლინება. მაგ.: „წარავლინა და მოწყვდა ყოველი ყრმები“ (მათე 2,16); „აღვალინოთ სურნელება საქმითა კეთილითა“ (ბასილი კესარიელი, მხეცთათვის სახისა სიტყუად, 1904); „ლოცვასა პირისაგან აღვალინებდეთ“ (იპოლიტეს განმარტებად, 1954)...

ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან საანალიზო სიტყვა მხოლოდ ღვთისაღმძი ქების შეწირვას ნიშნავს: „აღვლენა ვედრების ღვთისაღმძი“ — წერს დ. ჩუბინაშვილი (1984).

დღევანდელ მორწმუნეთა საუბარში „აღვლენა“ კავშირშია სიტყვებთან — ლოცვა, წირვა. მაგ.: „ყოვლადუსამღვდელოესმა ლოცვა აღვლინა ერისათვის“, „პატრიარქმა სადღესასწაულო წირვა აღვლინა“; „სავედრებელი ლოცვა აღუვლინე უფალს“. მღვდელიც ასამაღლებელ ლოცვებში ამბობს: „აღუვლინოთ ვედრებამ ჩვენი უფალსა“ ე.ი. უფალს შეეწიროთ ლოცვითი ვედრება...

**სადაგი** — (ზედსართავი სახელი) ისტორიულად იგი მარტივს, სადაგს, წარფელს აღნიშნავს. „მიეც ვორცთა შენთა საზრდელი სადაგი“; „მსახურებდე მას სისადაგითა და სიმართლითა“ (გელათის ბიბლია, ისუ ნავე 24, 14); სადაგითა სამოსელითა შევიდა ეკლესიად“ (ი. აბულაძე, 1973); საბას განმარტებით: „ესე არს ძნელსა და ადვილს შორის საშუალი“.

„სადაგი“ — სადა, მარტივის მნიშვნელობით გვხვდება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც.

უკვე მე-20 საუკუნის I ნახევრიდან აღნიშნული ლექსების სემანტიკას მისი გამარტივებული ვარიანტი „სადა“ გამოხატავს, ხოლო არქაულფორმიანი სიტყვა „სადაგი“ მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში (სადაგი დღე) გამოიყენება, რაც არაუქმე, სამუშაო დღის აღსანიშნავად გვხვდება: „სოსიკა მოურავი... კვირა-უქმობით „ენიანი“ კაბით დადიოდა და ისე სადაგ დღეებში მუდამ ჩექმაში და მოკლე ქართული შავი შალის ჩოხით გამოწყობილი“ (ს. მგალობლიშვილი, 1954); „თებერა სადაგ დღეს ჩვენთან იმუშაებდა“ (ვ. ბარნოვი, 1961).

„სადა“ სიტყვის არქაულფორმიანი ვარიანტი „სადაგი“, დღეს, მხოლოდ მრევლის მეტყველებაში გვხვდება, ისიც გარკვეულ კონტექსტში. მაგ.: „სადაგი დღე“, „სადაგ დღეებში საკიობით ლოცვები“ და ა.შ. ესე იგი, ეკლესიისათვის „სადაგი დღე“ არა სადღესასწაულო, ჩვეულებრივ დღეს აღნიშნავს, როცა განსაკუთრებული ლოცვები არ იკითხება...

### **გ) ფორმები, რომელიც მრევლისათვის დამახასიათებელ სტილიზებულ მეტყველებაში გვხვდება:**

ფართო საზოგადოებაში გავრცელებულ ფორმებს მორწმუნეობა საუბარში ენაცვლება სინონიმური ლექსიკური ერთეულები.

სიკვდილის აღსანიშნავად ერისკაცნი ძირითადად იყენებენ ტერმინს „გარდაცვალება“, რომელსაც მრევლი იშვიათად მიმართავს და მის ნაცვლად უმეტესად ხმარობს ძველ არქაულ ფორმებს, რაც მათ მეტყველებას მაღალი სტილის ელფერს აძლევს.

ისტორიის სხვადასხვა დროს ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდა სინონიმური ლექსიკური ერთეულები: **გარდაცვალება, აღსრულება, განსვენება, შესვენება, მიძინება, მიცვალება, განსვლა, გარდასვლა..**

**გარდაცვალება** — ძველ წერილობით ძეგლებში, სულხან-საბასთან, ნიკო ჩუბინაშვილთან აღნიშნული სიტყვა რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება: შეცვლა, გადანაცვლება, გადადგომა, სიკვდილი: „გარდაიცვალეს გონებაჲ ერისაჲ“ (ისუ ნავე 14,8.); „გარდაცვალა გული მისი ღმერთმან“ (I მეფეთა 10,9); „უკეთუ გარდაიცვალოს გული ერისაჲ“ (II შჯ. 30,17); „ძრწოდის და იძრას და ცნას, რამეთუ გარდაცვალებად არს აღსასრულსა“ (ეზ-დრა 4,16)...

შემდგომი დროის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში მოცემული ლექსიკური ერთეული უფრო „სიკვდილის“ მნიშვნელობით

გამოიყენება, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან კი მხოლოდ აღმწერი სემანტიკით გვხვდება.

**აღსასრული, აღსრულება** — იგი განსრულებას, დასრულებას, ბოლოს, სიკვდილს აღნიშნავდა: „სიყმილთა აღსრულებანი“ (იერემია 11,22); „არა ვიცი ღმერთი აღსრულებისა ჩემისაჲ“ (დაბ. 27,2); „აღსასრული ამის სოფლისაჲ“ (მათე 24,3); „ვითარცა აღსრულნეს ღმერთი რეანი“ (ლევ. 2,21); „აღგისრულენ უფალმან ყოველივე თხოვად შენი“ (ფს. 19,6); „მართალი თუნდ ნაადრევად აღსრულოს, დაიმკვიდრებს განასვენებულსა“ (სოლომონის სიმარცხე 4,7); „ვიდრე აღსრულებამდე ჰეროდესა“ (მათე 2,14)...

**განსვენება** — მოსვენება, დასვენება, დამშვიდებას და სიკვდილსაც აღნიშნავდა, როგორც ამქვეყნიური ცხოვრებისგან დასვენებას: „მცა მე ფრთენი, ვითარცა მტრედისანი, აფრინდე და განვისვენო“ (ფს. 54,6); „ვეფხი განისვენებდეს თიკანთა თანა“ (ესაია 11,6); „მეგობრისა თანა გულფიცხელისა ნუ განისვენებ“ (იგავნი სოლომონისა 22,24); „არა ვბოვებ განსვენებად“ (იერემია 45,3); „მოვედით ჩემდა ყოველი ტვირთმძიმენი და დამაშვარანი და მე გაგისვენოთ თქვენ“ (მათე 11, 28); „გულისხმა ვჰყოთ, ვითარმედ მოკვდავნი იყო მამაცა ჩვენი და ჩვენცა ესრეთ ვბოვოთ განსვენება“ (იოანე ოქრობირი, 1905)... ხოლო ადგილი განსასვენებელი — დასვენების, შესვენების ადგილია, აქედან გვაქვს საუკუნო განსასვენებელი ანუ ცათა სასუფეველი: „ესე არს განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე, აქა დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე“ (ფს. 131,14)...

**შესვენება** — მოსვენების, დასვენების, გარდაცვალების მნიშვნელობით გვხვდება: „და შეისვენა უფალმან მეშვიდესა დღესა ყოვლისაგან საქმისა“ (დაბადება 2,2; 2,3); „ხორცი შესვენებულთა წმიდათანი აღსდგეს“ (მათე 27,52); „შეჰდალადა ღმერთსა და შესვენა“ (საქმე 7,60); „მოიხსენე, უფალო, სული ახალშესვენებულისა მონისა შენისა...“ (საბანაშვიდო ლოცვანი, 2000)...

**მიძინება, დაძინება** — ნიშნავდა როგორც დაძინებას, ძილში შესვლას, ასევე სიკვდილსაც: „დაიძინის ძილი მათი“ (ფს. 75,6); „არაცა დაიძინოს მცველმან ისრაილისამან“ (ფს. 3,5; 4,8); „უფალო, მიიღე სული ჩემი... თქვა ესე და მიიძინა“ (საქმე 7,60); „დამიძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ“ (ქართლის ცხოვრება 127,10-11); „მიძინება ყოვლადწმიდისა დედუფლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა“ (ლოცვანი, 2000); „განუხსენე,

უფალო, ბირველ დაძინებულთა მამათა, დელათა და ძმათა ჩვენთა“ (მღვდლის ასამღლებელი ლოცვა)...

**მიცვალება** — წერილობითი ძეგლების მიხედვით განდანიცვლებას, აგრეთვე აღსასრულსაც ნიშნავდა: „ნათესავნი იგი, რომელ მისცვალენ (გარდმოასახლენ) და დასხენ ქალაქთა“ (IV მეფეთა 17,26); „მიიცვალა წმიდა გრიგოლ სასუფეველსა ღმრთისასა“ (კიმენი, ტ. I, წამება წმიდა ფილიკტიმონისი, თბ., 1918); „ოდეს მიიცვლებოდა იგი და ეგულვა ღმრთისა მიმართ განსვლად“ (მამათა ცხოვრება, 1991); „მიცვალებად კაცისა შობა არს ფრიად უაღრესი მის შობისა“ (იოანე ოქროპირი, 1905); „სულმან მიცვალებულთამან კეთილთა შინა განისვენოს და ნათესავმან მათმან დაიმკვიდროს ქვეყანა (ლოცვანი, 2001)...

**განსვლა** — გვხვდება გამოსვლა, გაღმა გასვლა, გარდაცვალების აღსანიშნავად: „გული მეტყვის განსვლად და ქრისტესა თანა ყოფად, უფროდს და უმჯობეს ფრიად“ (ფილიპელთა 1,23), „და უბრძანებთ მათ განსვლად სინედრიონით“ (საქმე 4,15); „დამკვიდრა მუნ შინა, ვიდრე დღედ განსვლისა მისისა ამიერ სოფლით“ (3-18, იოანე მოსხი); „ვითარ განვალს სული ზორცთაგან, ვითარცა საზღისა რაისაგანვე“ (იოანე ოქროპირი, 1905); „უამსა განსვლისა ჩემისასა შეეწიე სულსა ჩემსა“ (ლოცვანი, 2000)...

**გარდახვლა** — მეორე მხარეზე გადასვლას, გადაბიჯებას, შეცვლას (საჭულის), ზოგჯერ სიკვდილსაც აღნიშნავდა, როგორც ერთი სოფლიდან მეორეში გადასვლას: „საზღვარი დასდევ და არა გარდასვლენ“ (ფს. 103,9); „გარდავიდა ნავით“ (მათე 14,29); „ნუ ვინ უფლისა გარდასვლად“ (II ეზდრა 6,12); „გარდასვლით ვარდავბედით და დავიმარხეთ შჯული შენი“ (ნეემია 1,7); „მომეც მე, უფალო, იმ სოფელსა გარდასვლა მშვიდობით“ (ლოცვანი, 1989)...

**გარდაცვალების** აღსანიშნავად მოყვანილი ლექსიკური ერთეულების გამოყენების არეალი დღეს მეტ-ნაკლებად შეცვლილია. მაგ.: ტერმინს „**მიძინება**“ მორწმუნენი მხოლოდ ღვთისმშობლის მისამართით ხმარობენ: „ღვთისმშობლის მიძინება“, „მიძინების ხატი“, „მიძინების დღესასწაული“, რაც იგივე გარდაცვალებას ნიშნავს, მაგრამ სიტყვას „გარდაცვალება“ არ გამოიყენებენ ყოვლადწმიდა დედოფალთან კონტექსტში, რადგან მან „მიცვალებასა სოფელი არა დაუტევა“ (გავიხსენოთ მიძინების ტროპარი: „შობასა ქალწულებად დაიმარხენ და მიცვალებასა სოფელი არა დაუტევე. ღვთისმშობელო, მიხვედ ცხოვრებად, დედა ეგე ცხოვრებისა და აწ მეოხებითა შენითა იხსნი სიკვდილისაგან სულთა ჩვენთა“—



ლოცვანი, 2001), ამიტომაც მიძინების დღესასწაული ფართო საზოგადოებაში „მარიამობადაა“ ცნობილი.

ტერმინებს — **შესვენება, განსვენება, მიცვალება** — დღეს სიკვდილის აღსანიშნავად ძალზე იშვიათად გამოიყენებენ. მაგალითად, არ იტყვიან: „როდის შეისვენა?“ „როდის განისვენა?“ ზოგ შემთხვევაში გვხვდება — „როდის მიიცივლა?“ მაგრამ საანალიზო ლექსიკური ერთეულები იხმარება გარდაცვლილის აღსანიშნავად: მიცვალებული, შესვენებული, განსვენებული. მოსახსენებელს, რომელსაც მორწმუნენი სეფისკვერთან ერთად საკურთხეველში შეაგზავნიან, აწერენ — „შესვენებულათვის“ ან „ახალშესვენებულათვის“. ფართო საზოგადოება გარდაცვლილის აღსანიშნავად უპირატესობას ანიჭებს ლექსემებს: მიცვალებული, განსვენებული. ე.ი. მოცემულმა სახელზმნებმა, ამ შემთხვევაშიც, მეტწაკლებად დაკარგეს ზმნური თვისებები და უმეტესად არსებითის სახით გვხვდება.

რაც შეეხება ტერმინებს — **განსვლა, გარდასვლა** დღეს ყველაზე ხშირად გამოიყენება გარდაცვალების აღსანიშნავად მრველის მეტყველებაში; მაგ.: „ცხონებული გუშინ გარდასულა“, „როდის განვიდა?“ მოვიყვანთ კიდევ ერთ მაგალითს ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსის მეუფე კალისტრატეს ქადაგებიდან, როცა იგი საუბრობდა ერთი მორწმუნე კაცის, ერში ბერის სახელით ცნობილი თედორე კაკაურიძის გარდაცვალების შესახებ: „თედომ მითხრა: ვგრძნობ, ერთ თვეში გარდავალ, მეუფეო; — მე ვუთხარი: ერთ თვეში არა და ერთ კვირაში უნდა მოემზადო-შეთქი, მაგრამ შეეცდი, სამ დღეში განვიდა.“

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ტერმინები — **განსვლა, გარდასვლა** დღეს გარდაცვლილის ექვივალენტად იშვიათად გამოიყენება. არ იტყვიან: „განსული“ ან „გარდასული“, თუმცა ზოგჯერ გვაქვს „გარდასულთა ხსოვნა იყოს“. გავიხსენოთ საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა ლექსიც: „სიონში შევალ, სანთლებს დავანთებ, გარდასულ ძმათა მოსაგონებლად“. ხსენებული ლექსიკური ერთეულები დღესაც კვლავ სახელზმნის ფორმით გვხვდება.

## 2.2.2. სემანტიკურ ნიშანთა შორგობრივი ბამიჯენის ერთი ნიმუშისათვის

წერილობით ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, გამოქვეყნებულ ლექსიკონებსა და ქართული ენის დიალექტებში სიტყვა „მამა“ რამდენიმე მნიშვნელობით გვხვდება.

იგი შესაბამეა უფალს, შემოქმედს: „როგორც სხვას მოექცევით ასევე მოგექცევით მამა ჩემი ზეციერი“ (ბიბლია, 1989). „ვინც ყოფს ნებას მამის ჩემის ზეციერისას იგია ძმაც და დაც და დედაც ჩემი“ (იქვე, მათე 12,50); „აქუნდა მას სიყვარული ღვთისა მამისა“ (წმიდა მამათა ცხოვრება, 1995); „რომელი შუა ვითარცა კაცი... ხატი ღმრთისა მამისა“ (ქართლის ცხოვრება, სიმფონია-ლექსიკონი, 1986); „დაუსაბამო პირველი მამა ყოვლისა მპყრობელი ცათა და ქვეყანის მჭირველი“ (დ. გურამიშვილი, 1992); „ღმერთო, მამაო, მომიძიე ძე შეცლომილი“ (ნ. ბარათაშვილი, 1996); „გთხოვ, ზეციურო მამაო, რომ ეხლა მექმნა შემწეა“ (ვაჟა-ფშაველა, 1964); „მამა ხარ ყოველთა ძეთათვის მზრუნველი, უფალო, ამაღლინე ესე სასუმელი“ (ზ. გამსახურდია, 1989).

**წინაპარს:** „და აღდგა საწამებელი იაკობსა შორის და შჭული დადგა ისრაელსა შორის, რაოდენი ამცნო მამათა ჩვენთა“ (ფსალმუნი, 1989); „რაოდენი გუესმა და ვცნათ იგი და მამათა ჩვენთა გვითხრეს ჩვენ“ (იქვე); „მიაქციეს და შეურაცხევეს, ვითარცა იგი მამათა მათთა, და გარდაიქცეს მშვილდად ელაბად“ (იქვე); „ჩვენ გვსურს ვიცოდეთ, როგორ იბრძოდნენ ჩვენი მამები თვითმპყრობელობის წინააღმდეგ“ (რ. გვეტაძე, 1956); „ჩვენს მამებს ბრძოლაში არ დაუხრიათ ქელი“ (ი. დავითიანი, 1951);

**მამაკაცს, კაცს:** „მივიღოდა წმიდისა მის თანა ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისა“ (მუშანიკის წამება, 1987); „ლოცულობენ, ღვთაებას სთხოვენ მამათა სქესის სიმრავლეს“ (ივ. ჭავჭავაძის შილი, 1969);

**ხორციელ მამას შვილების მიმართ** „შენ კი, მამავ, იმ შვილთა დედის მოწმედ მოგიხმობ, რომელთა არ ისურვეს ჩემი აღთქმის სამსახური“ (ბიბლია — ძველი აღთქმა, 1989); „შემდგომად მამასა დაუტევნა შვილი ლუკა და უფროსნი ძმანი მისნი“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წამებამდე ლუკა იერუსალიმისად, 1968); „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“ (ხალხური); „მამაც კარგი გვეანდა და

არც შვილი იქნება უარესი“ (ი. ჯავახიანი, 1984); „მოხუცი მამა სასხლავით ხელში დადის ვენახში“ (გ. ტაბიძე, 1982);

**სულიერ მამას, მღვდელს, მოძღვრს** „შესწირა მამასა ში-  
ოს ლავრასა ადგილი ბორცვისჭუარი ყოველთა სამზღლურითა მისი-  
თა“ (თ. ჟორდანი, 1986); „მამინ მამამან სერაპიონ ჰრქუა მათ“  
(სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, 1987); „ხოლო წმიდაჲმან მამამან  
ჭუარი დასწერა და იტყოდა...“ (იქვე); „მღვდელი სულიერი მამა  
უნდა იყოს ყოველი ქრისტიანისა“ (ი. მაჭავარიანი, 1979); „ბევრს  
ილაპარაკებდნენ, რომ სახლიდან არ გამოსულიყო მღვდელი მამა  
ქრისტესია ჭამიაშვილი“ (მელანია, 1904).

აქვე მოკლედ განვმარტავთ, თუ რისთვის იწოდება მორწმუნე-  
თა მიერ მღვდელი „მამად“: „პავლე მოციქული მორწმუნეებს  
„შვილებად“ მოიხსენიებს, ასევე იოანე მახარობელიც: „შვილო!  
უკანასკნელი ჟამია...“ (I იოანე 2,12), „მამ ასე, შვილო, დარჩით  
მასში“ (I იოანე 2,28)... პავლესთან ვკითხულობთ: „ჩემო შვილე-  
ბო, რომელთათვისაც კვლავ განვიციდი მშობიარობის ტკივილებს,  
ვიდრე თქვენში გამოისახება ქრისტე“ (გალატელთა მიმართ 4,19),  
ან „ტიტეს, ერთობლივი სარწმუნოების შვილს“ (ტიტეს მიმართ  
1,4). „გთხოვთ, ჩემს შვილ ონისიმეზე, რომელიც ვშიე ჩემს ბორკი-  
ლებში“ (ფილიმონის მიმართ 1,10), „ამიტომ შენ, ჩემო შვილო,  
იყავ ძლიერი მადლში“ (II ტიმოთეს მიმართ 2,1). თუ გალატელე-  
ბი, ტომოთე, ტიტე, ფილომონი და სხვები პავლეს „შვილებად“  
იწოდებდნენ, მამინ ვინდა იქნება პავლე მათთვის? — „მამა!“ ვერა-  
ვინ გაკადნიერდება ამტკიცოს, რომ პავლე მათი „მამა“ იყო პირ-  
დაპირი, ხორციელი გაგებით, რადგან თვით პავლე მოციქული ამ-  
ხელს ასეთებს და საკუთარი წერილებიდან მოაგონებს, რომ იგი  
ქალწული გახლდათ და, სხვა მოციქულთაგან განსხვავებით თანამ-  
გზავრად „ცოლი“ არ ჰყავდა. მამ, რა აზრით იყო იგი მათი „მა-  
მა“?! — „რწმუნაში“ (I ტიმოთეს მიმართ 1,2), ანუ რწმუნის მიერ  
„სახარებით“ ანუ სახარების მიერ „ქრისტეში“, „უფალში“...  
მღვდლებიც ასევე, იღებენ რა ეპისკოპოსებისაგან საღმრთო  
მადლს და სახარების ქადაგებით მოაქცევენ აღამიანებს სარწმუ-  
ნოებაში, ანუ, შობენ რა მადლითა და სახარებით იესო ქრისტე-  
ში, სწორედ უფლისმიერი, ქრისტესმიერი „სახარებით“, „რწმუნით“  
იწოდებდნენ ისინი ქრისტიანობაში „მამებად“, „მოძღვრებად“ და  
არა იმ აზრით, როგორც მამაღმერთი და უფალი ჩვენი იესო  
ქრისტე — ერთადერთი ჭეშმარიტი მამა ცათა შინა და ერთადერ-  
თი ჭეშმარიტი მოძღვარი (ღმერთი მამაა ბუნებით, ხოლო მღვდე-

ლი—მადლით)“ (დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი, 1999). “ვითარცა ქრისტეა ძე ღმრთისა — მამისა ზეციურისა, ასევეა ქრისტეს ეკლესიის წევრი შვილი მოძღვრისათვის (მღვდლისათვის), რომელიც სახარებისა და მადლის მიერ “ქრისტე უფალში“ არის მრევლის მამა! რათა მან შვილი ცოდვის მონობისგან იხსნას და ძელ (ქრისტეს სულიერ მემკვიდრედ) აქციოს“ (აღნიშნული მითითება მოგვაწვრდა დოკ. მ. ლონტმა).

**წინამძღვარს:** “თველორე ნეძვისა მაშენებელი და მამაჲ“ (გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, 1987); “ჭაბუკი ესე, იყო შვილი ღმრთისა და მამა მონაზონთა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ცხოვრება შიო მღვიმელისა, 1968); “შრქუა ღვთისმშობელმან: ჭამე ესე და იყო შენ მამა მრავალთა“ (იქვე);

**მფარველს** — “იგი არს მამა ობოლთა“ (ქართლის ცხოვრება, 1986).

აღნიშნული სიტყვის წოდებითი ბრუნვის ფორმა “**მამაო**“ გვხვდება მხოლოდ სასულიერო პირის მიმართვისას, მაგ.: “გვედრებით, მამაო, ნუ დაამძიმებთ ჩემ ზედა სათხოველსა“ (სერაპიონ ზარხმელის ცხოვრება - 1968, 160,13); “ეგებისა ესე მამაო, რათა კაცმან ნეფსით თავი ჭირთა მისცეს?“ (იქვე 160, 29-30); „მიუგეს ნეტარსა მას: ჩვენ, მამაო, ობოლ ვიქმნებით“ (იქვე 179, 27-28); “მამაო, ხალხს ვუნთოთ კელაპტრები“ (გალაკტიონი, 1993); “ასე არ არის, წმინდაო მამაო?“ (იქვე, გვ. 500); “მამაო! — მიუბრუნდა მოძღვარს, გთხოვთ პარაკლისი გადაავიხადოთ, სკოლა დაგვილოცოთ!“ (ვასილ ბარნოვი, 1962).

აკ. შანიძის განმარტებით, ძველ ქართულში წოდებითის დაბოლოება საზოგადო სახელებთან იყო “ო“ (მაგ., “ჰე, მეფეო, გავიპარე ძებნად ჩემად საძებრისად“), რაც შემორჩა ბოლოთანმდგომიან სახელებს. ხმოვანფუძიანებთან წოდებითის “ო“ იქცა “ვ“-დ ან სულ დაიკარგა, მაგ., “ღედავ ბატონო-ღედა; მებაღე-მებაღე (აკ. შანიძე, 1980); “მამავ, ამბოზენ ავთა სიტყვათა“ (დ. გურამიშვილი, 1992, 269); “მამავ, მოვიცილი ქორწინებასა“ (იქვე გვ. 29); “ჰე, მებეტლევ, ეს ცხენები გააქანე...“ (გ. ტაბიძე, 1982); “შესაფლავე, შენ ამბობ, რომ ქვეყანაზე ვინც კი კვდება“ (იქვე, გვ. 15). აღსანიშნავია, რომ პოეზიაში მსგავსი ფორმები ყოველთვის დაცული არაა რიტმის, მარცვალთა რაოდენობის შენარჩუნების გამო, მაგ.: “საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“ (ჭ. ჩარკვიანი, 1987), “საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?“

(ა. კალანდაძე, 1982), მაგრამ სამწერლობო ენასა და მეტყველებაში საბოლოოდ დამკვიდრდა ხმოვანფუძიანებთან „ვ“ ან „ო“ ნულოვანი ფორმა.

იმისათვის, რომ გავვერკვია, რა მდგომარეობა გვიქონდა ამ მხრივ, სასულიერო პირთა მიმართვისას, ჩავიწერეთ მასალები თანამედროვე ცოცხალი მეტყველებიდან. საგანგებოდ მოვიძიეთ მაგალითები თბილისის, ქუთაისის, ხონის, სამტრედიის, მარტვილის, აბაშა-ზუგდიდის, ცაგერის, ლენტეხისა და მესტიის მხარეში. მოპოვებული მასალის ანალიზმა ცხადყო, რომ სასულიერო პირთა მიმართვისას ყოველთვის შენარჩუნებულია „ო“, ხოლო სხვა შემთხვევაში გვაქვს „ვ“ ან „ო“, ესე იგი, „ო“ „ვ“-დ არ, გადაიქცევა მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში.

მაგრამ ჩვენი მასალის საინტერესობას განსაზღვრავს ის ფაქტი, რომ წოდებითის ნიშნად ჩათვლილი „ო“ სასულიერო პირთა მიმართ ფუძისეულად იქნა გააზრებული და სხვა ბრუნვებში სათანადო აფიქსებს დაირთავს. გამომდინარე აქედან, მიმართვის ფორმა „მამაო“ დღეს სასულიერო პირის, მღვდლის, მოძღვრის აღსანიშნავად გვხვდება, ისე როგორც „ღეღაო“ მონაზვნის აღსანიშნავად, მაგ., „მამაო თქვა“, „მამაოს წიგნი“, „მამაოსათვის გავაკეთე“... შესაბამისი მაგალითები დაიძებნება თანამედროვე მწერლობაშიც: „მამაო გულხელი დაიკრიფა“ (მაფშალია, 1996); „მამაომ მშვიდი მზერა გაუსწორა ვაჟს“ (იქვე): „შვილო, ბეჟა! — წამოდგა მამაო“ (იქვე); „მამაომ ბიჟს პირჯვარი დასწერა“ (იქვე); „ტაძრის ეზოში მამაო ნაუმი იღვა (უქიმერიონი, 1998); „მონაზონმა მახდენის წაქეზებით ცილი დასწამა მამაო დავითს“ (საბქოთა ხელოვნება, 1984). იგივე მდგომარეობაა ქართულად ნათარგმნ ლიტერატურაშიც: „ვერწმუნეთ, ეს გარემოება სრულებითაც არ ამცირებს წმინდა მამაოს ღირსებას და უნდა ვაღიაროთ, რომ იგი ჭეშმარიტად ქების ღირსია“ (პ. ნოვალისი, 1989)... წოდებითის „ო“, რომ ფუძისეულადაა გააზრებული, იქედანაც ჩანს, რომ ქართველურ დიალექტებში, სადაც არა გვაქვს წოდებითი ბრუნვა, ჩვეულებრივია ასეთი კონტექსტი: სვანურში — „მამაოდ ლაჲჭუედლა“- მამაომ ჰკითხა; „მამაოდ რაქუენ“ — მამაომ თქვა, ან „ღეღაოდ ლაჲჭუედლა“, მრავლობით რიცხვში დედაჲულაჲა = ჴა; მეგრულში — „მამაოქ ქომორთუ“ — მამაო მოვიდა; „მამაომ ცუდე“ — მამაოს სახლი (მარტვილი, 1999) და ა.შ.

ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალებში საინტერესო შემთხვევებიც შეგვხვდა: ერთ-ერთი მთქმელი, ეკლესიის მედავითნე ერთ მღვდელს “მამაკ” ეძახდა, ხოლო სხვებს “მამაო”. ჩვენი გაკვირვება მან ასე ახსნა: “ეს მღვდელი ახალგაზრდობიდან ჩემი მოძღვარია. მხოლოდ მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ ვეძახი მამას, სხვას კი თავისთავად მამაო ვუწოდებო” (ქუთაისი, 1999); აქვე მოვიყვანთ მსგავს შემთხვევას: მოძღვრის სახლში ყოფნისას მისმა ქალიშვილმა იკითხა: “მამაჩემი სად წავიდა?” ღვდამ კი გაუსწორა: “მამაშენი კი არა, მამაო”. ამასთან დაკავშირებით ვავიხსენებთ ერთ საინტერესო ამბავსაც: ქუთაისში, ასაკოვანი მრევლი დიდი პატივისცემით ეპყრობოდა ერთ მორწმუნე კაცს (თედორე კაკაურიძეს, მორწმუნეს, მლოცველს. მას კომუნისტური მმართველობის დროს მორწმუნე საზოგადოება მოსალაოცად დაჰყავდა საქართველოს სხვადასხვა ეკლესია-მონასტრებში. მოხატა ქუთაისის (არქიელის გორაზე) წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია), რომელსაც ერში ბერს უწოდებდა და მას “მამა“-თი მიმართავდა; სამღვდლოება ამ ფაქტის წინააღმდეგი იყო და მრევლს ეთიკის დაცვისაკენ მოუწოდებდა. მრევლი კი თავს იმართლებდა: “ჩვენ მას სიყვარულითა და პატივისცემით **მამას** ვუწოდებთ და არა **მამაო**, როგორც მოძღვარს-ო“. აქედან ჩანს, რომ ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ხდება ორი მამის გამოიჯნა. შეიძლება ვთქვათ, რომ აქ საქმე გვაქვს ენის შინაგან ტენდენციასთან ფორმობრივადაც გამოიჯნოს არსებული სემანტიკური ნიუანსები.

ვფიქრობთ, საანალიზო ფორმებში არსებული “ო” იქცა იმავე რანგის ოდენობად, როგორიც არის საკუთარ სახელებში (ავთო, დათო, თამრო...), ასევე მეტსახელებში (ცხვირო, მალალო, ცქვიტო...) დადასტურებული “ო”. ორივე შემთხვევაში “ო” ფუძეში შედის და წარმოშობით წოდებითის ნიშანია (აქ. შანიძე, 1980; ბ. ჯორბენაძე, 1988). განსხვავება ის არის, რომ აღნიშნულ სახელებში არსებული “ო” უფრო კნინობით-ალერსობითის მაწარმოებელია, “მამაო” ტიპის ფორმებში კი ცვლის სიტყვის სემანტიკას.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება, დავესვათ სალიტერატურო ენის ნორმებში სასულიერო პირის აღნიშვნისას წოდებითის ნორმის საკითხი.

**2.2.3. სინონიმთა სემანტიკური ღიშპანციაცი-  
ონათვის ძართველი მართლგადიღეპელი მრეველის  
მეტყველებაჟი  
(სიყმილი-ჟიმჟილი, სასოება-იმედი...)**

ქართველი მართლმადიდებელი მრეველის მეტყველებასა და თანამედროვე საეკლესიო გამოცემებჟი (დაუჯლომლები, ლოცვები, მოძღვრის საუბრები “რას გვეტყვი მამაო?”) გეხვლება სინონიმები: **სიყმილი-ჟიმჟილი, სასოება-იმედი, ხანდაზმულობა-სიბერე, ურვა-მწუნხარება-დარდი, მსგაფსი-კვირა** რომლებიც რელიგიური გადააზრების გამო ერთმანეთისაგან ნიუანსობრივად განსხვავებებიან.

საანალიზო ლექსიკური ერთეულები ქართულ წერილობით ძეგლებჟი ერთი და იმავე შინაარსით გამოიყენება და შესაბამისად სინონიმურ წყვილებს ქმნის.

მაგ., **სასოება-იმედი**: “არღარა იყვენ **სასო** სახლის ისრაილისა” (ეჯე. 29,16); “ჟიოძია **სასო** ძელი” (სინ.მრავ.); “კეთილ არ **სასეობა**ი უფლისა მიმართ, ვიდრე **სასოება**ი მთავართა მიმართ” (ფს. 177,8); “ და მეყო მე უფალი შესავდრებელ და ღმერთი ჩემი ჟემწე **სასოებისა** ჩემისა” (ფს. 93,22); “იყოს იგი **სასოება**ი ნათესავთა” (იბოლიტ.განმარტ.); “დამიდევ **იმედი** წყალობისაი და **სასოება** ცხოვრებისაი” (ფილიპ. მიმ.3,4); “წარმიკუეთე **იმედი** ჩემი შენდამი” (მამათა ცხოვრ.); “ზრუნვად დღისათვის სიკვდილის მათისა **სასოებითა** მით მკუდრეთით აღდგომითა” (პეტრიწ. მონასტ. ტიპიკონი); “ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ **იმედი**” (ბართაშვილი, 1996); “**სასოებამ** ფრთა გაშალა, გულსა მკრა და ამიძგერა” (ქავჭავაძე, 1984)...

**სიყმილი-ჟიმჟილი**: “შახილი და **სიყმილი** ჩვენ არა ვიხილოთ” (I იერემია, 5-12); “**სიყმილითა** მოკლან ივი” (შუშანიკის წამება); “დავყავ... **ჟიმჟილითა** და წყურვილითა” (I კორ. 11,27); “შექმნილ ვარ განძღებად და **ჟიმჟიდ**, აღმატებად და დაკლებად” (აბულაძე, 1973); **ჟიმჟილი** ესე არს **სიყმილი** (საბა, 1993)...

ხანდაზმულობა-მოხუცება-სიბერე: “იყო ერთი ბერ და ერთი ჭაბუკ” (მამათა ცხოვრ.); “მოუწოდა ბერთა ისრაელისათა” (ლევ. ვიტ. 9,1); “ბერბერთა ზღაპართა განვემორე” (სარჯველაძე, 1995); “მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანასა” (შუშ. წამება); **ბერთობა-მოხუცებულობა**, ხვეის-ბერი — ხეობის **უნუცესი** (საბა); სი-

ბერე-ხანდაზმულობა (ჩუბინაშვილი, 1971); “მას ვერც სიბერე და ვერც ჟამი ვერ დააბერებს” (ბარათაშვილი, 1996); “სიბერის ჟამსა მოიცა ძალი” (იქვე).

**ბერი** გვხვდება არა მართო მოხუცებულობის, არამედ, მონა-ზონის მნიშვნელობითაც. “ჰკითხა ძმამან ვინმე **ბერსა**” (მამათა ცხოვრ.); საბასთან მას (მონაზონს) კაცი/ქალი მოწესე ეწოდება. ბერი — კაცი/ქალი მოწესე ანუ მემხოლოე ანუ მონაზონი (მონა-ზონა) (საბა, 1993). **სიბერის** პარალელური ფორმაა **მოხუცება, ხანდაზმულობა: მოხუცებულთათვის** პატივისა” (იტიმო-თე, 12). შევნიშნავთ, რომ ბერძნულში უხუცესს ეწოდება პრესვიტერი (ΠΡΕΣΒΥΤΕΡΟΣ). ქართულში **ხუცესი-ბერი** ეკლესიის მსახურსაზ ადნიშნავს, ხოლო პრესვიტეი სამღვდლო ხარისხია (დანე-ლია, 1998).

**ურვა-მწუხარება-დარდი-გლოვა** “იწყო **მწუხარებად** და **ურვად**” (მათე 26,37); “რად **მწუხარე** ხარ სულო ჩემო და რად შემადრწუნებ მე?” (ფს. 42,5); “ვითარცა **გლოვარე** და **მწუხარე**, ეგრეთ დავმდაბლდი” (ფს. 34,14); “დედაკაცი რაჟამს შობნ, **მწუხარება** არნ მისა” (იოანე 16,21); “გარდაიქცენ **მწუხარებაი** მათნი მხიარულებად” (კირ. ისრუსალიმელი); “**ურვათა** ჩემთაგან გამო-მიყვანე მე” (ფს. 27,17); “სიცილით ლაღობს, მიეცა გულით ამოს-ვლა **დარდსა**” (ვეფხისტყაოსანი, 1986, 84-4); “რკინას ჟანგი ჰამს, კაცის გულს **დარდი**, იარა” (ანდაზა); “მაგის **დარდსაც** გავუძლ-ებ” (ბარათაშვილი, 1996), “ნ. ბარათაშვილს გულში ჰქონდა **დარდად** ბედი ქართლისა” (ჭავჭავაძე, 1984)...

დღეს გამოქვეყნებულ ლოცვებსა თუ დაუჯღომლებში მოძღ-ვართა საუბრებში და ვფიქრობთ, აქედან გამომდინარე მორწმუნე-თა მეტყველებაში შეინიშნება განხილულ სინონიმურ წყვილთა სე-მანტიკური დიფერენციაცია.

წიგნში “რას გვეტყები მამაო?” (ვაზ. “კვირის პალიტრის” რუბრიკის — “რას გვეტყვი მამაო?” კითხვა-პასუხის კრებული, რედაქტორები: დეკანოზები დავით შარაშენიძე და ზაქარია მაჩი-ტიძე, 2005) ვკითხულობთ:

— “აქამდე მეგონა, რომ სიტყვები “იმედი” და “სასოება” ერთი და იგივე მნიშვნელობის იყო. მითხრეს, რომ “სასოება” უფალთან უფროა დაკავშირებული, როგორ გავიგო ეს?”



— იმედს ადამიანი საკუთარ გეგმებზე, სურვილებზე აგებით ქმნის და შესაძლოა არ გაამართლოს. ხოლო სასოება უფლის იმედია, უფლისადმი მუდარაა, მისთვის ნუგეშის თხოვნაა. უფალი ყოველთვის არის იმ ადამიანებთან, რომლებსაც მისი სასოება აქვთ” (იქვე, გვ.106).

გამომდინარე აქედან, ახლადშექმნილ ლოცვებსა და დაუკლომლებში ერთმანეთის გვერდით გვხვდება ამჟამად სემანტიკური ნიუანსით განსხვავებული ზემოთ განხილული სიტყვები: “...დაძლებნი შენზედა ყოვლისა **სასოებისა** და **იმედისანი** (ღვთისმშობლის ჰომილიები, 2001); “ძალო ღვთისაო, მიქაელ მთავარანგელოზო, დაგვიცავ ჩვენ ცეცხლისა და მახვილისაგან, **სიემილისაგან**, **შიმშილისაგან** სტიქიური უბედურებისა და მოწამლული ჰაერისაგან გვეყავნ შემწედ ყოველთა განსაცდელთა, ურავთა და მწუხარებათა შინა!” (ლოცვა მიქაელ მთავარანგელოზისადმი მუნღლთადრეკით სათქმელი, 2000)...

განხილული მაგალითებიდან **სიემილსა** და **შიმშილს**, **ურავსა** და **მწუხარებას**, **სასოებასა** და **იმედს** შორის ის განსხვავებაა, რომ ამ წყვილთაგან პირველი უფალს, ზენაარს მიემართებინან, ხოლო მეორენი — ქვეყანას. ჩვენი რესპოდენტები აღნიშნავენ, რომ: **სიემილი სულიერი შიმშილია** რაც უღრო მეტია, ვიდრე უქმელობით გამოწვეული შიმშილი. ერთით შეიძლება წაიწყმიდოს კაცი, მეორეს კი გაუძღებს. როგორც **სასოება** ღმერთის უნდა გვქონდეს და **იმედი** კაცის. ჩემთვის ურავა და მწუხარება ორივე სულიერი ტკივილია. აბა რატო წერია ფსალმუნში “რად მწუხარებ ხარ სულო ჩემო და რად შემადრწუნებ მე”-ო? თან ხო ვამბობთ, სული მიწუხსო, დარდი კი, ვფიქრობ, ამქვეყნიური ტკივილი და ფიქრია” (ქდსკი უ, 2006). შღრ. “**შამაო ჩვენს** ლოცვის მეოთხე მუნღლში: ბური ჩვენი არსობისა, არ შეიძლება მხოლოდ ხორციელი ბური მოვითხოვოთ, მთავარია, სულიერ ბურზეც ვიფიქროთ” (მართლმადიდებლური ეკლესიის კატეხიზმო, 1990).

რაც შეეხება სინონიმებს **დაბერება-ხანდაზმულობა** მათ მორწმუნეთა, ასევე სასულიერო პირთა მეტყველებაში სხვადასხვა მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, დაბერებაში იგულისხმება სულიერი სიმადლე, ე.ი. დაბრძენება და არა ასაკთ სიმრავლე. დალოცვის გავრცელებულ ფორმაში: “ღმერთმა დაგაბეროს” არ მოიაზ-

რება მხოლოდ დიდხანს სიცოცხლე, ესაა სულიერი სიბრძნე ანუ ბერობა.

ზემოთ განხილული მავალითებიდან ჩანს, რომ დღეს მორწმუნეთა მეტყველებაში რწმენითი ფაქტორის ზეგავლენით მოხდა სინონიმთა სემანტიკური დიფერენციაცია; შედარებით არქაულ (დღევანდელ მეტყველებაში ნეკლებად ხმარებულ) სიტყვას უფრო სულიერი დატვირთვა მიენიჭა, თუმცა სიყმილი-შიმშილი წყვილის გარდა, სხვა დანარჩენი ერთსა და იმავე დროს პარალელურად გამოიყენებოდა. შეიძლება ითქვას, რომ იდეოგრაფიული სინონიმები სტილურ სინონიმთა რიგში გადავიდა.

## 2.2.4. ზოგი სიტყვის (მეზობარი, სულიერი ძმა, შუამავარული) სემანტიკური ცვლილებისათვის

საზოგადოებაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური, კულტურულ-ეკონომიკური ცვლილებები და შესაბამისი ფსიქოლოგიური ფაქტორები იწვევს ცნობიერების ფორმირებას. ეს კი ყველაზე უკეთ აისახება ენაში... ხდება სიტყვის მნიშვნელობის ცვლა ან ჩანაცვლება ახალი ლექსებით. ყოველივე ეს საზოგადოების განვითარების და მისი უცხო კულტურასთან ურთიერთობის თანამდევია პროცესია.

საანალიზოდ ავიღეთ ორი სიტყვა (**შეყვარებული, მეგობარი**), რომელიც დღესდღეობით ყველაზე მეტად განიცდის სემანტიკურ ცვლილებას, თუმცა ეს პროცესი ჯერ კიდევ არაა დასრულებული. აღნიშნულ სიტყვათა მნიშვნელობის დესემანტიზაციას არაერთი ფორუმი ეძღვნება ინტერნეტ გვერდებზეც. ჩანს, რომ საზოგადოება ეძებს გზებს, იპოვოს შინაარსის თანხვედრი სიტყვა (ამაზე იხ. ქვემოთ).

ი. აბულაძის ლექსიკონიდან ჩანს, რომ ძველ წერილობით ძეგლებში **საყვარელი ადამიანის** აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები **საყვარელი, მოყვარე, მეგობარი, ტრფიალებული** (შეყვარებული). პირველი ორი მომდინარეობს ზმნური ფუძიდან **ყვარ** — **ყუარება** — **სიყუარულის ქონება** (ვმოყუარობ, ვყუარობდი, სიყუარული, შეყუარება - სულხან-შაბა, 1993); "ეს არს ძე ჩემი **საყუარელი** - მათე 3,1" (ი. აბულაძე, 1973), "**საყუარელსა** ძმასა ჩემსა გიკითხავ - რიფსიმეს წამება" (იქვე), "მოუწო-

და ყოველთა **მეგობართა** მისთა მთავარმან - 40 სებასტიელის წამება“ (იქვე), “კაცი იგი ახალნერგი, **შეუარებული**; ესაია 3,7“ (იქვე). “ქრისტესმიერნო **საყვარელნო**“ (იონან ოქროპირი, 1990), “განგაშორეს **შენ ტრფიალებულთა** შენთა; იერემ. 4,30“ (ი. აბულაძე, 1973), “**ვეტრფიალე** სიკეთესსა მისსა“ (იქვე; სიბრძ. სოლომ. 8,2).

“ვეფხისტყაოსანში“ **საყვარლად** იწოდება აგრეთვე შეყვარებული ქალი ან კაცი: “ჩვენ ვერ ქვრეტა **საყვარლისა** ჭირსა ძველსა გაგვიახლებს“ (რუსთაველი, 1986, 840,1), “მაგრამ შეყვართი, **საყვარელი** ჩემი ვნახე ძილსა შინა“ (იქვე, 512,2), “აწ, **საყვარელსა** მიუწერს გულამოსკენილი, მტირალი“ (იქვე, 1292,1)...

ქველ-ის მიხედვით: **საყვარელი** რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება:

1. **ვინც ან რაც უყვართ** “საყვარელი შვილი; საყვარელი მასწავლებელი“, “შობობიური ჩემო მიწავ, შენს საყვარელ სახელს ვფიცავ“ (გ. ტაბ.); **საყვარლად** — **ლამაზად, მოხდენილად, მშვენივრად** “საყვარლად მორთავს ბალახს“ (ვაჟა), “ზედა ტუჩი საყვარლად აბურცვოდა“ (კ. გამს.)

2. **სატრფო, მიჯნური** — “ცნობს **საყვარელი საყვარლისა** გულს“ (აკაკი);

3. **ვინც ვინმესთან ქორწინების გარეშე, ფარულ კავშირში იმყოფება** “შენ ქმარს ღალატობ, სხვისი **საყვარელი ხარ**“ (კ. ლომთათ.), “როცა ქმარი შინ არ ეგულვის, ქალი **საყვარელს** ეპატივება“ (გ. ქიქოძ.).

4. **სიტყვის მასალა** — “ვაი, საყვარელო, რა ბედნიერი დღეები მელის!“ (ა. ქუთათელ).

ქართულში ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდა სიყვარულიდან ნაწარმოები ფორმები: ღვთისმოყვარეობა, კაცთმოყვარეობა, სიბრძნისმოყვარეობა... — ვერცხლისმოყვარეობა, სიძვისმოყვარეობა, გამოთმოყვარეობა... მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი **საყვარელი**, მემრუშე ადამიანის მნიშვნელობით ვვხვდებამხოლოდ მე-19 საუკუნიდან, მანამ ამ სემანტიკით გამოიყენებოდა ლექსემები: **აშიეიარშიეი, ხარჭა/ხახა, მეძავი, მრუში** (პ.ს. განიჩგოლა მრუში-ქორწინებაში მყოფთა ფარული კავშირი, მეძავი პირიქით) “აშიკი ურცხვ და ურუდებული“ (ხ. სარჯველაძე, 1995), “საულისა სუმულ იყო ხარჭი ერთი - II მეფ. 22,24“ (ი. აბულაძე, 1973), “შეიყუარა უფროის ცოლთა და ხარჭთა მისთა

- II ნეშტ.11, 21“ (იქვე), ზოგჯერ ამ მნიშვნელობით გვხვდება **მოტრფიალდე**: **მოტრფიალე/აშიე** “ჭაბუკი იგი მოტრფიალე განხურვებული“ (ი.აბულაძე, 1973), **ტრფიალება** სხუა არარა არს თინიერ დახშირება ნებისა წაღლისასა“ (სულხან-საბა,1993) მოყვარე, საყვარელი ადამიანის აღსანიშნავად, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც მოწმობს ქართულში გამოიყენება ტერმინი **მეგობარი**, **ამხანაგი**, **მეგობარი** — მოყვარე, საყვარელი, მახლობელი, ამხანაგი: **“მეგობარი** სიძისაი... სიხარულით უხარიაან“ (პარზლის ოთხთავი, იოანე 3,29); **“უკეთუ გლოცვიდეს მოყუარე შენი“** (გელათის, II შჭული 13,6); **მოყვარენი** ჩემნი და **მეგობარნი** ჩემნი ჩემს წინაშე მომეახლნეს და დადგეს“ (ფს.37,12); **“მადლი და მეგობრობაი** განააზნაურებს“, **“უხმო ყოველთა მეგობართა მისთა“** (ი. აბულაძე, 1973); **“მას ღამესა ერთგან იყვნენ შეწვიერნი ამხანაგნი“** (რუსთაველი, 1986, 673,4), **“აწ ამხანაგთა არ გიგრძან, წაღი, მათთანა ვლიდია“** (იქვე, 442,3).

საბას განმარტებით: **“მეგობარი** არს საყვარელი სამუდამოდ გაუყარი, მარადის თანა მყოფი“, (სულხან-საბა, 1993), **მეგობარი** — **გულითადი ამხანაგი, ჭირისა და ღზინის მოზიარე, ახლობელი ადამიან** “მეგობარი, ნამდვილი ადამიანი გაჭირვების დროს შევლის ყველასა“, ი. გოგებაშ.; **“მეგობრებო, წინ, წინ გასწით!“** ი. ევლოშ.; **“აი, ჩემი მფარველი მეგობარი!“** ნ. ლომოური (ქველ). ყველას გვახსოვს სულხან-საბას ტრაქტარი ამხანაგის შესახებ: **“ამხანაგი ზღუდე მალაღია, სიმაგრე დაურღვეველია...“**

როგორც განხილული მაგალითებიდან ჩანს, დღემდე არაკანონიერ სტესობრივ კავშირში მყოფი ქალი და მამაკაცი იწოდებოდნენ **საყვარლებად**. ხოლო სუფთა, წრფელი ურთიერთობის მქონენი კი **შეყვარებულებად მეგობარად** კი მოიხსენება გვერდით მდგომი, ჭირისა და ღზინის მოზიარე ამხანაგი.

დღეს დასავლეთიდან შემოსულ ლიტერატურასა და ფილმებში შეყვარებულად ითარგმნება საქმრო, რომელთანაც ქორწინებაზე სექსი ნებადართულია.

გამომდინარე იქედან, რომ შეყვარებული დღითი-დღე კარგავს ძველ მნიშვნელობას, საზოგადოება ცდილობს ენობრივად მოუძებნოს მას განსხვავებული ნიშანი. თუ თვალს გადავავლებთ ინტერნეტ ფორუმებს..., ვნახავთ, რომ ახალგაზრდები ე.წ. თინეიჯერები ლექსიკონებსაც კი მიმართავენ საქმრო სიტყვის საპოვნელად. მაგ. მოვიყვანთ მცირე ამონარიდს: **“შეყვარებულს ვილა**

იყენებს, ცოტა ბავშვურიცაა, თან კიდევ საყვარლის პონტშიც ხმა-რობენ და არ მისწორდება. რა უნდა დავარქვა ბიჭს, რომელიც მესიმპატიურება? სულხან-საბაც კი ვნახე, მარა იქ ამის შესაფერისად ჩოყლაყი წერია და ტეხავს, ან როგორ უნდა წარვადგინო, გაციანით, ეს ჩემი ჩოყლაყია-თქო :)“ (<http://forum.tsu.ge/lofiversion/index.php/>) ან კიდევ “ქართულ შესატყვის ვებზე. არ მომწონს “გელ/ზოიფრენდი“. “შეყვარებულის სტატუსის“ მერე “პწიტი ამი”— როგორ იტოლი ქართულად? მეგობარი ხო, მაგრამ იმ მეგობრას რას უშვები, ვინც უბრალოდ მეგობარია და არა მეგობარი მეგობარი. ბოლო-ბოლო სახელი ხომ უნდა დაერქვას ფენომენს, რომელიც არსებობს?! მოკლედ რა დავარქვათ?” (<http://forum.rustavi2.com/lofiversion/index.php/>)

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ეკლესიურმა საზოგადოებამ გამოსავლის საპოვნელად კლასიკურ ქართულს მიმართა და წამოიღო იქედან სიტყვა **მიჯნური** (შრდ. “მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი...“ რუსთაველი), რათა შეყვარებულნი ანუ დღევანდელი გაგებით სექსუალური პარტნიორი და წრფელი, სუფთა ურთიერთობა გაემიჯნა. ამის გამო, მორწმუნენი ღვთისმშობლის ხატს “უჭკნობი ყვაილი“, რომელიც გადმოცემით ოჯახის შექმნას აკურთხებს, “მიჯნურობის“ ხატად მოიხსენიებენ.

რაც შეეხება მეგობარს, დღეს იგი ხშირ შემთხვევაში ენაცვლება ინგლისურიდან შემოსულ **ბოიფრენდს (boyfriend-girlfred)** (სიტყვა-სიტყვით გულითადი მეგობარი). ასე მოიხსენებენ ადამიანს, რომელთანაც იზიარებენ სარეცელს და რომელიც შემიღვომში, შეიძლება, გახდეს საქმრო/საცოლე. თუმცა ისიც შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ მეგობარი ერთგვარი ევფემიზმია საყვარლის აღსანიშნად.

მასალაზე მუშაობისას ასეთი ფაქტის მომსწრეც გავხდით, ერთ ოჯახს ახალგაზრდა ქალ-ვაჟი ესტუმრა, მათი წასვლის შემდეგ მეზობელმა ამ ოჯახის წევრს უთხრა: “ეს ბიჭი თქვენ ნათესავის მეგობარია ხომ?“ რაზედაც უპასუხეს - “არა, მეგობარი არ არის, საქმროა“. რაც შეეხება პერიფერიებს, აქ ჯერ კიდევ მთლად არ მომზდარა საანალიზო სიტყვათა დესემანტიზაცია და ისინი ტრადიციული გაგებით გამოიყენება (მეგობარი — ახლობელი ძმაცაი, დაქალი).

ეკლესიაც, შეიძლება ითქვას, კრძალავს კიდევ ახლობელი მამაკაცის თუ ქალის მისამართით სიტყვა “მეგობრის“ ხსენებას და

თხოვს პრეველს, სხვა ტერმინით ჩაანაცვლოს იგი. ამიტომ მკვიდრდება შესიტყვებები: **ქრისტესმიერი მეგობარი / ნამდვილი მეგობარი / სულიერი და-ძმა** ან ტერმინები: **ძმობილი / ძმა-კაცი / ძმადნაფიცი, დობილი / დაქალი**

ვერ ვიტყვით, რა ფორმითა ან შინაარსით დამკვიდრდება საანალიზო ლექსეები მომავალში, გაგრძელდება დესემანტიზაციის ეს პროცესი, თუ შინაარსის ადექვატური ახალი სიტყვა გამოიძებნება. შასაძლოა, ახლობლის აღსანიშნად გააქტიურდეს შესიტყვება **ნამდვილი მეგობარი** ან **ქრისტესმიერი მეგობარი** ისე როგორც **კაცური კაცი**, ღირსეული ადამიანის მნიშვნელობით (შდრ. კაცია ადამიანი?! - ილიას რიტორიკული შეძახილი).

აღნიშნულ ტერმინთა სემანტიკის რღვევა, მიმდინარე, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი პროცესია (იგი ისე აქტიური არაა პერიფერიებში, როგორც საქართველოს ცენტრალურ ქალაქებში). საზოგადოების ცნობიერებაში ფასაულობათა გადახალისება ხდება, დღეს თუ არა ხვალ, ეს ყველაფერი სათანადო ნიშნით გამოიხატება ენაშიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის შესწავლილი ქართული ენის ტერიტორიული კილოები; მრავალი გამოკვლევა პროფესიულ-დარგობრივი ლექსიკის შესახებაც, მაგრამ ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი სოციალური და პროფესიული დიალექტების, არგოებისა თუ ჟარგონების შესწავლას.

ცნობილია, რომ სოციალურ-პროფესიული დიალექტების ძირითად თავისებურებებს ქმნის ლექსიკურ-ფრაზოლოგიური ერთეულები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ წესს ასახავს. დროთა განმავლობაში პროფესიული დარგების თუ სოციალური ფენების ტრანსფორმაციის გამო იცვლებიან ან ქრებიან სოციალური და პროფესიული დიალექტებიც, ამდენად, მათ დროულ შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ თვალსაზრისით მეტად საშურია ახალდორძინებული ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველების თავისებურებების აღნუსხვა და შესწავლა.

საბჭოთა პერიოდში კომუნისტურმა რეჟიმმა შეზღუდა მართლმადიდებლური ღვთისმსახურება, რეპრესიებით მოსპო ან დააშინა სამღვდლოება და აქტიური მრევლი, შესაბამისად, დაიკარგა ბევრი თვალსაზრისით საინტერესო მრევლის მეტყველება.

გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოში აღორძინება დაიწყო მართლმადიდებლობამ; გაძლიერდა საეკლესიო მრევლიც, რომელიც 90-იან წლებში ეკლესიისა და თითოეული მოძღვრის გარშემო გაერთიანებულ მძლავრ საზოგადოებად ჩამოყალიბდა. მრევლის წევრთა აერთიანებთ არა მხოლოდ წირვალოცვის დრო და ეკლესიის ეზო, არამედ ცხოვრების ერთგვარი წესიც; მრევლის წევრები ერთად დადიან წმიდა ადგილების მოსალოცავად, ხდებიან ერთმანეთის ნათესაეები, მეგობრები („სულიერი ღები და ძმები“) და ა.შ.

საეკლესიო ენის ველში ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო თავისებურ ელფერი იქნეს მრევლის მეტყველება; კერძოდ, მრევლის მშობლიური ტერიტორიული კილოს, ოფიციალური სახელმწიფო ენის, საეკლესიო ენისა და საწესჩვეულებო რიტუალების თანამდევნი ლექსიკის ურთიერთშეზავებით იქმნება მეტყველების საინტერესო ვარიანტი, რომელიც აშკარად განსხვავდება როგორც სამწიფონობრო ენის საეკლესიო და სალიტერატურო ვარიანტებისგან, ასევე ტერიტორიული კილოებისგან.

აწუხ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ნსტიტუტის პროგრამით გათვალისწინებულია ტერიტორიული და ოციალური დიალექტების ნიმუშების ჩაწერა-შესწავლა პროფესი-ნალგებით დაკომპლექტებული მომძიებელთა ჯგუფების მიერ; 'ლების მანძილზე მუშაობისას ჩვენი ყურადღება მიიქცია ქართვე-ლი მართლმადიდებელი ეკლესიის აქტიური მრევლის მეტყველების ავისებურმა სტილმა. მასალების საგანგებო მოძიებამ ბევრი საინ-ერესო მოვლენა წარმოაჩინა; კერძოდ, შესაძლებელი გახდა აქ-იური მრევლისა და ქართველი საზოგადოების სხვა ნაწილის (პა-იური მართლმადიდებელი მრევლის ჩათვლით) მეტყველების გან-ხვავებული მახასიათებლების განსაზღვრა. ჩვენ შევისწავლეთ ართული საზოგადოების ერთი ფენის — აქტიური მართლმადი-ებელი მრევლის - მეტყველება ლექსიკოლოგიური და ფრაზეო-ოგიური თვალსაზრისით (რითაც იგი მეტ-ნაკლებად ემიჯნება სა-ოგადოების სხვა ნაწილს); ასევე ზოგი რელიგიური ტერმინის სე-ანტიკა და მორფოლოგიური სტრუქტურა; აგრეთვე, ზეპირ მეტყ-ელებაში არსებული (მათ შორის ხალხურ მეტყველებაში დღემდე აუფიქსირებელი) ფრაზეოლოგიური ერთეულები დავაჯგუფეთ, აავადინეთ წარმომავლობა, მივუთითეთ სემანტიკური ცვლილებე-ი და სხვ.

მრევლის მეტყველებაში დადასტურებულ ბიბლიურ შესიტყვე-ებში გამოიყოფა შემდეგი ჯგუფები:

1. ბიბლიურ პირთა ქადაგებებიდან მომდინარე ფრაზეოლოგი-ერი ერთეულები;
2. ბიბლიური სიუჟეტებიდან მომდინარე შესიტყვეებები;
3. ბიბლიურ სახელებთან დაკავშირებული შესიტყვეებები;
4. მართლმადიდებლური წეს-ჩვეულებებიდან მომდინარე ფრა-ეოლოგიური ერთეულები;
5. ხალხურ წარმოდგენებთან დაკავშირებული საეკლესიო ტერ-ინების შემცველი შესიტყვეებები.

შევინშნავთ, რომ ბოლო ჯგუფში („ხალხურ წარმოდგენებთან აკავშირებული საეკლესიო ტერმინების შემცველი შესიტყვებე-ი“) გაერთიანებული ფრაზეოლოგიზმები, მართალია, უშუალოდ იბლიიდან არ მომდინარეობს, მაგრამ მათში ასახულია ბიბლიის ავლენა ხალხურ ცნობიერებაზე.

ბიბლიური შესიტყვეების შესწავლამ გვიჩვენა, რომ მათი ერ-ი ნაწილის სემანტიკური ცვლა ირონიულმა დატვირთვამ განაპი-ობა; რელიგიის აკრძალვის წლებში მოხდა ფრაზეოლოგიურ ერ-



თეულთა ფუნქციური ცვლილება; გვხვდება ისეთი შესიტყვებები, რომლებიც გამოცემულ ლექსიკონებში არ ასახულა, ზოგიც დღეს აღარ ან იშვიათად გამოიყენება.

საკვლევ მასალაზე მუშაობისას იდიომებთან (მყარი, ერთცნე-ბიანი შესიტყვებანი) ერთად განვიხილეთ ბიბლიური ფრაზები (ექ-სპრესიულ-ემოციური, ზატოვანი პერიფრაზები და მისალმება-დამ-შვილობების, წყევლა-დალოცვის ფორმულები თავიანთი ფუნქციის შეცვლის გამო, რომლებიც მიისწრაფვიან ერთცნებიანობისაკენ და შინაარსით იდიომს უახლოვდებიან; ამასთანავე, დღეს მათ ისევ აქვთ სახალხო სანქცია (წერილობითი ძეგლების თანახმად, გამოი-ყენებოდა ძველად, მივიწყებულ იქნა გარკვეული მიზეზების გამო და კვლავ აღდგა) — საზოგადოების ერთი სოციალური ჯგუფი იყენებს მეტყველებაში.

მორწმუნეთა საუბარში დადასტურებული ბიბლიური ფრაზე-ბი ზშირად ენაცვლებიან მოცემული დიალექტისათვის დამახასია-თებელ სიტყვა-ფორმებს; ისინი გამოიყენება ამა თუ იმ გრძნო-ბის, აზრისა თუ განწყობილების გამოსახატავად; აგრეთვე წყევლა-დალოცვის ფორმულებში, მისალმება-დამშვილობებისას. ბიბლიური ფრაზების გვერდით გვხვდება აგრეთვე ღვთისმსახურებაში არსე-ბული ლოცვებიდან მომდინარე პერიფრაზები.

აღსანიშნავია, რომ ფრაზეოლოგიზმთა უმრავლესობა მრეე-ლის მეტყველებაში საეკლესიო სტილითაა წარმოდგენილი. ყოვე-ლივე ეს მოწმობს, რომ კლასიკური ქართული (რომელიც მხო-ლოდ ლიტურგიკის ენად ითვლებოდა) დღესაც აქტიურად გამოი-ყენება; აღნიშნული საფუძველს გვაძლევს, „ძველი“ ქართული ენა და თანამედროვე ღვთისმსახურების ენა, ამჟამინდელი ქართვე-ლური კილოები და ქართველთა სამწიგნობრო ენა სალიტერატუ-რო ენის სტილურ ვარიანტებად განვიხილოთ.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში გამოყენებული ლი-ტურგიკული ტერმინების უმრავლესობა ბერძნული წარმომავლო-ბისაა, მაგრამ ოდითგანვე გვხვდებოდა შესაბამისი ქართული ვა-რიანტებიც, რისი შედეგიცაა სინონიმური პარალელები.

ნაშრომში გაანალიზებულია ტერმინები, რომელთაც საინტე-რესო ხალხური ვარიანტები დაეძებნათ; წარმოდგენილია მათი სე-მანტიკური ცვლილებები და მორფოლოგიური სტრუქტურა. დრო-თა ვითარებაში სიტყვამ, როგორც ცოცხალმა ორგანიზმმა, იცვა-ლა მნიშვნელობა, რასაც ძირითადად სხვადასხვა მოტივი უძევს საფუძველად.

ნაწარმოში შესწავლილია არქაული ზმნური ფორმების გამოყენების გარკვეული შემთხვევები: საწყისები, რომელთაც დაკარგეს ხმნური თვისებები და უკვე მხოლოდ არსებითის სახით გვხვდება (გარდამოსნა (ფარდავის მნიშვნელობით), წარმოტყვევნა (ხატის მნიშვნელობით); ფორმები, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება (აღვლენა ლოცვის ან წირვისა, წარგზავნა ღღესასწაულისა) და ფორმები, რომლებიც ძირითადად მრევლის პეტყველებისთვისაა დამახასიათებელი (განსვლა, გარდასვლა, განყენება).

შრომაში ყურადღება გავამახვილეთ აგრეთვე სულიერი მოძღვრის აღსანიშნავად სიტყვა „მამა“-ს ფორმობრივ გამოყენებაზე. აღნიშნული ლექსიკური ერთეულის წოდებითი ბრუნვის ფორმა „მასო“ მხოლოდ მღვდლისადმი მიმართვისას გამოიყენება; ამასთანავე იგი ღღეს ფუძედ გაიზარება და შესაბამისად სხვა ბრუნვებში ათანადო აფიქსებს დაირთავს (მამამ თქვა, მამას სახლი...). ჰეიდლება ვთქვით, რომ აქ საქმე გვაქვს ენის შინაგან ტენდენციისთან — ფორმობრივადაც გამოჩნდა არსებული სემანტიკური ნივანსები (მამამ მაჩუქა; მამამ მომიტანა); ხოლო ღღემდე გრამატიკულ შეტდომად ჩათვლილი აღნიშნული ფორმა დამოუკიდებელ იტყვად ვაღიაროთ და მეტყველებაში მისი გამოყენება, დასაშვად და ნორმად მივიჩნიოთ.

კვლევაში განხილულია აგრეთვე სინონიმთა სემანტიკური დიკრენციაცია ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში, რასაც საფუძვლად რელიგიური გადაზარება უღღეს (სიყმილი-შიმშილი, სასოება-იმედი, ურვა-დარდი...) შედარებით არქაულ (ღღევანდელ მეტყველებაში ნაკლებად ხმარებულ) სიტყვას ფრა სულიერი დატვირთვა მიენიჭა, შეიძლება ითქვას, რომ ღღვრაფიული სინონიმები სტილურ სინონიმთა რიგში გადავიდა.

აქვე ყურადღება გავამახვილეთ ლექსებზე (შეყვარებული, ეგობარი), რომელიც ღღესღღობით ყველაზე მეტად განიცდის მანტიკურ ცვლილებას, თუმცა ეს პროცესი ჭერ კიდევ არაა ასრულებული. ღღეს დასავლეთიდან შემოსულ ლიტერატურასა ა ფილმებში შეყვარებულად და მეგობრად (ბოყფრენდ-გირფრედ) მოიაზრება ადამიანი, რომელთანაც ქორწინებამდე სექსი ჰბადართულია. გამომდინარე აქედან მეგობარი, ღღეს ხშირ შემხვევაში ენაცვლება ინგლისურიდან შემოსულ ბოიფრენდს.

ეკლესიურმა საზოგადოებამ გამოსავლის საპოვნელად კლასიკურ ქართულს მიმართა და წამოიღო იქედან სიტყვა მიჯნური,

რათა შეეყვარებული ანუ ღღევანდელი გაგებით სექსუალური პარტნიორი და წრფელი, სუფთა ურთიერთობა გაემიჯნა. რაც შეეხება ტერმინს მეგობარი, არის მცდელობა, მის ნაცვლად დამკვიდრდეს შესიტყვებები: ქრისტესმეორე მეგობარი / ნამდვილი მეგობარი / სულიერი დაძმა.

ჩვენი კვლევის შედეგები საფუძველს იძლევა, ვილაპარაკოთ ქართველი მართლმადიდებელი მრევლის მეტყველების განსაკუთრებული ენობრივი სტატუსის შესახებ; შდრ.: „სოციალური დიალექტი განიმარტება როგორც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფენისთვის ნიშანდობლივი სუბვარიანტი (ქვევარიანტი, ნაირსახეობა) მეტყველებისა, შეპირობებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, რწმენითი ფაქტორებით; ესა თუ ის სოციალური ფენა ცდილობს სხვათაგან გამოირჩეს თავისი მეტყველებით (ჯ. გამბრეცი, 1975). “ეს მისწრაფება საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლისათვის უპირატესად გააზრებულია და შეგნებული, თუმცა ზოგჯერ ინერციულიცაა” (ბ. ჯორბენაძე, 1989).

## MAIN CONCLUSIONS

The scientific literature provides profound studies of the territorial dialects of Georgian language. There are a number of researches on professional-specialized lexics as well, but less attention is paid to the investigation of argo, social and political dialects, jargones.

It is commonly acknowledged that main peculiarities of social and professional dialects are created by lexico-phraseological units, depicting various rules of social life. As the time passes, social and professional dialects are modified or eliminated due to the transformation of the professional fields and social layers. Hence, it is really prominent issue to document and study the characteristic features of the newly revived Georgian Orthodox congregation speech.

In the Soviet period the Communist regime restricted and persecuted the orthodox church, nearly eliminated and terrorized clergy and active congregation by severe repressions. Hence, there was a loss of interesting congregation speech.

Since the 80s of the previous century Orthodoxy has been revived in Georgia, the congregation became stronger, turning into a powerful organization, concentrated around the church and priests in the 90s. The congregation members are united not only by the time and place of sessions, but also by their common ways of life—they visit the places of sacred worship together, become each others friends, relatives, ('spiritual sisters and brothers') and so on.

The lengthy influence of church language affects the speech of the congregation members: namely, the mixture of the territorial dialects of the congregation, the official state language and religious vocabulary creates an interesting variant of the speech which is quite different from the learned literary and religious speech, as well as from the territorial dialects.

The program of ATSU Dialectology Scientific-Research Institute includes the documentation and study of the territorial and social dialect samples. Groups of professionals have conducted these activities during the years and our attention was drawn by the specific style of the active congregation members of the Orthodox church. The study of the correspondent material revealed many interesting aspects—namely, it came possible to make distinction between the speech of the active congregation members and that of the rest of Georgian society (including less active church-goers). We have studied the speech of Georgian

Orthodox congregation from the lexical and phraseological perspective, we also investigated the semantics and morphological structure of certain religious terms, as well as the phraseological units of oral speech, grouped them, stated their origin, highlighted their semantic changes and so on.

The Biblical wording, traced in the congregation speech can be grouped as follows :

1. Phraseological units from the Biblical sermons
2. Wording from the Biblical stories (scenes)
3. Wording, associated with the Biblical names
4. Phraseological units of the Orthodox rules and rituals
5. Wording of church terminology, associated with folk beliefs.

It is noteworthy, that the last group comprises the phraseologisms, which, though not immediately originating from Bible, depict the influence of Bible on folk consciousness.

The research of the Biblical wording shows that these semantic changes in its part were caused by the ironic context : in the period of the religion's persecution its phraseological units also underwent functional changes : we trace the wordings, which were not depicted in published dictionaries or are obsolete nowadays.

While processing the research material, alongside with the idioms, we studied the Biblical phrases (expressive-emotional, imagery periphrases, formulas of greeting /farewell and blessing/cursing), as they are changing their function, come closer in their meanings to the idioms. Nowadays they are commonly used once again - according to the written sources, they were used earlier, became obsolete and revived lately. So, they are the part of the speech of a social group. The Biblical phrases, traced in the speech of the congregation members frequently substitute the characteristic dialectal words and forms; they are used to express certain ideas, feelings, moods; they are also used in the formulas of greeting/farewell, blessing/cursing. Alongside with the Biblical phrases we also see the periphrases of the religious prayers.

Majority of the phraseologisms are represented in a church mode within the congregational speech. This proves the fact that the classic Georgian, regarded solely as a liturgy language, is actively used nowadays. Hence, we can regard the 'old' Georgian language, modern language of liturgy, modern Georgian dialects and the 'bookish' Georgian as the stylistic variants of literary Georgian language.

Majority of the liturgic terms,used by the Georgian Orthodox Church are of Greek origin,but we had the correspondent Gerogian variants since the ancient times,hence,there exist the synonymic parallels.

The research analyses the terms,whose interesting folk variants were traced,we represent their semantic changes and morphological structure. With the time, the words,as living organisms,changed their meanings, due to different motifs.

The research studies certain cases of the usage of archaic verbal forms, which have lost the verbal qualities and are now seen only as nouns like 'gardamoxsna' (taking smth off/down) (meaning 'fardagi' (carpet)),tsanmotkvevna(capturing),meaning 'khati' (icon);forms,which are used only in certain context (prayers,sermons,festive holidays) and forms,mainly characteristic for the congregation speech ('gansvla', 'gardasvla', 'gansvneba'-«leaving,passing away,resting in peace').

The research is also focused on the distinction of the forms of the word /mama'('father'),denoting spiritual father,priest.The vocative case form of this word 'mamao' is used only while addressing the priest.It is also regarded as the root and adds correspondent affixes in other case forms.(mamaom tqva,mamaos saxli-(the priest said,the priest's house...)) We can claim that here we deal with the inner tendencies of the language-to make distinctions in forms for the existing semantic nuances. ('mamam machuka'-father gave me a present ;'mamaom momitana/-priest brought it) .We can regard this word as an independent one and use it in regular speech as a norm.

The research also studies the semantic differentiation of the synonyms in the speech of Georgian Orthodox Congregation,based on religious shift of meaning (rethinking) (sikmili-shimshili (hunger),sasoba-imesdi (hope),urva-dardi (saddness)..). Comparatively archaic words obtain more spiritual meaning,Hence,we may say,that ideographic synonyms turned into the stylistic ones.

We paid special attention to lexemes (girlfriend/boyfriend,friend),which undergo the biggest semantic changes,but this process is not still over. Nowadays,in western literature and movies boyfriend/girlfriend is a person,who a person can have sexual intercourse with before marriage. Nowadays,the word 'friend' can frequently substitute English-language boyfriend.

Religious society referred to classical Georgian and adopted the word 'mijnuri' (sweetheart),to distinguish pure,platonic love and physical,sexual partnership. As for the term 'megobari'(friend), there are the

attempts of substituting it with the wording-real friend, friend in Christ, spiritual brother/sister.

The findings of our research enable us to talk about the special lingual status of the Orthodox congregation speech. Compare : 'Social dialect is defined as a subvariant, invariant of the speech, characteristic for certain social layer, group, caused by social-economical, political, religious factors ; A certain social layer tries to distinguish itself from others by its speech '(J. Gamperzzi, 1975) 'This aspiration is mostly conscious for the representatives of each social layer, but sometimes it might have mechanical nature'(Jorbenadze B. 1989).

## ОСНОВНЫЕ ВЫВОДЫ

В научной литературе достаточно хорошо изучены территориальные наречия грузинского языка; много исследований посвящено также вопросам профессионально-отраслевой лексики. Сравнительно меньше внимания уделяется исследованию социальных и профессиональных диалектов, арго и жаргона.

— ამ დროს ერთმანეთის მოხუევა ხდება, რა თქმა უნდა სიყუარულით და “ჩუენთან არს ღმერთი” და “არს და იყოს” - ასეთ სიტყუევს უბასუხოფთ ერთმანეც და ეს, ასეთი ფორმა უფრო მეტათ ჩუენ გვაფხიზლევს იმაში, რა ურთიერთი უნდა გუიყუარდეს, არა მარტო ამ გარეგნული ფორმებით, რასაც ჩუენ იმუუთას ეკლესიაში ვაკეთევთ და ვემთხუეუთ ერთმანეც, მართლა უნდა გუიყუარდეს, შინაგანათ უნდა ქუქონდეს ერთმანეთის სიყუარული და შეილება, სულაც არ გადაეხუიო იმ მომენჩი, მარა სიყუარულით შეხედო შენ გუერდით მყოფს და სულ, ესე იგი, გულში ქქონდეს შენი მრეულის და შენი ყუელას სიყუარული. ეს სიტყუები უბრალოთ ჩუენ გუაფხიზლევს, რა ერთმანეთი უნდა გუიყუარდეს და არ უნდა... მტერიც კი უნდა გიყუარდეს. ესე იგი, გარეგნული ფორმები ჩუენ გუეხმარება სიფხიზლევში, რადგან რასაც ვამბოფთ, გულშიც ქქონდეს, თან ამას სხუა სულიერი მნიშუენლობაც აქუს...

— მოძლუართან სტუმრობის რა განსაკუთრებული ფორმაა?

— მოძლუართან სტუმრობისას აუცილებელია, რა მანდილი, ნუ შეილება ახლა ერში არ გეხუროს და არ დადიოდე მანდილით, მარა როდესაც, ესეი, მე ამისწინ მომიხთა მოძლუართან მისულა სახში, ლოკუით მიუდიოდი გზაში, ულოკულობდი, რა გონება ვაუხსნა, რა ქეშმარიტათ მესაუბრა იმაზე, რაც მიწოდდა. არი ზოგჯერ რაღაცა გინდა თქუა და ვერ გამოხატაუ და ამიტომ ქქირდება ლოკუა. რა ილოკო, აუცილებლათ მანდილი უნდა, ქალს მანდილი უნდა ეფაროს თატუზე და „ლოკუითა წმიდათა მამათა ჩუენთათა უფლო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო შეგუიწყავენ ჩუენ“ და ამ სიტყუებით მიგუილევს მოძლუარი და...

— უნდა გიპასუხოს „ამინ“?

— „ამინ“ უნდა გიპასუხოს და ეს არი დასტური იმისი, რა მიგიღოს მოძლუარმა და უკუე ხარ მუათ, რა ესაუბრო მას. ეს უბრალოთ არი ფორმალობა ქრისტიანობაში, ეს აუცილებელია, აუცილებელია იმიტო, რა მოძლუართან არ უნდა ქქონდეს ზედმეტათ მეგობრული... მოძლუარი მეგობარიც უნდა იყოს, მამა არი

შენი, მეგობარიც არი ჩუენი, ძმაცაა და ყუელაფერია ჩუენი, მაგ-  
რამ ზომიერება სჭირდება. ყეს არი ზომიერებისათუის აუცილებე-  
ლი, რო ეს თქუა ეს სიტყუები, თაუზე დაიხურო, ძან შეილება  
ახლოს იყო და კარგი ურთიერთობა ქონდეს, მარა თუ ესენი  
დაუტკარგეთ: თაქსათფარი არ დაიხურე, ლოცუა-კურთხევა არ  
თხოვე მოძღუარს, უკუე აქ იკარგება რადაცა სულეიერება და  
ურთიერთკატუშირში მოძღუარსა და სულეიერ შუილს შორის.

— უბრალოვდება?

— უბრალოვდება და არ, არ უნდა დაკარგო, არ უნდა ქონდეს  
იმის ის, რო ის უკუე შენ რამდენი ხანია იცნოვ და კარგი ურ-  
თიერთობა გაქ. არ არი ასე. მოძღუართან უნდა ქქონდეს. რაც  
შეილება, ზომიერება უნდა იყოს დაცული.

— წუდან თქუენ [პირად საუბარში] ბრძანეთ, რო მსგაუსი  
ფორმები მე მინახაუს მონასტერშიო.

— კი მონასტერში არი ცალკე ერთი პატარა კელია, სადაც  
მოძღუარი ღებულოფს ახსარებას და კართან ჩუენ უდგავართ და  
ვაგბოფთ ამ ლოცუას „ლოცუითა წშიდათა მამათა ჩუენთათა“ და  
თუ იქიდან მოძღუარი დაგიძახეფს „ამინ“ ესე იგი, შენ უნდა შეხ-  
უიდე ახსარებაზე და შენ უკუე ხარ ღირსი ამ იმისი. მერე იქ  
ხთება ახსარების თქმა. ეს იყო პირუელი ახსარება მონასტერში,  
რომელიც ბერს ჩავაბარე მაშინ.

*ნატალია სილაგაძე, 33 წლის*

*ქუთაისი, 2002, 04. 09*

*კახეტა № (46)37*

### 13. მ(ო)ძვრის მიმართვის უ(ო)რმა

— როგორ მოიხსენიეფთ ან მიმართაუთ მღუღელს?

— მამაოთ, მამა სინამღუილეში, მამათ უნდა მოვიხსენოთო.  
ჩუენთან თედორე იყო, ერში ბერს უძახოდით, იმან მოხატა წმინ-  
და გიორგი და ძან მორწმუნე და კარგი ადამიანი, მოსალოცათ  
დაუწყადლით სხუადასხუა ეკლესია-მონასტრედში, მაშინ როცა აკ-  
ძალუელი იყო ე ყუელაფერი და იმას მამაოს უძახოდით „მამა  
თედოს“ ასე უძახოდით და მამაო არაო, მამა დაუძახეთო, ეპის-  
კოპოს ასე უთქუთია. ერთი ის არის, ექუთიმე არის მღუღელი,  
იმას უთქუთია, ჩუენი ქალებიზა, რო თქუენო ნუ წუხართ მაგასო,  
მთავარია, მამაო არ უნდა დოუძახოთო და მამა მიზანწეწონილია.

თქუნი მამის ტოლააო. მამის ტოლა კაციაო და შეიძლება მი-  
მართოთ მამათო.

— ესე იგი იმ ეპისკოპოსსაც გამოურჩევია. მამა ასაკიან კაცს  
უნდა უთხრათ იმიტო, რო მამის ტოლაა, მაგრამ მამაო არა იმი-  
ტო, რო მღუღელს მიტმართათ მამათი.

— ხო, ხოდა, მერე მე, მაგალითათ, სხუა მღუღელეს მამათი  
მიტმართაუ და ჩუენ მამა გიორგის მამათი მიტო, რო მართლა  
მამაჩემის ტოლია და მამაჩემის გადაცუალების მერე, მაგას მამაოს  
არა და მამას ქე უახი, აბა...

მარა წავიკითხე, რო არაა, მამაო, არ უნდა დატძახო  
მღუღელს, მარა მაინც უამბოფთ, კი უამბოფთ და არ უნდა უამ-  
ბოფდეთო. მოძღუარი აი, აი, გამახსენდა ახლა, იქ წერია მოძღ-  
უარი. ისაა თქუნი მოძღუარი.

— მოძღუარო. ასე უნდა უთხრა, მღუღელო?

— უერ ვეუენებით. მღუღელო უშნო სათქმელია, უშნო სათ-  
ქმელია....

— ამიტო მოძღუარი ?

— მოძღუარო არა უშაჟს, მარა მღუღელო კილე არ ჩანს  
რაცხა ლამაზათ. ხალხსა და ღმერც შორის არის მოძღუარიო.  
მარა ეს მოძღუაროც რაცხა პომბეზურია, არ ჩანს თფილათ, მა-  
მაო თფილია უფრო, მარა მოძღუაროო, ასე უნდა უთხრაო, წე-  
რია.

— მოძღუარს მასწაულეებელსაც ეძახდენ ადრე.

— მასწაულეებელს ხო? ხო.

— ადრე კი.

— ხო. ისე რო დოუკუტირდები ნამდუილათ მოძღუარია.

— ხო მასწაულეებელია. გმოძღუარაჟს, გასწაულის, ქრისტეს  
სიტყუას გეუბნება.

— კი. კი.

*ნუნუ იამანიძე, 65 წლის  
ქუთაისი, 2005 დეკემბერი  
კახეტა №25*

#### 14. ბაჰმოცემა ნუსხურის (ვოლნაჰ)

— მე მითხრეს, რო უნდა იცოდეთ ნუსხურის კითხვაო, თორემო იქო ანგელოზი წიქს გადაგიშლისო, გარდაცულებიასასო...

— მაგი მეც ვიცი, ღედა. მაგი მეც ვიცი და უნდა იცოდეთ შენი სახელი და გუარის დაწერა მაინც. იქა, ასი წლის მერე, იქ რო წახტალ, ხო, დნ მაგი უნდა იცოდეთ. კითხვა ახლა შენ კი იცი.

— და მერე ეს მითხარი, ანგელოზი წიქს გადაგიშლის და ნუსხურათ იქნება დაწერილი?

— კი, ნუსხურათ იქნება დაწერილი.

— და თუ ვერ წავიკითხე? ღმერთმა ნუ ქნას...

— ახლა მაგი... ყოველ შემთხვევაში, დედიკო, რა, რატო ვერ წაიკითხავ შენ ახლა იმას?

— კი მაგრამ რა გადმოცემაა ეს მითხარი.

— რა გადმოცემაა და ესა არი, ჩუენ ბეჭური ისინი ხო გუტაქ, საფეხურები გასატლელი, საზტერეები და საფეხურს ვეძახი მე. საზტერია ის, როგორ გახტალ იქა და ჩუენი ანგელოზი... ჩუენტან წმინდა გიორგი იქნება. ჩუენი მფარტელი ანგელოზი იქნება.

— ა, რომელი მრეტლის წუტრი ხარ, იგია შენი მეოხი?

— აბა! აბა! წმიდა გიორგი ყუელასთანაა, ყუელას მეოხია, წმიდა გიორგი და ხტთიმობელი... გარდმოცემა ისაა, რო ნუსხური აუცილებლათ უნდა იცოდეთ, თორე ანგელოზი წარმოგიდგენს იმას, ამსოფლიდან განსტლის დროს, წიქს გადაგიშლის და თუ ვერ წაიკითხავ, მაშინ, ქართულ წმინდანეთს ვერ ნახავ... მარა უფალმა იცის ყუელაზე უფრო ვის ნახავ და იგი...

*დოდო ფანცხვა, 55 წლის*

*ქუთაისი 2004, 30.11.*

*საღამოს 5 საათი, წვიმს.*

*კასეტა № 21*

— მოსახსენებელთან დაკავშირებით თუ შუიძლება რომ ვი-საუბროთ. მორწმუნენი ყოველთვის ვაგზაუნით მოსახსენებელს ტაძარში. რისგან შედგება ეს მოსახსენებელი და ვისხენიფეთ რო-გორც გარდაცულებს, ასევე უძღურობაში მყოფთ და გამოვი-თხოუთ ჯანმრთელობასა და შუიძობას.

— ხო. მოსახსენებლის შეგზაუნა ეკლესიაში, რა თქმა უნდა, დადგენილი წესია. იმის შემდგომ რაც მოციქულებმა და სხუდას-ხუა შუიდი საეკლესიო კრება არსებოფს ხომ, მსოფლიო საეკლესი-ო კრება და ეტაბორიფათ ეკლესიური, ასე უტქუათ, წეს-ჩუეუ-ლებები, რომელსაც დღესდღეობით ჩუენ ვიცნოფთ და აღვასრუ-ლეფთ, უძუელესი დროიდან ამ ორი ათასი წლის განმუტლობაში დადგენილ იქნა და ჩუენც ცხადია ამას ვასრულეფთ და მოსახს-ენებლის შეგზაუნა ერთ-ერთი მათგანია ამ, ესე იფი, წეს-ჩუეულებ-ის და ცხადია არსებოფს საჯამელო მოსახსენებელი და არსე-ბოფს მიცუალებულთა მოსახსენებელი, რომელსაც ყოველ წირუ-ბუე ვაგზაუნით. შესაბამისი არსებოფს სეფისკუერი, ცოცხალი ადა-მიანების ჯანმრთელობისათუის მოსახსენებლათ, კუეთაში მოიხსე-ნეფს მოძლუარი და არსებოფს დედახუთიშობლის გამოსახულების სეფისკუერი, რომელიც მიცუალებულს მოიხსენიფენ, ამ...

— არა, ჯურისახიანია მიცუალებულების.

— არა, ხო, ჯურისახიანი, შემეშალა უც... ჯურისახიანია, რა თქმა უნდა მიცუალებულების და დედახუთიშობლის სახია ცოცხ-ლების ხო, როცა ჩუენ მოსახსენებელს უაგზაუნით აი, შეგზაუნის მომენჩი, როცა ფულს ვაძლეუთ და უდეფთ სეფისკუერის მოსახ-სენებელს ტაბლაზე, რომელიც უნდა შეიგზაუნოს იფი სამკუეთ-ლოში, აი, მაშინ იწყება, ჩემი აზრით, იმ პიროვნებების და იმ მიცუალებულების მოხსენიება და იმ მიცუალებულების მოხსენიე-ბა, რომელიც ჩუენ გუიწერია იმ ბუეკლეთია თუ რაც ქუთია ახლა მოსახსენებელს და შემდგომი, რა თქმა უნდა, მოხსენიება საიდუმ-ლოებით ხთება სულიწმინდის მადლით კუეთაში, მაგრამ ჩუენი ინიციაცივა, გამოხატულება გულწრფელობისა, გამოხატულება სიყურაულისა, ნუ, არ უნდა ქონდეს ამას რაღაცა, ესეთ ვალდე-ბულების და აი, შეგდების სახე.

— ჩუენ მოსახსენებელს ვაგზაუნით იმ რწმენით, რომ უფალი შეეწევა ჩუენს ახლობელს, აგრეთუე ერთმანეთსაც უთხოუთ მორ-

წმუნენი, ჩუენი მიცუალეზულებისთუის ილოცონ ან ავადყოფეზი-სათუის.

— ცხადია. ეს იმ შემთხვევაში, კონკრეტულათ იმ შემთხვევაში, თუ ჩუენ არ გაგუაჩნია ამის ფიზიკური საშუალება და შინაგანი მდგომარეობა.

— და მრავალთა ლოცუა უფრო შეისმინებისო...

— ხო, რა თქმა უნდა, ორი ჩემი სახელით მეც იქა ვარო. მა-ცხოვარი ამბოფს და ოთხი ჩემი სახელით მაშინ უფრო მეტათ არ იქნება? ჩუეულებრივი დიალექტიკური ვარიანტია, ხოდა, მე ვახსენე ის მომენტი, რო დაუშუათ, ყუელას აშოროს და, მიცუალეზული ყუელას ყოლია ოჯანში და როცა არა აქ საშუალება იმისა, რო ვილოცოთ, ფსალმუნი [ვიკითხოთ], მიცვალეზული მოვიხსენიოთ, მაშინ ჩუენი ნათესაუი, ჩუენი ახლობელი, ჩუენი მრეუ-ლი, ვინც იქნება.... ამ ინიციატივით გამოდის და ჩუენს მაგივრათ, ჩუენივე მიცუალეზულისათუის ლოცულოფს და ჩუენც ჰატიტს ქუტუემს ამითი და მიცუალეზულსაც ხო? თავისთავათ სულის სიმ-შუიდეს გუანიჟეფს ამ ეტაპზე. მერე თუითონ ჭირისუფალი იზ-რუნეფს თავის მიცუალეზულებზე. თავის ავადყოფზე, სნეულზე, უთქუათ, ვინც იქნება.

— საერთოთ გამიგია, რომ ქთხოუ... მოიხსენო ჩემი უძლუ-რობაში მყოფი ნათესაუი, ან ახლობელი, რომელიმე და ვინმე გეტყუის, რო იცით, მე არ შემიძლია, მოვიხსენო, რადგან არ მინდა, მისი ეშმაკები შემებრძოლოს, რადგან მე უძლურობაში ვარ თავათ...

— ხო, ამ შემთხვევაში ორი მომენტი იკუთეება, მი არ მინდა განკითხუით, განკითხუა გამომივიდეს კონკრეტული ადამიანის ან ვინმეს, ამ შემთხვევაში. როცა ადამიანი გეუბნება ასეთ რაღაცას, ან გეუბნება ჭეშმარიტათ და მას მართლა არ შეუძლია და ნუ შეიძლება სიყუარულით კი იკისრო ასეთი რაღაცა, ზათრი ვერ გამიტეხოს და მართლა ჩავარდეს განსაცთელში იმიტო, რო ფიზი-კურათ და სულიერათ არ შეეძლოს და არის მეორე მომენტი, როცა შეიძლება, შეუძლია, მაგრამ მანდამაინც არ შეიწყუოს და უთქუათ... რაღაც დრო არ გამოყოს, არ დაგიტომოს რაღაცა ორი საათი შენი ლოცუისთუის. გააჩნია პიროუენებას რა, ვერ განსახ-ლურავ. როცა ადამიანის თხოუ დახმარებას, რაღაც ეტაპზე ის უკუე, როცა გამჭდარია შენში ზნეობრივი ქმედითობა, უკუე ქცე-ვაში და ჩუევაშია გამჭდარი, შენ აღარ ფიქროფ იმას, რომ აი, იცი, მე თურამე ეშმაკები შემებძოლება ... ჭხულება წინააღმდეგო-



ბა, რა თქმა უნდა, და გადალახავ წინააღმდეგობას რაღაც უცაბედნათ და მერე გამოდის საქმე გაკეთებული, ყუელაფერი, შედეგი მიღებულია და შენ ხარ სახტათ დარჩენილი, ეს რა გამოვიდა. ჩაიწერა იმ ზეციურ წიქში ერთი შენი კაი საქმე და განკითხუის ჟამს, ვინ იცის, იმ საქმემ გადაგარჩინოს შენ.

— ამინ!

*გიორგი ჯგერენია 20 წლის  
ქუთაისი, 2005 წელის 26 სექტემბერი  
კახეტა №49 (38)*

## 2. ლოცვის შორმეტი

### 2.1. დავლოცვა-წყევლის შორმეტი

- როგორ ლოცაუთ?
- ახლა, მაგალითათ, რაც მომადგება იმწუჟი.
- უთქუათ, ახლა ეკლესიიდან დავიწყეთ, მოგაწოდა ვინმემ სეფისკუტერი. რას ეტყუი?
- მრავალ წელიწაც შენი მოკითხული და არ მოგიშალოს სეფისკუტერის მადლი, ძალა და ეკლესიაში სიარული-თქუა, მე, მაგალითათ, ბეუჯერ ვიცი ასეთი რაღაცა.
- ხოდა, მე, მაგალითათ, ვინმესთვის სეფისკუტერი რო მიმიცია: „ქრისტემ მოგმადლოს პური არსობისა“.
- ახლა რა არი იცი? მე ბეური რამ რატომ მაკლია იცი, დედა? მე მარტო მანდ რო დაუდივარ... ხალხი დადის სხუაგან და სხუაგან და ის ვითარდება. სხუადასხუა ეკლესიეფში ნათლდება ადამიანი, გამიგე? და მე მარტო მაქ დავდივარ [იგულისხმება წმინდა გიორგის ეკლესია], ახლა იშუითათ დავდივარ სხუაგან.
- მაგალითათ, თუ წმინდა წყალი მოგაწოდა ვინმემ, ნაკურთხი წყალი?
- ნაკურთხი წყალზე, დედ... „წყალსა ზედა განსასუენებელსა გამოგზარდოს უფალმა“, „უფალმა გასუას წყარო ცხოტრებისა“, ასე ვიცი, ეს კი...
- და ცხუტრის დაცემინებისას თუ იცი რამე?
- ცხუტრის. დაცემინებისას, სხუათაშორის, არ შეილებათ, ლუიზა.
- ხო, არ შეილება, მაგრამ მაინც ხო ვიცი?
- მაგრამ „ხუტის წყალობა“, ვიცი, კი.

— ბაგრაძე [ბაგრატის ტაძარზე] რა ჩამაწერის, იცი? ყუბელამ აფსოლიტურათ, ყუბელა, ნებისმიერი გეტყუის: „წყალობა ზუთისა სასუფეველი ცათა“ და უნდა უპასუხო „და სულისაცა შენისა თანა“.

— ხო, კი და ვგიც ვიცი, რა თქმა უნდა... და ზიარების მილოცუა ასე ვიცი... მაგალითათ, მაზიარებელი, რო ეზიარება... „საკურნებლათ სულისა და ხორცისა“...

— ესე იგი, უთქუათ, ეზიარა ადამიანი და...

— იმას ვეტყუი მე „საკურნებლათ სულისა და ხორცისა“, იმან უნდა მითხრას მე: „სადიდებელათ ზუთისაო“.

— უთქუათ, გილოცაუ ზიარებას ასი არაა, ხომ?

— ხო, არა. ბეურმა იცის და ბეურმა არ იცის და რო ეტყუი: „საკურნებელათ სულისა და ხორცისა“ — მაღლოფთ, ესე გეტყუის და ან დაგიქნეუს თატს და მეც არაფერს გეტყუის.

— ეს არცოდნის ბრალია, თუარა ისე აუცილებელი პირობაა ხო?...

— რასაკუირუელია, რასაკუირუელია. ბეურმა ახლა, ახალგაზდამ, რომელიც შენი ხნის გოგუებმა და იმგენმა, ბეურმა არ იცის, დედა, და..., ვეუნები ყუბელას, რო უნდა უთხრა...

— ახლა ძირითადათ მრეტლის წუტრი ვინცაა ყუბელამ იცის.

— ვინც ისიც, გეტყუის ის.

— და მაგალითათ, მდუდელი რუ ამბოფს ასამაღლებელს „იყუარებოდეთ ურთიერთას“ ხო, ერთმანეც ჩუენ მხარზე უკოცნით ბაგრაძე [ბაგრატზე].

— აუცილებელია, აუცილებელია. „იყუარებოდეთ ერთმანეც“ და [პასუხად] „ქრისტე არს ჩუენთანა“ და აკოცეფ მხარზე. ეს მე, მაგალითათ, თფილიში, მე ხშირათ დაუდიუარ თფილიში, ბინაც მაქ იქა და ჩემი ლაშა იქანაა ამწუჩი, ხოდა დაუდიუარ ეკლესიაში. მე ბიძაშული მყატს და ერთათ დაუდივართ., ხოდა იქ მოვიდა ვილაკა უცხო, არ ვიცნობდი, უცხო მოვიდა და ამ დროს „ვიყუარებოდეთ ურთიერთასო“ და მაკოცა მხარზე და მერე მე თითონ ჩემით იმაუქენი, რო უთხარი „ქრისტე არს ჩუენთანა“... ზოქს უხუთები ჩემით და...

— რასაც ვერ ხუდები ღმერთი მიგახუედრეფს. ხო, ძირითადათ ხშირათ იციან. მაგალითათ, ზოგჯერ ხთება, რო, უთქუათ, მრეტლის წუტრები ერთმანეც რო შეხუთებიან, ამბობენ... „ქრისტე არს ჩუენს შორის“.

— მისალმების დროს კი, კი, როგორ არა... ხო, ახლა რა გამახსენდა, ჩუენ, ძირითადად მრეტლის წეტრები ყოტელთუის ხო, ფსალმუნის სიტყუფს... ვამბოფთ, ფსალმუნის სიტყუებით, იმატუ-შტებით, ტლოცავთ ერთმანეტ, “ანგელოსთა მისთადა უბრძანებუიეს შენთუის დაცუათო“ ყუელაზე დიდი დალოცუთ, ალბათ, ესაა.

— ხოდა წყეტლა?

— წყეტლა არ ვიცი. რწმენაში რო შევედი მი შემდექ რო ვიცი, რო არ უნდა დავიწყევლო, რო... ესე მე შთავგაონე ჩემ თატს, რო როგორც არ უნდა გატბრაზდე ვინმეზე, არ დავიწყეტლო, არანაირათ არ დავიწყეტლო.

— თავიდან თუ იცოდით?

— თავიდან ვიცოდი რომელია [იციინის], მარა ისი აღტულიათ გადავეჩტუე ამ წყეტლას, ლუიზა, მეტი რუ არ შეილება. რწმენიდან გამომდინარე...

*დოლო ფანცხვა, 55 წლის  
ქუთაისი 2004, 30.11.  
საღამოს 5 საათი, წვიმს.  
კასეტა № 21*

## 22. წყევლა-ლოცვის ფორმები

წყევლა ეს არის უდიდესი ბოროტება. უდიდესი ბოროტება... იაკობ მოციქული გუასწავლის, რო ენას აუცილებლათ სჭირდება ალაგმუთ. კვლავ მის სიტყუას მოტიშტელიფე: “ენით ტუაქრთხეფთ ღმერთსა და მამასა, მით ვწყევლით ადამიანეფს“. ადამიანი ხომ, პირში ჩამავალით არ წარიწყმიდება, არამედ ამომავალით. ხოდა, წყევლა, დიდება ღმერთ! ტიცოდი ხშირათ და ვიცი წამომცთება ახლა ჩემიანებზე, რა თქმა უნდა, მაგრამ...

— მომისმინეთ, ფსალმუნების სიტყუებით დავიწყევლით ტინ-მე?

— ისა ვარ ცოტა მრისხანე და დამიწყევლია კი.... თუ ტინმეს წყევლი ახლა თავს იწყევლი. უნდა გუახსოტდე, რომ უკან... აი უნდა გუახსოვდე. რო ზუსტათ უკან არის დარტყმის კანონი. არსებოფს უკანა დარტყმის კანონი და ვინც იწყევლება ათმაგათ უბრუნდება მას უკან ის. ნუ ვიქნებით ნურც მწყევარი და ნურც მაგინებელნი, რადგან უფალი გუასწავლის, ტურც ერთმა ვერ და-

იმკტიდროს სასუფელზელი, ვერც მაგინებელმა და ვერც მაწყე-  
შარმა. იაკობ მოციქული ამბოფს, რომ: “ენა ცეცხლია, ენაა მთე-  
ლი სხეულის წაბილწავი და თუ ჩუნ მას თავის ნებაზე მიუშ-  
უნფთ მთელ სხეულს წაბილწაუს და დაანგრევეს, დაანაგუნიანფს  
და უნდა ვეცადოთ, რომ ჩუნნი პირიდან მხოლოთ ლოცუა და კე-  
თილი სიტყუა მომდინარეობდეს“ და ღმერც უთხოვ, რომ მოქტეცს  
ჩუნ ეს ძალა, რომ დავძლიოთ ჩუნნი თავი და ეს უდიდესი ბო-  
როტება მოვიცილოთ. მეტი არაფერი.

— კი. ნამდულიათ. და ზოგჯერ კაცის კტლის ცოდუათ ით-  
ულეზაო ხო, წყველა?

— კი.

— მაგრამ აი, რა ფორმა გაგიგონია მაინც წყველის?

— უი, მე ვიცოდი საშინელი წყველა. ამოწყდი, ამოიუუე, გა-  
დაშენდი, ნუ, რა ვიცი... ხან: უფალმა მოგავოს მოსაგებელი,  
კრულ იყო, ღმერთმა დაწყველოს ჩუნნი მტერი და რა ვიცი...  
ფსალმუნის სიტყვებით რომ უწყველი, თითქოს უფრო მეპატიება,  
ფსალმუნის სიტყვებია მაინც, რა ვიცი... ცოდუა მაინც, ცოდუა.

— ლოცტის ფორმულეფთან დაკავშირებით რას იტყვით ?

— ჩემი აზრით, ლოცუა არის უძლიერესი იარაღი ყუელა ბო-  
როტების დასათრგუნავათ. მთავარია, ადამიანს წამდეს ის, რასაც  
ლოცულოფს და რისთვისაც ლოცულოფს. საქართულოში ნაკ-  
ლებათ მი არ მეგულეზა, ამწუჩი, მე დალხინებული დედეგი და  
უამრავია ისეთი დედეგი, მართლაც, რომელსაც შტილის გარდაც-  
უალეებით, აი აქტს გული შეწუნებული და ესე იგი, მე, მე მაგა-  
ლიათ, მწამს ეს ყუელაფერი, რასაც უკითხულოფ, რასაც ეკლე-  
სიაში ქადაგებენ, ეს მწამს, რომ ეს ასე იქნება. სხუნანიართ წარ-  
მოუდგენელია ისე ლოცუა. ხო, ხშირათ ვამბოფ ახლა, რომ უფა-  
ლი ახსდგა და ჩვენც ახუნდგებით!

*დარეჯან ანგლედიანი 50 წლის (სოხუმიდან დევნი-  
ლი)*

*ქუთაისი, 2005 წ. აგვისტო  
კასეტა № 28*

### 2.3. ბიბლიური ვრახაბი

— ვინმე როცა რამეს ან ვინმეს განიკითხატსო, დოღომ მითხრა, რო ვეუბნებიო: “დადე საციო პირსა შენსაო”

— კი და „ჟარი ძნელი ბაგეთა შენთა“.

— კარგი. ასეთი რამე თუ გაგიგიათ, ზოგჯერ ვინმეზე ამბობენ ხიბლში არიო.

— კი. კი.

— როგორ ადამიანზე ამბობენ?

— როგორ ადამიანზე და თავის თაუზე სარწმუნოებაში დიდი წარმოდგენა რუ აქუს. რომ მე... ა, თუნდაც ჩემი შთილი. მე ჩემი შთილიდან დავიწყევ. ხიბლში, მაგარ ხიბლში იყო ჩავარდნილი.

და ახლაც აქ გამოყოლილი. რო ეჰ! მე, მე, რას ლაპარაკოვო. რას ლაპარაკოვო? უფალსო, ჩემთუნ, ჩემგან ახლა არც ახსარება უნდაო, არც ზიარება არ მქირდება მეო, ნაბატები აქ ყუელაფერიო. ზოდა, ზოგჯერ, მერე დაფიქდება და: დედა, უჰ, რა მომწონს ჩემი თავიო! მერე ასე იტყუის. მარა, დიდება უფალს! დადება ჟამი, რო მოვა აზზე.

— ამინ. ამინ.

— ამის იმედი მაქ.

— თუ გაგიგია, ამო ამოებათა. რაზე ამბოფთ?

— ამოაო? რა და აი თუნდაც ჩუენი ცხოურება, ამოუა აბა რა არის? წარმავალია.

— და ვიზე ამბობენ, არა ამიერ სოფლისა არიო? ზოგჯერ ხო ამბობენ, არა ამიერ სოფლისა?

— ახლა მაგი ჩემ ძმისშთილზე შემეძლო, მეთქუა. იმას შემეველოს მისი მამიდა! მართლა არ იყო ამქუეყნიური. იმაში, ერთი ამხელა რამე ბოროტება. უი არა, მი არ შემიძლია, გამოუთქუა, ისეთი ბიჭი იყო. ხო გეუბნები, აი ლიცეუმის დირექტორს უთქუა, ესე იგი, ყუელა მოწაფეები ვინც ცოდნია... ამისგანო დე... შენი დედა ვატირე არ გამიგონიაო. ის არ იყო ამქუეყნიური. ის ისეთი ჩამოყალიბებული, ისეთი ვინმე იყო ამქუეყნიური არ იყო.

— ალბათ მიტო გაიყუანა უფალმა.

— რა თქმა უნდა.

— მაგალითათ ამბობენ, ანგელოზები დაუფრთხოო, ხო? ანგელოზები დაუფრთხო რას ნიშნატს?

— ანგელოზების დაფრთხობა. ახლა მაგი... დაფრთხობა, რო შიაშინა. გაჩერდეს მაგ, თორე დაუფრთხოვ ანგელოზებს და არი დამუქრებაც არი და ესე იგი, შევაშინე თითონ პიროუნება.

— ანგელოზის დაფრთხობა შეიძლება?

— არ შეიძლება. თუთონ ხო. არ შეიძლება, ხო, არ არსებოფს. ანგელოზებს უერ და... ანგელოს, ჩუნენ კაი, კეთილ ანგელოზს ჩუნენ თითონუნე ვაფრთხოფთ. რაზი ახლა: ჩუნენ რო ცუც რალაცას ვავიფიქრეფთ უილაცაზე, რალაცა გლახას ვავაკეთეფთ. უკუნე ჩუნენი მფარუნელი ანგელოზი გუნეშორება, ქუნცილდება და ბოროტი ანგელოზი იკავეფს ადგილს. როცა რომ მოუნალთ ჭკუნაზე და ვართ ადამიანური და კარქს უაკეთეფთ, ის ანგელოზი ისევე გუნერჩი გუნიდგება. აი ასე. ჩუნენ თუთონ...

— უნიქროფ, ის მაინც არ ვაგუნეშორებია, უბრალოთ, გუნასუნა...

— არა, რა თქმა უნდა, ისევე ბრუნდება. აპა რა? ის ისევე ბრუნდება. მოდის და ბოლო... მაინც არ ქტოვეფს. ან შენმა სიკეთემ უნდა დაძლიოს, რო ჩუნენი მფარუნელი ანგელოზი მუნდამ გახარებული უნდა ქუნყაუნდეს. უნაიმე, რა ტბილია! რომელი დედა მივა, რომელი მამა მივა მაგენთან? არც ერთი. თელი დლე და დამე ქუნყარაულოფს, ჩუნენ გუნერჩი არის და დელას მაინც ხო დამე დინაუნს.

— ადამიანია.

— მიტუნებული უყავართ (მოქმელი იცინის)...

— ადამიანია.

— კი, მარა მაინც ხუ ასია.

— “დელამან ჩემმან, მამამან ჩემმან დამაგდეს მე და შენ არ დამიტევე“.

— (მოქმელი იცინის) აბა რა, ხო. დიდება უფალს!

— აღდგომა გაუთენდაო, რო იტყუნან, რა შემთხუნევაში? ან უთქუნათ რა შემთხუნევაში გითქუნამს?

— აი, გაუთენდა აღდგომა - კარგათ რო წაუნვა საქმე და რალაცა და აეწყოზა მისი საქმე, უჰ, აღდომა გაუთენდაო! (მოქმელი იცინის)

— გუნდრუკის კმევა?

— გუნდრუ... ხო ისა, ეს გუნდრუკი კმევა მაგი როდის ხთე-ბა? აი, როცა, იესო ქრისტე იშუნა, გუნდრუკი და ისა მური...

— არა, ეგ ვიცი. ეგ ვიცი რაცაა. გუნდრუქს უკმეუსო ამას კალესიაში არ უიტყვით.

— არა, არა, არა. საკმეველს უამბოფთ.

— საკმეველს უამბოფთ. მაგრამ როცა ვინმეზე ამბობენ. ვილაცა ვილაცას გუნდრუქს უკმეუსო. ხო გაგიგია?

— იუ, მაგი, ესე იგი, ეპირფერებაო და რა გუნდრუქს უკმეუსო? კი, ხო.

— და დიაკუნივით ან მღუდღეღივით კითხულოფსო?

— რავა მღუდღეღივით კითხულოფსო. აი ა, ისა შედარებაა რა, წაკითხული მღუდღელის წაკითხულს შეედარა, ჩქარ-ჩქარა რო კითხულოფს, გაუგებრათ. ზოგი მღუდღელი კი გაუგებრათ, მარა ზოგი წართქმით ხო იმაშუება.

— სიმღერით.

— სიმღერით ხო, წართქმა ქუთია მაგას. ხოდა რავა მღუდღეღივით კითხულოფსო, წამღერებით ესე იგი.

— მაგალითათ, რა ჩუენი მენდავითნესავით კითხულოფ გამაგებოფო., ესე იგი, ჩქარ-ჩქარა?

— ხო. უერ გებულოფ წერტილ-მძიმეს საერთოთ და გამოთქმა... გამოთქმას ხო. თავისებური ის გამოთქმა უნდა მაგას, მარა ეს რა შემთხვევაში ხთება იცი? როცა უკუე შენ გულით კითხულოფ და ყოუელიუე სიტყუას გაიზიარეფ და გულთან მიიტან აი, იმ შემთხვევაში.

— მაშინ გასაგებია თითონ მრეულისტუისაც?

— აბა, რა, აბა რა, აბა რა. თუ მადლი გადმოუთიდა მკითხულზე, ხალხშიც მადლია გადმოსული. ანალი დაწყებული რო მქონდა, ოღონდ წამეკითხა, უადიარეფ, უფლის წინაშედაც ნალიარები მაქ. ოღონდ წამეკითხა, თაუდაპირუელად, ხოდა, თედო მამლეუდა შენიშუნეფს, მამა თედორე. იმის სული გაანათლოს ღმერთმა და იცი? თითქმის გული მომდიოდა. გული კარა სალოცავია, სალოცავი, მისი სული. ამით მე იმან შემასწაულა ბეური რადაცა, მერე მოვედი აზრზე, რო ყოუელ წაკითხულს დაკუთრება უნდა. ის კი არა, რო მე წავიკითხო შეუშლეღათ სიტყუები, რა შინაარსისაა, რა გაიგე. შენ თუ ხარ ჩაწუღომილი იმ შინაარში, მაშინ მრეულშიც სიტყმეუება არის და გაგება არის.

— ხო და ეუოლოგიას რას უეძახით?

— ელოგია ეს რო უღებულოფთ იმ... სეფისკუერს, უზმოზე სეფისკუერს.

— ხო, და რა ველოგიასავით მომეციო?

- პატარა, ესე, ხო (მთქმელი და მომძიებელი იცინიან). სეფისკუტერის ნაწილფეს ხო იმაუშობით [ეჭრით]
- ერთი ზიარება დარჩაო?
- ერთი ზიარება დარჩაო ეს ს... ადამიანი ადამიანს რო ეტყუის?
- ერთი ზიარება დარჩა საწყალიო.
- ესე იგი, მალე გავაო? ასე გამოდის.
- მღუღელი ზიარებას უერ მუასწრეფს?
- მღუღელი ზიარებას უერ მუასწრეფსო, ადამიანზე მაგალითათ ან რო გადის, კუღება. კიდე რა დატუირთუა აქ, იცი? მა... ლეს... ეს მალე მოზთება რაღაცა.
- აჰა. შიაფურთხეო ეშმაქსო?
- ახლა ეშმაქს შე... რა იცი? ზოგჯერ რო... წყეულას გაგავონეფს ან რაღაცა. ფუი, ეშმაქს - იტყუი ასე. მე მითქუია. იმის სახეში იმ პერიოზი ეშმაქია ჩასული.. რო ადამიანი გიყურეფს და ან ქწყეტლის და ან გლანძღაღს და რა თქმა უნდა, ეშმაქია შემძურალი და ტფუი, ეშმაქს, ეტყუი. სხუამ რა გითხრა?
- ხო არა, ესეც არი და იმასაც ნიშნაღს, ცუღ საქმეს მოშორდიო, ესეი ეშმაქს მოშორდიო.
- კი მაგეცაა, კი.
- კარგ ღუინოს რას ეძახიან?
- კარგ ღუინოს ეტყუიან სუფთა ღუინოს. კიღო. ზედაშეს ღუინოს. მაგი ხო არავითარი შაქარი, არავითარი წუეთი წყალი შიო.
- საბარძიმე ღუინოაო?
- ხო. მარტო ყურძნის წუენი უნდა იყუეს, მარტო.
- ხო, ესე იგი კარგ ღუინოზე, ზედაშე ღუინუაო ან საბარძიმე ღუინუაო გამიგიათ?
- კი. როგორ არა. იგივია მაგი. მითქუია კიდეც..
- ლოცუა-კურთხევის აღება?...
- ესე იგი, ნებართუის აღება, ხო. დაუშუათ, რომელიმე ეკლესიაში ვიქნე და მინდა რაღაც წავიკითხო, ან გალობაში მინდა დაუდგე და მღუღელიდან ლოცუა-კურთხევას ავიღეფ.
- კი. და მრეტლი მოძღვართან მიმართების გარდა, რა შემთხვევაში ამბოფს ლოცუა-კურთხევა უნდა ავიღოო. მაგალითათ, მაგისგან ლოცუა-კურთხევა თუ არ ავიღე, ისე ვერ წავალ უერსათო.



— უბმაროვთ ხო. მაგალითათ, ეხლა, გამახსენდა, ჩემი... აგერ, მეზობელი მიდიოდა დ... თავის სახში და ჩემი ქმრისგან ლოცუა-კურთხევა თუ არ ევიღე არსათ არ გამოიშოფსო.

— ა, ესე იგი, თუ არ შევეკითხე?

— ხო. არსათ არ გამოიშუფესო, ხო, კი. და ზოგჯერ არი მაგალითათ, ლოცუა-კურთხევის გარეშე არ გამოიშუფესო. ესე იგი, მაგინეფსო, მაგინეფსო (მთქმელი იცინის)... მაგი ა, მაგი ლოცუა-კურთხევას, არ უნდა თქუას. არ უნდა ახსენოს. მასე როცა არის, მაგ სიტყუა აღარ უნდა ახსენოს, ლოცუა-კურთხევა. ეს უკუე უპატიუცემულობაა ხუთის, მარა ხალხში შემხუედრია რო...იცინ კილო, შემიკურთხაო და გამოიშუაო.

— კი, შემიკურთხა, კი. მარხუთის გატეხა და მარხუთის ჭამა ხო გაგივია?

— როგორ არ გამოვია. ბეტრჯერც გამიტეხია მე მარხუა. აღრე სად უმარხულობდი.

— იგი, მონანიე მაგდალინელი?

— მარიამ მაგდალინელი? მარიამ მაგდალინელი ვიცი.

— ხალხში, მეტყუელებაში როგორ ქხუთება?

— მაგი ახლა თუ უინმე ირონიით ა, ამაზე მეკითხები?

— ხო, მე ირონიით შემხუედრია ზოგჯერ.

— სიტყუთის მასალათ იყენებენ და არაა სწორი..

— მონანიე მაგდალინელების არ მჭერაო, გაგივია?

— ხო, მარა რატუ არ უნდა დეიჯეროს, თუკი იყო აღრე იგი, რაღაცა მოინანია. ხოდა, სინანულში ჩავარდა. პირიქით, პირიქით.

— შეილება თატს აჩუენეფს პატიოსნათ?

— თუ აჩუენეფს და ღმერთმა ხო იცის, ღმერთმა ხო იცის?

— გასაგებია, ყუელაფერი. თუ შეილება ვინმეზე თქუა, ჩემი ან ღმერთია ან მფარუელი ანგელოზია?

— ესაჰ, ღმერთი ღმერთია. დაილოცოს მისი ძალა და მფარუელი ანგელოზია უფლიდან მობოძებული ჩუენთუთის. ყუელა ადამიანს უფალმა მიუბოძა მფარუელი ანგელოზი. მუღმივი მრეული უინცა ვართ, უინმეზე ვერ უთი... შეილება ვინმე დამეხმაროს, მაგრამ მე იგი, ჩემი მფარუელი ანგელოზია-თქუა ვიტყუთი? არა. უერა, არა. არც შეილება ახლა ვინც ეკლესიაში არ დადის და იგი, სიტყუთის მასალათ ამბოფს და არ შეილება.

- არა. და მფარველმა ანგელოზმა გამომიგზაუნაო ხო იტყუი?
- კი. ეს კი იტყუი მფარველმა ან...
- ღმერთმა გამომიგზაუნაო, ხო იტყუი?
- კი. რა თქმა უნდა.
- ღმერთმა გამომიგზაუნა. მარა ჩემი ღმერთია და ჩემი მფარველი ანგელოზიაო?
- არა. მასე არა. ღმერთმა გამომიგზაუნა. არც იმას უიტყუით თინმე ლამაზი რუა, ვერიდებით უთქუა, ანგელოზივით გოგოაო. ვერიდებით მინც.
- კი, მაგრამ ჩუნ არ უიტყუით, მარა ხალხში ხშირათ გაგუტიგონია ხუთისმშობელივით არიო?
- კი, რავა არა, მარა არ შეიძლება. მე მაგის ალერგიული ვარ, ეგი ურწმუნუებაა.
- აი ეს მინდოდა. სალოცავი ხატია და საფიცარი ხატიაო ვიზე იტყუიან?
- ჩემი სალოცავი... დედა იტყუის შუილზე.
- შუილზე...
- ხო. ხო.
- სანთელივით უყურეფს, სანთელივით უნთიაო?
- ეგიც დედა შუილზე.
- ერთმა კაცმა მეორეს სახარება წაუკითხაო?
- ა ქერო იციან, ხო, წაუკითხა სახარებაო, ხო ალბათ ახლა ბეტრი ელაპარაკა ან რალაცა და დაარიგა... ჭკუის დამრიგებელი.
- მაგალითათ, “ღმერთი თუ არ ჩამოუყუანე ისე არაფერს გაგიკეთეფსო”? “შუილი რო მოუნათლო შენსკენ არ გამოიხედატუსო”?
- ესე იგი ძან უნდა ეხვეწო და იგი შუილი რო მოუნათლო, რო გადაყუე, მინც არ დაგიფასეფს... მარა ყოუელ შემთხუევაში, არც ღმერთი არ უნდა ახსენოს და არც ნათლობა მორწმუნემ მასე.
- მრეტლი ვრიდან არი მისული ეკლესიაში და ზოგჯერ შეილება წამოცთეს, მარა პირჯუარს გადაიწერს.
- რა თქმა უნდა. ხო. იმწუი მოინანიეფს.
- „შეუღვა ქრისტესო“?
- ესეც დაცინუით ხო?
- თქუნ როგორ გაგიგიათ?

— აი, დაუშვით, ჩემზე თქმა მეზობელმა ჩემა: „შეუდგა ქრისტესო“ <იგულისხმება ირონიით, როცა ეკლესიაში მიდის >.

*ნუნუ იამანიძე, 65 წლის.  
ქუთაისი, 2005 წ. 15.04  
კასეტა № 26*

## 2.4.1. გულის სათქმელი ლოცვები

- კარგი. დილას რო გაიღუბებო, რას ვამბოფთ?
- დილას რო გავიღუბებო, დედიკო, გადმოუღამ მარჯუნა ფეხს და შე... ისა, ფეხსაცმელს მარჯუნა ფეხში იმატსქნი და „დიდება უფალს“, ასე ვიტყუი, დავიწერ პირჯუარს, მოუბრუნდები ხატებისკენ, დავიწერ პირჯუარს, ხოდა, ი... ი... „დიდება უფალს, რო გავუთენა მშუტილობის დილა.“ ეს, ამას ვამბოფ მე, რომ... ზოგჯერ კიდე „მშუტილობა უფალს, რო მოგუფინა ნათელი“.
- „დიდება შენდა, რომელმან მოგუფინე ნათელი“?
- არა, „მადლობა უფალს, რო მოგუფინა ნათელი“
- აჰა.
- ან „დიდება შენდა“ ან „მადლობა, რომ მოგუფინე ნათელი და გავუთენე მშუტილობის დილა“. ამას ვიტყუი, მაგალითათ, დილას მე და კილო, რო ვიცმევ ტანსაცმელს მაშინ: “შემოსე, უფალო, მადლითა სულისა წმინდისა შენისათა”
- აჰა, და საღამოს?
- საღამოს, ღამის ლოცუფეს წაუციოთხავ და მერე საღამოს, უთქუათ, ადრე წაუციოთხე ხო, მერე ამას ვიტყუი აუცილებლათ... რო მე რა ქუთია, ი... საღამ... ღამის ლოცუა რუ არი, პატარა ლოცუა რუ არი, პატარა.
- ხო, მოკლე ლოცუა.
- მოკლე ლოცუას, იმას ვიტყუი დავიწერ პირჯუარს და „უფალო გამითენე მშუტილობის დილა“, საბანს რო გავეციფარეფ ვამბოფ: “დამიფარე უფალო, საფარუელსა ქუეშე შენსა”...
- ხოდა, ძილში რაღაცა რო შემაშფოთეფსო?
- ძილში, დედა, ძალიან ხშირათ წამოტბტნები... დატბტუაუ თუალეფს და რო უნდა დამეძინოს და... ასე „განვედ ჩემგან სატანა, ჩახვედ ჭოჯოხეცა შინა, სადარცა არს ადგილი შენი“.
- და გათავისუფლდები ამ ცუდი იმგენისაგან?..

— კი ბეტრჯერ ვამბოვ მე, ლუიზა, ამას, ბეტრჯერ ვამბოვ, მაგალითათ, რო უწევარ, დედა, არ მეძინება... „მამაო ჩუენო“, „უფალო იესო ქრისტე ძეო სხეთისა შემიწყალე მე ცოდუელი“. ხო, „ხეთიშობელო ქალწულო გიხაროდენ“ ამას ვამბოვ... და ამას ბეტრჯერ ვამბოვ „განვედ ჩემგან სატანა“ მერე თანდათან...

— ამას გარდა ავადმყოფობისა, მაგალითათ, ცუდი აზრები და ფიქრები რო გაქ, ხო?..

— კი, კი, კი, აუცილებლათ. მერე შეილება მთელი ღამე ვიყო მღუიძარე და მერე მალე ჩამეძინოს...

— და კანკელს ავანთეფო?

— კანკელი მაქს ანთებული როცა... თუ მოვასწარი დაძინება მე, ესე იგი და ძან სიბნელია, მაშინ მძინაუს და არ მინდა არაფერი და თუ ვერ მოვასწარი დაძინება და თორმეცააცე წავიდა შუქი, მაშინ კანდელი უნდა ავანთო და „უფალო ამინთე სიხარულის...“ და ასეთი რადაცა... ჩემთვის ვიტყუი და ამნაირი რაც მომადგება. ან კილო რო ჩააქროფ, უნდა თქუა... როცა ჩააქროფ სანთულო, უნდა თქუა: „უფალო, გუიხსენ ჯოჯოხეთისა ალთაგან“.

წყლის და სეფისკუერის მიწოდებისას, დედა, მე სეფისკუერს რო მომაწოდებენ, ხშირათ, ვიცი: “მადლი გაგიმრატლოს ღმერთმა”, “მადლი გაგიმრატლოს ღმერთმა” ან “უფალმა მოგმადლოს პური არსობისა” მერე იმას ჩატუდეფ იმაში, მაქუს მე და <<< ლაპარაკია სეფისკეერის შესანახ ნაქსოვ პატარა ტომარაზე, რომელზეც ჯვრებია ამოქარგული >>> სახში ვიცი შექმა... ხო. წყალსგ, წყალი ყუელაზე კარგია, მკურნალია, ყუელას ძალიან დით პატრუს ტუცემ და ნაკურთხი წყალი და იგი, ნაკურთხ წყალს რო მოქცემს ვინმე ან პირიქით, უამბოფთ: “უფალმა გასტუს წყარო ცხოურებისა”, აბა, ასე ვიციით...

— ნაკურთხი წყალი ქუთია თუ წმინდა წყალი?

— წმინდა წყალი... ნაკურთხი წყალიც ქუთია და წმინდა წყალიც, ორივე. ნაკურთხი, ისე მე მგონი მაინც ნაკურთხია და ნაკურთხი მაინც გუა... გუაგებინეფს ჩუენ რა წყალია ეს, უფრო სწორათ. წმინდა წყალი ახლა შეილება იყოს, მარა მე ნაკურთხი წყალი სხუაგან, ცალკე მაქუს სუფთათ შენახული.

— ნაკურთხ წყალს რა პატრისცემით უნდა მოვეპყროთ და სეფისკუერს?

— ნაკურთხი წყალი, დედა, ძალიან... მი ახლა ძირითადათ მაქს ერთი ადგილი სადაც ნაკურთხ წყალს და უნდა მოვეპყრო

მოკლეთ, როგორ უთქუთა ახლა, რასაკუთრებელია პატივისცემით და იმით...

— თუ კმევა არი, ხო, მასწაულეს ქალეზმა ბაგრაძე [ბაგრაძე-ზე] და პეტრე-პაულეში, რო ასე უნდა თქუთაო, შუილოო, რო: „წარემეთ ლოცუა ჩემი, ვითარცა საკმეველი შენს წინაშე“

— და მაგი ახლა შენ მასწაულე მე.

— მე ძუელმა მრეულმა მასწაულა.

— უი, კი, კი, „...ვითარცა საკმეველი შენ წინაშე, აღპყრობად ხელთა ჩემთა მსხტერაბლ სამწუხროთ, ისმინე ჩემი, უფალო!“

— ხო, ა, იცი შენც, მაგრამ...

— კი ვიცი, რავე არა, გამახსენდა...

— დიდი გამოსულა რუ არი ან სახარება გამუაქტო, თქუნდ რალაცას ამბოფთ?

— მაშინ, მაშინ მე ვიცი „დიდება შენდა უფალო“ და ისა, კიდე ვიცი რალაცა, „დიდება შენდა უფალო“ ამას სამჭერ ვიტყუნი, ხოდა „ღმერთო, შენ მიშუელე მე ცოდუილს“ აი ასე ვიტყუნი და „იდილოს უფალო სახელი შენი“, ამას სამჭერ ვიტყუნი ყოველ-თუის და, ის რო იტყუის, ხო არი მერე, პირუელათ ხო დაილოცება იგი [მღვდელი] მერე ვამბოფ „მიწყალეს“ სრულათ. „მიწყალეს“ ვამბოფ სრულათ.

— ესე იგი მღუდელი რო უკუე შემობრუნდება და დაგულოცაუს ამ სახარებით, სახარების წაკითხუის მერე, რო გაიტანს სახარებას მაშინ ამბოფ „მიწყალეს“?

— არაჲ, არა, როდის ვამბოფ, დედა, იცი? რომ გამოვიდა ხო, უთქუათ, გარეთ ხო გამოვიდა მღუდელი, ხოდა პირუელათ... აღარ მახსოუს, მართლა ზეპირათ უიცი მე ტიპიკონი, მარა ახლა აღარ მახსოუს, მეხსიერება მღალატოფს... იგი პირუელათ „დიდება შენდა, ღმერთო“, „დიდება შენდა, ღმერთო, ჩუენო“ ხომ უამბოფთ, მერე რა ქუიან, ისა „იდილოს, უფალო, სახელი შენი“ სამჭერ ვამბოფ, მერე იგი ხო დაილოცება. იმგენს რო ლოცაუს ერს და ბერს და სუყუელას რო დალოცაუს...

— ხო, ხო, კი.

— მი ამ, ამ იმაში, შუალეჩი ვამბოფ „მიწყალეს“ სრულათ.

— აჰა, გასაგებია. როცა ერს და მრეტლს ლოცაუს მაშინ...

— ერს და მრეტლს რო ლოცაუს აუცილებელია მაშინ „მიწყალე“.

— ორმოდამიათე...

— კი, კი ორმოზდამიათე ფსალმუნნი. ლუიზა, მე ბეჭური რა-  
მე ვიცი, ახლა შენი თქმის არ იყოს, მაგრამ როგორც გითხარი,  
შეიძლება ბეჭური ვერ გავიხსენო... მაგალითათ, არ მომწონს მე  
ვინმეს ლაპარაკი და რაღაცა „დადევ საცოფ პირსა“ ვეტყუ-  
ე, ვეტყუი იმას, კი, ჩემო ბატონო და ძალიან ბეჭური ფსალმუნე-  
ბიდანაც კი...

— ხშირათ ფსალმუნეფს უკითხულოფთ და...

— კი, კი. მე ძალიან ხშირად ვამბოფ, მაგალითათ, ოდამეექ-  
ტესე ფსალმუნს, მაგას სახლშიც ისე ვამბოფ, მაგას, ორმოცკერ  
უნდა გაიმეორო თუ კი გაქუთ დრო, ოდამეექტესე ფსალმუნნი.

— რომელია მაგი?

— ისა, რომელია და...

— ოდამეორია „უფალმან მწყოს მე და არაფ მაკლდეს“...

— არა, წავიკითხე მე, პელაგიას წინასწარმეტყუელებაში მაქ  
წაკითხული ოდამეექტესე ფსალმუნნი უნდა იკითხო ხშირათ, ხო.

— ესე იგი ძლიერი დამცავია.

— ხო, და „რომელი დამკუთდრებულ არს შეწევნითა მალლი-  
საფთა“ ამას ხშირათ ვამბოფ, ძალიან. „უფალო, შეისმინე ლოც-  
უთისა ჩემისა“ ამას ხშირათ ვამბოფ, „მიწყალეს“ თავისთავათ და...

*დოდო ფანცხავა, 55 წლის*

*ქუთაისი 2004, 30.11.*

*საღამოს 5 საათი, წვიმს.*

*კასეტა № 21*

#### 2.4.2. ბუღში სათქმული ლ(ოც)კები

— ესე იგი, როცა სახლიდან გაუდივართ...

— სახლიდან როცა გაუდივართ, თუნდაც ლიფტში უქედებო-  
დე. ღმერთო, მოუდივარ შენთან, ხუთისობელი დედა მიმიძღუის  
წინ, მე თქუენ მოკყუებით.

— აჰა.

— ხო. კი ასე ვამბოფ.

— გადაიწერ პირჯუარს—

გადავიწერ პირჯუარს. მერე დაუშუათ მოუდივარ სახში. გა-  
მოუედი საქმეზე ვიყავი და გამოუედი გარეთ და მადლობელი ვარ  
უფალო შენი, რათა, შემადლებიე მომიყუანე და ჩემი საქმე გამაყე-  
თებზე-თქუა.

მადლობას უწირაუ ყუელაფერზე. ან სახში რო მოვალ მშუი-  
დობიანათ - მადლობა უფალო.

— და კარეფს რო გავაღეფთ ამ დროს თუ ამბოფთ რამე  
ლოცუას?

— კარეფს რო გავაღეფ, მოწყალების კარი გამიღე კურთხეუ-  
ლო ხუთიშობელო, ეს ვიცი, ასე უნდა.

*ნუნუ იამანიძე, 62 წლის  
ქუთაისი, 2002 წ.  
კასეტა № 10*

### **3. ხალხური საეკლესიო საბალოგლები (ტექსტები)**

#### **3.1. სამეფრებლები**

##### **3.1.1. მორწმუნის სამეფრებელი**

შეგვეწიოს უფალი ღუთისმშობელი მარიამ  
წშიდა სალოცავები, რაც რომ ქუეყნად არიან (2-ჯერ)  
რადგან ეს გზა ირჩიე, მძიმე და უწმინდესი  
ანგელოზი ქფარავდეს წმინდა სერაფიმესი (2-ჯერ)  
წმინდა ნინო, თამარი, ღმერცს შეუფიცოთ პირობა,  
ღმერთმა გავაძლიეროს,  
ღმერთმა მოქუეცს მშუიღობა (2-ჯერ)

##### **3.1.2. შობის საბალოგელი**

ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშუა ბეთემსაო,  
და აჰაჰაი, ჰაი, ჰალილო.  
ანგელოზები გალობენ: ოსანა მალალთა შინა,  
და აჰაჰაი, ჰაი, ჰალილო.  
ეს რომ მწყემსებმა გაიგეს, მივიდნენ და  
თაყუანი სცეს მას,  
აჰაჰაი, ჰაი, ჰალილო.  
მივიდნენ და თან მიართუეს:  
ოქრი, მური და გუნდრუკი, და  
აჰაჰაი, ჰაი, ჰალილო.

ჩვენ მთხოვნელები არა ვართ,  
შობის მახარობლები ვართ, და  
აჰაჰაი, ჰაი, ჰალილო.  
შობა ღმერთმა გაგუთიფოს,  
მრავალ ახალ-წელიწადი, და  
აჰაჰაი, ჰაი, ჰალილო.  
მაშ მოგილოცაუთ ქრისტე შობასა (2-ჯერ),  
ჟამიერ, ჟამიერ გილოცავთ ქრისტე შობასა.  
ჟამიერ, ჟამიერ გილოცავთ ქრისტე შობასა.

### 3.1.3. ახალდაწერილი გალობა საქარტველსთვის

— ამ გალობის ისტორია მაინტერესებს, რომელიც აწი უნდა ჩავიწეროთ და წელან იგალობეთ თქვენ.

— რა ყოფილა, იცი? ლტოლუბილი ყოფილა, მოსულა... მისულა ერთ-ერთ ეკლესიაში გ ისა, ივერიის ხუთიშობელთან მისულა და დაუწყია ეს გალობა, დაუწყია თითონ, მარტო უგალობებია და ხალხი პირდაფიქნილი მიჩერებია. მერე მისულა ერთი ქალი, ჩვენ... გოგუცა არი, ჩვენთან დადის იგი და მისულა და ქალბატონო, ეს სიტყვები უნდა დამაწერიო, ყიჟან თურმე ისე კი ვერ დააწერია. ის [მან] იგალობა და ეგენი წერენ, გამიგე, დედა? ხოდა ასე.

— იმ ქალს ვინ ასწაულა?

— ეგი თითონ დაუწერია, თითონ შეთხზა ეს, თითონ, ტოლუბილი იყო და თითონ შეთხზა ეს სიტყვები.

— მორწმუნე იყო, ალბათ?

— მორწმუნე, ხო, მორწმუნე და... <<< შეხე სულ დამაქრიალა — მიმართავს მომძიებელს და მკლავს აჩვენებს >>>

„უფლისა ხატო ივერიისაო, შემწეე-მფარუელო, ხატო ნათელი, მარად უჭკნობო შარავანდელო, გაბრწყინებულო ოქროს კანდელო.

მარად უჭკნობო შარავანდელო, გაბრწყინებულო ოქროს კანდელო.

უფლისა ხატო ივერიისაო, ჩაუქრობელო წმინდა სანთელი, შენ გვედრები მუხლმოდრეკილი, გადაგუირჩინე ჩვენ საქართულო.



შენ გვევდრები მუხლმოდრეკილი, გადაგვირჩინე ჩუენ საქარ-  
თუელო.

უფლისა ხატო ივერიისაო, გადაგვირჩინე ჩენი ენაო,  
ენა ქართული, ხუთიუკურთხეული, მარად გუიკურთხე, დე-  
დავ, შენაო,

ენა ქართული, ხუთიუკურთხეული, მარად გუიკურთხე, დე-  
დავ, შენაო.

უფლისა ხატო ივერიისაო, გადმოგუივილინე შენი წყალობა,  
რომ შეისმინო აფაზეთიდან ქართული ენით ლოცუა-გალობა,

რომ შეისმინო აფაზეთიდან ქართული ენით ლოცუა-გალობა.

სასოებო ხუთითუკურთხეულო, ქართული ენით უმღერო სამე-  
ბას, ქართული ენით უტირით და უგოდეფო ქრისტეს ტანჯუას და  
უხუთო წამებას,

ქართული ენით უტირით და უგოდეფო ქრისტეს ტანჯუას და  
უხუთო წამებას.

უფლისა ხატო ივერიისაო, ჩუენი მხედრობა დაიფარეო, და  
საქართუელოს გამთლიანებით, გაიხარე და გაგუახარეო,

და საქართუელოს გამთლიანებით, გაიხარე და გაგუახარეო.

თუალთმოციმციმე ვარსკულაუთა გუნდი განახლებული ქარ-  
თულ ცისაო, მოგუმაღლე ცრემლი სინანულისა, ურყევი რწმენა  
სამებისაო,

მოგუმაღლე ცრემლი სინანულისა, ურყევი რწმენა სამებისაო.

### 3.1.4. ღმერთის ღიდება

დიდება და ღმერთს] დიდებოო (I ხმა),

დიდება და ღმერთს] დიდებო (გუნდი)

დიდება და ჩუენ მუუტიდობოო

დიდება და ჩუენ მუუტიდობო (გუნდი)

პირუელად ღმერთი ვახსენოთოო,

პირუელად ღმერთი ვახსენოთო (გუნდი),

ის უფრო დიდებულიაოო,

ის უფრო დიდებულიაო (გუნდი),

მეოხებენ ცისა დასნიოო

მეოხებენ ცისა დასნიო (გუნდი),

ლოცულობენ წმინდა კაცნიოო

ლოცულობენ წმინდა კაცნიო (გუნდი),

ყოვლადწმინდა მარიამიო  
ყოვლადწმინდა მარიამიო (გუნდი),  
წმინდა გიორგი ძლევისაო  
წმინდა გიორგი ძლევისაო (გუნდი),  
ნიკოლოზი საკუთრუელიო  
ნიკოლოზი საკუთრუელიო (გუნდი),  
ქუმფარტელობენ წმინდა ნეშტნიო  
ქუმფარტელობენ წმინდა ნეშტნიო (გუნდი),  
მოწამეთა წმინდა ძტაღნიო  
მოწამეთა წმინდა ძტაღნიო (გუნდი),  
წმინდა ნინო ვაზის ჳტარითო  
წმინდა ნინო ვაზის ჳტარითო (გუნდი),  
მირონი და უფლის კტარითო  
მირონი და უფლის კტარითო (გუნდი),  
ჩტენი წმინდა სალოცატნიო  
ჩტენი წმინდა სალოცატნიო (გუნდი),  
ქართუელთ მეფე-დედოფალო  
ქართუელთ მეფე-დედოფალო (გუნდი),  
დავითი და გორგასალო  
დავითი და გორგასალო (გუნდი),  
თამარი და ქეთევანიო  
თამარი და ქეთევანიო (გუნდი),  
ყტელა წმინდა, ყტელა კარგიო  
ყტელა წმინდა, ყტელა კარგიო (გუნდი),  
აღსდგა ქრისტე მაცხოვარიო  
აღსდგა ქრისტე მაცხოვარიო (გუნდი),  
გოდებენ აწ ბელიარნიო  
გოდებენ აწ ბელიარნიო (გუნდი),  
უფლის წყალობა გუბოძეო  
უფლის წყალობა გუბოძეო (გუნდი),  
უკუდავება გაღმოგულოცეო  
უკუდავება გაღმოგულოცეო (გუნდი),  
პირტულად ღმერთი ვახსენო  
პირტულად ღმერთი ვახსენო (გუნდი),  
ღიდება და ღმერც ღიდებაო  
ღიდება და ღმერც ღიდებაო (გუნდი),  
ღიდება და ჩტენ მშიღობაო  
ღიდება და ჩტენ მშიღობაო (გუნდი),

მხოლოდ ღმერთის განდიდებაოოო  
მხოლოდ ღმერთის განდიდებაო (3-ჯერ; გუნდი).

### 3.1.5. კაცნი ბიჰვარდესო

კაცი ხარ კაცად შობილი, კაცნი გიყუარდესო,  
ეკლესიაში ხტიდოდე ყოველ უქმე დღესო,  
დავითნი და სახარება ორნივ იქა დევსო,  
იმაში ასე სწერია, კაცნი გიყუარდესო  
იმაში ასე სწერია, კაცნი გიყუარდესო.  
კეთილისა წილ ბოროტსა თუ ვინმე ქყოფდესო  
სამაგიეროს ნუ იზამ, დე თუითონ მიხუდესო,  
ჩუენ მხსნელსაც ასე დამართეს ყუელას მოყუარესო  
ჩუენ მხსნელსაც ასე დამართეს ყუელას მოყუარესო.  
კაცი ხარ კაცად შობილი, კაცნი გიყუარდესო,  
ეკლესიაში ხტიდოდე ყოველ უქმე დღესო,  
დავითნი და სახარება ორნივ იქა დევსო,  
იმაში ასე სწერია, კაცნი გიყუარდესო,  
იმაში ასე სწერია, კაცნი გიყუარდესო.

### 3.1.6. ვუგაღ(უ)ბდეთ მეუფესა ღმერთსა ჩვენსა

უგალობდეთ, უგალობდეთ, უგალობდეთ,  
მეუფესა ღმერთსა ჩვენსა უგალობდეთ!  
უგალობდეთ, უგალობდეთ, უგალობდეთ,  
ლუთისმშობელსა დედა მარიამს უგალობდეთ!  
უგალობდეთ, უგალობდეთ, უგალობდეთ,  
ანგელოზებს უგალობდეთ!  
უგალობდეთ, უგალობდეთ, უგალობდეთ,  
წინდა ნინოს უგალობდეთ!..

### 3.1.7. მამა(ო) ჩვენი(ო), ჩვენი გზაები შენსკენ მოდიან

მამაო ჩუენო, ჩუენი გზები შენსკენ მოდიან,  
და თან გუიბრძანებ, ეს გზა იოლი ასე როდია,  
მწარეც არის, ვიწროც და ეკლიანიცა,  
ლიღება შენი, მშუიღობა შენი ეგრე არიან.  
გზაში ყოველთუის სულიწმინდის მადლი მინათეფს,  
ყუელგან მიპოვნი, რაგინდ მძიმე  
ტუირთქუეშ უგმინავლე,  
ცრემლეფს შემიშროფ, ტუირცაც მომხსნი,  
არ დამამძიმეფ,  
ოი, უფალო, ეკლიან გზას ნუ დამაცილეფ.  
დაე, დამკაწრონ ეკლებმა და სისხლი მადინონ,  
მტანჯე და მგუემე, სულიერად არ დამაძინო,  
მე ამ ტანჯვაში სულ სიმშუიღეს უბოვებ სრულებით,  
რადგან უფალო, ჩემს საშუელად მოეშურეები.  
ასეც[ოს]ა ტანჯუას კი არ უწუხუარ და კი არ  
უსტირი,  
რადგან უფალო, გულში მიკრავ თოთო ბატუშუივით,  
ოლონდ ძალი და სიბრძნე მომეც ამ ქუეყანაზე,  
მუდამ მზად ვიყო, რა წუთშიაც შენ დამიძახებ (2-  
ჯერ).  
მამაო ჩუენო, ჩუენი გზები შენსკენ მოდიან...

### 3.1.8. მარხვისას საბალო(ო)გაქლო

ჩემო ტუბილო ხუთისმშობელო,  
მეც ხომ შენი შუილი ვარ,  
შემაფარე შენს კალთასა, თორემ მუდამ უსტირივარ,  
შემაფარე შენს კალთასა, თორემ მუდამ უსტირივარ,  
შენსა ძესა შემავედრე, ცოდუილი ვარ ძალიან,  
მეშინია განკითხუისა, მისი მოსულა მალია.  
განკითხუის დლე რომ დადგება,  
ყუელა შენს იმედად ვართ.  
ვიცი, ყუელა გებრალემა, რადგან ყუელას დედა ხარ,  
ჩემო დედა ხუთისმშობელო,  
შეგუიბრალე ცოდუილნი,

ცოდუილ მიწის შტილები ვართ,  
ცოდუისაგან შობილნი  
ცოდუილ მიწის შტილები ვართ,  
ცოდუისაგან შობილნი.

### 3.1.9. ჯჳრის სადიღეკილი

ჯუარო, მფარველო ყოვლისა სოფლისაო,  
ჯუარო, შემწეო მეფეთაო,  
ჯუარო, შემწეო მორწმუნეთაო,  
ჯუარო, დიდებაო ანგელოზთაო,  
ჯუარო, შემმუსტრელო ეშმაკთაო,  
შეგუიწყალენ ჯუენ!

## 32. საპანაშვილო საბალოღევი

### 32.1. სასუფეველი ცათა დაგემკუტიდროს

სასუფეველი ცათა დაგემკუტიდროს მონაო  
(მხევალო) ხუთისა!  
სასუფეველი ცათა დაგემკუტიდროს მონაო  
(მხევალო) ხუთისა!  
დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა  
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!  
სასუფეველი ცათა დაგემკუტიდროს მონაო  
(მხევალო) ხუთისა!..

### 3.2.2. ნეტარ არს გზა

ნეტარ არს გზა, რომელსაც წარმართებულხარ შენ დღეს,  
რამეთუ ადგილი განსასტუნებელი მიგელის შენ (3-ჯერ).

### 3.2.3. ბარდაცვლილი ღეღისათვის / მამისათვის სა- ბაღ(ოგა)ლი

(ღედავ, მამავ — ვამბობთ იმის მიხედვით თუ ვინაა გარდაც-  
ვლილი)

ღედავ, ღედავ, სადა ხარ? შენმა დარღმა დამღალა.

ღედავ, ღედავ, სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?

შენმა გარდაცვალებამ დაგუანელა, დაქუტანჯა.

ღედავ, ღედავ, სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?

შენ ზეცაში გაფრინდი ჩუენს ხუთისმშობელ ღედასთან,

ღედავ, ღედავ, სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?

### 3.2.4. საპანა'შვილ(ო) იანანა მიცვალებულ ბავშვ(ო)ათვის

იავ-ნანა, ვარდოვ-ნანა, იავ-ნანიანო,

აგრე ტკბილად, უდარღელად რამ დაგაძინაო?

მღლა ცაში გიპოუნია შენ ტკბილი ბინაო,

აგრე ტკბილად, უდარღელად მან დაგაძინაო?

ხუთის უბეში გიპოვნია შენ ტკბილი ბინაო,

დაიძინე ტკბილო ტკბილად იავნანიანო,

იავ-ნანა ვარდოვ ნანა, იავ ნანიანო.

### 3.2.5. მიცვალებულ მამაკაც(ო)ათვის საბაღ(ო)ბეაღი

ამას მაშინ უტალოფთ, როცა მიცტულებული მამაკაცია. პა-  
ნაშუილზე ან გასტუნებაში რომ წაგუიყუანენ, გუეტყუიან: ცხონე-  
ბული, პურ-მარილიანი კაცი იყო და თუ შეიძლება, რამე, გარდა  
საუფლო გალობებისა, შესაფერისი იგალობეთო:

სიონში შვეალ, სანთლებს დავანთებ, გარდასულ ძმათა მოსაგონებლად, არ ვიცი არა, სად დავლევ სულსა, სად გამითხრიან ცივ სამარესა (2-ჯერ).

ჩემს საფლატუზედა იხაროს ვარდმა, მზემ დააფინოს სხიუთა ნათელი, მოსაგონებლად მხოლოდ ამას ქთხოვთ, ზმირად დამინთოთ წმინდა სანთელი (2-ჯერ).

სიონში შვეალ...

*ქუთაისის არქიელის გორაზე მღებარე წმიდა გიორგის ეკლესიის მგალობლები: დოდო ფანცხავა, 54წ., ნუნუ იაშანიძე, 63წ., ნუნუ კობახიძე, 56წ. კასეტა №3, ქუთაისი 2003*

(p.s. ათეისტური მმართველობის დროს. იმერეთში (ისე როგორც მთელ საქართველოში) დაკეტილი იყო ტაძრები. მოქმედებდა მათხოჯის ღვდათა მონასტერი რამდენიმე მონაზვნით, ქუთაისის პეტრე-პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარი და არქიელის გორაზე მღებარე წმინდა გიორგის ეკლესია. აღნიშულ მგალობლებს მოცემული საგალობლები და სასიმღერო კილო ძირითადად შესწავლილი ჰქონდათ ძველი წმინდა გიორგისა და მოლოცვების დროს საქართველოს ზოგიერთი მოქმედი ტაძრის მრევლიდან. მათი თქმით, საკათედროებში უფრო სუფთა საეკლესიოს გალობდნენ).

---

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში  
ნაბეჭდი თაბახი 17,5  
ტირაჟი 100





## **ლელა საჭაპურიძე -**

დაიბადა ქუთაისში. 1994 წელს დაამთავრა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, 1994 წელს - წმიდა გაბრიელ ქიქოძის სახელობის სასულიერო სასწავლებელი, 2005 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1994 წლიდან მუშაობს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (ამჟამად ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი), 2006 წლიდან - აწსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის (ქართული ენის მიმართულება) მოწვეულ მასწავლებლად, 2014 წლიდან კონკურსის წესით არჩეულია ამავე დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორად, 2011 წლიდან ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებულ პროფესორად.

გამოქვეყნებული აქვს სამოცდაათამდე სამეცნიერო ნაშრომი და მონოგრაფია.

კვლევის სფერო: ლექსიკოლოგია, ფრაზეოლოგია, ტერმინოლოგია, ონომასტიკა.